



1895

# „მთაბე“

## თვიური ჟურნალი

(წელწადი მეორე)

გამოვა ეოკელ თვის პირველ რიცხვებში

იმავე პროგრამით

ფასი ჟურნალისა გაზგაყვნიტ:

	1 წლიტ	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარედ . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.


ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

სელის-მოწერბ მიიღებბ ტფილისში, ქურონალ „მთაბის“ რედბ-ქციაში, რომელიც იმყოფებბ ლორის-მელიქოვის ქუბსზე № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Tiflis, Pedagogia „Moambe“*.

ვინც წლიურ ფასს წინ-და-წინ შემოიტანს, მიიღებბ კედლის ქართულს კალენდარს 1895 წლსას.

p. 6301



8(05)

2

# მ ო ნ მ გ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი პირველი

№ XI

ნ ო ნ მ გ ე რ ი, 1894



ტფილისი

საბჭოთა კავშირის გამომცემი და დისტრიბუტორი ქ. თბილისი, 1894

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 28 Ноября 1894 года.

---

# სეხსლითა და მახვილითა

რომანი

გენრაჲ სენკეგიაჩასა

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

## I

1647 წელიწადი უცნაური წელიწადი იყო. საკვირველნი მოვლენანი ცასა და დედა-მიწაზედ რალაც დიდს უბედურებას და არაჩვეულებრივს ამბავს მოასწავებდა.

მაშინდელნი მემატიანენი იხსენიებენ, რომ გაზაფხულზედ უდაბურს ყრუ მინდვრებში მრავლისაგან-მრავალი კალია გაჩინდა და სულ მოსძოვა ნათესებო; ასე იყო ყოველთვის თათართა შემოსევის წინადაო. ზაფხულში მზე დაბნელდა და მას შემდეგ მალე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. ვარშაეაში, ზედ ქალაქის თავზედ იხილვებოდა ღრუბლებში ცეცხლის კუბო და ჯვარი; მცხოვრებნი მარხულობდნენ და არიგებდნენ მოწყალეებასა; ამბობდნენ, რომ ჭირი ეწვევა ქვეყანას და გასწყევტავს კაცთა ნათესავსაო. დასასრულ, ისეთი თბილი ზამთარი დადგა, რომლისთანაც მოხუცთაც კი არ ახსოვდათ. სამხრეთს, სამოურავოებში წყლები არ გაჰყინა; თოვლი სწრაფად ჰდნებოდა, მდინარენი ადიდდა და მოედვა ნაპირებს. წვიმა ხშირად მოდიოდა. მინდვრები ერთ უშველებელ ქაობად გადაიქცა; მზე ისე იკბინებოდა შუადღისას, რომ—მეტი სასწაული რაღა იქნებოდა—ბრაცლავის სამოურავოში და ყრუ მინდვრებზედ დეკემბრის ნახევარში ბალახმა მწვანედ დაიწყა ბიბინი. ფუტკრის

გუნდნი ბზუოდნენ საფუტკრეებს ახლო, საქონელი ზმუოდა ბოსლებში. როცა ამ სახით ბუნება თითქო სრულოად შეიცვალაო, რუსეთის მკვიდრი არა-ჩვეულებრივ ამბავთა მოლოდინში იყვნენ და მოუსვენრობით გაიკვირებოდნენ ყრუ მინდვრებისაკენ. შიში იქადან უფრო იყო მოსალოდნელი, ვიდრე საიდანმე სხვა მხრიდან.

მინდვრებში კი იმ დროს საიმისო არა მომხდარა-რა, არც ომი და ბრძოლა, არც ხელ-ჩართულიჩეხა-ჟლეტა, არაფერი იმისთანა, რაც ხშირი ამბავი იყო იქ და რაც კარგად იცოდნენ მხოლოდ არწივებმა, ყვავ-ყორნებმა და მინდვრის ნადირებმა.

ასეთი იყო ეს მინდვრები. კვალი მოსახლობისა და ბინადრობისა თავდებოდა სამხრეთად, ჩაგირინს ცოტა ქვემოდ, დნეპრის მხრით და უმანს ქვემოდ, დნესტრის მახლობლად. ქვემოდა და ქვემოდ, ზღვის ყურეებისა და თვით ზღვისკენ გაკიმული იყო მინდორი, დაუსრულებელი, ძვალ-გადუწვდენელი, რომელსაც, თითქო ბუმბერაზთა მკლავები შემოპხვევიაო, აქეთ-იქიდან ჩაუდოდა ორი მდინარე. დნეპრის შესართავს ახლო, დაბლობში, ქორომებს ქვემოდ, ჯერ კიდევ ყაზახთა ცხოვრება სდულდა, გარნა რვით მანდვრებში არაფინ არა სცხოვრობდა და მხოლოდ მდინარის პირას აქა-იქ მოსჩანდა პატარ-პატარა „გორები“, თითქო კუნძულებია ზღვაშიო. ეს ადგილ-მამული სახელით პოლონეთის კუთვნილება იყო. რესპუბლიკა ნებას აძლევდა თათრებს ეძოვებინათ იქ თავიანთი საქონელი, მაგრამ რადგან ამ უდაბურს ადგილებს თვალ-ყურს უკლებდნენ ყაზახნი, ამიტომ ამ საძოვარ ადგილებში ხშირად იმართებოდა დიდი ომი და ბრძოლაცა.

არავის არ დაუთვლია, არავის არ ახსოვს, რამდენი ომი იქმნა იქ გადახდილი, რამდენმა კაცმა გასწირა იქ თავი. მხოლოდ არწივნი, ქორნი და ყვავ-ყორანნი ჰხედავდნენ ყოველსავე და ვისაც შემოესმოდა შორიდან ფრთების ბარტყუნი და ყრანტალი, ვინც დაინახავდა ფრინველთა გუნდს, რომელიც დასტრიალებდა ერთსა და იმავე. ადგილს, იმან უკვე იცოდა,

რომ იქ კაცთა მძოვრი ჰყრია, ან დაუმარხავი ძვლებია მოფან-  
ტულიო... მკერდამდე ბალახში ისე ნადირობდნენ კაცებზედ,  
როგორც მგლებზედ. ნადირობდა ყველა, ვისაც სურვილი ჰქო-  
ნდა ნადირობისა. ვისაც კანონი სდევნიდა, იმ ყრუ მინდვრებ-  
ში იმალებოდა; მწყემსი შეიარაღებული იყო და ისე აძოვებდა  
თავისს საქონელს; რაინდი იქ ეძებდა შემთხვევას თავის გამო-  
ჩენისათვის, ავაზაკი დავლას ეძებდა, ყაზახი—თათარსა, თათა-  
რი—ყაზახსა. ეს ამოდენა უდაბნო ცარიელიც იყო და სავსეც  
ერთსა და იმავე დროს, ჩუმიცა და მგრგვინავიცა, მშვილობი-  
ანიცა და საფრებით სავსეცა; ყრუ იყო და ველური, იმიტომ  
რომ გარშემო ყრუ და ტრიალი მინდვრები გადაჭიმულიყო,  
იმიტომ რომ ველური და ბოროტი კაცი ამ მინდვრებს აფა-  
რებდა თავს.

ხან-და-ხან იქ დიდი ომი გაიმართებოდა ხოლმე. მაშინ  
თიჯკო ზღვის ტალღებიაო, ისე მისცურავდა ამ მინდორში თა-  
თრების რაზმები, ყაზახთა მხედრობა, პოლონელთა და ვლა-  
ხელთა ჯარები; ღამე ცხენთა ჭიხინი ბანს ეუბნებოდა მგელ-  
თა ყმუილსა, ხმა სპილენძის საყვირთა სწვდებოდა ოვიდიის  
ტბასა და ზღვასაც კი. რესპუბლიკის სამზღვრებს იცავდა კაპე-  
ნციდან დნებრამდე. სტანრცები და „გორები“. თუ უდაბნო უნ-  
და გაცოცხლებულიყო და მის გზებს მოსდებოდა ბრბო განა-  
ღირებულ ცხენოსანთა, ამისი შეტყობა იმითი შეიძლებოდა,  
რომ აუარებელნი გუნდნი ფრინველთა, თათრების რაზმებისა-  
გან დამფრთხალნი, მიჰკრინავდნენ ჩრდილოეთად. ხოლო თათა-  
რი, საიდანაც უნდა დაბრუნებულიყო, შავის ტყიდანა თუ  
ვლახეთის მხრიდან, მოჰყვებოდა ფრინველთ კვალს და მათთან  
ერთად შეჩერდებოდა ბრაცლავის სამოურავოში.

ამ ზამთარს კი ფრინველნი რესპუბლიკას არ ეტანებოდნენ  
ჩვეულებრივის ყივილ-ხივილით. უდაბნო უფრო დაწყნარებული  
იყო, ვიდრე სხვა დროსა ყოფილა როდისმე. იმ დროს, როცა  
ჩვენი მოთხოვნა იწყება, მზე ჩასავალს იყო და თვისის მოწი-  
თანაო სხივებით აშუქებდა სრულიად უდაბურს მიდამოს. ყრუ  
მინდორის ჩრდილო სამზღვრებზედ, ომელნიჩკის ნაპირად, თვით

მის შესართავამდე კაცი ერთს ცოცხალს არსებას ვერ დაინახავდა, რაც უნდა შორს-მხედველი ყოფილიყო. გამხმარი ნარეკალა უძრავად იდგა. აგერ მზე ნახევრად დაიმალა ცის დასავალს იქით, ცა ჩამოზნულდა და მიწა-წყალი ნელ-ნელა მოიცვა-სიბნელემ. მარცხენა ნაპირზედ პატარა გორაკი იყო, რომელიც მხნდვრის საფლავს უფრო ჰგვანდა, ვიდრე სერს და ამ გორაკზედ სწინა კვალი ქვითკირის სიმაგრისა; ეს სიმაგრე ავგო ოდესმე თეოდორიკე ბუჩაცკის, ხოლო თათრებს დაექციათ-სიმაგრის ნანგრევთაგან ჩრდილი გრძლად იყო გაწოლილი. შორს კრიალი გაჰქონდა ომელნიჩკის წყალს, რომელსაც არემარე ხელთ ეჭირა და სწორედ ამ ადგილას უხვევდა ღნებრისაკენ. სინათლე კი თან და თან ჰქრებოდა ცაზედაცა და დედამიწაზედაც. გარშემო შეუწყვეელი დუმილი იყო, მხოლოდ ზემოდან ისმოდა ყვირილი წეროებისა, რომლებიც ზღვისაკენ მიჰფრინავდნენ.

ულაბნოში გამეფდა ღამე და დადგა დროც სულთა მოვლინებისა. რაინდნი, რომელნიც ფხიზლობდნენ სტანიცებში, ამბობდნენ, რომ ღამლამობით ყოუ მინდვრებში წამოდგებიან ხოლმე ძვალნი მკვდართა, თუ სიკვდილს მოუსწვრია მათთვის უცბად და ცოდვა ვერ მოუწანებიათო, წამოდგებიან, დააბმენ ფერხულს და ველარც ჯვარი, ველარც ეკლესია ველარ დაუშლის ფერხულის თამაშობასაო. და აი, როცა მზე ჩავიდოდა, სტანიცების მკვიდრნი კრძალვითა და მოწიწებით ლოცულობდნენ მიცვალებულთათვის. ამბობდნენ აგრედვე, რომ მზავრებს ხშირად მოველინებიან ხოლმე მხედართა აჩრდილნი და ეხვეწებიან, ილოცეთ ჩვენთვის და მოგვიხსენიეთო. ხან-და-ხან მავნენიც შეჰხედებოდნენ ხოლმე და ყმუილით დაედევნებოდნენ. გამოცდილი ყური ადვილად გააჩვენდა მგლის ყმუილს მანეს ბლუილისაგან. ათასში ერთხელ უნახავთ აჩრდილნიც მთელის ჯარისა, რომელნიც ისე მოახლოვებიან სტანიცებს, რომ ყარაულებს განგაშის კვრა დაუწყვიათ. ამისთანა ამბავი იმას მოასწავებდა, რომ ომი მალე იქნებაო. თვითეულის აჩრდილის შეხედვრაც კეთილად არა ჰქონდათ დაცდილი, მაგრამ ეს ყო-



ველთვის ასე არ იყო. ხან-და-ხან ცოცხალი კაცი მოეჩვენებოდა ხოლმე მოგზაურს და ისევე ჰქრებოდა, როგორც აჩრდილი; ამიტომ შესაძლო იყო, რომ ის კაცი სული იყო და არა ხორც-შესხმული.

რაკი შემოღამდა და სიბნელემ მოიკვა ომელნიჩკის არემარე, რაღა გასაკვირველია, რომ დაქცეულ სტანიცის ახლო გამოჩნდა სული ანუ კაცი. ისე ამოცურდა მთვარე დნებრიდან, თითქო შიგ იყო ჩამალულიო. მისი ვერცხლას ფერი სხივები მოეფინა უღაბნოს, გააკაშკაშა ნარ-ეკალას ღეროები და თვალ-გაღუწვდენელი სივრცე ტრიალ მინდვრებისა. აჰ დროს ქვემოდ, მინდორში ახლა სხვა სანახავი გამოჩნდა. სწრაფად მიშვავალი ღრუბლები წამ-და-უწუმ აბნელებდა მთვარეს, სანახავნი ხან ცხადად გამოერკვეოდა, ხან ჩრდილში მიიმალებოდა; ხან სულ გაჰქრებოდა, თითქო ჩრდილმა შთანთქაო. სანახავნი უახლოვდებოდნენ ამადლებულს ადგილს, რომელზედაც იდგა პირველი მხედარი; ისე უახლოვდებოდნენ, თითქო ეპარებინაო ჩუმად, ფრთხილად, ნელ-ნელა; ყოველ ნაბიჯის გადადგმზედ ჩერდებოდნენ, თითქო ისვენებენო.

იმათს მოძრაობას რაღაც მუქარა ეტყობოდა, სწორედ ისე, როგორც თვით შინდორს, თვალად ისე დამშვიდებულს. დნებრიდან ათასში ერთხელ ქარი მოგრიადებოდა და ასტეხდა გულ-საკლავს ზუზუნს ნარ-ეკალას გამხმარ ტოტებ შორის, რომელიც ძირს ეკროდა და თრთოდა, თითქო შიშითა კანკალებსო. ბოლოს, აჩრდილნი გაჰქრნენ, ნანგრევებში მიიმალ-მოიმალნენ. მთვარის მკრთალს შეუქზედ სჩანდა ჩრდილი მხოლოდ ერთის ცხენოსანისა, რომელიც მალლობზედ იდგა. აჰ რაღამაც დაიშრიალა და მიიქცია მისი ყურადღება. მიუახლოვდა გორის პირსა და გულ-მოდკინედ დაიწყო ყურება მინდვრისაკენ. ქარი ჩადგა და აღარ აშრიალებდა ნარ-ეკალას ფოთლებს. ჩამოვარდა მყუდროება და დუმილი.

უცებ მოისმა უსიამოვნო სტვენა, გავარდა თოფები, ფალიების ცეცხლმა გაიელვა ღამის სიბნელეში:— „ალლაჰ, ალლაჰ! იესო! შეგვეწიეთ!“— ისმოდა ძახილი აქეთ-იქიდან. ცხენ-

თა ღვრიალი და რკინის ჯახა-ჯუხი ერთმანეთში აირია. აი გაჩნდნენ უცბად სხვა ცხენოსანნი კიდევ, თითქო მიწიდან ამოძვრნენო. კაცს ეგონებოდა, რალაც გრივალმა გადირბინა ამ ჯოჯოხეთს უდაბნოზედაო. აი ისმისკენესა ვილაცებისა... თანდათან სუსტდება ხმა, ძლივს-ღა ისმის გმინვა... ქარი ჩადგა, ბრძოლა გათავდა.

ცხაღა, ყრუ მინდვრებში ერთი იმისთანა ამბავი მოხდა, რომელიც ისე ხშირი იყო ხოლომე იქ.

ცხენოსანნი შეგვფუნდნენ გორაზედ, ხოლო ცხენებიდან კი არ ჩამოხდნენ და დაშტერებით დაუწყეს რალსაც ყურება.

— აბა, გაჰკარით ტალ-კვესი და დაანთეთ ცეცხლი! — გაჰსმა სიბნელეში ვილასი ძლიერი, ბრძანების ხმა.

საჩქაროზედ დააკვესეს ტალკვესი და დაიწყო ცვენა ნაპეჩწყლებმა, ერთს წუთს შემდეგ გაჩაღდა ცეცხლიცა. ვანც ყრუ მინდვრებში დადიოდა, თან დაჰქონდა მუდამ მცირეოდენი ხმელი ლელი და ფიჩხი.

ცეცხლზედ ქვაბი შემოსდგეს; ალმა გაანათა რამდენიმე კაცო, რომელნიც წახრილიყვნენ და დასცქეროდნენ მიწაზედ უძრავად მდებარე ვილაც კაცს. ეს ხალხი ჯარის-კაცნი იყვნენ; ტანთ ეცვათ წითელი ტანისამოსი სამეფო კარისა და მგლის ტყავის ქუდები ეხურათ. ერთი მათგანი კარგი ჯიშის ცხენზედ იჯდა და, როგორც ეტყობოდა, ჰწინამძღვრობდა დანარჩენთ. ჩამოხდა ცხენიდან, მიუახლოვდა უძრავად მდებარე კაცს და იკითხა:

— ცოცხალია, თუ არა, ვახმისტრო?

— ცოცხალია, ბატონო დესპანო, მაგრამ ხრიალებს, კონალამ არ დაარჩო ქამანდმა.

— ვინ არის, რა კაცია?

— თათარს არა ჰგავს; რიგიანი უნდა იყოს.

— მადლობა ღმერთს, სიკვდილს გადარჩენილა.

დესპანმა ყურადღებით დაჰხედა მიწაზედ განრთხობილსა.

— გეტმანსა ჰგავსო თითქო, — სთქვა მან.

— ცხენიც თითქო თათრული ჰყავს, მგონია ყვენსაც აღარ ჰყავდეს მაგისთანა, — განაგრძო ვახმისტრმა. — აგერა აიქ უქირაეთ.

პარუჩიკმა შეიხედა იქით, საითაც ანიშნეს და სახე გაუბრწყინდა. ორი კაცი ძლივს იმაგრებდა ჩინებულს მერანს, რომელსაც დაჰპეროდა ნესტოები. ცხენი გაკვირვებულის თვალებით დასცქეროდა თავისს ბატონს.

— ცხენი ხომ ჩვენი იქნება, ბატონო დესპანო? — შეეკითხა თითქო ვახმისტრი.

— მერე, შე ძაღლო, ქრისტიანს კაცს ცხენი უნდა წაართვა და ისე დასტოვო ამ ტრიალს მინდორში?

— ეგ ხომ ჩვენი დაეღაა, ალაფ...

ქამანდ-ნაკრავის ძლიერმა ხრიალმა გააწყვეტინა სიტყვა ვახმისტრსა.

— პატარა არაყი ჩაასხით პირში; — ბრძანა დესპანმა, — და შეჰხსენით ქამარი.

— მაშ. აქა ვრჩებით ამაღამა?

— აქა ვრჩებით. მოჰხსენით იარაღი ცხენებსა და ფიჩხი მიუმატეთ ცეცხლსა.

ჯარის-კაცნი საჩქაროდ შეუდგნენ საქმესა. ზოგმა ცოცხალ-მკვდარს კაცს დაუწყო ხეხა ტანისა, ზოგი ლელისა და კაქაქის მოსატანად წავიდა, ზოგი აქლემისა და დათვის ტყავების შლას შეუღდა.

ბატონმა დესპანმა ყური აღარ უგდო ქამანდ-ნაკრავს კაცს, შემოიხსნა ქამარი და ცეცხლა პირას წამოწვა ნაბაღზედ. დესპანი ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყო, პირ-ხმელი, შვეგვრემანი, ძალიან ლამაზი და ისეთი ცხვირი ჰქონდა, თითქო არწივიანო. თვალეზედ ეტყობოდა, რომ ძალიან გამბედავი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ სახის საზოგადო მეტყველება აზომიერებდა ცოტაოდნად მის თავ-დაუჟავებელს გულადობას. სქელი უღვაშები და დიდი ხნის მოუპარსავი წვერები ისეთს დარბაისლობის იერსა სდებდა, რომელიც არ შეეფერებოდა მის ახალგაზღობას.

ამასობაში ორი ყმაწვილი მხლებელი ვახშმის მომზადებას შეუღდა. რამდენიმე ნაქერი ცხვრის ხორცისა უკვე იწვოდა ცეცხლზედ; რამდენიმე გზაში მოკლული საგათი და სხვა ნანადირევის ხორცი უცდიდა თავისს რიგს. ცეცხლს ლაღლადი გაჰქონდა და საქმაოდ შორს აშუქებდა არე-მარეს. ქამანდ-ნაკრავი ნელ-ნელა გონს მოდიოდა.

ჯერ მიიხედ-მოიხედა გარშემო დასისხლიანებულის თვალებითა და დაშტერებით დაუწყა ცქერა ყველას, ვინც გარს ეხვია, და მერე წამოდგომა სცადა. ის ჯარის-კაცი, რომელიც დესპანს ელაპარაკებოდა, შეუჯდა მხრებში და წამოაყენა პატარაზედ; მეორემ შუბ-ნაჯახი მიაწოდა ზედ დასაყრდნობად. სახე ჯერ ისევ გაწიოლებული ჰქონდა, ძარღვები სისხლათ დატენილი. ბოლოს ყრუდა სთქვა, როგორც იყო, ხრინწიანის ხმით:

— წყალი!

მიუტანეს არაყი და ორიოდე ყლუბი დალია. არაყმა ნამდვილად უშველა, იმიტომ რომ დაღვეის შემდეგ უფრო წმინდა ხმით იკითხა:

— ვის ხელში ვარ ნეტა ახლა?

უფროსი წამოდგა და მიუახლოვდა.

— იმათ ხელში ხარ, ვინც სიკვდილს გადაგარჩინეს.

— მაშ, თქვენ არა მკარით ქამანდი?

— ჩვენი იარაღი ხმალია და არა ქამანდი! თქვენის ექვიანობით შეურაცხყოფას აყენებთ პატიოსან მხედართა. ვილაც თათრულად ჩაცმულს წუწუკებს დაეჭირეთ. თუ გსურთ, შეგიძლიანთ თქვენის თვალითა ჰნახოთ ისინი: აგერა ჰყრაან ყველანი, ცხვრებივით ყელ-გამოჭრილნი.

დესპანმა ხელით ანიშნა სერის ძირისაკენ, საცა რამდენიმე გვაძი ეგდო.

— ნება მიბოძეთ, დავისვენო,—სთქვა უცნობმა.

მოუტანეს მოთელილი ნაბდის უნაგირი. არსებაში მოსული კაცი ჩამოჯდა ზედ და მღუმარებდა.

ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცი იყო, შუა ტანისა, მხარბეჭიანი, ფრიად შედგმული და ბრგე, საკვირველის სახისა. თავი უშველებელი ჰქონდა, სახე მზისა და ქარისაგან დამწვარდაშეშხული, თვალები შავი და ცოტა ელამი, თითქო თათარიანო, ხოლო ტუჩებზედ წმინდა უღვაშები მნოიანად გადაჰყენოდა და აქეთ-იქით, თითქო ფუნჯებიანო, ისე დაჰკიდებოდა. სახეზედ გულადობა და სიამაყე ეტყობოდა. ერთსა და იმავე დროს კიდევ იზიდავდა კაცსა და კიდევ იშორებდა; თავი ისე ღირსეულად და ამაყად ეჭირა, როგორც გეტმანს შეეფერება, თან თათრის ცბიერობა ემჩნეოდა; გულ-კეთილსაცა ჰგვანდა და ნადირ-კაცსაცა.

პატარა ხანს დაისვენა უნაგირზედ, წამოდგა და იმის მაგიერ, რომ მადლობა გადაეხადა სიკვდილისაგან გადაარჩენისათვის, წავიდა მოკლულთა დასათვალიერებლად.

— ტეტია!—წაიბუტბუტა დესპანმა.

ამასობაში უცნობი გულ-მოდგინედ ათვალიერებდა მოკლულთა სახეს, აქნევდა თავს ისე, ვითომ ყოველივე გავიგე და ვიცო, მერე გაემართა დესპანისაკენ და თან ქამარს ეძებდა; ცხადი იყო, დონჯის შემოყრა უნდოდა და ხელი უნდა გაემაგრებინა შიგა.

ახალგაზდა დესპანს არ მოეწონა ასეთი გულ-ზვიადობა იმ კაცისა, რომელიც ის-ის იყო სიკვდილს გადაარჩინეს.

— ისე ეგონებოდა ვისმე, — სთქვა მან დაცინვით, — რომ იმ ავაზაკთა შორის თქვენს ნაცნობს ეძებდით, ან არა და ლოკულობდით მათის სულისათვის.

უცნობმა შახი არ გაიტეხა და უპასუხა:

— თქვენი სიტყვა შეცდომაა და არც შეცდომაა: შეცდომა არ არის, იმიტომ რომ ნაცნობებს ვეძებდი; შეცდომაა იმიტომ, რომ ავაზაკები უწოდდით. ეგენი არიან მხლებელნი ერთის აზნაურ-შვილისა, ჩემის მეზობლისა.

— კარგი მეგობრობა გქონიათ მაშ იმ თქვენს მეზობელთან.

უცნაურმა ღიმილმა გადურბინა უცნობს გალეულს ტუჩებზედ.

— ეგ სიტყვაც შეცდომაა, — წაიტუტუნა დავალებულმა. — მაგრამ მომიტევეთ, — დაუმატა პატარა ხანს უკან, — რომ უპირველეს ყოვლისა მადლობა არ გადაგიხადდით შემწეობისათვის, რომელმაც აუცილებელს სიკვდილს გადაამარჩინა. თქვენმა ვაჟკაცობამ გააუქმა ცუდი ბოლო ჩემის გაუფრთხილებლობისა, რადგან ჩემს მხლებელთ დავშორდი, მაგრამ ჩემი მადლობა, მაინცა და მაინც, შეეწონება იმ სიკეთეს, რომელიც მე თქვენ გამიწიეთ.

უცნობმა ხელი გაუწოდა დესპანსა.

გარნა თავ-მოძმწონე დესპანი არა ჩქარობდა და ჯერ ხელი არ გაუწოდა. ფეხი არ დასძრა მან თავის ადგილიდან და მხოლოდ ესა ჰკითხა:

— ჯერ ის მინდა ვიცოდე, კეაილ-შობილთანა მაქვს საქმე თუ არა. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კეთილ-შობილი ბრძანდებით, მაინც უცნობის კაცისაგან მადლობის მიღება არ შემეფერება.

— გატყობთ, რომ რაინდი კაცი ბრძანებულხართ, მართალსა ბრძანებთ. მადლობის თქმა იმითი უნდა დამეწყუო, რომ უნდა მეთქვა, ვინცა ვარ. მე გახლავარ ზინოვი აბდანიკი, აბდანიკისავე ღერბისა, ჯვარ-წემოსილი, კიევის სამოურავოს აზნაურ შვილი და პოლკოვნიკი თავადის დომინიკ ზასლავსკის ყაზახთა დროშისა.

— მე იან სქშეტუსკი გახლავართ, დესპანი თავად ერემოვისენეცკის ჩაჩქანოსანთა დროშისა.

— სახელოვანი უფროსი გყოლიათ!.. მიიღეთ მაშ ახლად ჩემი მადლობა და ჩემი ხელი.

დესპანმა ახლა კი დაანება თავი ტოკვა-ყოყმანსა. ჩვეულებრივ ჩაჩქანოსანნი სხვა დროშის მხედართ თავგამოდებით ექცეოდნენ, მაგრამ პან სქშეტუსკი ახლა ტრიალ მინდორზედ იყო, ყრუ უდაბნოში, საცა ამისთანა განსხვავებას ყურადღებას ვერ მიაქცევდა. ამას გარდა, მის წინ იდგა პოლკოვნიკი, რასაც ეჭვი არა ჰქონდა, მეტადრე მაშინ, როცა ჯარის-კაცებმა მოუტანეს ქმარი და ხმალი პან აბდანიკისა და მათთან ერთად მიართვეს მოკლე ძელის-ტარაკომბალი, ანუ გოგუთი, რომელსაც ჰხმარობენ ჩვეულებრივ ყაზახთა პოლკოვნიკები. ამისთანავე პან აბდანიკს სრულად რიგიანი ტანისამოსი ეცვა, ხოლო წესიერ-მოხდენილი სიტყვა-პასუხი ამტკიცებდა, რომ მარჯვე გონების პატრონი იყო და ქვეყანასაც კარგად იცნობდა.

პან სქშეტუსკიმ ვახშამზედ დაიწვია პან აბდანიკი. იქვე ცეცხლიდან მადის მომგვრელი სუნი მოდიოდა მწვადისა. ახალგაზდა მხლებელმა მოიტანა ცხელ-ცხელი ჩახრაკული ხორცი ცხვისა და საკმაოდ მოზდილი ტიკტორა მოლდავეურის ღვინით სავსე. თან და თან შეზარხოშდნენ და უფრო გაცხოველებული ლაპარაკი შეექნათ.

— მშვილობით მაინც მივიღე სახლში!—სთქვა სქშეტუსკიმ.

— საიდან მობრძანდებით, ნება მიბოძეთ გავიგო? — ჰკითხა აბდანკმა.

— შორიდან მოვდივარ, ყირიმიდან გიახლები.

— აღბად ფული წაიღეთ ვისმე გამოსახსნელად?

— არა, ბატონო პოლკოვნიკო, თვით ყეენტან ვიყავი.

აბდანკი სმენად გადაიქცა.

— ოჰო, ძალიან მძიმე საქმე გქონიათ მონდობილი; მერე რა საქმე გქონდათ ყეენტან?

— წერილი წავუღლე თავად ერემიასი.

— მაშ ელჩად ყოფილხართ გაგზავნილი! მერე რასა სწერდა თავადი ყეენტან?

დესპანმა უგულოდ შეჰხედა აბდანკსა.

— ბატონო პოლკოვნიკო! თქვენ შიგ თვალეებში ჩასცქეროდით ავაზაკებს, რომლებმაც ქამანდი გკრეს, — ეგ თქვენი საქმე იყო; ხოლო რასა სწერდა თავადი ყეენტან, — ეგ არც თქვენი საქმეა, არც ჩემი; ეგ იმათი საქმეა.

— უნდა გამოვტყდე, — ააგლო მარჯვედ ბანზედ სიტყვა აბდანკმა, — აქამდე მიკვირდა, ასეთი ახალგაზნა კაცი როგორ გაგზავნა თავადმა ყეენტანა-მეთქი, მაგრამ თქვენი პასუხის შემდეგ აღარ მიკვირს, იმიტომ რომ ვხედავ ყმაწვილი ხართ ხნითა, ხოლო მოხუცი ქკუითა და გამოცდილებითა.

დესპანმა შეიშენია პირში ქება, გადისვა უღვაშებზედ ხელი და ჰკითხა:

— ახლა თქვენ მიბრძანეთ, რას აკეუბთ აქ, ომელნიჩკის არე-მარეს და ან როგორ გაჩნდით მარტოდ-მარტო?

— მარტო არა ვარ: ჩემი მხლებელნი გზაში დავტოვე და ახლა კუდაკს მივდივარ, პან გროძისკისთან, იქაურ მეციხვანეთა უფროსთან და თან მიმაქვს წერილები დიდის გეტმანისა.

— მერე რატომ ნავით არ იმგზავრეთ?

— ბრძანება აგრე მქონდა და ბრძანების აუსრულებლობა არ გამომადგება.

— საკვირველია, რომ გეტმანს მაგისთანა ბრძანება მოუცია. წყალ-წყალ რომ გემგზავრათ, ისეთს დღეში არ ჩავარდებოდით, როგორშიც ეხლა ხართ, ამ ტრიალმინდორზედ.



— ბატონო დესპანო, მინდორი ეხლა დამშვიდებულია, მარტო დღეს არ გამიცვნია მისი სიაყ-კარგე, ხოლო რაც შემემთხვა, ეგ კაცთა ბოროტებისა და მძულვარების საქმეა.

— მერე ვინა გდევნით აგრე?

— ეგ რომ გაიბოთ, შორს წავა. შევდკო მდევნის, ჩემი ბოროტი მეზობელი, რომელმაც გამაღატაკა, მომიკლა შვილი და ახლა, აი, როგორცა ჰხედავთ, ჩემი მოკვლაც მოინდომა ღალატით.

— მერე ხმალი არ გარტყიათ წელზედ?

სახე სულ დაეგრიხა აბდანკს მძულვარებით, ხოლო თვალები ცეცხლივით აენტო. თან გარკვევითა და ტკეპნით წარმოსთქვა:

— მარტყია, ღმერთსა ვფიცავ! სხვა იარაღი არც მინდა ჩემის მტრების საწინააღმდეგოდ.

პარუჩიკს რილასიც თქმა უნდოდა, რომ უცხად მოისმა ცხენების თქარა-თქური. მოვარდა ჯარის-კაციც, ყარაულად დაყენებული და მოიტანა ამბავი, რომ ვილაც კაცები მოდიანო.

— ალბად, ჩემი კაცები არიან ეგენი, — სთქვა აბდანკმა, — ტაღმინიდან მოვიდნენ. რაკი ღალატს არ ველოდდი, ამ ალაგისას დავპირდი, იქ დაგიცდით-მეთქი.

მართლაც, ერთს წუთს შემდეგ ცხენოსანთა ბრბო შემოერთყა სერის პირსა. ცეცხლმა გააშუქა თავები ცხენებისა, რომელნიც ხვითქში სცურავდნენ დაღლილობის გამო; ცხენებზედ ისხდნენ მხედარნი, მიეფარებინათ ხელები შუბლზედ და ამ ჩვენს მუსაიფში გართულთ ათვალეერებდნენ გულ-მოდგინედ.

— ეჭვი, ხალხო, ვინა ხართ? — იკითხა აბდანკმა.

— მონანი ღეთისა! — უპასუხა ჭერთმა მხედართაგანმა სერის ძირობიდან.

— დიად, ეგ ჩემი ვაჟკაცები არიან, — განუმეორა აბდანკმა დესპანს. — აქ მოდით, აქა!

რამდენიმე ცხენოსანი შეჯგუფდნენ ერთად და მოუახლოვდნენ ცეცხლს.

— ეჩქარობდით, ბატონო, ეჩქარობდით, რაც შეგვეძლოა ამბავია შენს თავსა?



— ჩასაფრებული დამხვდა მტერი. მოღალატემ იცოდა ადგილი და აქ მელიოდა თავისის კაცებითა. ეტყობა, დიდ ხანს მიცდიდნენ. ქამანდი მკრეს და შიგ გამაბეს!

— ღმერთო, შენ დაგვიხსენ, ღმერთო დაგვიხსენ! ეს ვილა პოლონელია შენთანა?

მხედარნი გულ-მოსულნი უყურებდნენ პან სქშეტუსკისა და მის რაზმს.

— ესენი კეთილნი მეგობარნი არიან, — უთხრა აბდანკმა. — მადლობა ღმერთსა, ცოცხალი გადავრჩი, აღარა მიშავს-რა. ეხლავ გავუდგეთ ისევ ჩვენს გზას.

— მადლობა ღმერთს! წავიდეთ, ჩვენ მზადა ვართ.

ღამე ცივი იყო, თუმცა კი ცას მოეწმინდა და არა ბნელოდა. პან აბდანკის მხლებელნი ცეცხლზედ ითბობდნენ დაკრუნჩხულ ხელებს. პან სქშეტუსკის ძალიან უკვირდა, რომ ახლად-მოსულნი ნუსხის ყაზახებს არა ჰგვანდნენ. უფრო ის უკვირდა, რომ ცოტანიც არ იყვნენ. თუ დიდმა გეტმანმა გაჰგზავნა აბდანკი კუდაკს, ნუსხის კაცებს გაატანდა და არც ასე რიცხვ-მრავლადაო; ამას გარდა, რად უბრძანებდა, ჩიგირინიდან მინდორ-მინდორ წადი და არა წყალ-წყალ, ნავითაო? ასე ხომ რამდენს წყალში უნდა გავიდეს, ფონზე უაროს და მგზავრობა დაბრკოლდებო? საქმე თითქო ისე სჩანდა, რომ პან აბდანკს კუდაკში არც კი უნდოდა გაეგლო, პირიქით, უნდოდა ასცილებოდა.

ამასთანავე თვით პან აბდანკის ვინაობამ ძალიან შეაფიქრინა ახალგაზდა დესპანი. უცბად შეატყო, რომ ყაზახნი, რომელნიც მუდამ შინაურულად ექცევიან თავიანთ პოლკოვნიკებს, ამას ისეთს პატივსა სცემდნენ, თითქო ნამღვილი გეტმანიაო. უთუოდ, ძალიან ძლიერი რაინდი ვინმე თუ არისო, მაგრამ ამ უკრაინას კარგად ვიცნობ, დნებრის იქითაცა და აქეთაც და რატომ არა გამიგონია-რა, თუ სადმე მაგისთანა აბდანკი არისო. გარეგნობაც როგორღაც არა - ჩვეულებრივი ჰქონდა ამ კაცსა: ისეთი ძალა მოჰბერდა იმისაგან, თითქო სიცხე მოდის ცეცხლისაგანაო; რაღაც შეუძლრკალის ხასიათისა უნდა იყოს, ისეთის ხასიათისა, რომლის პატრონიც არაფრის

წინაშე არ შესდგებაო. ასეთივე ხასიათი ემჩნევა თავად ერემია ვისნევეცკის, მაგრამ რაც შესდგამს ღიდის გავლენისა და ხელმწიფების კაცს, ის არ შეეფერება უბრალო რაინდს; ისიც უცნობის გვარისასა.

ღიდ ხანს იყო პან სქშეტუსკი ასე ფიქრებში გართული. ხან ეგონა, რომ აბდანიკი ყოველად ძლიერი მაგნატია, სასჯელს გამოჰქცევია და კანონს ამ ყრუ უდაბნოში ემაღლება; ხან — ბელადია ავაზაკთა ბრბოსიო... ეს უკანასკნელი ფიქრი კი ჭკუაზედ ახლოს არ იყო. ამ კაცის ტანისამოსიცა და სიტყვა-პასუხიც ისეთი იყო, რომ სხვა რამ უნდა ეფიქრა ადამიანს. ბოლოსა და ბოლოს, დესპანმა მინც ვერა გაარკვია—რა თავის ფიქრებში და გადაწყვიტა მხოლოდ, ყურ-მახვილად უნდა ვიყვე ამ კაცთანაო; აბდანიკმა ამასობაში უბრძანა თავიანთ კაცებს, ცხენი მომიყვანეთო.

— ბატონო დესპანო, — სთქვა აბდანიკმა, — წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დახანება ხანისაო. ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ გადავჩადოთ მადლობა, რომ სიკვდილს გადამარჩინეთ.

— მე არ ვიციოდი, ვინ გადავარჩინე სიკვდილს, ამიტომ არც მადლობა დამიმსახურებია.

— თქვენი თავდაბლობა თქვენს ვაჟაკობას შეეფერება. მიიღეთ ჩემგან ეს ბეჭედი.

დესპანმა კობები შეიკრა, უკან დაიწია პატარაზედ და ისე დაუწყო ყურება, თითქო უნდა გაჰზომოს თავით ფეხებამდეო. აბდანიკი მინც ისე ელაპარაკებოდა, თითქო მამა ემუსაიფება შვილსაო.

— ჰნახეთ ერთი, როგორია. ამ ბეჭედს სხვა აზრი და ძალა აქვს. ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავ, რომ ეგ ბეჭედი შევიძინე. მოსლემინთა ტყვეობაში შემხვდა ერთი მგზავრი, რომელიც იერუსალიმიდან მოდიოდა და იმისაგან ვიშოვე. ამ ბეჭედში ქრისტეს საფლავის მიწაა. ამისთანა საჩუქარზედ უარის თქმა არ შეიძლება, თუმცა დამნაშავეც იყოს მისი გამცემი. თქვენ ჯერ ახალგაზდა ხართ, მხედარი და მეომარი; თუ მოხუცმაც კი არ იცას, რა მოელის თავის ხან-მოკლე სიცოცხლეში, საიდან-ღა

გეცოდინებათ თქვენ, რომელსაც ესეთის დიდის მანძილის გზა გაქვთ გასავლელი ცხოვრებაში, რა დაბრკოლება და უბედურება შეგხვდებათ? ეს ბეჭედი დაგიხსნით ბოროტისაგან; დაგიფარავთ მაშინ, როცა განკითხვას დღე მოვა, ხოლო მე გეუბნებით, რომ ეგ დღეც შორს არ არის... მოახლოვებულ არს.

ჩამოვარდა მღუმარება; ცხადად ისმოდა ფრუტუნის ცხენებისა, ტკაცა-ტკუტი ცეცხლისა; შორეულ ლელიანებიდან ისმოდა გულ-საკლავი ღმუილი მგლებისა. უცებ აბდანკმა კიდევ გაიმეორა, თითქო თავისთვის წაილაპარაკაო:

— განკითხვის დღე მოდის უკვე ამ ყრუ უდაბნოზედ, ხოლო როცა დადგება ეგ დღე — გაჭკვირდება ქვეყანა ღვთისა სრულიად.

დესპანმა თითქმის გონება დაუტანებლივ ჩამოართვა ბეჭედი: ისე გაუყვირდა ლაპარაკი ამ გამოცანა კაცისა. აბდანკი კი სულ მინდვრის წყვილადს გაჰყურებდა.

შერე ნელ-ნელა მოტრიალდა და მოახტა ცხენსა. ყაზახები უკვე სერის პირს უცდიდნენ.

— გავუდგეთ გზას, გავუდგეთ!.. კარგად იყავით, მეგობარო რაინდო, — უთხრა მან დესპანსა: — ისეთი დრო მოვიდა ახლა, რომ ძმა ძმას აღარ ენდობა და თქვენ არ იცით, ვინც გადაარჩინეთ სიკვდილსა, ამიტომ რომ ჩემი გვარი არ გითხარით.

— მაშ აბდანკი არა ხართ?

— ეგ ჩემი ღერბია...

— გვარი?

— ბაღდან ზინოვი ხმელნიცკი.

ბაღდანმა დაიქნია თავი, ჩააქანა ცხენი სერიდან და იმას გაჰყვენენ მისნი მხლებელნიცა. მალე ბურუსმა და ღამემ შთანთქა წასულნი და მხოლოდ ქარს-ღა მოჰქონდა ოდნავ გასაგონად ყაზახთა სიმღერის ხმა:

ჰე, ღმერთო, გადაგვარჩინე ჩვენ, ტყვენი საწყალობელნი, მიიმე მონობა-ყმობასა, თათრის სასჯელსა, პატიჟსა! გვალისე დილის მთიები, კვალად — მზე ჩვენის ქვეყნისა; წყნარი წყალი და მდინარე, ის მხარე მხიარულია, ღვთის-მიერ ნათელ-ღებული. ისმინე, ღმერთო, ეს აჯა, ვედრება საწყალობელთა, გაჭირვებულთა, ტყვე-ქმნილთა.

## II

პან სქშეტუსკი მეორე დღეს მოვიდა დილით ჩიგირინს და ჩამოხდა თავად ერემიას სახლში, რადგან დასვენება იყო საჭირო მის მხლებელთათვის ხანგრძლივის მგზავრობის შემდეგ ყირიმიდან. ამოდენა გზა სულ ხმელეთით გამოიარეს, რადგან დნებრი ისე იყო აღიდებული, ისე ონავრობდა, რომ წყალწყალ მოგზაურობა ყოვლად შეუძლებელი იყო. თვით სქშეტუსკიმ მცირეს ხანს დაისვენა და შემდეგ წავიდა რესპუბლიკის კომისარად ნამყოფ პან ზაცვილიხოვსკისთან. თუმცა პან ზაცვილიხოვსკი თავადთან არა მსახურებდა, მაინც მისი მეგობარი და მესაიდუმლე იყო. დესპანს ძლიერ უნდოდა გამოეკითხნა ზაცვილიხოვსკისათვის, ლუბნიდან ხომ არაფერი ამბავი არა მოსულა-რაო. თავად ერემიასაგან მტკიცედ განსაზღვრული ბრძანება არა ჰქონდა-რა: ის უბრძანა მხოლოდ სქშეტუსკის, რომ თუ ყენმა რიგიანი პასუხი მოგცეს, ნულარ აჩქარდები და ნუ დალი მეტის-მეტად ხალხსა და ცხენებსაო. თავადი უთვლიდა ყენს, დასაჯე ესა და ეს შენი მურზანი, რომელთაც ჩემდა დაუკითხვად შემოაუშვეს თავიანთი საქონელი ამიერდნებრის საჩემო მამულებში საძოვრადაო. ესეც კია, რომ ამ მურზებს წინადაც კარგა აყოფინა თვით თავადმა. ყენმა, ეჭვი არ იყო, კარგი პასუხი შემოაუთვალა: აღუთქვა, აპრილში განსაკუთრებულს ელჩს გაახლებ და ურჩთაც ჯეროვანად დავსჯიო. ახლა, რადგან ყენს უნდოდა თან გულიც მოეგო ისეთის სახელ-განთქმულის მხედარისა, როგორიც იყო თავადი ერემია, სქშეტუსკის გაატანა საჩუქრად ჩინებული ცხენი და რამდენიმე სიასამური. რაკი ასე პირ-ნათლად შეასრულა პან სქშეტუსკიმ მინდობილობა ელჩისა, რაცა იმის მომასწავებელი იყო, რომ თავადს დიდად ელხობოდა გული იმაზედ, ამიტომ მის მხიარულებას სამზღვარი აღარა ჰქონდა: მადლობა ღმერთსა, ახლა დავისვენებ ჩიგირინშიო. წამოიყვანა ზაცვილიხოვსკი და მივიდა დოპულთან, ელახელ კაცთან, რომელსაც ჩიგირინში ბაკ-გომური და დუქანი ჰქონდა გამართული-

თუმცა ჯერ ისევ დილა იყო, დუქანი მაინც ხალხით გაღებულ-  
ლიყო; ბაზრობის დღე იყო და ამაღალა გარდა ჩიგირინში დაესვენ-  
ნებინათ სხვილ-ფხვიანი საქონელი, რომელსაც მიერეკებოდნენ სახა-  
სო ჯარისათვის. აზნაურშვილობა, ჩვეულებისამებრ, ბაზარში მო-  
იყრიდა ხოლმე თავს, ესრედ წოდებულ ძკონეცკის უბანში, დო-  
პულთან. იქ იყვნენ კონცეპოლსკების იჯარადადრიცა, ჩიგირინის  
მთავრობის წარმომადგენელიცა, ახლო მახლო მამულის პატრო-  
ნებიცა, ბინადარი და დამოუკიდებელი აზნაურშვილობაცა, რამ-  
დენიმე ყაზახთა მამასახლისი და წვრილფეხი აზნაურობაცა.

მისხლოდნენ დიდრონს მუხის სტოლებს და ყველანი ხმა-  
მდლო ლაპარაკობდნენ სულ ახალ-ახალ ამბავს გამო: ხმელ-  
ნიცკის გავარდნის თაობაზედ. სქმეტუსკიმ ზაცვილიხოვსკის-  
თან ერთად ცალკე ადგილი დაიჭირა ერთს კუნძულში და და-  
უწყა გამოკითხვა, რა კაცია ეგ ხმელნიცკი, რომ ყველას იმი-  
სი სახელი აკერია პირზედაო.

— არ იცნობთ ვანა? — გაიკვირვა ხანში შესულმა მეომარ-  
მა. — ზაპოროჟელის ჯარის მწერალია, სუბოტოვის პატრონი და  
— ჩურჩულითა სთქვა — ჩემი სენიაა. დიდი ხანია ერთმანეთს ვი-  
ცნობთ, ბევრი ომი გადაგვიხდია ერთად. დიდ გულადობას  
იჩენდა ხოლმე, მეტადრე ცეცხროს ომში ივაჟკაცა. იქნება მა-  
გისტანა მკოდნე სანამაკო ზნეთა და სამხედრო საქმეთა ორი  
არ იყოს მთელს რესპუბლიკაში. ყველგან და ყველასთან კი  
არ ვამობ და შენ კი გეტყვი, რომ სწორედ გეტმანის ქუთა-  
გონება აქვს. არ ვაგონილა, რა სახელი აქვს გავარდნილი და რა  
დიდის ქუთის პატრონია; ყაზახობა მაგას უფრო უჯერებს და  
ემორჩილება, ვიდრე თავიანთ უფროსთა და ბელადთა; სხვადა-  
სხვა ღირსება არ აკლია, მაგრამ გულ-ზეაფია, დაუყენებელი  
და, როცა ბრაზი მოუვა, შეიძლება საშიში საქმეც მოიქმედოს.

— რა მოხდა მერე, რად გაიქცა ჩიგირინიდან?

— ჩხუბი მოუვიდა ნაცვალთან, ჩაპლინსკისთან... მაგრამ  
ეს ჩხუბი არაფერ შუაშია! დიდი ამბავია, აზნაური-აზნაურს წა-  
ეკინკლაოს, ან ერთმა გადიგდოს კისერზედ მეორე, ან მეორემ  
პირველი! ნაცვალმა გადიბირა მისი საყვარელი და ცოლად შე-  
ერთო, მერე ისევ იმან გაიმიჯნურა ის დედა-კაცი; შესაძლე-  
ბელიც არის, იმიტომ რომ, ცოტა ფეხ-რბილი ქალია. მაგრამ  
ეს სულ ის არის, მიზეზ-მიზეზ — დოშს მარილი აკლიაო. ნამდვი-  
ლად კი სულ სხვა მოსაზრება იფარებოდა. აი როგორ არის  
საქმე: ჩერკასში სცხოვრობს მოხუცი ყაზახთა პოლკოვნიკი

ბარაბაში, ჩვენი მეგობარი კაცი. ამ ბარაბაშსა ჰქონდა ბოძებული სხვა-და-სხვა უბირატესობა და რაღაც წერილები მეგობარსა. ამბობდნენ, რომ ვითამ ამ წერილებით აქეზებდნენ ყაზახებს, წინააღმდეგობა გაუწიეთ თავდაზნაურობასაო. გარნა ბარაბაში, კაცი დაღ კეთილი, გულდახშობილი, ჰმაღავდა ამ წერილებსა და არაფერს არ აჩვენებდა. ახლა ხმელნიცკიმ მოიწვია თურმე ბარაბაში აქ, ჩიგირინს, საქეიფოდ და თავისი ერთგული კაცები გაჰგზავნა იმის სახლში. იმათ დასტყუეს ბარაბაშის ცოდნის ის წერილები. ხმელნიცკიმ ჩაგდო ხელში წერილები, გაჰკრა რკი და გაიქცა. სატიქრებელია, რომ იმ წერილების მიზეზით არა ატყდეს-რა ახლა იმისთანა, როგორც ოსტრანციის ამბავი იყო. ვინ იცის, ბაღდანი საშიში კაცია, როგორც გითხარი. მერე გაიქცა და არავინ კი არ იცის, სად გაიქცა, სად გადავარდა.

სქმეტუქსკიმ წაპოძახა:

— ერთი უყურეთ იმ მელიას, როგორ მომადლოა! ყაზახთა პოლკოვნიკი ვარ თავად დ. ზასლავსკისაო, წუხელის მინდორში ვნახე, ქამანდი ეკრათ და სიკვდილს გადავარჩინე.

ზაცვილიხოვსკის ისე გაუკვირდა ეს ამბავი, რომ თმაში იტაცა ხელი.

— ნუ მეტყვი, თუ ღმერთი გწამს! შეუძლებელია, რასაც შენ ამბობ.

სიანს შესაძლებელი ყოფილა, როცა აგრე იყო. დ. ზასლავსკის პოლკოვნიკი ვარო; დიდმა გეტმანმა კუდაკს გამგზავნა ჰან გროძინსკისთანაო, მაგრამ მე მინც არ დავეუჯერე, იმიტომ რომ მინდორ-მინდორ მოდიოდა და არა წყალ-წყალ.

— ცბიერია, როგორც ულისი! სად შეხვდით?

— ომელნიჩკთან, დნებრს გამოღმა. ეტყობა, სეჩს\*) მიდიოდა.

— კუდაკს უნდა მაშ გზა აუხვიოს. მიხვდით. ხალხი ბევრი ახლდა თანა?

— ორმოცამდე იქნებოდნენ. ისინი გვიან მოვიდნენ. ჩემი კაცები რომ არ შესწრობოდნენ, ნაცვლის მხლებელნი დაარჩობდნენ.

— მოითმინეთ. ძალიან საყურადღებო ამბავია ევა. თქვენ ამბობთ, ნაცვლის მხლებელნიო.

— დიად, სწორედ.

\*) სეჩი, ანუ ზაპოროჟის სეჩი ის ადგილი იყო დნებრის ტორომებს ქვემოთ, სადა სცხოვრობდნენ რუსეთის სხვა-და-სხვა მხრიდან თავმოყრილნი მაშინდელ წეს-წყობილების უკმაყოფილო ყაზახნი, მუდამ მოუსვენარნი, შეიარაღებულნი და მზად-მყოფნი ძარცვა-რბევისა და ომ-ბრძოლისათვის, უფრო პოლონეულთა და თათრებთან.

— მერე ნაცვალს როგორ უნდა სცოდნოდა, სად უნდა ეძებნა ის კაცი, როდესაც აქ ყველას გონება დებნა, რადგან არაფერ არ იცოდა, სად გადისხეწა?

— ეგ მეც არ ვიცი, იქნება ხმელნიცკიმ იტყუა, ავაზაკნი დაესხნენ თავს და იმან კი სთქვა, ნაცვლის კაცები იყვნენო, რომ ბალოს თავი გაიშართლოს და იძახოს, ვითომ-და აი რა უსამართლობა მომაცენესო.

— არა მგონია. მინცკი მეტად ახირებული საქმეა. იცით, რომ ბრძანება გამოვიდა გეტმანისა, შეიპყართ და ხელ-ფეხ შემოჭილი მოიყვანეთო?

დესპანმა პასუხის თქმა ვეღარ მოასწრო, რომ სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში დიდის ფართი-ფურთით ერთი აზნაურ-შვილი. ახლად შემოსულმა საშინლად მიაჯახუნა კარები, მიიხედ-მოიხედა გარშემო და შეჰყვირა:

— თავს გიკრავთ, ბატონებო!

იქნებოდა ესე ორმოცის წლისა, დაბალ-დაბალი იყო და გაჯავრებული სახე ჰქონდა. უშველგებელი თვალები უცნაურად გადმოჰკარკლოდა. ცოცხალი კაცი იყო, ფიცხი, განრისხებას ჩვეული.

— თავს გიკრავთ, ბატონებო! — განმეორებით და გაჯავრებით შეჰყვირა უფრო ხმა-მაღლა, რაკი ყურადღება არაფერ შიამქცია იმის სალამსა.

— ჩვენცა, ჩვენცა! — ამოიღო ხმა რამდენმამე.

ახლად შემოსული პან ჩაპლინსკი იყო, ჩიგირინის ნაცვლის თანაშემწე, სანდო კაცი ახალგაზდა მედროშე პან კონეცპოლსკისა.

ჩიგირინში ჩაპლინსკი არაფის არ უყვარდა, ავი და შავია, აბეზარია, დავიდარაბის თავია, ჩხუბის გადაკიდება უყვარსო. ისეთი მხარ-ბეჭი ჰქონდა, რომ ადვილად ვერავინ ჰბედავდა იმის ხელის ხლებას.

ჩაპლინსკი პატივსა სცემდა მხოლოდ ერთს ზაცვილიხოვსკის, როგორც ყველა სხვანიცა, რადგან სათნო კაცი იყო, ჰკვიანნი და გულადი. დანიანა თუ არა, მივიდა იმასთან, ამაყად დაუკრა თავი სქშეტუსკის და მიუჯდა იმას სტოლს. თავისი სასმელი თავლ ღვინოც წინ დაიდგა.

— ბატონო ნაცვალო, — ჰკითხა ზაცვილიხოვსკიმ, — ხოც არ იცით, რა ამბავია ხმელნიცკის თავს?

— სარჩობელაზედა ჰკიდიან, ბატონო მედროშე, ჰკიდიან, ხოლო თუ არა ჰკიდიან, მაშ მე ჩაპლინსკი არა ვყოფილვარ, თუ არ დაიწყოს კონწიალი.



ისე დაჰკრა მუშტი სტოლსა, რომ თაფლ-ღვინო გადაიქცა ფინჯნებიდან.

— ღვინოს ნუ აქცევთ!—სთქვა პან სქშეტუსკიმ.

— დაიქვრთ კია მერე?—გააწყვეტინა სიტყვა ზაცვილი-ხოვსკიმ სქშეტუსკისა.—არავენ არ იცის, სად გადავარდა.

— არავენ არ იცის? ვაი არა აქვს ჩაპლინსკის, რომ მე-ვიცი. შევდკოს იცნობთ თქვენა, ბატონო მედროშე? აი ის შევდკო მეც მემსახურება და იმასაცა. ის გაუწყვეს იუდობას ხმელსა. თქმაც კი საშინელებაა! ხმელნიცკის კაცებთანა აქვს პირობა დადებული შევდკოს. ოსტატი კაცია. სულ იცის ყოველივე იმასი ამბავი. იმან იტვირთა, რომ ცოცხალსა თუ მკვდარს აქ მოგიყვანო და წავიდა მინდორში ხმელნიცკისებდ ბევრად აღრე. იცის, სადაც უნდა ჩაუსაფრდეს!... ჰოი, ის ეშმაკის ნაშობი, ის წყეული, ისა!

ჩაპლინსკიმ კვლავ დასთხლიშა მუშტი სტოლსა.

— ნუ აქცევთ-მეთქი ამ ღვინოს? — გაიმეორა გაჯავრებით სქშეტუსკიმ. პირველ დანახვისათანავე არ მოეწონა სქშეტუსკის ნაცვლის თანაშემწე.

ახანაურული გული მოუვიდა ჩაპლინსკის, დააბრაილა თავისი გადმოკარკლული თვალები და მიხვდა, რომ ჩხუბის ატეხა უნდათ უთუოდ ჩემთანაო, მაგრამ, შეჭნიშნა რა სქშეტუსკის, ეს ვიშნევეცკის კაცი უნდა იყოსო, დაიმშვიდა გული. მართალია, მედროშე კონცეპოლოსკი და თავადი ერემია იმ დროს ნაჩხუბრები რყვნენ, მაგრამ ლუბნი ისე ახლო იყო ჩიგირინზედ, რომ უპატივეცემულოდ მოკიდება თავადის კაცისა არ იქნებოდა. თავადს მერე ისეთი კაცები ახლდნენ, რომ თვითეული ორჯელ-სამჯერ იფიქრებდა, ვიდრე ჩხუბს გადიკიდებდა.

— მაშ შევდკომ იკისრა, გავთოკავ ხმელნიცკისაო? — ხელმეორედა ჰკითხა ზაცვილიხოვსკიმ.

— დიაღ, შევდკომ. და გათოკავს კიდევ, ისე ვაი არა აქვს ჩაპლინსკის.

— მე კი მოგახსენებთ, რომ ვერ გათოკავს: ხმელნიცკი გადურჩა ჩასაფრებულებს და სეჩისკენ გასწია. ეს ამბავი დღესვე უნდა ვაცნობოთ კიდევ პან კრაკოვსკის. ხმელნიცკის ნუ ეხუმრებით. მოკლედ რომ ვთქვათ, იმას ჭკუაც მეტი აქვს, ხელიც მიიმე აქვს და უფრო იღბლიანიც არის, ვიდრე თქვენ; თქვენ მეტის-მეტად მალე იცით აპილპილება. ხმელნიცკი არხეინად გაუდგა თავისს გზას, გიმეორებთ, და, თუ ჩემი არა გჯე-



რათ, ამასვე გეტყვიო ეს რაინდიცა. წუხელის უნახავს მინდორ-ში ის კაცი საღ-საღამათი.

— ეგ შეუძლებელია, შეუძლებელი! — გაჰკიოდა ჩაპლინსკი და ეწეოდა ხელით თავისს მარტო ზედ კინკრიხოზედ დატოვებულს ქოჩორს.

— საქმე ის არის კიდევ, — დასძინა ზაცვილიხოვსკიმ, — რომ თვით ამ რაინდმა გადაარჩინა ხმელი სიკვდილსა და გასწყვიტა თქვენი კაცები, მაგრამ ამას აქ ბრალი არა დაედება-რა: ყირიმიდან მოდიოდა, გეტმანის ბრძანებისა არა იცოდა-რა, და, ჰნახა რა კაცი, რომელსაც თავს დასხმოდნენ ავაზაკნი, მიეშველა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, წინდაწინვე გაუწყლოთ, რომ ხმელნიცკი გადარჩა უვნებელი, თორემ, ვინ იცის, იქნება აღგეს და გეწყვიოთ თავისის ზაპოროჟელებითა და ეს კი თქვენთვის მაინცა და მაინც სასიამოვნო არ იქნება. მერე მე ვუცი, ცოტასა დავობდით და ეკაბუნებოდით ერთმანეთსა! აი ეშმაკმა და ქაჯმა წაიღოს, კარგი კაცი ის არის.

ზაცვილიხოვსკისაც არ მოსწონდა ხმელნიცკი.

ჩაპლინსკი ზეზედ წამოვარდა. ბრაზი მოერია და თათქის სულს ველარ ითქვამდა, სახე უფრო გაულოურჯდა, თვალები ზომ ისე ჰქონდა გადმოკარკლული, რომ კაცს ეგონებოდა, ეს-ეს არის ძირს დასცვივო. მივიდა დასქშეტუსკის წინ აიხიდა.

— როგორ თუ?! — ისვროდა ჩაპლინსკი მკვეთრ-მკვეთრ სიტყვებსა: — გეტმანის ბრძანებას გადახვედით?.. მე გაჩვენ... მე....

ზან სქშეტუსკი ფეხზედაც არ წამოვდგა, მხარ-თემოზედ გაღიხარა, თავს მოკლე ბოძავით იდაყვ-დაყრდობილი ხელი მისცა და დაცინვითა და ზიზღით ავლებდა თვალს ამღელვარებულ ჩაპლინსკის.

— მე რას გადამკიდებიხართ და აღარ მეშვებით? — შეუტია სქშეტუსკიმ, — თითქო ღელაღუნტა აჰკვიატებია ძალღის კუდსაო და აღარ ეშვებაო!

— მე თქვენ ქალაქში წავატარეო... გეტმანის ბრძანების წინააღმდეგობას შეგანანიებთ; ყახახებს მოიშველებ...

ისეცა ჰყვიროდა ჩაპლინსკი, რომ ყველამ ხმა გაკმინდა. ყველამ იმისკენ მიიხედა. ვაქვით, ჩაპლინსკი ისეთი კაცი იყო, რომ ჩხუბი და აურზაური აღდგომა იყო იმისთვის, მაგრამ ვისნვეცკის მეთამარის გადაკიდება კი არასა ჰგვანდა. ამის გამო ყველამ იმას მიაქცია თავისი ყურადღება.

— აღარ გაჩუმდებით ახლა? — სთქვა მოხუცმა მედროშემ. — იმისი მაინც შეგრცხვეთ, რომ ეს რაინდი ჩემი სტუმარია.

— ქალაქში წაგათრევთ... მე თქვენ გაყურებინებთ სეირს! — ჰყრიდა ღორბლებს ჩაპლინსკი და ისე იყო გაცეცხლებული, რომ ყურადღებას აღარას აქცევდა.

ახლა კი პან სქშეტუსკიც წამოდგა და გამოეჭიმა ცხვირწინ ჩაპლინსკის. ხმალი კი არ ამოიღო, მაგრამ წააფლო კიხელი ქარქაშსა და შიგ თვალებში მიაბჯინა: თითქმის ხმლისვითა ჩაპლინსკის.

— ამასა ჰხედავთ? — ჰკითხა მან გულგრილად.

— არიქათ, მომეხმარეთ, ჩემნო მხლებელნო! — შეჰყვირა ჩაპლინსკიმ და ხელი გაიკრა ხმალსა.

მაგრამ თავისი განზრახვა ვერ შეასრულა. ახალგაზდა დესპანმა წააფლო ერთი ხელი საყელოში, ხოლო მეორე — წელქვეითა, ჰაერში აიტაცა ჩაპლინსკი, რომელიც უწყალოდ აფართხალებდა ფეხებს, და კარებისაკენ გააქანა.

— ბატონებო, გზა მოგვეციტო! — დაიძახა სქშეტუსკიმ, — განი რქოსანსა, თორემ რქებზედ ავაგებთ!

სთქვა ეს სიტყვები, გაიქნია და გადისროლა ჩაპლინსკი. კარი გაიღო და ნაცვლის თანაშემწეს კარში კი გახვდა ბრაგვანი-

პან სქშეტუსკი ისევ თავის ალაგას დაჯდა არხეინად, ზაცილიხოვსკის გვერდით.

ოთახში პატარა ხანს მდუმარება ჩამოვარდა, ყველა პატივისცემით აღიესო პან სქშეტუსკის მიმართ იმ ღონესა და ძაღრსათვის, რომელიც მან გამოიჩინა. ბოლოს, თითქო ანიშნა ვინმეო, სველამ ერთბაშად დაიწყო ხარხარი.

— გაუმარჯოს ვისნევეცკებსაო! — ჰყვიროდნენ ერთნი.

— გულ-შეწუხებული გდია... სულ დასისხლიანებულია! — ამბობდნენ სხვანი, რომელნიც კარებიდან უყურებდნენ ჩაპლინსკის და უნდოდათ შეეტყოთ, ენახოთ ახლა რაღას იზამსო. — მხლებელნი მოვიდნენ და ზეზე წამოაყენეს.

მხოლოდ რამდენიმე ნაცვლის თანაშემწეს მომხრე იყო გაჩუმებული და, რადგან ვერა ჰხედავდნენ მის გამოსარჩლებას, უკმაყოფილოდ უბღვეროდნენ დესპანსა.

— ნება მიბოძეთ... — მივიდა სქშეტუსკისთან ერთი აზნაურშილი, რომელსაც ცალ-თვალზედ ბისტი ჰქონდა გადაკრული და შუბლზე აბაზიანის ტოლა მორჩენილი ჰქრილობა ეტყობოდა. — ნება მიბოძეთ ჩემი პატივისცემა გამოგიცხადოთ. იან ზავლობა გახლავართ, ვჩეღეს გერბისა, რაიცა ყველასთვის

ადვილი მისახვედრია, თუნდა მარტო იმ ნაჩვრეტით \*); რომელიც ავაზაკთა ტყვიამ დამაჩნია, როცა ყმაწვილობის ცოდვებს ვინანებდი პალესტინაში.

— ეჰ, გასწით იქითა!—სთქვა ზაცვილიხოვსკიმ.— თქვენ თვითონ ამბობდით როდესღაც, რომ შუბლი რადომში გამიტეხეს ლუდის ჭიქითაო.

— ავაზაკებმა, ტყვიითა, გეფიცებით! რადომში სულ სხვა საქმე იყო.

— პალესტინაშიაც ეპირებოდით მხოლოდ წასვლას და რომ არა ყოფილხართ კი, ეგ ცხადია.

— არა ეყოფილვარ, იმიტომ რომ გალატშივე ღირს-მყვეს მოწამებრვის გვირგვინსა. თუ ვსტყუოდე, ტყვია ჩამესხას პირში, ძალი ვიყო და არა აზნაურშივლი.

— მაინც სტყუით.

— ყურებს დავიჭრი, თუ ვსტყუი... ნება მიბოძეთ, ხელი ჩამოგართვათ, ბატონო დესპანო!

პან ზაგლობას მეგალითს ახლა სხვებმა წაჰბაძეს, მოისურვეს გაცნობა პან სქმეტუსკისა და აწმუჯნებდნენ, რომ დიდი პატივისცემი ვართ თქვენით; ყველას უხაროდა, რომ ჩაპლინსკის ისეთი საქმე დაემართა. საკვირველი და დღესაც კი გაუგებარი ამბავია: მთლად აზნაურშივლობა ჩიგირინს ახლო-მახლო, ყველა წვრილმანი მიწად-მფლობელნი, მოიჯარადრენი, ისინიც კი, ვინც კონცეპოლსკებს ემსახურებოდნენ ჯამაგირითა, მელამ ხმელნიცკის მხარეს იქერდნენ იმისა და ჩაპლინსკის კინკლაობაში. ხმელნიცკის უებრო მეომრის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მისი ღვაწლი ყოველსავე ექვ გააჩეშე იყო. ყველამ იცოდა, რომ თვით მეფეც კი არ უკადრისობდა იმასთან საქმის დაქერას და აფასებდა კიდევ იმის რჩევა-თათბირს: თუ გამუდმებული ჩხუბი და დავიდარაბა აქვთ იმისა და ჩაპლინსკის, ეგ არაფერია, აზნაური აზნაურს მუდამ უკვლიტინებს, ეკაპუნება, ედავიდარაბებთაო. მართლაც ასეთი კინკლაობა აზნაურთა შორის ხშირი იყო, მეტადრე სარუსეთო მარტებში. და აი ყველა იმისკენ იყო, ვისაც უფრო მეტი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი... რა რცოდნენ, თუ ამ მომხრობას საშინელი შედეგი მოჰყვებოდა. უკვე კარგა ხანს შემდეგ აიძულვარეს ხმელნიცკი და ამ მისის სიძულვილით ერთნაირადაც გაიშქვალა გული მთლად აზნაურშივლოზსა და ორისავე სარწმუნოების სამღვდლოებისა.

\*) ვადათარგმნა შეუძლებელია ამ სიტყვათა ზომბისა: Wezela—გერბი ზაგლობასი; Wezela—შუბლში.

პან სქშეტუსკის გარს შემოეხეიენენ აზნაურშვილნი ჭიქე-ბით ხელში და ჰყვიროდნენ: მიირთვიო, ბატონო დესპანო! მიირთვიო ჩემთანაცა!—გაუძარჯოს ვისნვეცკებსა! მაგისტანა ახალგაზდა და უკვე პორუჩიკი ხარო თავადისა! სკოცხლობდეს თავადი ერემია, გეტმანთა გიტპანი! ოღონდ ის წინ გაგვიძღვეს და თუნდ ჯანდაბას წავალთ! თუნდა ოსმალსა და თათარს ერ-თად შევებრძოლებით!—თუნდა სტამბოლს ავკოლებთ!

—გაუძარჯოს ბედნიერსა მეფესა ვლადისლავ IV-ეს!—ყვე-ლაზედ ძლიერა ჰყვიროდა პან ზაგლობა, რომელიც მზად იყო მთელი პოლკი დაეთრო და იმაზედ მეტი ეყვირნა.

—ბატონებო!—ისეცა ღრიალებდა ისა, რომ ფანჯრების შუშებს ზრიალი გაჰქონდა, —ბუმბერაზობაში გამოვითხოვე თვით ხონთქარი იმ ძალ-მამრეობისათვის, რომელიც ცალატში მომაყენეს.

—ნუ ამბობთ მაგისტანა სისულელეს; ყურები გამოგვი-ქვდა მართლა შენმა ტუტუტურმა ლაპარაკმა.

—მაშ მე მტკნარი გიჟი ვყოფილვარ?

—თუთიყუშივით კი გაჰკივი-და!

—მზადა ვარ წარესდგე თუნდა სამსჯავროსა წინაშე.

—კარგია ერთი, გაათავე ეგ ლაპარაკი...

—სამართალსაც მომცემენ და იმასაც მოვახერხებ, რომ პატივი და ღირსება აპყარონ, ხოლო შემდეგ ატყდება ომი... თქვენი სადღეგრძელო იყოს!

ყველანი იცინოდნენ, იცინოდა პან სქშეტუსკიცა (ცო-ტა არ იყოს, მოეკიდა სასმელი). ის აზნაურშვილი კი მაინც არ ანებებდა თავს ორატორობას, თითქო მართლა თუთიყუშია და თვითვე სტკბება თვისის ხმითაო. საბედნიეროდ იმის მქვერ-მეტყულება შესწყვიტა ვილაც მეორე აზნაურშვილის შემოს-ვლამ, რომელიც მიუახლოვდა, ჩამოსწია სახელოსა და უთხრა ღიტიყურის კილოთი:

—მეც გამაცანი, პან ზაგლობა, მეც გამაცანი ბ-ნი დე-სპანი, პან სქშეტუსკი.

—დიდის სიამოვნებით, დიდის სიამოვნებით. ბატონო დესპანო,—პან პოვსინოგა გახლავთ.

—პოდბივენტა,—გაუსწორა ახლად-შემოსულმა.

—სულ ერთია! ზერვაპლიუდრის გერბისა...

—ზერვიკაპტურისა.—გაუსწორა მანვე.

—სულ ერთია, ძალღ-ნაწლევადან.

—თაკვ-ნაწლევადან,—გაუსწორა კიდევ მანვე.

— სულ ერთია. არ ვიცი, რომელს უფრო დავამჯობინებდი, თავისა თუ ძაღლის ნაწლევებს. მართლა ის არის მხოლოდ, რომ არც ერთსა და არც მეორეში არ ვირჩევდი ცხოვრებას... ცხოვრებაც საძაგლობაა იქა და არც იქიდან გამოსვლია საკადრისი აზნაურშვილისათვის. ამ სახით, ბატონო დესპანო, მთელი კვირაა ამ აზნაურის ხარჯითა ვქეიფობ. ამისი ხმალი ისევე მძიმეა, როგორც ქისა, ხოლო ქისა ისევე მძიმეა, როგორც მაგისი ოხუნჯობა.

ყველამ ხარხარი დაიწყო. მარტო ლიტველი იყო სრულიად გულ-დამშვიდებული. ოღნავაც არ სწყენია ეს ხუმრობა, ზელი გაიქნია მხოლოდ, სიამოვნებით გაიღიმა და წაიტუტუნა:

— რაც გინდა სთქვი, ყურსაც არ გათხოვებ!

პან სქშეტუსკი ცნობის მოყვარეობით შესტკეროდა ახალს თავისს ნაცნობს, რომელიც მართლა ღირსი იყო ახირებულის ჩერჩეტის სახელწოდებისა. ჯერ ისა, რომ ერთი რალაც ახმახი იყო და თითქმის ქერსა სწვდებოდა სიმალლით; მერე ისეთი გამხდარი იყო, რომ ამის გამო უფრო მაღალი სჩანდა. მისი განიერი მხარ-ბეჭი ამტკიცებდა, რომ ძლიერ ღონიერი უნდა ყოფილიყო, თუმცა ძვალისა და ტყავის მეტი არა სჩანდა-რა. ჩაცმით კი საკმაოდ რიგიანად იყო ჩაცმული. ნაცრის-ფერის მაუდის მოკლე ჯუბა ეცვა და წვივებზედ შვედური საცკეთები ჰქონდა გაკეთებული, რაიცა მაშინ მოდაში შემოდრიოდა. ფართო, ცხენ-ირმის ტყავის ქამარი არ აღდებოდა წელზედ, ძირსა სცურდებოდა თეძოვებამდე. ქამარზედ მიმაგრებული ჰქონდა რაინდული ხმალი, რომელიც ისეთი გრძელი იყო, რომ თითქმის თვით მისის სიგრძის ნახევარი იქნებოდა.

მაგრამ ვინც შეუშინდებოდა მის ხმალსა, ისევე მალევე დამშვიდდებოდა, შეჭხედავდა თუ არა ხმლის პატრონის სახეს. მის გამხდარს სახეს ამშვენებდა წყვილი ძირს დაწეული წარბი და ასეთივე ძირს დაშვებული წყვილი უღვაში. მეტად გულ-კეთილისა და ბავშვივით გულ-უბრყვილო კაცის სახე ჰქონდა. უღვაშები და წარბები რალაც ნაღვლიანს, დარცხვენისს და მასთან სასაცილო მეტყველებას აძლევდა მის სახეს. ისეთს კაცსა ჰგვანდა, რომლის მასხარად აგდება ყველას შეეძლო დაუსჯელად, ხოლო პან სქშეტუსკის მაშინვე მოეწონა გულ-კეთილის სახისა და სწორედ ჯარის კაცის დათმენილობისათვის.

— ბატონო დესპანო, — სთქვა პოდბიპენტამ, — თავად ვინ-ნევეცკისთანა ბრძანდებით?

— დიაღ.

ლიტველმა ისე დაიკრიფა ხელები, თითქო სალოცავად ემზადებო და აღაპურო ძვალის ცად-მიმართ.

— ოჰ, რა მეომარია, რა რაინდია, რა მეთაურია და ბელადი!

— ღმერთო, შენ მიეც ბლომად რესპუბლიკას მაგისტანები!

— მართალსა ბრძანებთ, მართალსა! არ შეიძლება მის დროშას ქვეშ ვიმსახურო?

— ძალიან მოხარული იქნება.

ლაპარაკში ჩაერია ახლა პან ზაგლობაც.

— თავადს მაშინ ორი სამზარეულო შამურის ექნება: ერთი თქვენ და მეორე თქვენი ხმალი... არა, უფრო უკეთესს დანიშნულებას შეგასრულებინებთ: ბრძანებს, რომ თქვენზედ ჩამოახრჩონ ხოლმე ავაზაკნი, ანა და თქვენით გაზმანონ ხოლმე ფართალი! ფუ, როგორ არა გრცხვენინანთ, რომ კაცი ხართ, კათოლიკე და ისე დაგძელებულხართ, თითქო გველია, ანუ წარმართთა მშვილდიო!

— შენს ლაპარაკს ყურადღებასაც არ მივაქცევ, — სთქვა გულდამშვიდებით ლიტველმა.

— მომიტევეთ, მე თქვენს გვარს კარგად ვერ მოვკარი ყური, — სთქვა პან სქშეტუსკიმ: — პან ზაგლობა ისე გაწყვეტინებდათ ლაპარაკს, რომ, ბოდის ეიხდი, ვერ გავრგონე კარგად.

— პოდბიპენტა.

— პოსინოვა.

— ზერვი-კაპტური თავენაწლევინან.

— წადით ახლა და ამას ელაპარაკეთ! მაგის ღვინოსა ვსვამ, მაგრამ სულელობაზედ დავდებ თავს, თუ ეგ ქრისტიანული სახელები იყოს.

— დიდი ხანია, რაც წამოსულხარ ლიტვიდან?

— ორი კვირაა აგერ, რაც ჩივირინში ვარ. პან ზაცვილიხოვსკისაგან შევიტყე, რომ ასე გამოივლიდით და იმიტომ გიცდიდით აქ! მინდოდა თქვენის მფარველობით მეთხოვნა თავადისათვის, მივედე სამსახურში.

— ერთი ეს მითხარით, ძლიერ მინდა ვიცოდე, რად გარტყიათ იმისთანა ხმალი, რომელიც ჯალათის მახვალს უფრო ჰგავს?

— ჯალათისა კი არა, ბატონო დესპანო, ჯვარ-შემოსილთა ხმალია, ომშია ნაშოენი და დიდი-ხანია ჩვენს გვარსა აქვს. ჯერ ისევ ხოინცას ბრძოლაში სჭეროდა ლიტველის ხელს და აი ახლა მე მაქვს.

— შერე მაგოდენა ხმაღს მორევა არ უნდა... ძლიერ მძიმე უნდა იყოს, ორის ხელით თუ ..

— ორის ხელითაც შეიძლება და ერთითაცა.

— აბა მაჩვენეთ.

ლიტველმა ამოიღო ხმალი და მისცა, მაგრამ სქშეტუსკის მაშინვე ხელი ძირს ჩამოუვარდა. სად შეიძლება ან მოექნია, ან დაერტყა. სცადა, ორის ხელით დაეჭირა, მაგრამ მაინც მძიმე იყო. დესპანს ცოტა არ იყოს შერცხვა და მიჰმართა სხვებს:

— აბა, ყმაწვილებო, ვინ გამოსახავს ჯვარს?

— ჩვენ ვცადეთ კიდევაცა, — სთქვა პასუხად რამდენიმემ. — მარტო ბატონი კომისარი ზაცვილიხოვსკი ახერხებს შემოქნევას, მაგრამ ჯვარის გამოსახვა მაგასაც უჭირდება.

— თქვენა? — ჰკითხა პან სქშეტუსკომ ლიტველსა.

პოდბიპენტამ ისე აიღო ხმალი, თითქო პატარა ჯოხიო და ისე დაუწყო ქნევა, რომ ოთახში ჰაერმა დაიწყო მოძრაობა, თითქო ქარმა დაჰბერაო.

— ჩემი მტერი შეგებშიათ თქვენა! — შესძახა პან სქშეტუსკომ. — თქვენი მიღება თავადის ჯარში ყოველსავე ექვ-გარეშეა.

— ღმერთმა ხომ იცის, რომ დიდი სურვილი მაქვს მაგ სამსახურისა. იქ ჩემი ხმალი უნდა აღარ მოიკიდებს.

— და არა გონება-მახვილობა, — დასძინა პან ზაგლობამ, — გონება-მახვილობას მაგრე ოავისუფლად ვერა ხმარობთ.

ზაცვილიხოვსკი წამოდგა და დესპანთან ერთად წასვლას ეპირებოდა, რომ ამ დროს ოთახის კარებში გამოჩნდა ქალარა, ძალზედ გათეთრებული მოხუცი.

— ბატონო კომისარო, — სთქვა მან, როცა ზაცვილიხოვსკი დაინახა, — შე განგებ თქვენთან მოველ!

— ეს მოხუცი იყო ბარაბაში, პოლკოვნიკი ჩერკასისა.

— მაშ, ჩემთან წამობრძანდით, სახლში. აქ ისეთი ბოლი სდგას, რომ კაცი ვერასა ჰხედავს.

ორივენი გარედ გავიდნენ. მათ გაჰყვა სქშეტუსკიცა. ჯერ ზღრუბლს არ გასცილებოდნენ, რომ ბარაბაშმა ჰკითხა:

— ხმელნიცკის ამბავი ხომ არა იცირა?

— ვიცი. სენს წასულა. აი ამ აფიცერს უნახავს მინდორში.

— მაშ ნავით არ წასულა? მდევარი დაეადევნე კუდაკს იმის დასაქერად, მაგრამ თუ ეგ ამბავი მართალია, არა გამოვა-რა.

ბარაბაშმა თვალზედ ხელები დაიფარა და დაიწყო თავის ქნევა.



— ქრისტე ღმერთო, შენ დაგვიხსენ, შენ დაგვიხსენ!

— რა დაგემართათ?

— იცით, რა წამართვა მოტყუებითა? იცით, რა ამბავი იქნება, ის ქალღმერთი რომ სეჩში გაამჟღავნოს? ქრისტე ღმერთო, შენ დაგვიხსენ! თუ მეფემ ურჯულო თათრებს არ გამოუტყადა ომი, ნაპერწკალი შიგ თოფის წამალში ჩაეარდება....

— თქვენ ჰგონებთ, რომ აჯანყება და ამბოხი მოხდება?

— ვგონებ კი არა, თვალ და თვალა ვხედავ. ხმელნიცკი ნალივაციასა და ლობოდაზედ უარესია.

— მერე, ვინ აპყეება იმას?

— ვინა? ზაპოროჟეონი, ნუსხ-სიელნი, მოქალაქენი, ბრბო და აი ესენი!

პან. ბარაბაშმა ხელი გაიწოდა ბაზრისაკენ, რომელშიაც ბუზივით ირეოდა ხალხი. ბაზარი მთლად სავსე იყო უზარმაზარის ნაცრის-ფერის ხარებითა, რომლებსაც კარსუნს მიერეკებოდნენ ჯარისათვის. მიერეკებოდნენ მრავალნი მწყემსნი, ესრედ წოდებულნი ჩოდარნი, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე მინდორში გაეტარებინათ, უდაბურსა და ყრუ ადგილებში, რომელნიც სულ განადირკაცებულნი იყვნენ და არავითარი სარწმუნოება არა სწამდათ, — religionis nullius, როგორცა სთქვა ლათინურად მოურავმა კისელმა. მათ შორის შეჰნიშნავდით ისეთებსაც, რომელნიც უფრო ავაზაკებსა ჰგვანდნენ, ვიდრე მშვიდობიანს მწყემსებსა; შეჰნიშნავდით პირ-ქუშსა და სახე-მწყრალს ხალხს; საშინელს, აბრანძელ-დაბრანძულსა. უმეტესს ნაწილს კი ცხვრის გამოუქნელი ტყავები ეცვა, რომელთაც ბეწვი გარედა ჰქონდათ მოქცეული; ტყავები წინ შეკრულები არ იყო და მზისა და ქარისაგან დამწვარი გული გაღვლილი ჰქონდათ ზამთარშიაც კი. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, მაგრამ არა ერთნაირად: ზოგს შვილდი ეკიდა ზურგზედ, ზოგს—ძველებური თოფი, ანუ ესრედ-წოდებული ყაზახთა შაშხანა, ზოგს თათრული ხმლები ერტყა წელზედ, ან ცეული ჰქონდა, ან არა და—კომბლები, რომელთაც ბოლოზედ მობმული ჰქონდათ ცხენის ყბა. აქვე ირეოდნენ არა ნაკლებ განადირებულნი, თუმცა უფრო უკედ შეიარაღებულნი ქვემოურნი, რომელთაც მიჰქონდათ გასასყიდად გამხმარი და გამოსული თევზი, ნანადირევი და გატყავებული ცხვარი; მერე სჩანდნენ მეურმენი, რომელთაც მარილი ეღოთ ურმებზედ, სკაფუტკრის პატრონები, ფისისა და კუპრის მხდელნი, მერე გლეხ-



რობანებ, ემ წუთშივე... დაიწყო მოხუცმა, გაბაჯბაჯდა და წუთზედ  
შეუფარა კარებს.

რამდენსამე წუთს შემდეგ. მათი აღმატებულება საწერ სტო-  
ლთან იჯდა და კარანდაშით რაღაც ციფირებს ახგარეშობდა.

— სვიმონ იდგა სკამს უკან და გახსკეუთრებულას ყურადღე-  
ბით ადევნებდა თავლს უფროსის საქმიანობას.

უფროსმა დაწერა ვერ 10,000 და ცოტა ხანს შესდგა; მერე ეს რიცხვი წაშალა და 8000-ად გადააკეთა. მაინც სიხუმე არ დაირღვა; შემდეგ დასწერა: «ბორხილო ხაყუბო არ იქნება». და აქვე გაკრძოლით წითელის კარხნდაშით გამოიყვანა: «გორის მარ...» და რამდენიმე წერტილი დასვა. შემდეგ მიაწერა 5000; სიხუმე არ ირღვეოდა, — 4000 დასწერა და მოუთმენლობა დაეტყო.

— თანხმა ვარ, თქვენო აღმატებულებავ! — მასპინძელი წამოაძგა, მხიარულად მოუბრუნდა და უთხრა:

— დიდი მოხარული ვარ, რომ სელმწიფისა და სამშობლო სასმისსური განვირახავთ... პირთა ექვს თვეს უნდა შესარულლოთ, დანიშნით კი სვალეუ დანიშნებით და ერთ კვირას შემდეგ სამსახურს შეუდგებით.

სვიმონ კიდევ ცოტა ხანს დაწინა; როგორც თავისიანებმა, უფრო თავისუფლად მოილაპარაკეს და, როცა გამოვიდა, უწინდელი ხინჯიანი მიეგება.

— რა ჰქვია, რამდენი გამოგართავ?

— ოთხი ათასი.

— ოთხი ათასი მანეთი, ბევრი არ არის. სადა?

— გორში.

— ძალიან პირიანი ფასია, ძალიან... გორში დიანბეგობა სუმირობა არ არის... კაცი მარტო პურითა და ღვინით აივსება... იქ ცოტა თავად-ახნაურობა არ არის.

ამ დღიდან სვიმონმა დაიწყო სამსახური და ბედის ჩარხმა მოუსვენრად ბრუნვა დაიწყო. კვირა არ გადიოდა, რომ სვიმონ ქალაქში არ ჩამოსულიყო, ყოველ დამ წვეულება არ გაემართა, ქუდი ჭერში არ ეკრა. უფაიტონოდ სამ იუეს აღარ გადაადგამდა.

მოსურნებულმა დაინახა სვიმონის სერხიანობა და, უეჭველია საქმის სარგებლობისათვის თავისთან გადაიყვანა.

აქ სვიმონს ბედის ჩარხმა უღალატა, რადგანაც, თუმცა აქაც შოულობდა, მაგრამ იმდენს კელარა, რამდენსაც უწინ. რასაც შოულობდა ღომის სავაღრისი წილი უფროსისთვის უნდა მიეტა. იმდენის შრომით, წვითა და დაგვით ნაშრონი ფუელი მთლად შემოეხარვა და გაჭირვებაში ჩაუჭრდნო თავადი წინანდელს ადგილს ოსკ-

რით იგონებდა სოლმი. რასაც აქ ფუფუნა შოულობდა, დროშკასა და ფაიტონსედაც კი არა ჰყოფნიდა. რამდენჯერაც აიყვანდა დროშკას, თუნდა საქმეც არა ჰქონოდა, ვიბეში მანუელებიც არა სდებოდა და ბუფკას სან აუქროლებდა და სან ჩამოუქროლებდა. მოვიდოდა დრო გასწორებისა და მხოლოდ მაშინ მოაგონებოდა, რომ ფული არა მარტო და რაწამსაც ვისმე დაინახავდა, მაშინვე რამდენსამე მანეთს აგლეჯავდა, რომ თავისი პატივი და ღირსება დაეცვა და ვიღაც მე-დროშკეს ფული არ შეერჩინა.

სვიმონმა დაინახა, რომ ცხოვრების ჩაღსა უკუღმა დაუბრუნდა, რადგანაც შემოსავალი აღარ ჰყოფნიდა და მადა და მოთხოვნილებას ვეღოთი-დეე ემატებოდა, სოლო გაცირებებით ცხოვრება კი არც იმის ღირსებას ეკადრებოდა და არც გვარიშვილობას და არც მდგომარეობას. იმის აზრით, ჭკუენახედ სასირცხვილო ის იყო, როდესაც დიდის გარის შვილის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმაო შემდეგ არა ჰქონდა. ოღონდ შესაფერი ცხოვრება კი ჰქონოდა და ამის გულისთვის მზად იყო, არავითარს საქმეს არ მოჰბრძობოდა.

სვიმონ ამ გაცირებაში იყო, როდესაც ბედმა გაუღიმა. ერთ-ბაშად მოუვიდა ფიქრად მდიდარი ცოლი შეერთო. აიღო, დაიღო, მაგრამ ვერც თავისი ღირსი, ვერც საკმაო შემდეგული ქალი ტფილისში ეკრავინ იპოვა. რჩებოდა მხოლოდ რუსეთი, ის ერთად-ერთი საიმედო ხავსი, რომელსაც წყალ-წაღებული უჭიდება. საქმე გაინახნა, და აღტაცებაში მოსული სვიმონ მომაკვალ ბედნიერების ოცნებას ეძლეოდა. მხოლოდ ერთად-ერთი გარემოება აბრკოლებდა და ეს გარემოება განსვდით ფულის უქონლობა. უფულოდ კი რა მოარშოეე იქნებოდა მდიდარის საცოლეებისა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვალად დიდი ფული ვერ იპოვნა და; რასაც შოულობდა, ის ისევე სე-ლეში ეხარჯებოდა.

ამ გაცირებების დროს სვიმონმა თავისს უფროსს რაღაცა განსაკუთრებული სამსახური გაუწია და მოწყალე ბატონმა ჰკითხა:

— მითხარ, როგორ გადავიხადო!

— ხუთასი თუმანი მასესეთ.

უფროსმა შეჭკვია, შეიკრა წარბები და უკმაყოფილოდ ფიქრო-

— მე მეგონა, რომ უფრო ჭკვიანი და მოაზრებული იყავი.

— მაშ მომიტყევეთ, რომ ვერ გაგებდეთ...— უთხრა ღმილით სვიმონმა.

— სოჭვი.

— მსარზველ ხელი გადამხვიეთ და ბულვარზედ გამატარ-გამო-  
მატარეთ

უფროსმა შეხვდა და გაკვირვების ნიშნად წარბები აიჭიმა.

— ჭხუმირობ?— ჭკითსა მან უმაყოფილოდ.

— არა, თქვენო აღმატებულებავ!— სრულიად გულ-დამშვიდებით უზასუსა უნცროსმა.

უფროსმა რამდენჯეღმე გაიარ-გამოიარა, რამდენჯეღმე შეჭხვდა, წაიზმულია რაღაც ურინშენელო სმები და სვიმონს მიუასლოკდა.

— ამისსენ, რას ამბობ?

— თქვენო აღმატებულებავ! ასხნა მომეტებულა... ჯერ შე  
თვითონაც არ ვიცი, როგორ გამოვიყენებ თქვენთან ხელ-გადახვევით  
გაკლას, მსოფლიო მაგისთვის ას თუშინს ვი მოგართმევთ.

უფროსმა კიდევ შეჭხვდა და მისმა პირი-სასკმ ისეთი მეტყვე-  
ლება მიიღო, თითქოს ამბობდა: «ეს კაცი სწორედ გენიოსია!» და  
სმა-მადლა დაიწყო:

— კარგი, თანახმა ვარ... როდის გინდა?

— თუნდა დღეს, თქვენო აღმატებულებავ.

— ფელი?

— ერთის კვირის შემდეგ... იქნება უფრო ადრეც.

— მაშ გასწი ბულვარზედ და ნახევარ საათს შემდეგ მეც იქ  
ვიქნები.

სვიმონ გაჭანდა და დანიშნულს დროს უფროსთან ერთად ხე-  
ლი-ხელს გადახვეუნი ბულვარზედ დადიოდა, — ხალხი კი გაშტე-  
რებით შესცქეროდა და იასხდა:

— ვერ უყურებ ხვენს სვიმონსა?.. როგორ დაუმეგობრდა-და!

— რას ამბობ, უმაგისოდ ჰური არ უამება თურმე, — იძახდა  
მეორე.

— რასაც სვიმონ ეტყვის, ეველაფერს თურმე აასრულებს, —  
ამბობდა მესამე.



როდესაც ხალხი ამ ლაპარაკში იყო, უფროსი და უნცროსი ერთმანეთს შორდებოდნენ.

— დაპირება შეგისრულე, — უბრძანა მათმა აღმატებულებამ.

— პირობას მეც არ გადავალ...

— ამ სეიჩნობისაგან განა მოკლით რასმე?

— დიაღ... თუ გნებავთ, ესლა იმის თქმაც შემიძლიან, რასაც მოკეული...

— მითხარით.

— ესლა მთელი ქალაქი დარწმუნებულია, რომ, რასაც გეტყვით, ამისრულებთ.

— მე რე?

— მე რე და თქვენთან მთელს ქვეყანას საქმე აქვს... ყოველი ჩემი სიტყვა ხალხში ოქროს წონად დაფასდება.

უფროსი ისე გაშტერდა და გაოცდა, რომ თავ-დავიწყებული გადაესვია და სიამოვნებით წამოიძინა:

— კამობდი, რომ გენიოსი ხარ-მეთქი და ყოფილხარ კიდევ!

ამ სიტყვებით ისინი გამოეთხოვნენ ერთმანეთს: უფროსი თავის სხალში წაბძნდა. ბულგარზედ დაჩენილი სვიმონ გი ხან ერთმა გაიყინა ხან მეორემ და ემუდარებოდა, ორიოდე სიტყვა დაქსარჯე და მათი აღმატებულება კეილის თვალთ მოასუდე ჩემ-სუდაო.

სწორედ დაპირებულს დროს უფროსმა მიიღო დაპირებული ასი თუმანი და ორმოც და ათიც ზედ-დამატებული.

— ეს რაღა არის? — ჭკითხა უფროსმა.

— სათხოვარი მაქვს კიდევ.

— იქნება მეტი ღირს? — ჩაიციხა უფროსმა.

— ნაკლების მორთმევას მე თავად არ გაგებდავ.

— რა გინდა?

— რუსეთში უნდა დამითხოვოთ და ქალაქი მიბოძოთ, რომ ციხეებისა და სატუსაღოების გასინჯვის ნება მომცენ.

— ეტ რისთვის-ღა გინდა?

— იმისთვის, რომ მცირედის რითიმე გემსახუროთ.

— როგორ?... ამიხსენი.

— აქედან გამგზავნეთ იმგვარის მინდობილობით, რომ ვითომც წესის ცისკები უნდა დავათავალერო, რადგანაც აქაურს საპატრიმტებს გაუქვობესობა ეჭვირება და ვითომ პრექტის შესადგენად მე მგზავნით... რასაკვირველია, გზის ფუფს დამინთნავთ იმ პირობით...

— იმ პირობით...— გაიმეორა უფრესმა.

— რომ სავზაოდ დანიშნულის საჭვადან გრძეც ან მივიდო.

— თქვენ დირსეული, პატროსანი და ჩემი ერთგული გვფი უფილსართ... ქალადები ამ დღეებშივე იქნება.

დასკვნეს ასეთი პირობა და განმორდნენ ერთმანეთს.

(დასასრული იქნება)

# ს ი ვ ე ნ ბ რ

თავი მეოცდარეუთი \*)

ძლიერ ფიცხი ცხენი ბევრჯერ მშვიდია, ხოლო ძლიერ ზანტი ზოგჯერ ფიცხი: ხშირად ბერი სულელის როლს თამაშობს და სულელი ბერისას.

ძველებური სიმღერა.

როდესაც ბერულად ჩაცმული ხუმარა ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზის კარებს მიუახლოვდა, ყარაულმა ჰკითხა, ვინა ხარ და ან რად მოსულხარო.

— მშვიდობა თქვენთან! — მიუგო ხუმარამ: — მე წმ. ფრანცისკოს ორდენის ბერი ვარ და მოვსულვარ აქ მყოფს პატიმრებს აღსარება ვათქმევინო.

— როგორც გეტყობა, ძლიერ გულადი ბერი ყოფილხარ, — უთხრა გუშაგმა.

— გთხოვ ჩემი სურვილით ციხე-დარბაზის პატრონს შეატყობინო, — განაგრძო ვამბამ.

— კარგი, — მიუგო გუშაგმა: — შევასრულებ შენს თხოვნას. მაგრამ თუ ვინიცოხა ამისთვის დამსაჯეს, მაშინ არა მგონია შენმა ბერულმა ანაფორამ დაგიფაროს და ცოცხალი გადავირჩე.

ამ მუქარის შემდეგ გუშაგი წავიდა და ფრონ დე ბეფს შეატყობინა, რომ ბერი შემოსვლას თხოულობსო. ბატონმა ბერის შემოსევა უბრძანა. გუშაგი რომ წავიდა, თან რამდენიმე კაცი

\*) „მოამბე“ № 117, 8, 9 და 10.

წაიყვანა, რომ თუ ვინიცობაა საქმე სხენაირად ყოფილიყო, წინააღმდეგობის გაწევა შესძლებოდა. ვამბა ძალიან შეერთა, როდესაც ფრონ დე ბეფის წინაშე მიიყვანეს, მაგრამ ბარონმა ეს ვერ შეამჩნია, რადგანაც მის წინაშე ყველანი შიშითა და კრძალვით იქცეოდნენ ხოლმე.

— ვინა ხარ და ან საიდანა ხარ?—ჰკითხა ვამბას.

— მე საწყალი მსახური ვარ წმ. ფრანცისკოსი, ამ ტყეში ვმოგზაურობდი და ყაჩაღებს ჩაეუვარდი ხელში, იმათ გამომგზავნეს ამ ცხე-დარბაზში, რომ აღსარება ვათქმევინო ორს კაცს, რომელთათვისაც თქვენს მართლმსაჯულებას სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია.

— კარგი, — მიუგო ფრონ დე ბეფმა: — მაგრამ შეგიძლიან შემეტყობინო რამდენნი არიან ის ყაჩაღები?

— მოწყალეო ხელმწიფე, — მიუგო ხუმარამ: — ბევრისაგან ბევრნი არიან.

— სწორედ შემეტყობინე, თორემ შენი ბერული ტანი-სამოსი ვერაფერს გიშველის.

— როცა მე იმათთან ვიყავ, ასე მეგონა დიდს ჯარში ვიმყოფები-მეთქი; ჩემის ფიქრით, ხუთასამდინ უნდა იყვნენ.

— როგორ! — წამოიძახა ბოა გილბერმა, რომელიც ამ დროს შემოვიდა დარბაზში: — ნუ თუ ის კრაზანები მაგდენნი არიან? დრო არის მათს გარეკვას შევუდგეთ! შენ ამ ბერს იტყნობ? — ჰკითხა მან ფრონ დე ბეფს, როდესაც ცალკე გაიხშო.

— იგი შორეული მონასტრის ბერია და ამისათვის არ ვიცნობ.

— მაშ მგას ადვილად ნუ ენდობი, თუ მოახერხო დებრასის რაზმთან გაატანე წერილი, რომ თავიანთს უფროსს მალე მოეშველონ. მაგრამ ეჭვი რომ არ აიღოს, ნება მიეცი, ჯერ საქსონელ ღორებთან შევიდეს და აღსარება ათქმევინოს.

— ეგრეც ვიზამ, — უთხრა ფრონ დე ბეფმა და ერთს მოსამსახურეს უბძანა ვამბა იმ ოთახში წაეყვანა, სადაც ცედრიკი და ატელსტენი იყვნენ დაპატიმრებულნი.

პატიმრობამ ცედრიკი კი არ დაამშვიდა, უფრო გააბრაზა. იგი ბოლოს სცემდა ოთახში და ისეთი შეხედულობა ჰქონდა, თითქო ეს არის ან მტერს უნდა დაეცეს თავს, ან ციხე უნდა გაანგრიოსო. იგი ბრაზობდა უფრო ატელსტენზედ, რომელიც მხოლოდ სმა და ჭამაზედ ფიქრობდა და პატიმრობა აგრე რიგად არ აწუხებდა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ ასეთი უბედურება დიდ ხანს არ გაგძლდებოდა და როგორც ყოველს უბედურებასა, ამასაც ბოლო მოეღებოდა.

— წმ. დუნსტანი იყოს თქვენი ნფარველი, — წარმოსთქვა ხუმარამ, როდესაც ოთახში შევიდა.

— ახლო მოდი, — უთხრა ცედრიკმა ტყუილს ბერს: — რისთვის მოსულხარ?

— იმისთვის, რომ სიკვდილის წინად აღსარება გათქმევინოთ, — მიუგო ხუმარამ.

— ეგ არ შეიძლება! — შესძახა გაკვირვებულმა ცედრიკმა: — თუმცა ჩვენი დამპატიმრებელნი ძლიერ უშიშარნი და თავხედნი არიან, მაგრამ ჩვენს სიკვდილს მანც ვერ გაბედავენ.

— ვაი შენს მტერს! — უთხრა ხუმარამ: — იმათ კაცთ-მოყვარულობაზედ დანდობა ისევე არ შეიძლება, როგორც გაგვრეხული ცხენის ძაფით დაჭერა. მაშ, კეთილშობილო ცედრიკო და თქვენც ატელსტენო, ცოდვებს მოსანანიებლად მოემზადენით.

— გეყურება, ატელსტენ! — უთხრა ცედრიკმა თავის ბედში მყოფს ამხანაგს: — მოვეწალოთ... ვაჟაკურად სიკვდილი სჯობიან მონად ყოფნას.

— მე მზად ვარ, — მიუგო ატელსტენმა: — და ისევე გულგრილად შევეყრები სიკვდილს, როგორც გულგრილად დავჯდები ხოლმე სადილად.

— მაშ შეუდექ, ბერო, შენი საღმრთო მოვალეობის ასრულებას, — უთხრა ცედრიკმა.

— ცოტა ხანს მოიცადე, ბიძავ, — უთხრა ხუმარამ თავისის ჩვეულებრივის ხმით: — უმჯობესია ჯერ კარგად ვიფიქროთ და მერე ბნელაში ვიხტუნავოთ.

— ღმერთსა ვფიცავ, მე ეს ხმა მეცნობა!

— ეგ ხმა შენი ერთგული მონისა და ხუმარის ხმაა, — მიუგო ვამბამ და ანაფორა გადაიძრო. — თქვენ რომ წინაღვე დაგვეკერებინათ სულელისათვის, ეხლა აქ არ იქნებოდით; ეხლა მაინც არის დამიჯერეთ და მალე განთავისუფლდებით.

— შავით რა გინდა სთქვა? — ჰკითხა საქსმა.

— ისა, რომ ჩემი ბერული ტანისამოსი შენ ჩაიცვა და აქედან წახვიდე, ხოლო შენი ტანისამოსი მე მომეცოდა მე ვიცი, რასაც ვიზამ.

— როგორ! ჩემს ადგილას შენ დაგტოვო? — წამოიძახა ხუმარის სიტყვებით გაკვირებულმა ცედრიკმა: — შე საწყალო, შენ ხომ ისინი უსათუოდ ჩამოგარჩობენ.

— დეე, რაც უნდა ჰქნან! იმედი მაქვს ვიტლესის შვილი არ შეგარცხვენს და სიკვდილს არ შეუშინდება.

— კარგი, ვამბა, შენს სურვილს ვეთანხმები მხოლოდ იმ პირობით კი, რომ შენი ტანისამოსი ატელსტენმა ჩაიცვას და არა მე.

— არა, ეგ არ შეიძლება; უმჯობესია მონა თავის ბატონისთვის მოკვდეს, ვიდრე უცხო კაცისათვის, რომლის წინაპრებსაც ჩემი წინაპარნი სრულიად არ იცნობდნენ.

— მონავ! ატელსტენის ჩამომავალნი ინგლისის მეფეები იყვნენ.

— რაც უნდა ყოფილიყვნენ, მე მაინც მაგაზედ არ დაგეთანხმები. მაშ, ჩემო ბატონო, ან ჩემი წინადადება მიიღე და ან ნება მომეცი ისევე თავისუფლად გავიდე ციხე-დარბაზიდან, როგორც შემოვედი.

— სჯობს, ძველი ხე მოიჭრას, ოღონდ კი ახალმა იხაროს! ჩემო ერთგულო ვამბა! კეთილ-მობილი ატელსტენი გადაარჩინე. ეს ყველას მოვალეობაა, ვისაც კი საქსონური სისხლი უდვას ძარღვებში. ჩვენ ადვილად გავუძლებთ მტრის მტარვალობას, ხოლო განთავისუფლებული ატელსტენი კი მტრის ჯავრს ამოგვყრის.

— არა, არა, მამაო ცედრიკო!—მიუფო ატელსტენმა და ხელეები დაუჭირა (ატელსტენს ფიჭი არ უყვარდა, თორემ საქციელი და გრძობა კი სრულიად შეეფერებოდა იმის მაღალს შთამომავლობას).—არა, მე უფრო იმაზედ დავთანხმდები, რომ მთელი კვირაობით ამ დარბაზში უქველ-უსმელი ვიჯდე, ოღონდ კი ლუკმა-პური და ერთი ჭიქა წყალი მქონდეს, ვიდრე იმაზედ, რომ ვისარგებლო შემთხვევით, რომელსაც აძლევს ბატონს ერთგული მონა აქედან თავის დასაღწევად.

— თქვენ ჭკვიან კაცებს გეძახიან, ბატონებო, —უთხრა ხუმარამ, —მე კი სულელს; მაგრამ ეხლა მე სულელი გადავწყვეტ თქვენ შორის ატეხილს დავას და დაგისნით ტყუილ-უბრალო თავაზიანობისაგან. მე იმ ულაყ ცხენსა ვკვებარ, რომელიც მხოლოდ თავის პატრონს ისვამს ხოლმე. მე მოვსულვარ ჩემი ბატონის დასახსნელად და თუ იგი არ დათანხმდება, რასაკირველია, უკანვე წავალ. მე სამსახური მინდა გავუწიო ჩემს ბატონს და ბურთსავით ჩემი სამსახურის ხელიდან ხელში გადაცემა ვისთვის რა საკადრისია. მე მხოლოდ ჩემს ნამდვილს ბატონს მინდა შევსწირო სიცოცხლე და მხოლოდ იმისთვის ვაგდებ ჩემს თავს განსაცდელში.

— წადით, კეთილ-შობილო ცედრიკო! —უთხრა ატელსტენმა, —ამ შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებ. თქვენი გარედ ყოფნა ჩვენს დამსხნელებს გაამხნევენს, ხოლო აქ დარჩენა კი საქმეს წაახდენს.

— მერე იმედი არის კი, რომ გარედან სხვებსაც გავანთავისუფლებთ? —ჰკითხა ცედრიკმა ხუმარას.

— იმედი? უეჭველად! —წამოიძახა ვამბამ. —იციოდეთ, რომ ამ ანაფორასთან ერთად ჯარის წინამძღოლის თანამდებობასაც გაძლევთ. ხუთასი კაცი დვას ციხე-დარბაზის გარედ და მეც ერთი იმათი წინამძღოლთაგანი ვიყავი. ენახოთ, რას მოიგებენ ჩემი აქ გამოგზავნელნი, სულელი კაცის ჭკვიან კაცზედ გაცვლით. ახლა კი მშვიდობით, ჩემო ბატონო; გურტი და იმის ძალი თანგსი გებრალეობდეს; ამასთანავე უბრძანეთ, რომ ჩემი



ქუდი თქვენი სახლის დარბაზში დაჰკიდონ იმის მოსაგონებლად, რომ მე ჩემი სიცოცხლე ჩემს ბატონს შევწირე, როგორც შეპყვინთა ერთგულს... სულელს.

ხუმარამ რომ ესა სთქვა, ცედრიკს ცრემლები მოერიო..

— შენი სახსენებელი საუკუნოდ დარჩება,—უთხრა მან,—ვიდრე ერთგულობასა და თავ-დადებულობას ქვეყნად ფასი არ დაეკარგება! მე იმედი მაქვს ისეთი ღონე ვიღონო, რომ როენა და შენ, ატელსტენო, აქედან დაგიხსნათ, აგრედვე შენცა, ჩემო საწყალო ვაშა. ერთგულობაში შენ მე ვერ მაჯობებ.

ტანისამოსი უკვე გამოცვლილი ჰქონდათ, რომ ცედრიკი უეცრად ჩაფიქრდა.

— მე ჩემი სამშობლო ენის და რამდენიმე ნორმანური სიტყვის მეტი არა ვიცი-რა და არ ვიცი ბერობა როგორ შევასრულო?

— სულ ორი სიტყვის ცოდნა შეადგენს მთელს მონხბლველს ძალას,—მიუგო ვაშამ:—რაც უნდა გკითხონ, ყველაფერზედ „მშვიდობა თქვენდა“ უთხარი. წახვიდე თუ მოხვიდე, სქამდე თუ სვამდე, ლოცავდე ვისმე თუ სწყევლიდე, ყოველთვის პირზედ „მშვიდობა თქვენდა“ უნდა გეკეროს. მხოლოდ მედიდურად კი სთქვი ხოლმე, აი ასე: „მშვიდობა თქვენდა!“ და ეს ყველას მოხიბლავს. ვინც უნდა იყოს, გუშავი თუ რაინდი, ქვევითი თუ ცხენოსანი—ეს სიტყვა ყველაზედ გრძნეულად იმოქმედებს. მე მაშინაც კი მინდა ვცადო ამ სიტყვის ძალა, როდესაც ჯალათი ხვალ სარჩობელაზედ ამიყვანს.

— თუ მართლა ეგრე იქნება,—უთხრა ცედრიკმა,—მე ბერობა დიდ ხანს არ მამხიბდება. „მშვიდობა თქვენდა!“ მგონია ეს სიტყვა არ დამავიწყდეს. მაპატივე, კეთილ-შობილო ატელსტენ; მაპატივე შენცა, ჩემო საწყალო ვაშა! შენი კეთილი გული სრულიად ჰუარავს შენი ქკუის სისუსტეს. მე თქვენ ან დაგიხსნით და ან უკან დავბრუნდები და თქვენთან ერთად მოვკვდები. ვიდრე პირში სული მიდგას, საქსონელ მეფეთა ჩამომავალის სისხლს არავის დავაღვრევენებ; არც შენ გავიშვებ

უნუგეშოდ, ჩემო ერთგულო მონავ, და შენს თავზედ ბუხსაც არავის ავაფრენინებ. ახლა კი მშვიდობით!

— მშვიდობით, კეთილშობილო ცედრიკ, — უთხრა ატელ-სტენმა: — და ნუ დაივიწყებ, რომ ნამდვილი ნიშანი ბერობისა ის არის, როდესაც მოართმეულს საქმელზედ უარს არ იტყვი.

— მშვიდობით, ბიძავ, — უთხრა ეამბამ: — და „მშვიდობა თქვენდა“ არ დაივიწყო,

ცედრიკი გაუდგა გზას და მალე მიეცა შემთხვევა ნასწავლი სიტყვების ძალა გამოეცადა. ერთს ბნელს ადგილას წინ ვილაც ქალი გადაუდგა.

— მშვიდობა თქვენდა! — წარმოსთქვა ტყუილმა ბერმა და გზიდან ჩამოეცალა.

— თქვენც აგრედვე, — მიუგო ქალმა: — გთხოვთ მოწყალების, წმიდაო მამაო.

— მე ცოტა ყურთ მაკლია, — უთხრა ცედრიკმა საქსონურად და ამავე დროს წაილულლულა: — ეშმაკმა წაილოს ხუმარაცა და იმის „მშვიდობა თქვენდაცა“. პირველ შემთხვევაშივე ვერაფრად მიშველეს იმისმა სიტყვებმა.

— გვედრები, ღირსო მამაო, — უთხრა ქალმა საქსონურადვე: — ღირსი გახადეთ თქვენის ლოცვა-კურთხევისა ერთი დაქრილი ტყვე და ნუ მოაკლებთ მას თქვენს მოწყალებას, როგორც გიბრძანებთ თქვენი წმინდა მოვალეობა.

— ჩემო დაო, — მიუგო ცედრიკმა მღელვარებით: — დრო ნებას არ მაძლევს ციხე-დარბაზში ჩემი წმინდა მოვალეობა შევასრულო... მე უნდა წავიდე... სიცოცხლე და სიკვდილი ჩემს წასვლაზედ არის დამოკიდებული.

— არა, წმინდაო მამაო, — განაგრძო ქალმა: — მძიმე ავადმყოფს უნუგეშოდ ნუ დასტოვებთ...

იქნება კიდევ კარგა ხანს ელაპარაკნათ ცედრიკსა და ამ ქალს, თუ რომ ამ დროს ციხე-დარბაზში დიდი ხნის ნამყოფს დედაკაცს ურფრიდას არ გაეწყვეტინებინა ლაპარაკი.

— როგორ, ჩემო გვრიტო, — უთხრა ურფრიდამ ქალსა, — განა იმიტომ მოგეცით საპყრობილიდან გაძოსვლის ნება, რომ

აგრე მოიქცე? წმინდა ბერს იძულებულს ჰყოფ უშესაბამო სიტყვები წარმოსთქვას, რომ ებრაელი ქალი თავიდან როგორმე მოგიშოროს.

— ებრაელი ქალი! — შეჰყვირა ცედრიკმა და გაეხარდა, რომ შემთხვევა მიეცა ლაპარაკის შეწყვეტისა: — გამიშვი, დედაკაცო! მე ეს არის ეხლა შევასრულე ჩემი წმინდა მოვალეობა და აღარ მინდა შენთან ლაპარაკით შევიმწიკვლო.

— აქ მობრძანდით, წმინდაო მამაო, უთხრა მოხუცებულმა დედაკაცმა ურთრიდამ: — შენ ამ ცინე-დარბაზისა არაფერი იცი და თუ არავინ გამოგყვა, გზას ვერ გაიგებ. აქ მოდით, სალაპარაკო მაქვს თქვენთან. შენ კი, ასულო დაწყევლილის ერისა, წადი ავადმყოფთან და ყური უგდე, ვიდრე მოვიდოდევაი შენ, თუ ჩემს უნებურად კიდევ დაგინებებია მისთვის თავი.

რებეკა წავიდა. მას ურთრიდასაგან გაეგო, რომ ცინე-დარბაზში ბერი შემოვიდაო და ამ ბერისაგან რაღასაც მოელოდა. იგი ჰყარაულობდა ბერს გზაში და უნდოდა პატიმრები შეებრალეზინა. მკითხველმა უკვე იცის, რომ რებეკამ თავისი განზრახვა ვერ შეასრულა.

### თავი მეოცდაექვსე

უბედურო ქალო! რას მეტყვი იმის მეტს. რაც მწუხარება, სირცხვილი და ცოდვა გადაგხედია? შენი საქმე ცხადია, — შენი ბედი უკვე იცი; მაგრამ სთქვი, — დაიწყე, დაიწყე....

მე უფრო სხვა დარდი მაწუხებს, უფრო სხვა ვარამი მიკოდავს გულსა; ნება მომეცი, ტანჯული სული მოვიბრუნო, მოთმინებით დაუგდე ყური ჩემს საჩივარს. თუ მე ვერ ვიშოვი მეგობარს, რომელიც მიშველის, ისეთი კაცი მაინც მაშოვნიე, რომ ყური დამიგდოს.

კრაბზე. — დარბაზი მართლ-მსაჯულებიისა...

როდესაც რებეკა ავადმყოფთან წავიდა, ურთრიდამ ძალისძალად შეიყვანა ცედრიკი ერთს პატარა ოთახში და კარები ჩაკეტა; მერე გამოიღო განჯინიდან ღვინო და ორი სტაქანი სტოლზედ დასდგა და უთხრა: — შენ საქსი ხარ... უარს

ნუ იტყვი,—განაგრძო მან, როდესაც ნახა, რომ ცედრიკი პასუხს აგვიანებდა:—საშობლო ენის გაგონებამ სმენა დამიტკბო, საქსონური ლაპარაკი აქ ძლიერ იშვიათად ისმის ხოლმე. შენ საქსი ხარ, წმინდაო მამაო, საქსი, და გარდა იმისა, რომ ღვთის მსახური ხარ, დაბალი გვარის კაციც არა ხარ... შენი ხმა ჩემს სმენას ატკბობს!

—განა საქსონელი ბერები არას დროს არ მოდიან ამ ციხე-დარბაზში?—ჰკითხა ცედრიკმა:—ისინი ვალდებულნი არიან, მოვიდნენ ხოლმე აქ და ნუგეში სცენ დატანჯულთა.

—იგინი იშვიათად მოდიან და თუ მოდიან, ისიც მტარვალეებთან საქეიფოდ და არა თავიანთ დატანჯულ თანამემამულეთა ნუგეშის საცემლად. ასე ლაპარაკობენ სხვები, თორემ მე კი არა ვიცი-რა. ათი წელიწადია, რაც ამ ციხე დარბაზის კარი არც ერთი ბერისათვის აღარ გაღებულა, მხოლოდ ერთი გარყვნილი ბერი კი მოდიოდა ხოლმე და ისაც იმისთვის, რომ ფრონ დე ბეფთან ექეთუნა; მაგრამ იმნაც დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო. შენ საქსი ბერი ხარ და მინდა ერთი რამა გკითხო.

—მე მართალია საქსი ვარ, მაგრამ ბერობის სახელის ღირსი კი არა ვარ. ნება მომეცი ჩემს გზაზედ წავიდე. გეფიცები, ან მე დავბრუნდები და ან გამოვგზავნი ისეთს ბერს, რომელიც ღირსი იქნება აღსარება გათქმევინოს.

—ცოტა ხანს კიდევ მოიცადე; მალე ჩავა საფლავში ის ადამიანი, რომლის ხმაც ეხლა შენ გესმის, მაგრამ არ მინდა ისე ჩავიდე, რომ ჩემი ცოდვები შენს წინაშე არ მოვიანაიო. ღვინო იმდენს ღონეს მომცემს, რომ შევიძლებ ჩემი თავგადასავალის მზობას.—ამასთან მან აიღო ჭიქა და დაცალა.—ეს ღვინო,—განაგრძო მან,—კი არ მამხიარულებს, გრძნობას მიკარგავს.

ცედრიკი დიდის სიამოვნებით იტყოდა უარს ასეთს დაპატიებაზედ, მაგრამ ქალს ისეთი მოუთმენელობა და განწირულება ეტყობოდა, რომ მისი სურვილი უნებურად უნდა აესრულებინა, და ღვინით სავსე ჭიქა თვითონაც დაცალა. ბერის

თავაზიანობით დამშვიდებულმა ურფრიდამ დაიწყო თავისი თავ-  
გადასავალი.

— მე, მამაო, ისეთს საბრალო მდგომარეობაში არა ვარ  
დაბადებული, რა მდგომარეობაშიაც ეხლა მხედავ. მე თავი-  
სუფალი კაცის ქალი ვიყავ, ბედნიერი და ყველას საყვარელი.  
ეხლა კი მონა ვარ, დამცირებული და მოძულეებული; ვიდრე  
სილამაზე მქონდა, ჩემი ბატონების გულისთქმათა სასიამოვნო  
საგანი ვიყავ და როდესაც დაეკარგე იგი, მათი სამასხარო და სე-  
ზაზღარი გავხდი. ამას შემდეგ რად უნდა გაგიკვირდეს, მამაო,  
რომ კაცობრიობა შემძულდა და უფრო მეტად ის ხალხი, რო-  
მელმაც დამლუბა და გამათახსირა? უძლური და უქამური ბებერი,  
რომელიც ეხლა შენს წინაშე ზის და სწყევლის თავისს დამლუ-  
ბველებს, განა როდისმე დაივიწყებს, რომ იგი ქალი იყო ტორ-  
კვილის კეთილ-შობილის ბარონისა, რომლის ძლიერების წინა-  
შე არა ერთი და ორი მებატონე თრთოდა შიშითა.

— როგორ! შენ ქალი ხარ ტორკვილ ვოლფგანგერისა!  
— ჰკითხა ცედრიკმა გაკვირვებით, — შენ... შენ ქალი ხარ იმ  
კეთილ-შობილის საქსისა, რომელიც მამი-ჩემის გულისთადი მე-  
გობარი იყო!

— მამი-შენის გულისთადი მეგობარი! — შეჰკვივლა ურფრი-  
დამ. — მაშასადამე, ჩემ წინ ცედრიკი სდგას, რომელსაც საქსო-  
ნელს ეძახიან, იმის მამას იმის მეტი შვილი არა ჰყავდა. თუ  
შენ რეტორიკული ცედრიკი ხარ, მაშ რას ნიშნავს ეგ შენი  
ბერული ტანისამოსი? ნუ თუ შენ შენი სამშობლოს დახსნის  
იპედი გადაგიწყვეტია და ამისათვის ბერობა შეგიმოსავს?

— შენ რა გინდა, ვინცა ვარ, — მიუგო ცედრიკმა: — შენ შე-  
ნა გათახსირებისა და ცოდვათა ამბავი განაგრძე. დიად, ცოდვა-  
თა ამბავი, ამისთვის რომ თვით იმის მშობაც კი ცოდვაა.

— მართალია, მართალი, დიდი, მომაკვდინებელი ცოდვაა, — ეს  
ცოდვა ლოდით მაწევს გულზედ და იმის კვალს თვით ჯო-  
ჯოხეთის ცეცხლიც ვერ წაშლის. დიად, ამ ციხე-დარბაზში, შე-  
ლებილს მამი-ჩემისა და ჩემი ძმების წმინდა სისხლით, აი სწო-  
რედ ამ ოთახებში მე ხასა გავხდი ჩვენის დამლუბველისა.

— უბედურო! — შესძახა ცედრიკმა, — იმ დროს, როდესაც მამი-შენის მეგობრები და მთლად ერთგული საქსები ლოცულობდნენ მამი-შენისა და იმის შვილების სულისათვის, იმ დროს, როდესაც შენ ყველას მკვდარი ეგონე და ტიროდნენ, შენ თურმე აქ გიცხოვრია მტარვალთან ერთად, შენის მამისა და ძმების დამხოცველთან, რომელმაც ბავშვიც კი არ დაინდო მოსაკლავად, რომ ტორკვილ ვოლფგანგერს მემკვიდრე არავინ დარჩენოდა და მისი გვარი სრულიად აღგვილიყო დედა-მიწის ზურგიდან, — შენ მასთან შეერთებული ყოფილხარ უკანონო სიყვარულის კავშირით!

— უკანონო კავშირით, მართალია, და არა სიყვარულის კავშირით! — მიუგო ბებერმა: — სიყვარულს ჯოჯოხეთში უფრო აქვს ბინა, ვიდრე აქა. არა, ამის გამა ჩემს თავს ვერ გავკიცხავ! მძულვარება ფრონ დე ბეფისა და მთლად იმის ხალხისადმი მაშინაც კი მიღვიოდა, როდესაც მასთან ერთად ცოდვის სარეცელზე ვიწვექი ხოლმე.

— შენ იგი გეზიზღებოდა და ცოცხალი კი დარჩი! — მიუგო ცედრიკმა. — მამასადამე, შენ არც ხანჯალი გქონია, არც დანა და არც ნემსი! რა სასიამოვნო იყო შენთვის ასეთი ცხოვრება? მე რომ ფიქრადაც არის მაინც მომსვლოდა, რომ შენ, ტორკვილის ქალი, მამი-შენის მკვლელთან იყავ შეკავშირებული, ჩემი ხანჯალი თვით მაშინაც კი გაგმირავდა, როდესაც შენს შემცდენელთან იქნებოდი გადახვეული.

— სწორედ კარგს სამსახურს გაუწევდი მაგით ტორკვილის სახსენებელს, — უთხრა ულრიკამ (ახლა კი შეგვიძლიან ნამდვილი სახელი ულრიკა დავუძახოთ და არა ურფრიდა). — მართლა რომ ნამდვილი საქსი ყოფილხარ და მთელი ხალხიც ამისათვისა გცემს პატივს. თვით ამ დაწყვეტილ კედელთა შორისაც კი ისმოდა შენი ქება და მე, ყველასგან გაქელილს და გათახსირებულს, მიხაროდა, რომ კიდევ იყო ერთი კაცი, რომელიც მტრის ჯავრს ამოიყრიდა. მე ჩვენს მტრებთა შორის მძულვარებასა და უფიქროს ვაგდებდი, რის გამოც მხიარულება ხშირად მაშინელ ჩხუბად გადაექცეოდათ ხოლმე; მე ვუყურებდი მათს ნი-

აღვრად წასულს სისხლს, მათს სასიკვდილოდ ხრიალს! აბა შე-  
მომხედე, ცედრიკ, ნუ თუ ამ დაღმეჭილს და დაუძღურებულს  
სახეზედ ტორკვილის ჩამომავლობა აღარ მეტყობა?

— მაგაზედ ნუღარასა მკითხავ, ულრიკა, — მიუგო ცედ-  
რიკმა მწუხარებითა და ზიზლით: — შენს სახეში ისეთი მსგავსე-  
ბაა, რომ ასე მგონია ტორკვილი ამდგარა და ეშმაკს სული ჩა-  
უბერია-მეთქი მის გაცივებულს სხეულში.

— დაე აგრე იყოს! მაგრამ ამ სახეს სიამოვნება მაშინ და-  
ეტყო, როდესაც ფრონ დე ბეფის და იმის შვილის რეჯინალ-  
დის შორის ძძულვარება ჩამოვაგდე! ჯოჯოხეთის წყვილიაღმა-  
უნდა დაჰფაროს იგი, რაც ამას მოჰყვა, მაგრამ შურისძიება  
ახდის ფარდას და ისეთს საშინელს საზიზღროებას გამოაჩენს,  
რომლის გამოც თვით მკვდრებიც კი წამოდგებიან საფლავიდან.  
მტრობის ცეცხლი დიდ ხანს ღვიოდა მამა-შვილს შორის და  
მეც ხელს ვუწყობდი ამ მტრობას; ბოლოს აღევჩნო ცეცხლი  
და ჩემი გამაჰუბატიურებელი ზედ სუფრაზედ შეიქმნა მსხვერპ-  
ლი თავისის შვილისა... აი ასეთი საიდუმლოებანი იმალებიან ამ  
კედელთა შორის! — დანიგერით, წყეულო კედელნო, — განაგრ-  
ძო ულრიკამ, — და ქვეშ მოიტანეთ ყველა მოწამენი ამ საზი-  
ზღარის საიდუმლოებისა.

— მერე, უბედურო ქმნილებავ, შენ რაღა მოგივიდა შე-  
ნი შეურაცხყოფელის სიკვილს შემდეგ?

— შენ თვითონ უნდა მიხვდე! აქა... აქა ვცხოვრობდი მე,  
ვიდრე უდროვო სიბერემ თავისი დალი არ დამასვა. სადაც წი-  
ნად მბრძანებელი ვიყავ, იქ საზიზღარი და შეურაცხყოფილი  
მონა შევიქენ; მე გულში დავიმარხე შურისძიება და მხოლოდ  
მტარვალთა წყევლა-კრულვით ვიფონებდი გულს.

— ულრიკა, — უთხრა ცედრიკმა: — რაკი მაგისთანა გულის  
პატრონი ხარ, როგორ ბედავ და როგორ ეკარები იმ კაცს,  
რომელსაც ასეთი ტანისამოსი აცვია? თვით წმ. ელუარდიც  
რომ განხორციელდეს, ისიც კი ვერას გიშველის. იგი მხოლოდ  
სხეულის წყლულსა ჰკურნავდა, მაგრამ სულიერი კეთროვნების  
განკურნება კი მხოლოდ ღმერთს შეუძლიან.



— პირს ნუ მარიდებ, უბედურების სასტიკად გამკიცხველო! — შესძახა უღრიკამ: — თუ შეგიძლიან, ამიხსენ, რითი გათავდება ეს ახალი წინაგრძნობა, რომლისგანაც გული მიკენესის? რისთვის ნიკხოველდებიან წარსულთა დროთა საშინელი საქმენი? რა ბედი მოელის სიკვდილს შემდეგ იმას, ვისაც ამ ქვეყნად უბედურება არგუნა წილად? როგორ ავიტანო ის საშინელი წინაგრძნობანი, რომელნიც არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ მაძლევენ.

— მე მოძღვარი არა ვარ, — უთხრა ცედრიკმა და პირი მოაჩიდა: — მე მოძღვარი არა ვარ, თუმცა ბერული ტანისამოსი კი მაცივა.

— ბერი ხარ თუ ერის კაცო, შენ მაინც ერთადერთი კაცი შემხვდი ამ ოცი წლის განმავლობაში, რომელსაც ღვთისა გეშინიან და კაცს პატივსაც სცემ; ნუ თუ შენ მე განწირულეზამდინ მიმიყვან?

— გირჩევ, მოინანიო; ილოცე და ცოდვები გეპატივება! მაგრამ მე... მე აღარ შემძლიან შენთან დარჩენა.

— ერთს წამსაც დარჩი! — შესთხოვა უღრიკამ: — ასეთს მდგრძმარეობაში ნუ დამტოვებ, მამი-ჩემის მეგობრის შვილო! ნუ მისცემ ნებას ეშმაკს, რომელიც მფლობელი იყო მთელის ჩემის სიცოცხლისა, რომ კვალად აღაფხნოს ჩემს გულში შურის ძიების ცეცხლი შენის გულქვაობის გამოჯაერებით. ნუ თუ გგონია, რომ ფრონ დე ბეფუ ცოცხალს-ღა გაგიშვებს აქედან, თუ მაგ ტანისამოსით გნახავს თავისს ციხე-დარბაზში? შენ იგი ისეთის თვალით გიყურებს, როგორც ქორი თავისს მსხვერპლს.

— დაე აგრე იყოს, — მიუგო ცედრიკმა: — დაე დამგლიჯოს მან თავისის ნისკარტითა და პრჰყალებით, მაგრამ ჩემი ენა კი ისეთს სიტყვას არ წარმოსთქვამს, რაც გულს არ უნდა. მე მოკვედები ისე, როგორც ნამდვილი საქსი და ჩემს სიტყვას და მოქმედებას არ ვულალატებ. გთხოვ, გამშორდე და აღარ მომეკარო, ფრონ დე ბეფის სახე ისე არ შემძულდება, როგორც შენი საზიზღარი და ცოდვით შემწიკვლული სახე.

— დაე შეგზიზღდეს!—უთხრა ულრიკამ და აღარ დაიკირა:—წადი შენს გზაზე და დაივიწყე, რომ ის ქალი, რომელიც ეხლა შენ გელაპარაკება, ასულია შენის მეგობრისა. წადი შენს გზაზე! თუ ჩემმა უბედურებამ კაცობრიობას დამაშორა და მაშორებს იმათაც, რომელთაც უნდა ეშველათ ჩემთვის, მაშინ მარტო მე თვითონ დავასრულებ შურის-ძიების საქმეს! ვიცი ამაში მე არავან დამენმარება, მაგრამ რასაც მოვახდენ, ყველანი გაიგებენ! მშვიდობით! შენმა მძულვარებამ გასწყვიტა უკანასკნელი გრეხილი, რომელიც მაერთებდა ჩემს ხალხთან იმ აზრით, რომ ჩემს მწუხარებას ჩემი ერი მაინც თანაგრძნობას აღმოუჩენდა.

— ულრიკა!—უთხრა ცედრიკმა ლმობიერად:—ნუ თუ იმისთვის დაიბადე და იმისათვის გამოიარე ამოდენა უბედურება და შეურაცხყოფა, რომ ბოლოს სასოწარკვეთილებას მიეცე და ცოდვათა მონანებაზედ არაფერი იფიქრო?

— ცედრიკო,—მიუგო ულრიკამ:—შენ სრულიად არა გცოდნია კაცის გული. ისე მოქმედება, როგორც მე ემოქმედებდი და ისე ფიქრი, როგორც მე ვფიქრობდი,—ყოველივე ეს ნაყოფი იყო ამოვნების უგუნურის წყურვილისა, შურის-ძიებისა და იმ უფლებისა, რომელიც ხელთ მეპყრა; ყოველივე ესენი ისეთი ძლიერი ამოვნებანი არიან კაცის გულისათვის, რომ გული მათ ვერც დაივიწყებს და ვერც უკან დაიბრუნებს. ეხლა ჩემზედ მათ ძალა აღარა აქვთ; სიბერეს ამოვნებისა აღარა გაეგება-რა, უძლურებას არაფერზედ აღარა აქვს გავლენა, თვით შურის ძიებაც კი მხოლოდ წყველა-კრულვაში იხატება. ეხლა სვინილისი იდვიძებს ჩემს გულში და მასთან ერთად იღვიძებს უნაყოფო მწუხარება წარსულზედ და განწირულება მომავალზედ. როდესაც ბოლო ედება ყველა ძლიერს სურვილს, მაშინ ჩვენ ვემსგავსებით ჯოჯოხეთის სულთ, რომელნიც მხოლოდ სვინილისის ქეჯნასა გრძნობენ და არა სინანულსა, მაგრამ შენმა ჰიტყვებმა ახალი სული შთამბერეს; შენ მართალი სთქვი, რომ ყველაფერი შესაძლებელია იმისთვის, ვისაც სიკვდილისა არ ეშინიანო! შენ მე საშუალება მასწავლე შურის-ძიებისა

და დარწმუნებული იყავ, რომ ამ საშუალებას კარგად მოვიხმარებ. ეს გრძნობა დიდი ხანია იბრძოდა აფორიაქებულს ჩემს გულში სხვა მის საწინააღმდეგო გრძნობებთან ერთად. ამ დღიდან ეს გრძნობა სრულიად შეიპყრობს ჩემს გულს და შენ თვითონ იტყვი, რომ როგორც უნდა ყოფილიყო ულორიკას ცხოვრება, იგი მაინც ისე მოკვდა, როგორც შეშვენოდა კეთილშობილ ტორკვილის ქალსაო. იქ, გარედ, რამდენიმე მამაცნი შეკრებილან და ამ დაწყვეტილ ციხე-დარბაზის აღებას აპირობენ, გასწი შენცა და იმათ მიეშველე. როდესაც აღმოსავლეთისკენ კოშკზედ წითელი დროშა დაინახო გაფრიალებული, უფრო გაბედვით დაესხით თავს ნორმანებს; მათ შიგ ციხე-დარბაზშიაც ბევრ საქმეს გავუჩენ; მაშინ ადვილად შესძლებთ კედლებზედ გადმოსვლას. გვედრებით მალე წახვიდე. შენ შენი ჭოვალეობა შეასრულე და ჩემი მოვალეობისა მე ვიცი.

ცედრიკს უნდოდა დაწვრილებით გამოეკითხა ასე ბუნდად გამოთქმული განზრახვა, მაგრამ ამ დროს ფრონ დე ბეფის ხმა მოისმა.

— რას აკეთებს მად ეგ ზარმაცი ბერი? ღმერთს ვფიცავ, ცოცხალს არ გავუშვებ, თუ ეგ აქ საღალატოდ შემოსულა.

— საბრალო სვინიდისი ნამდვილი წინასწარმეტყველია, — უთხრა ულორიკამ: — მაგრამ ნუ გეშინიან, წადი შენს თანამემამულეებთან და გაამხნევე საქსონურის ყიჟინით; ამათ კი დაე, რაც უნდათ, ის იმღერონ, მათ ბანს ჩემი შურისძიება მისცემს.

ესა სთქვა და ულორიკა იღუმლად გავიდა სხვა კარებიდან, ფრონ დე ბეფი კი ოთახში შემოვიდა. ცედრიკმა ბარონს ოდნავ დაუკრა თავი.

— პატიმრებს აღსარება ათქმევინე? სასიკვდილოდ მოამზადე?

— იგინი უკვე მზად იყვნენ, — მიუგო ცედრიკმა ფრანგულად, — რადგანაც გაეგოთ, ვის ხელშიაც იყვნენ ჩაცვივნილნი და სიცოცხლის იმედი გადაეწყვიტათ.

— ეს რა ამბავია, ბერო, შენი ლაპარაკის კილო ნამდვილი საქსონური კილოა, — შენიშნა ფრონ დე ბეფმა.

— იმისთვის რომ მე წმინდა ვიტოლდ ბურტონელის მონასტერში გავიზარდე, — მიუგო ცედრიკმა.

— უმჯობესი იქნებოდა ნორმანად დაბადებულიყავ, — უთხრა ბარონმა, — ეს ეხლა ჩემთვისაც არ იქნებოდა ურიგო. მაგრამ რა გაეწყობა, გაკვირვების დროს ზოგჯერ ანაფორაც გამოდგება ხოლმე. მოვა კი დრო, როდესაც საქსს ანაფორაც ისევე ვერ დაიფარავს, როგორც ჩაჩქანი.

— ყველაფერი ღვთის ნებაა! — უთხრა ცედრიკმა სიბრაზისაგან აკანკალებულის ხმით და ფრონ დე ბეფს კი ეგონა შეეშინდაო.

— შენ ნურაფრისა ნუ გეშინიან, ბერო! შენ შეგიძლიან ერთი სამსახური გამიწიო და დარწმუნებული იყავ შენს სიცოცხლეს ხელს ვერავინ შეახებს.

— აბა შემატყობინეთ თქვენი განზრახვა, — უთხრა ცედრიკმა, — და, თუ შევიძლებ, რატომ.

— უკან გამოძეე და მე გაგაპარებ ამ ციხე-დარბაზიდან.

ბარონი წინ გაუძღვა ბერს და გზა-და-გზა ყველაფერი უთხრა.

— აი ხომ ხედავ ამ საქსონელს ღორებს, რომელნიც ამ ციხე-დარბაზს გარედან შემოერტყნენ. ვინძლო ეცადო, რომ იგინი ოც და ოთხი საათის განმავლობაში ამ ციხესთან დააბანდო. სინამ კი შენ ეს ქალღღიწია... მაგრამ მოიცა: კითხვა იცი, ბატონო მოძღვარო?

— არც იოტის ოდენა, — მიუგო ცედრიკმა, — გარდა ჩემის ლოცვანისა. მე მხოლოდ წირვა-ლოცვა ვიცი ზეპირად და სხვა არაფერი.

— ამაზედ უკეთესს კაცს ვეღარ ვიშოვნო, — სთქვა, ბარონმა თავისს გულში. — ეს წერილი ფილიპე დე მოლგოაზენის ციხე-დარბაზში წაიღე; უთხარი, რომ ეს ბრიან დე ბოა გილბერისაგან დაწერილი წერილი რაც შეიძლება მალე გაგზავნოს იორკში. ჩვენი დარდი ნუ ექნება — და ვიდრე მოგვეშველებით, ციხე-დარბაზში ვიქნებით გამაგრებულნი-თქო... სირცხვილიც იქნებაოდა ჩვენთვის, რომ ამ მაწანწალა ხალხისა შეგვეშინებოდა,

იგინი ჩვენი ცხენების ფეხის ხმაზედ და ღროშის დანახვაზედ მაშინვე გაიქცევიან ხოლმე. გიმეორებ, ბერო, ყოველი ღონის-ძიება იხმარე ეს ხალხი იქამდინ დააბანლო აქა, ვიდრე ჩვენი მეგობრები მოგვეშველებოდნენ. ჩემს გრძნობას შურის-ძიებისას არა სძინავს; იგი ქორია, რომელსაც მხოლოდ მაშინ ჩასთვლემს, როდესაც მსხვერპლს კლანჭებში მოიგდებს ხოლმე.

— გეფიცები მთლად ინგლისის წმინდანებს, — უთხრა ცედრიკმა, — რომ თქვენს ბრძანებას დაუყოვნებლივ შევასრულებ. ყოველის ღონის-ძიებით ვეცდები, რომ არც ერთი საქსი არ მოშორდეს ამ კედლებს.

— ოჰო! — უთხრა ფრონ დე ბეფმა, — შენ როგორღაც სხვა კილოზედ ლაპარაკობ, ბერო. შენ ისე მოკლედ და გაბედვით ლაპარაკობ, თითქო მთლად საქსების დაღუპვა გინდოდეს, თუმცა შენც იმ ღორებთაგანი კი ხარ.

ცედრიკს მეტი რა ღონე ჰქონდა, რომ არ მოეთმინა თავის თანამემამულეთა შეურაცხყოფა. მხოლოდ ის კი უთხრა, რომ საქსებს ღმერთი არა სწამოა.

— სრულიად მართალს ამბობ, — მიუგო ფრონ დე ბეფმა. — შენ როგორც სასულიერო პირი, იმათ ჯავრის ამოყრას უნდა ცდილობდე, რადგანაც იგინი საეკლესიო მამულებს არ ინდობენ ხოლმე გასაძარცვად.

ფრონ დე ბეფმა ცედრიკი კარებთან მიიყვანა და თხრილზედ გადაიყვანა. როდესაც გზაზედ დააყენა ბარონმა უთხრა ტყუილს ბერს:

— თუ შენ ჩემს ბრძანებას აასრულებ, შევიძლიან უკან დაბრუნდე და იმდენს ღვინოს მიიღებ ჩემგან, რომ არამც თუ დათვრები, მთლად შენს მონასტერსაც წალეკავ.

— დავბრუნდები, უსათუოდ დავბრუნდები, — მიუგო ცედრიკმა.

— აი ჯერ-ჯერობით ეს მიიღე საჩუქრად, — უთხრა ფრონ დე ბეფმა და ოქროს ფული მისცა: — იცოდე, თუ ჩემს ბრძანებას არ აასრულებ, ანაფორასთან ერთად ტყავსაც გაგაძრობ.

— გამაძერ, თუ შენი ბრძანება არ აეასრულო, — მიუგო ცედრიკმა და საჩქაროდ გაშორდა. ცოტა მანძილი რომ გაიარა,

იგი მიბრუნდა ციხე-დარბაზისკენ, ოქროს ფული უკან ესროლა ფრონ დე ბეფს და დაუძახა:—მზაკვარო ნორმანო, დაე შენი ფულიც შენთან ერთად დაიღუპოს!

ბარონმა ვერ გაიგო უკანასკნელი სიტყვები, მაგრამ ბერის მოძრაობა კი საეჭვოდ დაინახა.

— მეწვილდ-ისრეე!—დაუძახა მან:—იმ ბერს ჩქარა ისარი ესროლე. მაგრამ მოიცა! იგი ჩვენს ღალატს ვერ გაჰბედავს, ამისათვის რომ მძევლად საქსონელები მყვანან.

ბარონმა უბრძანა მოსამსახურეს დარბაზში ღვინო შეეტანა და ცედრიკი და ატელსტენიც იქ მიეყვანა. მოსამსახურეებმ მისი ბრძანება შეასრულა და როდესაც ბარონი დარბაზში შევიდა, ღვინოცა და ხსენებული პატიმრებიც იქ დახვდნენ. პატიმრებს ყარაულად ოთხი საქურვლის მტირთველი ჰყავდა.

ვამბას თვალეზზედ ქული ჩამოეფხატა და რადგანაც ფრონ დე ბეფი ცედრიკს არ იცნობდა, ამისათვის ვერც იცნო იგი, მით უმეტეს, რომ დარბაზში ცოტა არ იყოს კიდევ ბნელოდა.

— აბა მამაცნო ინგლისელნო,—უთხრა ფრონ დე ბეფმა:— როგორ მოგწონთ ჩვენი მასპინძლობა? მოიგონეთ, რა უზრდელად მოექცით პრინც იოანეს მასპინძლობას. თუ საკმაო გამოსასყიდელ ფულს არ გადაიხდით, მაშინ ფანჯრებიდან თავდაყირა გადაგკიდებთ და იქამდინ ეკიდებით, ვიდრე ყვავ-ყორნები მთლად სხეულს არ დაგიკორტნიან. სთქვი საქსონელო ძაღლო, რამდენს გამოსასყიდელს ფულს გადაიხდი?

— ჩემს გამოსასყიდლად არც ერთს გროშს არ მოგცემ,—უთხრა ვამბამ.—თუ თავდაყირა დამკიდებთ, კარგს იზამთ, ჩემს გოგრაში ცოტაოდენი ჭკუა მაინც ჩადგება.

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ!—დაიყვირა ფრონ დე ბეფმა, ხუშარას თავიდან ცედრიკის ქული მოხადა და დაინახა, რომ კისერზედ ზონის უღელი ჰქონდა გაკეთებული.

— ჯაილსო, კლემენტო, ძაღლო მონებო!—დაიყვირა ვამბამ:—ესენი აქ ვინ მოიყვანეთ?

— მე შემოდლიან პასუხი მოგცე,—უთხრა ამ დროს ოთახში შემოსულმა დე ბრასიმ:—ეს ის ცედრიკის ხუშარაა, რომელიც იორკელს ისაკს ასპარეზობაში ეჩხუბებოდა.

— მე ამას ურიასთან ერთად ჩამოვიკიდებ, თუ რომ ამის ბატონმა ბლომა ფულით არ გამოისყიდა. ამ ღორებს ფულის მეტს რას გამოვრჩები. წადით, — დაუძახა მან მოსამსახურეებს, — და ნამდვილი ცედრიკი ეხლავე აქ მომგვარეთ.

— ის ალბად ბერის ტანისამოსით გაიპარა ციხე-დარბაზიდან, — უთხრა ღე ბრასიმ.

— წყეულები! — დაიყვირა ფრონ ღე ბეფმა: — ის თუ იყრა ცედრიკი, რომელიც მე ციხე-დარბაზის კარებს გავაცილე! მაგრამ შენ ეი, ხუმარავ, თუმცა ჰკვიანები მოგვატყუე, მაგრამ პასუხსაც შენ გამცემ! ეხლავე გააძრეთ თავის კანი და კედლების იქით გადაავდეთ. შენი ხელობა ხომ ხუმრობაა: აბა ეხლაც იხუპ მრე, თუ შეგიძლიან! რას იტყვი ამაზედ?

— მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ძლიერ მოწყალედ მექცევით, — მიუგო ვამბამ, რომელსაც სიკვდილის მოლოდინიც კი ვერ უშლიდა ხუმრობას: — თავზედ რომ წითელს ქუდსა მხურამ, ამით ხომ მე უბრალო ბერს კარდინალობას მაძლევთ.

— საწყალი, სიკვდილის წინადაც კი ხუმრობს, — სთქვა ღე ბრასიმ. — ფრონ ღე ბეფ, შენ ეს არც კი უნდა მოაკვლევინო. თუ შეიძლება, მე მომეცი ჩემი რაზმის გასართობად. — რას იტყვი, ხუმარავ? გინდა თუ არა სიცოცხლე და ჩემთან ერთად ომებში სიარული?

— რატომ, თუ კი ჩემი ბატონი ამის ნებას მომცემს, — უთხრა ვამბამ: — რომ თუ ის თანახმა არ იქნება, კისრიდან მე ამ რკალს ვკრ მოვიშორებ.

— ნუ თუ სხვა საქმე არა გაქვს, ღე ბრასი, რომ ამ სულელის ყბედობას უგდებ ყურსა და იმაზედ კი არას ფიქრობ, რომ ჩვენი სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია? — უთხრა ფრონ ღე ბეფმა: — შენ ხომ ხელავ მოგვატყუეს და ჩვენი წერილი ამ სულელის წყალობით არ მიუვათ ჩვენს მეგობრებს. განა მტრის თავზედ დასხმას ყოველს წამს არ უნდა მოველოდეთ?

— მაშუ წავიდეთ ჩქარა ციხის კედლებზედ! — მიუგო ღე ბრასიმ: — ომის მოლოდინით როდის გინახევარ დაღონებული დაუძახებთ ტაძრის რაინდს და უთხარით, რომ თუ აქამდინ თა-



ვის ორდენის პატიოსნების დასაცველად იბრძოდა, ეხლა თავის თავისათვისაც იბრძოლოს. შენც შენი ახოვანის ტანით დაენახვე მტერს კედლებიდან. გარწმუნებ, საქსონელი მაწანწა-ლანი უფრო ადვილად შეიძლებენ ღრუბლებთან ასვლას, ვიდრე აქ შემოსვლას. აბა, საქსო, ერთი ყელი გაისველე, — უთხრა მან ატელსტენს და ღვინით საესე თასი მიაწოდა: — გაისველე ყელი და მითხარი, რას აპირობ შენის თავის გამოსახსნელად?

— ყველაფერს, რაც კი კაცის ხელთ არის, — მიუგო ატელსტენმა: — მე დარწმუნებული ვარ, რომ ცედრიკი ყოველს ღონისძიებას იხმარებს ჩვენი განთავისუფლებისათვის. ჩემის მხრით ათას მარკას მოგცემთ.

— ეგ ფული მარტო შენთვის იქნება და არა ისაკისათვისაც, — უთხრა ფრონ დე ბეფმა.

— არც იმის ქალისათვის, — დაუმატა ამ დროს შემოსულმა ტაძრის რაინდმა.

— არც ქალბატონ როენასთვის, — უთხრა დე ბრასიმ.

— არც ხუმარასთვინ, — დაუმატა ფრონ დე ბეფმა: — რომელიც სამაგალითოდ უნდა დავსაჯო.

— ქალბატონი როენა, — სთქვა დაბეჯითებით ატელსტენმა: — ჩემი დანიშნულია, მე ჩემ ნაწილ-ნაწილად აკუწვის ნებას კი მოგცემთ და იმას კი არავის დაგანებებთ. ვამბამაც დღეს ჩემი მამობილი ცედრიკი გადაარჩინა, ამისათვის მოგკვდები და არც იმას გახლებინებთ ხელს.

— შენი დანიშნულია? ქალბატონი როენა შენისთანა ვასკლის დანიშნულია? — შეჰყვირა დე ბრასიმ: — ხომ არ ბოდავ? ანუ ეელი პრინცები თავიანთს გაზდილს ქალს შენისთანა ჩამომავლობის კაცზედ არ გაათხოვებენ.

— ჩემი ჩამომავლობა, ნორმანო, — მიუგო საქსმა, — ბევრით უკეთესია იმ ფრანკის ჩამომავლობაზედ, რომელიც ყაჩაღობით იძენს სარჩოს. ჩემი წინაპარნი ძლიერნი მეფენი იყვნენ. მათს საფლავებზედ უდიდესი ტაძრებია აშენებული.

— ხედავ, დე ბრასი, — უთხრა ფრონ დე ბეფმა: — საქსი რას გვეუბნება.

— რა ვუყოთ, — მიუგო დე ბრასიმ, ვითომდა გულგრილად: — ეისაც ხელები შეკრული აქვს, იმას ენა გრძელი უნდა ჰქონდეს. მაგრამ შენი მკვერ-მეტყველება, მეგობარო, — მიუბრუნდა ატელსტენს: — როენას ვერ გაანთავისუფლებს.

ამ დროს მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა, რომ ერთი ვილაც ბერი ციხე-დარბაზში შემოსვლას თხოულობსო.

— უსათუოდ ისიც მატყუარა იქნება, — სთქვა ფრონ დე ბეფმა.

— არა, ამბროსი ბერია, ჩვენ ყველანი ვიცნობთ კარგად იმას, — მიუგო მოსამსახურემ: — ჟორჯოს მონასტრის წინამძღვართან მსახურობს.

ოთახიდან საქონელი ტყვეები წაიყვანეს და ამბროსი ბერი შემოიყვანეს. იგი ძლიერ შეშინებულსა ჰგავდა.

— ღვთის-მშობელო დედაო! — ღაღად-ჰყო ბერმა: — ძლიერ უშიშარს ადგილას არ მოვალწიე. იცოდეთ, მამაცნო რაინდნო, რომ რამდენსამე სათოკეს შიში ღვთისა და თავყანის-ცემა ეკლესიისა დაუვიწყიათ...

— სთქვი დროითა, — გააწყვეტინა სიტყვა ტაძრის რაინდმა: — შენი წინამძღვარი ტყვედ ხომ არ დაიჭირეს?

— დიად, ამ ტყვების ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში.

— აი კიდევ ახალი დარდი! — სთქვა ფრონ დე ბეფმა: — იმის მაგივრად, რომ წინამძღვარს ჩვენთვის ეშველა, ეხლა თვით იმას ეჭირვება შველა. გვითხარი, ბერო, რას თხოულობს ჩვენგან შენი წინამძღვარი?

— იგი თხოულობს, რომ ან ფულით გამოისყიდოთ და ან იარაღით გამოიხსნათ.

— ეშმაკსაც წაუღია შენი წინამძღვრის თავი! — შეჰყვირა ფრონ დე ბეფმა, — საიდან მოუვიდა ფიქრად, რომ მე, ნორმანელმა რაინდმა, გამოვიხსნა ის ბერი, რომელსაც ჩემზედ ათჯერ უფრო ბევრი ფული აქვს. ჩვენ თვითონ ყოველს წამს ველით მტრის თავზედ დასხმას.

— დიად, დიად, — სთქვა ბერმა: — იგინი უკვე ემზადებიან ციხე-დარბაზის ასაღებად.

ამას შემდეგ რაინდები საჩქაროდ შეუდგნენ საქმეს. ფრონ დე ბეფმა განკარგულება მოახდინა, რომ ზეთი და ფისი მოედლებიანთ მტრის თავზედ გადხსასხმელად. თავისის დროშის გაშლაც უბრძანა.

— ჩვენს ორდენსა ვფიცავ, — სთქვა ტაძრის რაინდმა, როდესაც კედლიდან მტერი დაათვალიერა: — ისინი ისე ხერხიანად მოდიან ჩვენსკენ, რომ ამას თავისს დღეში ვერ მოვიფიქრებდი. მე მგონია, იმათ გამოცდილი რაინდი უნდა ჰყავდეთ წინამძღვრად.

— მე ვიცნობ იმას: ეს ის რაინდია, რომელსაც ჩვენ „შავი ზარმაცი“ დავარქვით, — სთქვა დე ბრასიმ: — სწორედ ის, რომელმაც აშშში ფრონ დე ბეფი ცხენიდან გადმოაგდო.

— უფრო კარგი, — შესძახა ფრონ დე ბეფმა: — იგი სამაგიეროს მისაღებად მოსულა აქა. ის ერთი ვიღაც მაწანწალა უნდა იყვეს, თორემ საჩუქრის მისაღებად გამოცხადდებოდა ასპარეზობის დროს. მე ძალიან მიხარიან, რომ იგი ეხლს ყაჩაღებთან არის და ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობს.

რაინდებმა ლაპარაკი გასწყვიტეს და საქმეს შეუდგნენ. ყველა რაინდმა თავ-თავის ადგილი დაიჭირა. მაგრამ ჯარი ისე ცოტა ჰყავდათ, რომ ციხის ყველა კედლების დაცვას ვერ შეძლებდნენ; მაინცა და მაინც გადასწყვიტეს მტერს უომრად არ დამორჩილებოდნენ.

### თავი მეთექვსმეტი

ამ მარად მოსიარულე ხალხს თუშტა სხვა ხალხთან ერთობა არა აქვს, მაგრამ არც კავშირი აქვს გაწყვეტილი; იმან იცის ზღვისა, ტყეებისა და მინდორთა საუნჯეთა საიდუმლოებანი; ამ ხალხის ხელში უბრალო ბაღახი და ყუაველი ისეთს ძალას იჩენს, რომელიც სხვა ხალხს ძილშიაც არ მოსიზმრებია.

მალტიელი ებრაელი.

ჩვენი მოთხრობა რომ უფრო გასაგები იყოს, საჭიროა გავიხსენოთ ის დრო, როდესაც აივენგო დაჭრილობის გამო

ძირს დაეცა და ყურადღება კი არაფერს ათხოვა. მხოლოდ რბეკამ არ დასტოვა იგი და სთხოვა თავისს მამას დაქრილი რაინდი გადაეყვანათ აშშში და იმ სახლში დაეწვინათ, სადაც იმ დროს ებრაელები ცხოვრობდნენ.

სხვა დროს ამაზედ ადვილად დაიყაბულებდა ისაკს კაცი, რადგანაც ბუნებით კაცთ-მოყვარე კაცი იყო და ამაგის დახლომებაც იცოდა, მაგრამ ამასთან იგი მშიშარა და ცრუ-მორწმუნეც იყო და მათს დათრგუნვას ადვილად ვერ მოახერხებდა.

— გული სასხლით მევსება, როდესაც ამ საბრალო ჭაბუკს ვუყურებ,—ამბობდა ისაკი,—მაგრამ როგორ გადავიყვანოთ იგი ჩვენს სახლში? გიფიქრია ამაზედ, ჩემო ქალო? იგი ქრისტიანია და ჩვენი რჯული კი სხვა რჯულის ხალხთან ერთობას გვიშლის, რასაკვირველია, თუ სავაქრო საქმე არა გვაქვს-რა.

— მაგას ნუ ამბობ, ჩემო კეთილო მამა,—მიუგო რბეკამ:—რჯული იმათთან მხოლოდ დროს გატარებას და ჰურის ჭამას გვიშლის, უბედურებაში და ავადმყოფობაში კი წარმართნიც ებრაელების ძმები არიან.

— ნეტავი რაბინი იაკობი ამაზედ რას ფიქრობს. მაგრამ კარგი არ იქნება, თუ ეს კეთილი ჭაბუკი სასხლისგან დაიკლებს. უთხარი სიუსა და რუბიმს, რომ იგი აშშში წაიყვანონ.

— არა, უმჯობესია ჩემს ტრახტრევანდში ჩასვან, —უთხრა რბეკამ,—მე კი ერთს რომელსაჲმე ცხენზედ შევჯდები და ისე წამოვალ.

— რომ ურცხვმა რაინდებმა და იმათმა საქურვლის მტირთველებმა დაგინახონ?—წაიბუტბუტა ისაკმა. მაგრამ რბეკამ მაშინვე შეასრულა თავისი განზრახვა და ყური არ ათხოვა ისაკის სიტყვებს, ვიდრე მან წამოსასხამზედ არ წაავლო ხელი და მღელღეარებით არ უთხრა:

— მაგას რას შერები! ეგ ყმაწვილი რომ ჩვენს სახლში მოკვდეს, ქრისტიანები ჩვენ დაგვაბრალებენ და მთლად ამოგვწყვეტენ.

— არ მოკვდება, მამა,—მიუგო რბეკამ და წამოსასხამი გააშვებინა ხელიდან,—არ მოკვდება, თუ მარტო არ დავტო-

ვებთ. მაგრამ, თუ უნუგეშოდ გავუშვებთ, მაშინ იმის ცოდო ჩვენ მოგვეკითხება ღეთისა და ხალხის წინაშე.

— არა, — უთხრა ისაკმა: — მისი მარტო გაშვება არ შეიძლება, ყოველ იმის სისხლის წვეთზედ მეც გული სისხლით მევსება. მოიქეც ისე, როგორც შენმა ჭკუამ გაგიჭრას, ჩემო კეთილო და ჩემო სიხარულო შეილო.

ტყუილად არა შიშობდა ისაკი: მშვენიერს რებეკას გზაზედ ორჯელ-სამჯერ დაეწია ბრიან დე ბოა გილბერი და ურცხვად დაუწყოა ცქერა. რა შედეგი მოჰყვა ამას, ეს მკითხველმა უკვე იცის, როდესაც რებეკა რაინდს ჩაუფარდა ხელში.

რებეკამ აივენგო თავის დროებით დაჭერილს სახლში და აწვინა, ჭრილობა გაუსინჯა და შეუხვია. მკითხველს ეცოდინება, რომ უწინდელს დროში დედაკაცები ექიმობდნენ. ეს მეცნიერება განსაკუთრებით უფრო ებრაელებმა იცოდნენ, ქალმაცა და კაცმაც. რებეკასაც ერთი ებრაელი დედაკაცისაგანა ჰქონდა ექიმობა ნასწავლი და ისე დახელოვნებული იყო ამასში, რომ არავის არ უდრიდნენ. ისაკი პატივს სცემდა თავის ქალის ასეთს ნიჭს და თავისუფლებას აძლევდა, ხშირად რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე.

აივენგო ჯერ კიდევ უგრძობლად იწვა. რებეკამ გაუსინჯა ჭრილობა და წამალი დაადო. მერე უთხრა მამას, რომ თუ ამაღამ ანთებას გადავარჩინე, ხვალ აღარაფერი უშავს და შეიძლება იორკშიაც გადავიყვანოთო. ამის გაგონებაზედ ისაკს ფერი წაუფიდა. იმას აივენგო აშბში უნდოდა დაეტოვებინა და თვითონ კი იორკში წასულიყო. მაგრამ რებეკა ამაზედ არ დეთანხმა და ორი ისეთი მტკიცე საბუთი უთხრა, რომელთაც ძლიერ იმოქმედეს ისაკზედ. პირველი საბუთი ის იყო, რომ რებეკა არას გზით არ ანდობდა თავისს წამალს სხვა ექიმს, რადგანაც ამით წამლის საიდუმლოება გამოაშკარავდებოდა; მეორე ისა, რომ დაჭრილი რაინდი ვილფრედ აივენგო პირველი საყვარელი კაცი იყო რიჩარდ ლომ-გულისა და თუ ეს მეფე კვალად დაბრუნდება თავისს სამეფოში, ისაკს, რომელმაც ფუფული ასესხა იმის ძმას იოანეს უკანონო განზრახვის შესასრუ-

ლებლად, ძლიერ დასჭირდებოდა დახმარება ისეთის კაცისა, რომელიც დაახლოვებული იქნებოდა რიჩარდთან.

— შენ ძლიერ გონივრულად ლაპარაკობ, რებეკა,— მიუგო ისაკმა: — მართალია, რა საიდუმლოებაც ზეცას ჩაუბარებია შენთვის, ის საიდუმლოება სხვას არ უნდა გააგებინო: შენი წამალიც ასეთივე საიდუმლოებაა. რაც შეეხება რიჩარდ-ლომგულს, რასაკვირველია, ხეირს არ დამაყრის, როდესაც გაიგებს, რომ მე იმის ძმას ფული ვასესხე იმის წინააღმდეგ სამოქმედებლად. აივენგო ამ დროს დიდს შემწეობას გამიწევს და განრიხსებულს მეფეს მოწყალე თვალით მოახედებს ჩემსკენ. ხოლო თუ არ დაბრუნდა იგი, აივენგო იმგვარადვე გადაგვიხდის ვალს, როგორც უკვე გარდაგვიხდა.

თითქმის დაბინდებული იყო, როცა აივენგო გონზედ მოვიდა. იგი ჯერ კიდევ ვერ გამოაკვეულიყო და ვერ მიხვედრილიყო, სად იყო და ვის სახლში იწვა. ბოლოს თავის საწოლის ფარდა გადასწია და დაინახა მდიდრულად მორთული ოთახი აღმოსავლეთურს გემოვნებაზედ. იმას ასე ეგონა, ძილის დროს პალესტინაში გადაუტანივართო. ეს ექვი მაშინ უფრო გაუცხოვლდა, როდესაც მეორე ოთახის ფარდა აიხადა და გამოჩნდა მდიდრულად მორთული ქალი, რომლის ტანისამოსიც უფრო აღმოსავლეთური იყო, ვიდრე ევროპული. ქალი ფეხ-აკრეფით შემოვიდა ოთახში და თან ორი მოსამსახურე შემოჰყვა.

დაჭრილს რაინდს რაღაცა უნდა ეთქვა მშვენიერის მოჩვენებისთვის, მაგრამ ქალმა ლაპარაკი აუკრძალა ვარდისფერ პატარა ტუჩებზედ ნაზი თითის დადებით, მოსამსახურე კი ავადმყოფთან მივიდა, შეხვეული გაუხსნა და ტურფა ებრაველმა ქალმა სიამოვნებით დაინახა, რომ ჭრილობა საშიში აღარ იყო. მან შედარულა თავისი მოვალეობა ისეთის მოხდენილის სინარჩანით, ისეთის ღირსებით საესე მზრუნველობით, რომ კაცი უფრო განათლებულს დროში იმასაც კი მიუტყვევბდა, რაიცა იმისს სქესს არ შეეშენოდა. კაცის გონებას ის კი არ იპყრობდა, რომ ასეთი ახალგაზდა ტურფა ქმნილება თავით უჯდა ახალგაზდა კაცს და ჭრილობას უხვევდა, არამედ ის, რომ

ეს კეთილშობილი ქმნილება ყოველს ღონისძიებას ხმარობდა შეემცირებინა ტანჯვა მოყვასისათვის და სიკვდილს გადაერჩინა. რებეკამ რამდენიმე დარიგება მისცა ებრაულად თავის ძველს მოსამსახურეს და ისიც დაემორჩილა.

რებეკას ხმას ისეთი რომანტიული, ისეთი გრძნეული ძალა ჰქონდა, რომელსაც რცენება მოჯადოებას დააბრალებს ხოლმე. მართალია, ეს ხმა აივენგოსათვის გაუგებარი იყო, მაგრამ ისეთი სინაზ-სინარჩარე და სიმშვიდე ისმოდა ამ ხმაში, რომ გულს სრულიად იმონავებდა. აივენგო დაემორჩილა ქალის ყოველს განკარგულებას, რაც კი საჭირო იყო იმის ჯანმრთელობისათვის და როდესაც ქრილობის შეხვევა გათავდა და ტურფა ექიმი ის-იყო უნდა წასულიყო, მან ველარ შეიმავრა ცნობის-მოყვარება. — მშვენიერო ქალო! — უთხრა აივენგომ არაბულად, რომელიც აღმოსავლეთში ყოფნის დროს ესწავლა და საჭიროდ სცნა ამ ენაზედ დალაპარაკებოდა აღმოსავლეთურად ჩაცმულს რებეკას, — გოხოვთ მოწყალება მოიღოთ...

მაგრამ ტურფა ექიმმა სიტყვა გააწყვეტინა და ერთს წამს რაღაც სიამოვნების ღიმილმა გაიკრიალა იმის შუბლზედ.

— ინგლისურად ილაპარაკეთ, ბატონო რაინდო, — უთხრა რებეკამ: — მე ინგლისში ვარ დაბადებული, თუმცა ტანისამოსი კი სხვა ქვეყნური მაცვია.

— კეთილშობილო ქალო... — დაიწყო კვალად რაინდმა და კვალად შეაყენა რებეკამ.

— კეთილშობილს ნუ მეძახით, ბატონო რაინდო, — უთხრა მან: — ეხლავე გაიგებთ, რომ ის, ვინც ეხლა შენ გვილის, არის უბრალო ებრაელი ქალი, ასული იორკელის ისაკისა, რომელსაც ამას წინად ძლიერ გულკეთილად მოექცეით. ისა და იმის სახლობა მოვალედ სთვლიან თავისს-თავს ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში დაგეხმარნენ.

არა მგონია მშვენიერი როენა კმაყოფილი დარჩენილიყო იმ მღელვარებით, რა მღელვარებითაც იმის ერთგული რაინდი უყურებდა ეხლა რებეკას მშვენიერს სახეს, მოხდენილს ტანს და ცეცხლის მფრქვეველს თვალებს, რომელთაც გარშემო გრძე-



ლი წამწმები უსხდა და მგოსანი შეადარებდა საღამოს ვარსკე-  
ლავს, გამომჭვირვალს იასამანის ბუჩქებიდან. მაგრამ აივენგო  
ისეთი მტკიცე კათოლიკე იყო, რომ ებრაელი ქალის შესახებ  
ასეთს გრძნობას გულში არ გაიტარებდა. ეს წინაღვე იგრძნო  
რებეკამ და ამისათვის შეატყობინა თავის მამის ვინაობა. მშვე-  
ნიერი და გონიერი ქალი ისაკისა მოკლებული არ იყო ქალღურს  
სისუსტეს და ამისათვის ვერ შეიმაგრა ოხვრა, როდესაც დაი-  
ნახა, რომ აივენგო ისეთის გრძნობითა და აღტაცებით აღარ  
უყურებდა მას, როგორც წინად, როდესაც არ იცოდა, ვისი ქა-  
ლი იყო იგი. არავის კი არ ეგონოს, რომ აივენგო სხვა თვა-  
ლით უყურებდა რებეკას, არა, იგი ისე უყურებდა მას, რო-  
გორც უყურებს ხოლმე ყოველი ქაბუკი მშვენიერებას. თუმცა  
ეს ასე იყო, მაგრამ რებეკა მაინც გულ-ნაკლულად დარჩა,  
რომ ერთმა სიტყვამ თლისმასაგეთ იმოქმედა აივენგოზედ და  
ისეთს ყურადღებას აღარ აქცევდა მას, როგორისაც ღირსი იქ-  
ნებოდა, თუ რომ ებრაელ ქალად არ დაბადებულყო.

მაგრამ მშვიდმა, კეთილის გულის რებეკამ არ გაჰკიცხა  
ამისათვის აივენგო და თავისი მზრუნველობა არ მოაკლო. მან  
შეატყობინა აივენგოს, რომ იორკში უნდა წავიდეთო და იქამ-  
დინ უნდა დაჰყო ჩვენს სახლში, ვიდრე სრულიად არ მორჩე-  
ბიო. აივენგო წინააღუდგა ამ განზრახვას და მიზეზად იმას  
ეუბნებოდა, რომ შეგაწუხებთო.

— ნუ თუ აშშში, ან ახლო-მახლო სადმე არ მოიპოვება  
ისეთი საქსონელი, რომელმაც მიმიღოს დაქრილი თანამემამუ-  
ლე, ვიდრე იარალის ასხმას შევიძლებდეთ? ნუ თუ არ არის საქ-  
სონელთა ისეთი ჰონასტერი, რომელმაც თავი შემთავარებინოს?

— რასაკვირველია, — უთხრა რებეკამ მეღანხოლურის ღი-  
მილით, — სულ უბრალო ქოხს უფრო ამოირჩევ საცხოვრებლად,  
ვიდრე დევნულ ებრაელის სახლს; მაგრამ, ბატონო რაინდო,  
თქვენ სადგომს ისე ვერ გამოიცვლით, რომ იმავე დროს ექი-  
მიც არ დასთმოთ. ჩვენმა ხალხმა, როგორც უკვე გეტყვინე-  
ბათ, კრილობათა წამლობა იცის, თუმცა დაქრა კი არა; გან-  
საკუთრებით უფრო ჩვენმა ოჯახმა იცის წამლობა, რომლის

უებრობაც უკვე თქვენს თავზედ გამოსცადეთ. უკაცრავად კი და ვერც ერთი ექიმი ბრიტანიისა ვერ შეიძლებს ერთს თვეზედ აღრე თქვენს მორჩენას, ისე რომ იარაღის ტარება შეგეძლოთ.

— შენ რაღა ხნის განმავლობაში მომარჩენ?—ჰკითხა მოუთმენლად აივენგომ.

— ერთს კვირაში, თუ მოთმინებას იქონიებ და ჩემს დარიგებას დამემორჩილებით.

— ლეთის-მშობელს გეფიცები, თუ რომ იმის ხსენება ამ სახლში ცოდვა არ არის, ესლა ისეთი დრო არ არის, რომ მე—ან სხვა ვინმე ჭეშმარიტი რაინდი—ლოგინში ვიწვე. თუ შენს პირობას შეასრულებ, ერთს ჩაფხუტს საესე ოქროს მოგცემთ, როგორც კი ვიშოვნო.

— მე ჩემს პირობას შევასრულებ და ამ დღიდან მერვე დღეს იარაღის ხმარებას ადვილად შეიძლებ, თუ ფულის მაგივრად ერთს სხვა საჩუქარს დამპირდებით, რომელსაც მე გეტყვით.

— თუ ეგ ჩემ ხელთ იქნება და ან საჩუქარი ისეთი იქნება, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი რაინდისათვის საძრახისი არ იქნება შენი რჯულის ქალს მისცეს იგი, დიდის სიამოვნებით და პატივის-ცემით შეგისრულებ თხოვნას.

— მე გთხოვ ამას იქით დარწმუნებული იყო, რომ ებრაელსაც შეუძლიან ქრისტიანს დაეხმაროს და არაერთარი საჩუქარი კი არ მიიღოს, გარდა შემოქმედის კურთხევისა, რომელმაც შექმნა ებრაელიცა და სხვა რჯულის ხალხიცა.

— ცოდოც იქნება ჩემთვის მაგაზედ ეჭვი შევიტანო, ტურფა ქალო,—მიუკო აივენგომ,—მე სრულიად ვერწმუნები შენს ექიმობას. მჯერა, რომ ერთი კვირის შემდეგ იარაღის ტარება შემიძლებ. ესლა, ჩემო საყვარელო ექიმო, მითხარი ახალი რამ ამბავი. რა მოუვიდა კეთილ-შობილ ცედრიკს და იმის ოჯახობას? რა მოუვიდა მშვენიერს ქალბატონს...—იგი შესდგა, თითქო ებრაელის სახლში როენას ხსენება ცოდო იქნებოდა:—მე იმ ქალზედ მოგახსენებთ, რომელიც ასპარეზობის დედოფლად იყო აღიარებული.

— და რომელიც თქვენ ამოირჩიეთ, ბატონო რაინდო?— მიუგო რებეკამ.

ვილფრედი გაწითლდა.

— აგრედვე მინდა გავიგო პრინცი იოანეს ამბავი, — უთხრა მან. — ნეტავი ჩემი ერთგული საჭურველის მტირთველი სადღა არის და ან რატომ ეხლა აქ არ არის?

— ნება მიბოძეთ ვისარგებლო ჩემის ექიმობის უფლებით, — მიუგო რებეკამ: — გთხოვთ ჩუმიად იყვეთ და გაიფანტოთ სამწუხარო ფიქრები, ვიდრე მე თვითონ არ გაგაგებინებთ ყველაფერს, რის გაგებაც გინდათ. პრინცმა იოანემ უეცრად დაუტევა ასპარეზობა და თავის ამალით, რაინდებით და სასულიერო პირებით იორკში წაიდა. წასვლის დროს არც ერთი შეძლებული ოჯახი არ დასტოვა, რომ ფული არ გამოერთვა და ამისათვის რა საშუალება გინდარომ არ იხმარა. ამბობენ, თავის ძმას სამეფო ტახტი უნდა წაართვასო.

— მხოლოდ უომრად კი ვერა, — უთხრა აივენგომ და ლოგინში წამოჯდა, — თუ რომ ერთი ჭეშმარიტი ქვეშევრდომი მაინც არის იქნება ინგლისში. მე თვითონ გავუშკლავდები მათს საუკეთესო რაინდებს რიჩარდის უფლების დასაცველად.

— ეგ მხოლოდ მაშინ, როდესაც ღონეზედ მოხვალ, — უთხრა რებეკამ და მხარზედ ხელი დაადო: — ეხლა კი უნდა გამიგონო და დამშვიდებული იყო.

— მართალია, კეთილო ქალო, მაგრამ მე იმდენად შემოძლიან დამშვიდებული ვიყო, რამდენადაც ეხლანდელი არეული დრო ნებას მომცემს. ცედრიკისა და იმის ოჯახობისა რაღა იცი?

— ამას წინად იმის კაცი მოვიდა მამა-ჩემთან და თავისი ბატონი ცედრიკისაგან ნასყიდს მატყლის ფულსა სთხოვდა. იმისგან გავიგე, რომ ცედრიკი და ატელსტენი უკმაყოფილოდ გამოსულიყვნენ პრინცი იოანეს მეჯლისიდან და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ.

— იმათთან ერთად ქალი ხომ არავინა ყოფილა მეჯლისში? — ჰკითხა ვილფრედმა.

— ქალბატონი როენა, — მოუგო რებეკამ გამორკვევით, — არ წასულიყო პრინცის მეჯლისში და, როგორც მოსამსახურემ მითხრა, ცედრიკი და ის ეხლა როტერფუდში აპრობენ წასვლას. რაც შეეხება შენს საქურვლის მტვირთველს გურტსა...

— როგორც გეტყობა, შენ ისა გცნობია? — უთხრა აივენგომ. — მაგრამ როგორ არ გეცნობება, რომ შენ იმისთვის ასი ოქროც გეჩუქებინა.

— მაგაზედ ნურას მეტყვი, — უთხრა რებეკამ და სრულიად გაწითლდა: — მე ვხედავ ენა რა ადვილად ამჟღავნებს იმას, რაც გულს უნდა დაფარული იყვეს.

— ჩემი პატიოსნება მოითხოვს, — უთხრა აივენგომ მედიდურად, — ეგ ფული მამა-შენს დავუბრუნო.

— რვა ღლის უკან, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი; ეხლა კი ნუ ილაპარაკებ და ნუ იფიქრებ იმაზედ, რაც შენს მორჩენას ავნებს.

— დაე ისე იყოს, როგორც შენ გინდა, კეთილო ქალო; ჩემის მხრით უმადურობა იქნება შენს ბრძანებას არ დავემორჩილო. მხოლოდ გურტზედ მითხარი რამე და პირობას გაძლევ, სხვას აღარასა გკითხავ.

— სამწუხაროდ, უნდა შეგატყობინო, ბატონო რაინდო, რომ ცედრიკის ბრძანებით გურტი დაუტუსაღებიათ. — მაგრამ როდესაც შენიშნა, რომ ამ ამბავმა ვილფრედი შეაწუხა, რებეკამ იმავ წამს დაუმატა: — მოსამსახურემ ისიც მითხრა, რომ ცედრიკი უსათუოდ აპატივებს დანაშაულს თავისს ერთგულს მონას და თუ არ აპატივებს, ერთგული ამხანაგები და განსაკუთრებით ვამბა უსათუოდ გააპარებნო.

— ღმერთმა ქნას მათ თავიანთი განზრახვა შეასრულონ! მაგრამ მე კი მგონია, ბედი ყველა იმათ სჯით, რომელნიც კი მე მემხრობიან. მეფე, რომელიც მოწყალე თვალით მიყურებდა, იძულებულია თავისს ძმას ებრძოლოს თავის სამეფო ტახტის დასაცველად; ჩემმა ერთმა შეხედვამ მწუხარება და უსიამოვნება მიაყენა ერთს საუკეთესო ქალს, ეხლა კიდევ გაბრაზებულს მამა-ჩემს შეუძლიან მიწასთან გაასწოროს ჩემი ერთგული გურა

ტი, რადგანაც მე იმას ვუყვარდი და ერთგულად მემსახურებოდა. ხედავ, კეთილო ქალო, რა უბედურს კაცსა შეველი: გონება მოიკრიბე და თავი დამანებე, ვიდრე ჩემის გულისათვის შენც რაიმე უბედურება არ დაგტყდომია თავს!

— სისუსტისა და ავადმყოფობის გამო ღვთის განგებაში ექვი ნუ შეგაქვს, ბატონო რაინდო. თქვენ დაბრუნდით თქვენს სამშობლოში მაშინ. სწორედ, როდესაც იმას ყველაზედ ძლიერ უჭირს ნამდვილი მამულიშვილის თავი, და დასთრგუნეთ ამპარტავნება თქვენის და თქვენის მეფის მტრებისა; ხოლო თქვენი ქრილობის მოსარჩენად, ღმერთმა მოგივლინათ ექიმი იმ ხალხიდან, რომელიც თქვენ ქრისტიანებს გეჯავრებათ და სდევნიოთ. მაშ გაიხსნება და გწამდეს, რომ ღმერთი შენ რამე დიდი საქმისათვის გიფარავს. მშვიდობით; დალიე წამალი, რომელსაც მე რუბიმის ხელით გამოგიგზავნი და ეცადე გული დაიშვილო ხვალისდელი მოგზაურობის ასატანად. — აივენგომ დაიჯერა რებეკას დარიგება, გამოგზავნილი წამალი დალია და იმ ღამეს კარგად ეძინა. მეორე დილას სიცხე სულ აღარა ჰქონდა და მგზავრობა მისთვის საშიში აღარ იყო.

მეორე დღეს დაჭრილი რაინდი ჩასვეს ტრახტრევანდში და გზას გაუდგნენ. ისაკს ძალიან ეშინოდა ყაჩაღებისა და ამისათვის გზა-გზა არ ისვენებდა. დაქირავებული კაცები აუყაყანდნენ ამაზედ და დასტოვეს იგი გზაში სწორედ მაშინ, როდესაც ამბავი მოვიდა, რომ ყაჩაღები ახლოს არიანო. ამ მდგომარეობაში ნახა ცედრიკმა ებრაელი ისაკი, მისი ქალი და დაჭრილი ავადმყოფი, რომელნიც, როგორც ვიცით, დე ბრასისა და იმის ამხანაგებს ტყვედ ჩაუვარდნენ ხელში. ტრახტრევანდს ჯერ არაეინ არ აქცევდა ყურადღებას, მერე კი დე ბრასი მივიდა და გასინჯა იგი, რადგანაც ეგონა, იმაში იმის გულის საგანი იჯდებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ დე ბრასის გაოცება, როდესაც ტრახტრევანდში დაჭრილი კაცი ნახა. აივენგოს ეგონა საქსონელი ყაჩაღების ხელში ჩავცვივდითო. ამისათვის გულწრფელად აღიარა თავისი ვინაობა და იმედი ჰქო-

ნდა, რომ არავის არაფერს დაუშვებდნენ, რადგანაც მათ შორის მას დიდს პატივს სცემდნენ.

დე ბრასი თუმცა უზრდელი კაცი იყო, მაგრამ დაქრილი რაინდის ვინაობა ფრონ დე ბეთს მაინც არ შეატყობინა. როდესაც ციხე-დარბაზში მივიდნენ, დე ბრასიმ უთხრა თავისს საჭურვლის მტვირთველებს, რომ აივენგო ცალკე ოთახში დაეწვინათ და მისი ვინაობა არავისთვის არ ეთქვათ. როდესაც ყველანი საბრძოლველად გავიდნენ, ავადმყოფი ურფრიდას ჩააბარეს, მაგრამ რადგანაც იგი თავის მტარვალების ჯავრის ამოყრას ცდილობდა, ამისთვის იმანაც ავადმყოფის ყურის გდება ებრაელს ქალს რებეკას მიანდო.

### თავი ოცდამეჩვი

ადი კოშქხედ, გადახედე ბრძოლის ველს და შემატყობინე ომი როგორ მიდის.

შილღერი.—ორღეანელი ქალი.

რებეკამ კვალად ნახა აივენგო და გულმა სიამოვნებით დაუწყა ძგერა, თუმცა მათ გარშემო ისეთი ამბები ხდებოდა, რომ შეიძლებოდა ორივენი დალუპულიყვნენ. როდესაც ავადმყოფს ხელი დაუჭირა და მაჯა გაუსინჯა, ქალს ისეთი მღელვარება დაეტყო სახეზედ, რომ ყველა მიხვდებოდა, რა გრძობაც უღვივოდა გულში. მხოლოდ აივენგოს გულ-გრილად კითხვამ: — „შენა ხარ ესა, კეთილო ქალი?“ — მოიყვანა გონზედ. რებეკამ ამოიხზრა და უფრო დამშვიდებითა ჰკითხა — როგორა ხარო. აივენგომ მიუგო, კარგად ვარო და სულ შენის წამლის ყვადლობით, ტურფა რებეკაო.

— იმან მე ტურფა რებეკა დამიძახა, — საქვა ქალმა თავის გულში: — მაგრამ ძლიერ გულ-გრილად კი წარმოსთქვა ეს სიტყვა. როგორც ვფიქრობ, იმას საომარი ცხენი და მონადირე ძაღლი უფრო ძვირად უღირს, ვიდრე ტურფა ებრაელი ქალი.

— სხეულით ვმაგრდები,—სულით კი ვსუსტდები,—განაგრძო აივენგომ:—როგორც ჩემი ყარაულის ლაპარაკიდან გავიგე, მე ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზში ვიმყოფები. თუ მართლა ასეა, ქალბატონს როენას და მამა-ჩემს ველარაფერს ვუშველი.

— ჩემზედ და მამა-ჩემზედ კი არაფერი სთქვა,—იფიქრა გულში რებეკამ:—მაშასადამე, ჩვენ შორის საერთო არა ყოფილა-რა.

ამას შემდეგ რებეკამ უამბო აივენგოს ყველაფერი, რაც კი იცოდა, მაგრამ იმან მხოლოდ ის იცოდა, რომ ციხე-დარბაზის ჯარის წინამძღოლნი ბოა გილბერი და ბარონი ფრონდე ბეფი იყვნენ; რაც შეეხება იმას, თუ ვინ ადგენს ციხე-დარბაზს გარშემო,—ამისი არა იცოდა-რა. მალე ციხე-დარბაზში რაღაც ჩოჩქოლი შეუღდათ, ჯარის-კაცნი საჩქაროდ მიდი-მოდოდოდნენ, ეტყობოდათ საომრად ემზადებოდნენ. რებეკა შეკრთა და ამ ალიაქოთს თვალ-ყურს ადევნებდა.

აივენგო შფოთავდა და სწყევლიდა თავისს სიუძლიურეს; მას უნდოდა ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო.—ახ, ფანჯარამდინ მისვლა რომ შემეძლოს, დაეინახავდი, როგორც მიდიოდა ომი... ნეტავი ჩვენი განთავისუფლებისათვის ერთი ისარი მაინც გამასროლინა, ერთი ნაჯახი მაინც დამარტყმევინა... ამაოდ... ამაოდ ვოცნებობ... უძლიური ვარ... იარაღი არა მაქვს.

— შენ თავს ნუ იწუხებ, კეთილშობილო რაინდო; ხმაურობა მისწყდა... ეტყობა ბრძოლა აღარ მოხდება.

— შენ რა იცი,—მიუგო ვილფრედმა მოუთმენლად:—ეს მყუდროება იმას ამტკიცებს, რომ ყველანი თავისს ადგილზედ დგანან და საბრძოლველად ემზადებიან... ახ, ფანჯარამდინ მისვლა რომ შემეძლოს!

— მაგით მხოლოდ შენს თავს ავენბ, რაინდო,—წაიჩურჩულა რებეკამ, მაგრამ როდესაც მღელვარება შენიშნა, ხმა-მაღლა უთხრა:—მე თვით დავდგები ფანჯარაში და ყველაფერს გეტყვი, რაც კი ციხე-დარბაზის გარედ მოხდება.



— შენ მაგას ვერ შეიძლება, შენ მაგას ვერ იზამ! — შეპყვირა აივენგომ: — ყოველი ფანჯარა მეშვილდისრეთათვის მალე მიზნად გადაიქცევა; რომელიმე გზა-დაკარგული ისარი...

— სიხარულით შევეყრები მას, — წაიჩურჩულა რებეკამ და ფანჯარასთან მივიდა.

— რებეკა, ტურთა რებეკა! — განაგრძო აივენგომ: — ეგ ქალის საქმე არ არის... თავს საფრთხეში ნუ აგდებ, იძულებულს ნუ გამხდი ვიტირო საუკუნოდ, რომ მე გავხდი მიზეზი შენის უბედურებისა: ის ძველი ფარი მაინც მიიფარე და რაც შეიძლო გვიან-გვიან მიდი ფანჯარასთან.

რებეკამ აიღო ძველი ფარი და კარგადაც მოიხმარა. იგი უშიშრად მივიდა ფანჯარასთან და ყველაფერი დაათვალიერა, რაცა ხდებოდა ციხე-დარბაზის შიგნითა და გარედ. მერე მოვიდა აივენგოსთან და უთხრა:

— ტყეში მეშვილდისრენი არაან დაყენებულნი.

— როგორი დროშა აქვთ? — ჰკითხა აივენგომ.

— მე დროშას ვერა ვხედავ, — მიუგო რებეკამ.

— საკვირველია! — წაილულლულა რაინდმა: — დროშის გაუშლელად ამ ციხე-დარბაზის აღება!.. ვერა ხედავ, სარდლად ვინა ჰყავთ?

— ვილაც შავ-აბჯრიანი რაინდი: იგი თავით-ფეხამდინ შეიარაღებულია და როგორც ეტყობა ყველას ის აძლევს განკარგულებას.

— რა ნიშანი აქვს შუბზედ.

— რალაც პრტყელი ზოლებიანი რკინა და ლურჯად შეღებილი კლიტე.

— ლურჯი კლიტე! ეს ნიშანი ამ ჟამად მე უფრო შემეფერებოდა, ვიდრე იმის პატრონსა. სხვა სარდლებს კი ვერა ხედავ?

— ვერც ვერთსა; აღბად სხვა მხრიდან თუ უდგანან ციხე-დარბაზს. როგორც ეტყობათ, იერიშით მისვლას ემზადებიან... ღმერთო სიონისავ, შენ დაგვიფარე! რა საშინელი სანახაობაა! შვილდისრები მომართეს!..

ამ დროს ციხე-დარბაზის გარედან საყვირის ხმა მოესმა, შიგნიდანაც ბანი მისცეს. ბრძოლა დაიწყო, ჰაერში ისრებმა გაიზუზუნეს, სეტყვასავით აირია. მეშვილდისრენი ისე მარჯვედ ისროდნენ, რომ ვინც კი საფრიდან თავს გაპყოფდა, არა მგონია არ მოჰხვედროდა. ფრონ დე ბეფის კაცები დიდს წინააღმდეგობას უწევდნენ, რადგანაც უფრო გამაგრებული ადგილი ეჭირათ.

— მე კი აქ უნდა ვიწვე იმ დროს, როდესაც სხვები ჩვენს გასანთავისუფლებლად იბრძვიან! — ოხრავდა რაინდი. — აბა ერთი კიდევ გაიხედე, ფანჯარაში, მხოლოდ ფრთხილად კი, რომ მეშვილდისრეებმა არ დაგინახონ, და შემატყობინე ციხე-დარბაზს უახლოვდებიან, თუ არა.

რებეკა მივიდა ფანჯარასთან და გაიხედა ისე ფრთხილად, რომ ვერავინ ვერ დაინახავდა.

— რას ხედავ, რებეკა? — ჰკითხა კვალად დაჭრილმა რაინდმა.

— არაფერს, ისრების მეტს.

— ასე ყოფნა დიდ ხანს არ შეიძლება; თუ რომ იგინი არ დაეცნენ ციხე-დარბაზს, ისრებით კედლებს ვერაფერს დააკლებენ. აბა შეხედე, შავი რაინდი რაღას შვრება. როგორიც სარდალი იქნება, ჯარიც ისეთი ეყოლება.

— მე იმას ვერა ვხედავ.

— საზიზღარი მშიშარა! — შეჰყვირა აივენგომ: — იგი უტევებს ბრძოლის ველს მაშინ, როდესაც უფრო საჭიროა.

— არა, არ დაუტოვებია ბრძოლის ველი! მე იმას კვალად ვხედავ: თავისი ჯარი განაპირა კოშკის ასაღებად მოჰყავს. გზა და გზა ყველაფერს სჩეხავენ და ანგრევენ. იმის ქულის შავს ფრთებს ჰაერში გააქვთ ფრიალი. აი ერთი კოშკის კედელი შეანგრიეს... შესასვლელად მიისწრაფიან... უკუ-აქციეს... ციხის ჯარს ფრონ დე ბეფი წინამძღვრობს; მე იმის ახოვანს ტანს კარგად ვხედავ. იგინი კედევ ეკვეთნენ აქაურებს, ხელჩართული ომი დაიწყო...

რებეკა შეშინდა და ფანჯარას მოშორდა.

— კიდევ შეხედე, რებეკა, კიდევ, — ეხვეწებოდა აივენგო, — რაკი ხელ-ჩართული ომი დაიწყო, შვილდ-ისრებს აღარ იხმარებენ.

— წმინდანო წინასწარმეტყველნო! — შეჰყვირა რებეკამ: — შავი რაინდი და ფრონ დე ბეფი ერთმანეთს შეეჯახნენ კოშკის კარებში... ღმერთო გვიშველე!... იგი დაეცა... იგი წაიქცა!...

— ვინ დაეცა? თუ ღმერთი გწამს, მალე მითხარ, ვინ დაეცა?

— შავი რაინდი, — მიუგო დაბალის ხმათ, მაგრამ მაშინვე ხმა-მაღლა შეჰყვირა სიხარულით: — არა... არა! იგი ფეხზედ დგას და მედგრად იბრძვის... ხმალი გაუტყდა... მან ნაჯახი გამოსტაცა ერთს ჯარის-კაცს... ფრონ დე ბეფს ზედი-ზედ უშენს თავში... იგი ტორტმანობს და წაქცევას აპირობს... აი წაიქცა... წაიქცა კიდევ!

— ფრონ დე ბეფი? — ჰკითხა აივენგომ.

— დიად, ფრონ დე ბეფი! — მიუგო რებეკამ. — ბოა გილბერი მოეშველა თავის ჯარით... შავი რაინდი შეაუფრხეს... ფრონ დე ბეფი ბრძოლის ველიდან გაიყვანეს.

— ჩვენმა მომხრეებმა კოშკი აიღეს?

— აიღეს... აიღეს!.. აგერა კიბეებიც მოიღგეს... ზევიდან ქვებს არტყამენ. ღმერთო! რამდენი კაცი დამახინჯდება!

— მაგაზედ ფიქრის დრო არ არის, — უთხრა აივენგომ. — ვინ მარცხდება? ვინ იმარჯვებს?

— კიბეები გადმოყარეს, — მიუგო შემწინებულმა რებეკამ, — ჩვენი ქომაგნი მარცხდებიან, მტერი იმარჯვებს.

— წმ. მთავარ-მოწამეო გიორგი! შენ იყავ ჩვენი მფარველი! ნუ თუ მეშვილდისრენი შედრკნენ? ნუ თუ იგინი უკან იხევენ?

— არა, იგინი გმირულად იბრძვიან... შავი რაინდი ციხე-დარბაზის კარებს უახლოვდება თავის უშველებელის ნაჯახითა... თუმცა დიდი ხმაურობაა, მაგრამ ნაჯახის დარტყმა მაინც ისმის... ხეებსა და ქვებს თავზედ აყრიან უშიშარს მგომარს, მაგრამ ის ყურადღებასაც არ აქცევს.

— წმინდაო იოანე, — წაჩურჩულა აივენგომ და ლოგინ-ში მხიარულად წამოჯდა. — ჩემის ფიქრით ინგლისში მხოლოდ ერთს კაცს შეუძლიან ასეთი საქმის ჩადენა!

— უკანა კარები ირყევა, ჭრიალებს; აი გატყდა... ჩამოვარდა კიდევც... ჩვენს მტარვალებს გარედან აღარც ერთი სიმაგრე აღარ უჭირავთ... ოხ, ღმერთო! აგერა მეციხოვნენი კედლებიდან გარეკეს... ძირს ჩამოყარეს თხრილში... ოხ, ხალხნო! შეიბრალოე ისინი, რომელთაც ბრძოლა არ შეუძლიანთ.

— ხიდი... ხიდი, შემაერთებელი ციხე-დარბაზთან... აიღეს თუ არა?

— არა; ბოა გილბერმა მისი ფიცრები ჩატეხა; ძლიერ ცოტანი გადარჩნენ ამ ხიდის წყალობით; ყველგან კენესა და წყევლა ისმის... როგორც ვხედავ, გამარჯვება ბრძოლაზედ უფრო საშინელი სანახავი ყოფილა.

— ეხლა რაღა ამბავია, რებეკა? ერთი კიდევ შეხედე! ტირილის დრო არ არის.

— ბრძოლა შესწყდა; ჩვენი მშველელნი იმ ადგილებში ცდილობენ გამაგრებას, რომელნიც აიღეს. ეხლა იმათ აღარა უშავთ-რა, საფარები გაიკეთეს და მტერი შევილდ-ისრებით ველარას დააკლებს.

— ჩვენი ქომავნი ბრძოლას მაინც არ შესწყვეტენ, — უთხრა ვილფრედმა. — მე შავი რაინდის იმედი მაქვს. საკვირველი საქმეა!.. ნუ თუ სხვა კიდევ არის ვინმე, რომელმაც ასეთი საქმე მოახდინოს? ოხ, რანაირ მინდა ასეთს რაინდს გვერდში ვუდგე და მტერს ვებრძოდე!

— შენ ძლიერ სწუხარ, რომ ბრძოლა არ შეგიძლიან და ეს ხეირს არ დაგაყრის.

— ახ, რებეკა, შენ არ იცი რა არის, როდესაც კაცი რაინდად არის აღზრდილი და სწეულების გამო კი ქალივით გულზელ დაკრებილი უნდა იჯდეს. სიყვარული ბრძოლისადმი — საკმელია, რომლითაც ვსაზრდობთ; სიამამაც ბრძოლის ველზედ — ჰაერია, რომლითაც ვსუნთქავთ. ჩვენ არ გვინდა ჩვენს უფროსებსზედ უფრო დიდ ხანს ვიცოცხლოთ... ასეთია, ქალო, კა-

ნონი რაინდობისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით და მსხვერპლად ვწირავთ ყოველსავე, რაც კი ძვირფასია ჩვენთვის.

— მაშ რა არის ეგა, — უთხრა ტურფა ებრაელმა ქალმა, — თუ არა დიდებისათვის მსხვერპლის შეწირვა? რა გრჩებათ ჯილდოდ ისეთი, რომ სასყიდელი იყოს თქვენ მიერ დაღვრილის სისხლისა, გამოვლილის ტანჯვა-ვაებისა და ცრემლებისა მაშინ, როდესაც სიკვდილი ბოლოს მოგიღებთ და შუბს შუაზედ გადაგიტყრევთ?

— რა გვრჩება? — ჩაეკითხა აივენგო, — დიდება, ქალო, დიდება! იგი ამშვენებს ჩვენს საფლავს და ჩვენს სახელს უკვდავს ჰყოფს.

— დიდება? — განაგრძო რებეკამ, — იგი დაქანგებული აბჯარია, რაინდის საფლავზედ ჩამოკიდული, იგი ქანდაკებაა წაშლილის ზედ-წარწერისა, რომელსაც ბერიც კი ველარ წაიკითხავს. ნუ თუ ეს საკმაო ჯილდოა იმისთვის, რომ გრძნობანი დაითრგუნოთ, სიცოცხლე უბედურად გაატაროთ და სხვებსაც უბედურება მიაყენოთ? ან იქნება იმისთვის სთმობთ ოჯახურს ამოვნებას, ბუნებითს გრძნობებს, ბედნიერებას და სულის სიმშვიდეს, რომ ვინმე მგოსანმა თქვენზედ სიმღერა გამოთქვას და იმღეროს?

— ღმერთს გეფიცები! — მიუგო რაინდმა მოუთმენელად, — შენ ისეთს საგანზედ ლაპარაკობ, რომლისაც არაფერი გაგვევება. შენ გინდა ჩაქრო ლამპარი რაინდობისა, რომელიც არჩევს კეთილ-შობილ კაცს უბრალო გლეხისაგან, ქეშმარიტს რაინდს მეგუთნისაგან; ლამპარი, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს ბევრით დაბლა აყენებს პატიოსნებაზედ; რომელიც გვაზმენინებს ტანჯვა-ვაებას და გვასწავლის გვეშინოდეს არა უბედურებისა, არამედ უპატიოსნობისა. შენ ქრისტიანი არა ხარ, რებეკა, ამისათვის მოკლებული ხარ იმ უმაღლეს გრძნობას, რომელიც აღვლევს კეთილ-შობილი ქალის გულს, როდესაც მისი სატრფო გმირობას გამოიჩენს. რაინდობა! დიად, ქალო, იგი საზრდოა წმინდა, მაღალის სიყვარულისა, იგი მისაყრდნობელი ყაყარჯენია დევნულისა, ნუგეშ-მცემელი უბედურისა,

შომრჯულეზელი მტარვალისა; უიმ სოდ კეთილ-შობილება ხმის ფუჭი ბგერა იქნებოდა და თავისუფლებაც დაჰკარგავდა ისეთს ერთგულს დამცველს, როგორც რაინდია.

— მართალია, — უფხრა რებეკამ, — მე იმ ხალხს ვეკუთვნი, რომელმაც ისახელა თავი თავის სამშობლოს დაცვით და რომელიც მხოლოდ მაშინ იღებდა იარაღს ხელში, როდესაც ღმერთი უბრძანებდა. საყვირის ხმა უკვე აღარ აღეღვებს ებრაელს. შენ მართალი სთქვი, ბატონო რაინდო, ვიდრე ღმერთი იაკობისა კიდევ არ მისცემს თავისს რჩეულს ხალხს მეორე გედეონს ან ახალს მაკაბელს, ებრაელს ქალს ომებზედ ლაპარაკი არ შეშვენის.

აღტაცებულმა ებრაელმა ქალმა გაათავა თავისი სიტყვა, რომელშიაც სჩანდა დიდი გულის ტკივილი, რომ იმის ხალხს ასე ამჯირებდნენ; ან იქნება იმისთვის უფრო სტიკოდა გული, რომ თვით აივენგოც თითქო ცოდვად უთვლიდა იმისთანა საქმეზედ ლაპარაკს, რომელიც პატიოსნებას შეეხებოდა.

— რა ნაკლებად იცნობს იგი ამ გულს, — ფიქრობდა რებეკა, — იმას ჰგონია, იმისთვის ვკიცხავ რაინდობას, რომ ეს გული სადგური იყოს მხდალობისა და სულ-მდაბლობისა! ოხ, ნეტავი ღმერთმა ინებოს იუდიელთა გასანთავისუფლებლად ჩემი სისხლის დაღვრა! მაგრამ არა, დაე ღმერთმა ისევ ის ინებოს, რომ მამა ჩემი და მისი კეთილის-მყოფელნი ამ მონებისაგან განთავისუფლდნენ. ამპარტავანი ქრისტიანი მაშინ დაინახავდა, რომ მოძულეებულ ებრაელთა ქალი ისევე უშიშრად ეგებება სიკვდილს, როგორც რომელიმე თავხედი ქრისტიანი ქალი.

შემდეგ რებეკა მიბრუნდა დაჭრილი რაინდის სარეცე-ლისკენ.

— დაუძინა, — განაგრძო მან: — თვით ბუნებამ დაღალა მისი გონება ესოდენის მოუსვენრობითა; მან დრო იპოვა მოსვენებისა. ცოლო არ არის, რომ ამას უკანასკნელად ვუყურებდე? გაივლის რამდენიმე დრო და მისი მშვენიერი სახე იქნება ისე აღარ იყოს ადგზნებული ვაჟკაცობის ცეცხლითა, როგორც ეხლა, ძილის დროსაც კი. გაუვანიერდება ცხვირის ნესტოები,

სისხლით მორეული თვალები ამოუცვივდება და ამპარტავანი-  
რანდი გახდება სამასხარო ამ ციხე-დარბაზის ერთი რომელი-  
მე მონისა, მის ფერხთა ქვეწე უძრავად იდება! მამა-ჩემი მერე!  
მამა-ჩემი! ღმერთმა დამსაჯა, რომ მისი ქალარა თმები ქერა-  
თმიან ქაბუკისთვის დავივიწყე. ვინ იცის... იქნება ეს უბედუ-  
რებანი მომასწავებლნი იყვნენ იეგოვას რისხვისა ჩემზედ, რად-  
განაც უცხო კაცზედ უფრო ბევრსა ვზრუნავ, ვიდრე ჩემს შო-  
ბელზედ. მაგრამ ამ უგუნურებას არ განვადებ ჩემის გულიდან,  
თუ გინდ რომ ჩემი ძარღვები სისხლისგან იცრებოდნენ და გუ-  
ლი გახეთქას ღამოდეს.

ამ სიტყვების წარმოთქმის შედეგ რებეკა გაეხვია ჩაღრ-  
ში და დაქრილ რანდის სარეცელზედ მოშორებით დაჯდა.  
იგი ცდილობდა გაემკვრიბინა გული, რომ უშიშრად დახვედ-  
როდა არამც თუ გარედან მოვლონებულს უბედურებას, არამედ  
შეგ გულშივე დაბადებულს გრძნობათა ცთუნებას.

### თავი ოცდამეცხრე

შედი ოთახში და შეხედე მის სარეცელს. იგი ისე არა  
კვდება, როგორც მართალი კაცი, რომლის სულიც  
ისე მიჰფრინავს ცაში, როგორც ტოროლა და ამულ  
ვანთიანის დროს და წინ მიუძღვის ლოცვა-კურთხევა  
და ცრემლები ხალხისა.—ანსელმი სხვანაირად კვდება.

ქველგებური ამბავი.

იმ დროს, როდესაც გაცხარებული ბრძოლა იყო, ბრიანი-  
და დე ბრასი ციხე-დარბაზის ერთს ოთახში შევიდნენ მცირე-  
ხანს საათბიროდ.

— ფრონ დე ბეფი სად არის? — ჰკითხა დე ბრასიმ: — ამ-  
ბობენ მოკლესო.

— არა, ჯერ კიდევ ცოცხალია, — მიუგო ბოა გილბერ-  
მა: — მაგრამ თუ გინდ რომ ხარის თავიც ჰქონოდა და ზევიდან  
სქელი რკინა ხურებოდა, შავი რანდის ნაჯახს მაინც ვერ გა-  
უძლებდა. რამდენიმე საათიც რომ დასცლოდა, მარჯვენა ხელი



პრინცი იოანესი, ფრონ დე ბეფი, იქითკენ გაემგზავრებოდა, სა-  
დაც მისი მამა-პაპანი განისვენებენ.

— კარგს ვისმეკი შეიძენდა ეშმაკთა სამეფო, — სთქვა დე  
ბრასიმ: — აი სადამდინ მიიყვანს კაცს ღვთისა და მის წმინ-  
დანების გამობა: ფრონ დე ბეფი მტერს კედლებიდან ხატებს  
ესროდა.

— ეგ შენი საქმე არ არის, — უთხრა გილბერმა: — არც  
შენა ბრძანდები იმაზედ უკეთესი ქრისტიანი. მაგრამ თავი და-  
ვანებოთ ამას და ციხე-დარბაზის დაცვაზედ ვიფაქროთ. შენ-  
სკენ როგორ იბრძოდნენ ის მაწანწალა მეშვილდისრენი?

— ისე, როგორც ხორც-შესხმული ეშმაკები! — მიუგო დე  
ბრასიმ: — შე მგონია, მათ წინამძღოლად ის მეშვილდისრეჰყავთ,  
რომელმაც საჩუქარი აიღო მარჯვე სროლისათვის. ჩაჩქანი რომ  
არა მცმოდა, აქამდინ გინდა ოცჯერ მამკლავდნენ. რას იტყვი  
ბრიან, ის არა სჯობიან ამ ყაჩაღებს მოვუტირგდეთ და ტყვეები  
გავანთავისუფლოთ?

— როგორა? ტყვეები გავანთავისუფლოთ? მერე ხომ ქვე-  
ყნის სასაცილო გავხდებით. თუ კი ის შეგიძლიანთ, რომ რა-  
მდენსამე უიარალო მოგზაურს დამე თავს დაეცეთ და ტყვედ  
წაიყვანოთ, რატომ ციხე-დარბაზის დაცვა კი აღარ შეგიძლი-  
ანთ ყაჩაღებისაგან, რომელთა შორის რა ჯურის კაცი გინდა  
არ მოიპოვება? სირცხვილი მაგისთანა რჩევას, მორის დე ბრასი!  
უფრო მალე საფლავად გადამექცევა ამ ციხე-დარბაზის ნანგრე-  
ვები, ვიდრე მაგისთანა რჩევას მივიღებდე.

— მაშ წავიდეთ საბრძოლველად! — მიუგო დე ბრასიმ: —  
ჯერ არ დაბადებულა ისეთი კაცი, რომელიც ჩემზედ ნაკლებ  
აფასებდეს სიცოცხლეს. ვაი რომ ჩემი ჯარი აქ არა მყავს! ოხ,  
ჩემო ჯარო! თქვენ რომ იცოდეთ, რა გაჭირვებულს მდგომა-  
რეობაშია თქვენი წინამძღოლი, ეხლავე აქ დაიბადებოდით! რა  
ცხვრებსავით გაჰფანტავდით ამ მაწანწალებს!

— შენ რაზედაც გინდა იოცნებე, ოღონდ ყოველი ლო-  
ნისძიება კი ვინმაროთ ამ ციხე-დარბაზის დასაცველად. ჩვენი

ჯარი მომეტებულად ფრონ დე ბეფის ხალხისგან შესდგება, რომელნიც ინგლისელებს საშინლად ეჯავრებათ.

— მით უფრო კარგი; იგინი უფრო თავგამოდებიან იბრძობებენ, რომ საქსებს ტყვედ არ ჩაუვარდნენ. წავიდეთ, ბრიან დე ზოა გილბერო, და უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ ვიბრძოლოთ, ან მოვკვდეთ და ან გავიმარჯვოთ. დღეს დაინახავ, მორის დე ბრასის რა სისხლი უტრიალებს ძარღვებში.

— წავიდეთ! — უთხრა ტაძრის რაინდმა და ორივენი გავიდნენ ციხე-დარბაზის გასამაგრებლად და დასაცველად.

ციხე-დარბაზის პატრონი ფრონ დე ბეფი კი გაშოტილი იწვა ლოგინზედ და საშინლად იტანჯებოდა. იგი ურწმუნო კაცი იყო და სიკვდილის დროს სულიერი ნუგეშმცემელი არავინა ჰყავდა, იმის უმთავრესი ხასიათი სიძუნწე და გაუმაძღრობა იყო; ისიც უნდა ვთქვათ, რომ ურწმუნოება სიძუნწით მოსდიოდა. ეხლა კი, როდესაც სიკვდილის ქამი მოუახლოვდა, მას უნდოდა რომელიმე ბერისათვის მიემართა და ცოდვათა შენდობა ეთხოვნა.

— ეხლა სად არიან ის ძალი ბერები, — ბოდავდა ბარონი, — რომელნიც თავიანთ სასულიერო კომედიას ასე ძვირად აფასებენ? სად არიან ის ფეხ-შიშველა მაწანწალოანი, რომელთათვისაც მოხუცმა ფრონ დე ბეუმა წმ. ანანას მონასტერი დააარსა და საუკეთესო მამულები მას შესწირა? მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა ისინი ან ლუდიან არიან გაღეჭებულნი და ან რომელიმე მომაკვდავი გლეხის წინ თავიანთს კომედიას თამაშობენ. მე კი მათი მონასტრის დამაარსებელის მემკვიდრეს ყურს არ მიგდებენ, ჩემთვის არა ლოცულობენ... ძალივით უაღსარებოდ მკლავენ. დაუძახეთ აქ ტაძრის რაინდს, ისიც ხომ ბერია. . მაგრამ არა! ისა სჯობიან, ეშმაკს ვუთხრა აღსარება; ვიდრე ბრიან დე ზოა გილბერს; იგი არც სამოთხეზედ ფიქრობს და არც ჯოჯოხეთზედ. უმჯობესია ჩემის პირით წარმოვაქვა ლოცვა, მაგრამ... ვერ გამიბედნია!

— ნუ თუ, რეჯინალდ ფრონ დე ბეუო, იქამდინაც მიხვედი, — მოისმა ხმა იმის თავით, — რომ არის რამე ისეთი, რის თქმაც ვერ გაგიბედნია?

ძველად ცრუ-მორწმუნეობა იყო გავრცელებული, რომ მომაკადეს გარშემო ეშმაკები შემოეხევევიანო, ართობენ და ცოდვების მონანიების ნებას არ აძლევენო. ფრონ დე ფეფსაც ეს ხმა ერთი ამ ეშმაკთაგანის ხმა ეგონა და შტკვერა:

— ვინა ხარ აქა? ახლო მოდი, რომ დაგინახო.

— მე შენი ბოროტი სული ვარ, რეჯინალდ ფრონ დე შეფო! — მიუგო უცნობმა: — იფქრე შეს ცოდვებზედ. გახსოვს რანაირად აქეზებდი უხნეო იოანეს თავისს მამასა და სულ-გრძელს ძმაზედ?

— ვინც გინდა იყო: მტერი, ბერი, თუ ეშმაკი, — უთხრა ფრონ დე ბეფმა: — შენ მაინც სიცრუე სთქვი. მარტო მე ხომ არ ვაქეზებდი იმათ; ორმოცო და ორმოც და ათნი სხვანი იყვნენ. მაშასადამე, მარტო მე რად უნდა ვიყო პასუხის მგებელი. ცრუ ეშმაკო, შენ მე მეჯავრები! წადი და ჩემს სარეცელს ჩუღარ მოეკარები; თუ შენც მომაკვდავი ხარ, დამანებე თავი, რომ მშვიდად მოგვეღე, ხოლო თუ ეშმაკი, — შენი დრო ჯერ არ მოსულა.

— შენ მშვიდად ვერ მოკვდები, — უთხრა უცნობმა ხმამ: — თვით სულის ამოხლომის დროსაც კი იფქრებ იმ მკვლელობაზედ და სისხლის ღვრაზედ, რომელიც ამ ციხე-დარბაზში მოხდა.

— შენ მე შენის გესლიანის ერთ ვერ შემაშინებ, — მიუგო ფრონ დე ბეფმა დაღვრემილის და ნაძალადევის სიცილით. ურწმუნო ურია... იმის ტანჯვა მაღლად უნდა ჩამეთვალოს ზეცის წინაშე; მაშ რად შეირაცხნენ წმინდათა თანა ისინი, რომელთაც ხელები სარკინოსთა სისხლში დაისვარეს. საქსონელებიც ჩემი სამშობლოს და ჩემი კანონიერი მეფის მტრები იყვნენ. ახლა ხომ გამეცლოები? ხმას ხომ აღარ ამოიღებ?

— არა, მამის საზიზღარო მკვლელი! — მიუგო ხმამ: — იფქრე მამაშენზედ! იფქრე მას სიკვდილზედ! იფქრე იმ დარბაზზედ, სადაც მეჯლისი იყო და სადაც მისი სისხლი დაიღვრა. მერე ვინ იყო მისი სისხლის დამღვრელი? მისივე ღვიძლი შვილი.

— თუ შენ ეგეც იცი, — მიუვო ბარონმა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, — მაშ შენ სათავე ბოროტებისა და ყოვლის მცოდნე ყოფილხარ! მე ასე მეგონა, ეს საიდუმლოება მხოლოდ მე ვიცოდი და კიდევ იმ ქალმა, რომელიც იყო ჩემი შემცდენელი და თანამოზიარე ამ დანაშაულობაში. გამშორდი, თავი დამანებე! საქონელი უღრიკა იპოვნე და ის გაამბობს ყველაფერს, რაც მე და იმას გვინახავს! წადი იმასთან, გეუბნები: მან მოჰბანა სისხლი მამა-ჩემს და კუბოში ჩააწინა. მისი წყალობით მიცვალებულს ისეთი შეხედულება ჰქონდა, კაცს ეგონებოდა, თავის დღით მამკვდარაო. წადი მასთან: იგი იყო ჩემი დემონი, საზიზღარი მაცოტუნებელი და საზიზღარივე ჯილდო ამ მკვლევობისა; დაე ჩემსავით იმანაც იგრძნოს ჯოჯოხეთის ტანჯვა.

— იგი უკვე ჰგრძნობს მაგ ტანჯვას, — მიუვო უღრიკამ და ფრონ დე ბეფის სარეცელის წინ დადგა, — იგი უკვე დიდი ხანია დასწაფებია ტანჯვის ფიალას და მხოლოდ ეხლა ჰგრძნობს შემსუბუქებას, როდესაც შენც ამავე ფიალას დასწაფებიხარ. ნუ აბრკილებ კბილებს, ფრონ დე ბეფო, თვალებს ნუ აბრკილებ და მუშტებს ნუ მიღერებ! შენი მუშტები და მუქარა მე ვეღარ შემაშინებს.

— საზიზღარო, სისხლის მსმელო წყეულო! — შეჰყვირა ფრონ დე ბეფმა: — ეს შენა ყოფილხარ, ბებერო ეშმაკო! იმისთვის მოსულხარ, რომ ციხე-დარბაზის ნანგრევებით დასტკბე?

— დიაღ, რეჯინალ ფრონ დე ბეფო, უღრიკა ვარ! ქალი მოკლულის ტოკვილ ვოლფგანგერისა და მისი დახოცილის შეიღებისა. მე ვთხოულვობ შენგან მამას, ძმებს, სახელს, პატიოსნებას, ყველაფერს, რაც კი დავკარგე. ფრონ დე ბეფის წყალობით! მოიგონე ის ბოროტება; რასაც შენ მე მიშვრებოდი და პასუხი მამეც, თუ ტყუილს ვამბობდე. მაშინ შენ იყავ ჩემი ბოროტი სული; ეხლა მე ვიქნები შენი სულთა-მსუთავი: სულის ამოსვლამდინ არ მოგასვენებ.

— საზიზღარო ბოროტო! შენ მაგ დროს ვერ მოესწრობი. — ბიკებო! სტაცეთ ხელი ამ წყეულს ჯადოქარს და თავ-

დაყირა გადაადგეთ; მან გაგვყიდა საქსებზედ! სადა ხართ ბიჭებო? რატომ ხმას არ მადღევთ?

— დაუძახე, დაუძახე, — უთხრა ულრიკამ ზოროტის სიცილით: — მაგრამ იცოდე, რომ იგინი არც პასუხს მოგცემენ და არც მოგეშველებიან. არ გესმის ეს საშინელი ხმაურობა? (ამ დროს ხელ-ახლად დაიწყო ბრძოლა და ხმაურობა შინ შედიოდა). ეს ხმაურობა ნიშანია შენის ოჯახის აოხრებისა. საქსები, ბატონო რეჯინალდ, შენი საზიზღარი საქსები ანგრევენ შენს ციხე-დარბაზს. ქვას-ქვაზედ არ დააყენებენ.

— ოხ, ღმერთებო და დემონებო! — შესძახა დაჭრილმა ბარონმა: — ერთს წამს მომეცით იმდენი ღონე, რომ ბრძოლის ველამდინ მივიდე და ღირსეულად მოვკვდე.

— მაგის იმედი ნუ გაქვს! შენ ისე არ მოკვდები, როგორც მეომარი; შენ ისე მოკვდები, როგორც მეღა სოროში, რომელსაც გლეხები ცეცხლს შეუბოლებენ და ამოარჩობენ ხოლმე.

— სტყუი, შე წყეულო ჯადოქარო! — შეპყვირა ფრონდე ბეფმა: — ჩემი ხალხი მამაცად იბრძვის; მტერი ჩემს კედლებს ვერ შემოუვა; ჩემი ამხანაგები საქსებს არასდროს არ შეუშინდებიან; თუ ვინიცობაა გავიმარჯვეთ, გეფიცები, არც შენ და არც შენს მომხრეებს ცოცხალს არ გაგიშვებთ. სუყველას ცეცხლში ჩაგწვამთ; მე კი... მე კიდევ ვიცოცხლებ იმისთვის, რომ დაგინახო როგორ დაიხრაკები ჩვენგან აღგზნებულს ცეცხლში.

— მაგის იმედი გქონდეს, — უთხრა ულრიკამ, — ვიდრე ნამდვილს საქმეს შენის თვალთ არ დაინახავ. მაგრამ არა! — განაგრძო მან, — შენი ბედის წერას ეხლავე გაიგებ და ვერას გზით თავიდან ვერ აიცილენ. ამ ბოლს ხომ ზედავ შენს ოთახში? შენს თვალეზედ გადაკრული ბუნდი კი არ გეგონოს! არა, ფრონდე ბეფო, აქ სხვა მიზეზია... ამ ოთახის ქვეშ დაწყობილი შეშა ხომ გახსოვს?

— დედაკაცო! — დაუყვირა ფრონდე ბეფმა, — იმ შეშას ხომ ცეცხლი არ წაუკიდე? ძალნო ცათანო! სწორედ ცეცხლი წაუკიდებია ამ წყეულს. ციხე-დარბაზი იწვის!

— დიად, იწვის, სულერთიან იწვის,—მიუგო ულრიკამ გულ-გრილად.—მშვიდობით ფრონ დე ბეფო! მშვიდობით მამის შკვლელო! შენ მტრებსაც ვანიშნებ, რომ მალე შემოესივნენ ციხე-დარბაზს და დახოცონ ისინი, ვინც მას გაქრობას დაუწყებს.

ამ სიტყვების შემდეგ იგი გაეარდა ოთახიდან და კარები გაიკეტა, რომ ბარონს არაყინ მიჰშველებოდა. ფრონ დე ბეფი გამწარებული ეძახდა თავისს მოსამსახურეთ და მომხრეებს, რომ ეშველათ მისთვის. მშველელი არავინ იყო. ბოლოს ცეცხლის ალიც გამოჩნდა ოთახში.

— ეშმაკი მიახლოვდება და თან ცეცხლი მოაქვს,—ამბობდა ბარონი: — განვედი ჩემგან, ზოროტო სულო! უჩემ ამხანაგებოდ მარტო მე არ გამოგყვები. ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა იგი და ციხე-დარბაზის თაღები ბანს აძლევდა.

### თავი ოცდამათე

ერთი კიდევ ვეკვეთოთ, მეგობარნო, მტრს და დავიზოცნეთ, როგორც ნამდვილი ინგლისელები!.. და თქვენ მამაცნო მეშვილდისრენო, შვილნო ინგლისისანო, დაგვანახეთ, მამლარი საქმელი გაქეთ თუ არა, და ჩვენც დავიფიცაეთ, რომ თქვენ ღირსეული ჩამომავლობისანი ყოფილხართ.

შექსპირი — მეფე ვენრიხი V.

თუმცა ცედრიკს აგრე რიგად არა სჯეროდა ულრიკას მუქარა, მაგრამ ეს გარემოება რაინდსა და ლოკსლენის მაინც შეატყობინა. მათ ძლიერ გაეხარდათ, რომ შიგ ციხე-დარბაზშიაც ჰყავდათ მომხრე, რომელიც გაჭირვების დროს დაეხმარებოდა და ციხე-დარბაზს ააღებინებდა. ამისათვის მათ გადასწყვეტეს იერიში მიეტანათ ციხეზედ, რადგანაც მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლებოდა ტყვეების განთავსუფლება მტარვალის ფრონ დე ბეფის ხელიდან.

— მეფის ჩამომავალი აღფრედი საშიშარს მდგომარეობაში იმყოფება! — სთქვა ცედრიკმა.

— კეთილშობილი ქალიცა, — დაჟმატა შავმა რაინდმა.

— გეფიცებით წმინდა ქრისტეფორეს მადლს, — სთქვა ლოკსლეიმ: — რომ მარტო ერთგული ვამბას განთავისუფლებისათვისაც კი არ დავზოგავ თავს და არ მოვერიდები არავითარს განსაცდელს, ოღონდ კი იგი უვნებლად დავიხსნა.

— მეც აგრე მოვიქცევი, — სთქვა ბერმა: — დიად, ბატონებო! სულელი, რომელიც ასე ჭკვიანად იქცევა, ქეიფის დროსაც ისე სასიამოვნო იქნება, როგორც გაქარვების დროს... გეუბნებით, ძმებო, ასეთს სულელს ყოველთვის გამოუჩნდება ღმერთთან შემავედრებელი ბერი და დამცველი რაინდი.

ესა სთქვა ბერმა და ისე სუბუქად დაატრიალა თავისი უშველსბელი კეტი, თითქო პატარა ჯოხიოა.

— მართალს ამბობ, მამაო! — უთხრა შავმა რაინდმა: — სწორედ მართალს ამბობ. ახლა, კეთილშობილო ლოკსლეი, ჯარის უფროსობა ცედრიკს არ ჩავაბაროთ?

— მე ვერ ვიკისრებ მაგ თანამდებობას, — მაუგო ცედრიკმა; — ამისთვის რომ ამისთანა ყაჩაღების ციხე-დარბაზთა აღებას არას დროს არ დავწრებივარ. მე მხოლოდ წინა რაზმში ჩავდგები და მასთან ერთად ყოველს განსაცდელს გაეიზარებ.

— თუ აგრეა, მაშ მშვილდისოფთა უფროსობას მე ვიკისრებ, — სთქვა ლოკსლეიმ, — და დასარჩობად ნუ დამინდობთ, თუ ციხის კედლებზედ გამოსულს მტერს წვიმასავით არ მივაყარო ისრები.

— კარგს ამბობ, მამაცო ლოკსლეი, — მიუგო შავმა რაინდმა, — მაგრამ, თუ ღირსად ჩამთელით, დანარჩენი ჯარის უფროსობას მე ვიკისრებ და იმედი მაქვს ჩემის გამოცდილებისა, რომ მტრის გულისად არ გავხდებით.

გაინაწილეს თუ არა თავიანთი მოვალეობა, მაშინვე შეუდგნენ ციხე-დარბაზის აღებას, რომლის შედეგი მკითხველმა უკვე იცის.

როდესაც განაპირა სიმაგრენი აიღეს, შავმა რაინდმა შეატყობინა ლოკსლეის, რომ ციხე-დარბაზისთვის ფხიზლად ედგნებინა თვალ-ყური და მტრისათვის ერთად შეგროვების ნება



არ მიეცა. როდესაც შავმა რაინდმა წყლით სავსე თხრილზედ ჯარის გადასაყვანად ტივი შეაკურვევინა, თავისს რაზმს ამ სიტყვით მიჰმართა: მეგობრებო! ჩვენ მოცდა აღარა გვმართებს; მუხემ უკვე გადაიწვერა და საქმეების გამო ხვალ თქვენთან დარჩენა არ შემიძლიან. ამასთანავე შეიძლება ჩვენს მტერს იორკიდან ცხენოსანი ჯარი მოეშველოს და მაშინ მხოლოდ სასწაულს შეუძლიან ჩვენი დახსნა. დაე ლოკსლიმ დაუწყოს სროლა და მით მიიზიდოს მტრის ყურადღება, ჩვენ კი აქედან გადავიდეთ ტივზედ და ციხე-დარბაზის კარი შევამტერიოთ. მაშ მომყევით! ტივი წყალში ჩაუშვით!

ტივი წყალში ჩაუშვეს. ყველაზედ წინ შავი რაინდი და ცედრიკი გადავიდნენ, რომელნიც ბრიანისაგან დანგრეულს ხიდის ნანგრევებს ამოეფარნენ და მტრისგან გადმოსროლილი ქვები ვერაფერს აკლებდნენ. რაინდის შემდეგ გასულს მხედრებს ასეთი საფარი არა ჰქონდათ, ამისათვის ორი მათგანი მოკლეს, ორი თხრილში გადავარდა და დანარჩენები გაიქცნენ. შავს რაინდს და ცედრიკს საქმე უჭირდათ.

— გრცხვენოდეთ სუყველას! — უყვაროდა დე ბრასი თავის მეომრებს: — მსროლელებად ითვლებით და ამ ორს ძაღლს კი ნებას აძლევთ ციხე-დარბაზის კედლებს თავი შეაფარონ. თუ სხვა არაფერი შევიძლიანთ, კედლებიდან მაინც ავლიჯეთ ქვები და თავში დაარტყით.

ამ დროს ციხე-დარბაზის ამღებთ დაინახეს წითელი ბაი-რაღი, რომელიც ნიშანი იყო იმისი, რომ ულრიკას ციხე-დარბაზისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. ეს ნიშანი პირველად ლოკსლიმ დაინახა.

— ციხე-დარბაზი ჩვენ ხელთ არის! — შესძახა ლოკსლიმ: — მოიფიქრეთ, რა დავლა მოგველის, ერთი კიდევ ვეკეთნეთ და მტერი მთლად შეიმუსრება.

ესა სთქვა და ლოკსლიმ მშვილდისარი ესროლა კედელზედ მდგარს მეომარს, რომელიც დე ბრასის ბრძანებით ერთს უშველებელს ქვას ჰგლეჯდა კედლიდან, რომ ცედრიკისა და შავი რაინდისათვის თავზედ დაეცა. მეომარს ისარი მოხვდა და

წაიქცა; ახლა მეორე ამხანაგმა დაუწყო წვევა იმავე ქვას, მაგრამ იმასაც მოხვდა ისარი და თხრილში გადავარდა, დანარჩენებიც შეშინდნენ.

— მტერს ექცევით, მშიშარებო! — დაუყვირა დე ბრასიმ: — მამეცით ვე რკინის კეტი!

მან აიღო რკინის კეტი და თვითონ დაუწყო ქვას გადმოგორება. ეს ქვა რომ გადმოვარდნილიყო ცეცხრიკსა და შავს რაინდს უსათუოდ ქვეშ მოიტანდა და ტივსაც დაშლიდა. ლოკს-ლეიმ სამჯერ ესროლა ისარი დე ბრასის და თუმცა სამჯერვე მოარტყა, მაგრამ ჩაქანში ვერ შეატანა. ქვა შეინძრა და გადმოვარდნას ლამოდა; ერთგული ვაშბა გაექანა თავის ბატონისაკენ, რომ ან სიკვდილისაგან დაეფარა ივი და ან თვითონაც იმასთან მომკვდარიყო, მაგრამ ამ დროს ბოა-გილბერმა შეაჩერა დე ბრასი და უთხრა.

— ყველაფერი მორჩა, დე ბრასი! ციხე-დარბაზი იწვის! ამაოდ ვცდილობდი ცეცხლის გაქრობას.

— მაშ ეხლა რა ვქნათ? — შეტყვირა დე ბრასიმ.

— შენი ხალხი უკანა კარიდან გაიყვანე და ისე აჩვენე მტერს თავი, თითქო თავს უპირობდევ დასხმას. კარებში ორი კაცი დგას, იგინი თხრილში ჩაყარე და განაპირა სიმაგრე დაიჭირე. შე კი სხვა კარიდან გავალ და მეორე მხრიდან დავესხმი თავს; თუ ჩვენ ამ ადგილს კიდევ ჩავუგდებთ ხელში, დარწმუნებული იყავ კიდევ დიდ ხანს შეგვიძლიან გამაგრება.

დე ბრასიმ დაუძახა თავის ხალხს და წავიდა უკანა კარების გასაღებად. მაგრამ გაიღო თუ არა კარი, შავი რაინდი მშინვე შიგ შევიდა, თუმცა მტერი საშინლად შეებრძოლა; რაინდმა ორი კაცი მოკლა და დანარჩენები გაიქცნენ.

— სად მირბიხართ, რომ მირბიხართ? — დაუძახა დე ბრასიმ: — იქ ხომ ყველაფერს ცეცხლი უკიდია! მაშ მარტო მე თვითონ შევებრძოლები ამ რაინდს.

ორი მოსისხლე მტერი შიგ შუა კარებში საშინლად ეკვეთნენ ერთმანეთს, დე ბრასი ხმლით, შავი რაინდი კი უშველღებელის ნაჯახით. დე ბრასიმ ამ დღეს სწორედ თავი ისახელა,

მაგრამ შეემა რაინდმა მაინც დასძლია და ბოლოს ისე საშინლად დაჰკრა ნაჯახი, რომ ნორმანელი ბარონი ძირს დაეცა და ს ულსაც დაღვედა, თუ რომ ჩაჩქანს არ დაეფარა.

— დამმორჩილდი, დე ბრასი,—უთხრა შეემა რაინდმა და ხანჯალი მოუღერა:—დამმორჩილდი, თორემ მოუკლავი არ გადამირჩები.

— არ დაგმორჩილდები,—უთხრა დე ბრასიმ:—შემატყობინე, ვინა ხარ და მაშინ, რაც გინდა, ის მიყავ. მე არავის არ ვათქმევინებ, რომ დე ბრასი ვილაც უტყნობს მაწანწალას ტყვედ მიეცაო.

შეემა რაინდმა დამარცხებულს ყურში რაღაც უჩურჩულა.

— გემორჩილებიო და თავდებად პატიოსანს სტყუვას გაძღვეთ,—უთხრა დე ბრასიმ მორჩილების კილოთი.

— გადი ამ ციხე-დარბაზის გარედ,—უთხრა გამარჯვებულმა ბრძანების კილოთი,—და იქ მოელოდე ჩემს განკარგულებას.

— ნება მიბოძეთ, განსაკუთრებით შენთვის საყურადღებო ამბავი შეგატყობინო: ვილფრედ აივენგო დაჰრილია და აქ არის დატყვევებული; იგი უსათუოდ ცეცხლში დაიწვის, თუ რომ არავინ მიეშველება.

— ვილფრედ აივენგო! დატყვევებულია! ცეცხლში დაიწვის! ვაი ამ ციხეში მყოფთ, თუ რომ იმას დაუშავდა რამე! სად არის იმის ოთახი?

დე ბრასიმ ოთახის გზა ასწავლა. ცეცხლი თან და თან გაძლიერდა, ასე რომ ბოლი იმ ოთახშიაც შევიდა, სადაც აივენგო იწვა! ამ ოთახშივე იყო რებეკაც და ავადმყოფს უწვლიდა.

— ციხე-დარბაზი იწვის!—დაიძახა რებეკამ:—რა ვქნათ, როგორ გადავირჩინოთ თავი?

— გაიქეც, რებეკა, და შენი თავი გადაირჩინე!—მიუგო აივენგომ:—ჩემი გადარჩენა არას გზით აღარ შეიძლება!

— მე ვერ გავიქევეი,—მიუგო რებეკამ:—ან ორივენი გადავრჩეთ და ან ორივე ერთად დავიღუპოთ. ღმერთო! მამა-ჩემო, მამა-ჩემს რაღა ეშველება?

ამ დროს ოთახის კარები გაიღო და ბოა გილბერი შევიდა. საშინელი შესახედაობა ჰქონდა; იარაღი ზოგი დამტვრეულა და ზოგი გასისხლიანებული ჰქონდა.

— ახში ბოლოს მაინც გიპოვნე, — უთხრა მან რებეკას: — ხომ ხედავ ჩემს სიტყვას როგორ ვასრულებ, როდესაც ვითხარ, სიხარულსა და მწუხარებას შუა გაგიყოფ-მეთქი. ერთდერთი გზა გვაქვს თავს ვუშველოთ და მეც იმიტომ მოვედი, რომ ეს გზა გასწავლო, — წავიდეთ დროით, გამოამყე თანა.

— მე მარტო არ გამოგყვები, — მიუგო რებეკამ: — თუ რომ ქალის ნაშობი ხარ, თუ რომ ცოტაოდენი კაცის შებრალება გაქვს, თუ შენი გული ისევე მაგარი არ არის, როგორც შენი ჩაჩქანი, რომლის ქვეშაც იგი სძგერს, — მოხუცებული მამა-ჩემი და ეს დაჭრილი რაინდიც გადაარჩინე.

— რაინდი? — მიუგო ბოა გილბერმა გულცივად: — რაინდმა თვითონ უნდა დაიხსნას თავისი თავი, რაინირს გაჭირვებაშიაც უნდა იყვეს. რაც შეეხება ურიას, იმის დარდი ვისა აქვს?

— უღვთო რაინდო, ცეცხლში დაღუპვას ვირჩევ და შენის ხელით გადარჩენას კი არა!

— ეხლა ამორჩევის დრო არ არის, რებეკა, შენ ერთხელ გაიმარჯვე ჩემზედ და მეორედ გამარჯვების ნებას აღარ მოგცემ.

ბოა გილბერმა შეშინებულს ქალს სტაცა ხელი და ოთახიდან გამოიყვანა. ქალი განწირულებით კიოდა და ტიროდა, მაგრამ ბრიანი ამას არაფითარს ყურადღებას არ აქცევდა; არ აქცევდა ყურადღებას აგრედვე აივენგოს ლანძღვასა და მუქარას: — შე ძაღლო ბრიანო! დანებე ქალს თავი! შენი ორდენის შემარცხვენლო ბრიანო! მე, აივენგო, გიბრძანებ ეგ ქალი გაანთავისუფლო! მე შენ დაუსჯელად არ გაგიშვებ მაგ თავ-ხელობისათვის.

— მე შენ ხმაზედ მოგაგენი, ვილფრედო, — უთხრა ამ დროს შემოსულმა შავმა რაინდმა.

მან სტაცა ხელი აივენგოს, რომელიც ქალის დახსნას ეხვეწებოდა მტაცებლის ხელიდან, და გარედ გამოიყვანა, აქ

ორს კაცს ჩააბარა იგი, თვითონ კი უკანვე შეეარდა ოთახებში დანარჩენი ტყვეების დასახსნელად.

ამ აღიაქოთის დროს ცედრიკიც როენას ეძებდა, გურტი კი უკან მისდევდა თავისს ბატონს და მტერს აგერებდა. ბოლოს ცედრიკი შევიდა იმ ოთახში, სადაც მისი გაზდილი როენა იყო; მას ჯვარ-ცმის ხატი ჩაეკრა გულში და მხურვალედ ლოცულობდა. იგი გურტს ჩააბარა გარედ გასაყვანად, თვითონ კი თავისს მეგობარს ატელსტენს დაუწყაო ძებნა. მაგრამ იგი უკვე გაენთავისუფლებინა ვამბას თავის მოხერხებით. გაცხარებული ომის დროს ვამბას დაეწყა ყვირილი, რომ ციხე-დარბაზი იწვისო. ყარაულები გაქცეულიყვნენ, რომ ეს ამბავი ბოა გილბერისათვის შეეტყობინებინათ და ოთახის კარები კი ღია დაეგდოთ; ამით ესარგებლათ ატელსტენსა და ვამბას და გარედ გამოსულიყვნენ. ბოა გილბერი ჯერ კიდევ იბრძოდა გზის გასაკვლევად, რებეკა თავის სარკინოსელ მოსამსახურესათვის შემოესვა ცხენზედ და გარშემო თავისი ხალხი ყარაულად დაეყენებინა; თვითონაც ერთს წამს არ აშორებდა თვალს: ხან მტერს ებრძოდა და ხან ისევ რებეკასთან მოიჭრებოდა ხოლმე.

ატელსტენმა დაინახა ბოა გილბერისაგან მოტაცებული ქალი და როენა ეგონა.

— გეფიცები წმ. ელჟარდის შეილს,— შესძახა ატელსტენმა,— მე ამ ქალს გავანთავისუფლებ ამ ამჟამის რაინდის ხელიდან და მის მომტაცებელს ჩემის ხელით მოვკლავ.

— მოიფიქრე, რას შერებით!— დაუყვირა ვამბამ,— აჩქარებული ხელი თევზის მაგივრად ბაყაყს იჭერს ხოლმე; გეფიცები, ის ქალი როენა არ არის; აბა იმის შავს გრძელს თმას შეხედე. თუ შავს თეთრისგან ვერ არჩევ, შეგიძლიან რაინდს გამოეკიდო, მაგრამ მე კი თან არ გამოგყვები, ებრაელი ქალის გულისათვის მე ჩემს ძვლებს არავის არ დავამტვრევინებ. იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ ჩაჩქანიც არ გაცვია. აბა იფიქრე, ფარჩის ქუდი ფოლადს ხმაღს რას გაუმაგრდება. არა, ბატონო ატელსტენ, ვისაც სურვილი აქვს წყალში ჩავარდნისა, დაე ჩავარდეს.— ეს უთხრა და ხელი გაუშვა ატელსტენს.

ატელსტენმა წამოავლო კომბალს ხელი, რომელიც ერთი მომაკვდავი მეომრის გვერდით იღო და მიეტია ბოა გილბერის რაზმს; საშინელის სიბრაზით დაუშინა მან კომბალი გილბერის ხალხს და თვითონ გილბერსაც დაუძახა:

— ხელიდან გაუშვი ეგ ქალი, მზაკვარო რაინდო! შენ ღირსი არა ხარ მაგას ხელი შეახო! გაუშვი ხელი, შე ყაჩაღო, შენა.

— ძაღლო!—უთხრა ბრიანმა კბილების ღრქილით,—მე შენ გასწავლი ლანძღვა-გინება როგორიც უნდა!—მან მოაბრუნა ცხენი, თვალის დახამხამებაზედ მიიჭრა ატელსტენთან და ისე საშინლად დაჰკრა ხმალი თავში, რომ იქვე წააქცია.

ატელსტენის წაქცევამ ხალხი შეაჩოჩქოლა და არივ-დარივა, ამით ისარგებლა ბოა გილბერმა და თავის ხალხით იქითკენ გაეშურა, სადაც დე ბრასიც უნდა ყოფილიყო.

— დე ბრასო! დე ბრასო!—უყვიროდა იგი,—სადა ხარ?

— მე აქა ვარ,—მიუგო დე ბრასიმ,—მაგრამ ტყვედა ვარ.

— ვერ გაგანთავისუფლებ?

— ვერა, პატიოსანი სიტყვის ტყვე ვარ და არ მინდა ჩემი სიტყვა გაეტეხო. შენ შენი თავი გადაირჩინე,—მიმინო გალიიდან გამოშვებულა,—ისეთს ალაგას წაღი, რომ ინგლისსა და შენს შუა ზღვა იღოს, სხვას ვერაფერს გეტყვი.

— რაკი შენ აქა რჩები,—მიუგო ტაძრის რაინდმა:—მაშ გახსოვდეს, რომ შენს შესახებ მე ჩემი სიტყვა შეევასრულე. მიმინოები სადაც უნდა ჰფრინავენენ და მე კი ტემილსტოუს მონასტერს შევაფარებ თავს.

ესა სთქვა ბოა გილბერმა და საჩქაროდ გაქუსლა ცხენი, თავისი ხალხიც თან გაიყოლია.

ბოა გილბერის წასვლით ციხე-დარბაზში ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. მხოლოდ მაშინ შესწყდა ბრძოლა, როდესაც მთლად ციხე-დარბაზს ცეცხლი მოედო; ამ დროს ერთს კოშკზედ გამოჩნდა ქალარა თმებ-გაწეწილი ულორიკა და დიდ ხანს იქნევდა ხელებს. ცეცხლი საშინელის სისწრაფით ძლიერდებოდა, კოშკი-კოშკზედ ინგრეოდა. გამარჯვებულნი ციხე-დარბა-

ზის გარედ გავიდნენ, დამარცხებულნი კი ტყეებში გაიქცნენ. თმა-გაწეწილი ულრიკა დიდ ხანს იდგა ცეცხლ-მოკიდებულს კოშკზედ. ბოლოს კოშკმა საშინლად დაიგრიალა და ულრიკა აღგზნებულმა ცეცხლმა ჩანთქა.

სიჩუმე ჩამოვარდა; არავის ხმა აღარ ისმოდა. გამარჯვებულნი მდუმარედ იდგნენ და პირჯვარს იწერდნენ. ამ დროს გაისმა ლოკსლეის ხმა:

— გაიხარეთ ამხანაგებო! ყაჩაღების ბუნავი დაინგრა. დაე ყველა თქვენგანმა თავის ნადავლი დანიშნულ მუხას ქვეშ მიიტანოს და ხვალ დილით სუყველამ გავიყოთ.

### თავი ოცდამეთერთმეტე

დამერწმუნე, ყოველს წოდებას თავისი კანონი აქვს: სამეფოებს უქაზები, ქალაქებს დებულებანი; თვით ყაჩაღების ცხოვრებასაც კი მოქალაქობრივი წეს-წყობილების კვალი ატყვია. მას აქეთ, რაც აღამმა მწუანე ტანისამოსი ჩაიცვა, კაცი კაცს ისე არ დააზლოვებია, რომ დამაკავშირებელი კანონები წინაღვე არ დადგენილიყოს.

ძველებური თქმულება.

გათენდა დილა, მზემ მუხის ტყეს სხივები მოჰფინა და დანამულმა ფოთლებმა ბჭყვრიალი დაიწყეს. ირემს თავის ნუკრი დაბურული ტყიდან ველზედ გამოეყვანა და ნავარდობდა, მონადირენი ჯერ კიდევ არ გამოსულიყვნენ მათი მყუდროების დასარღვეველად.

მეშვილდისრენი მუხას ქვეშ შეიკრიბნენ და ლამე იქ გაათიეს, ზოგმა ძილს მისცა თავი, ზოგი კი იმის ფიქრში იყო გართული, თუ რამდენი ნადავლი იშოვნეს. თუმცა ციხე-დარბაზს ცეცხლი წაეკიდა, ნადავლი მაინც ბევრი იყო. ამხანაგობის წესისამებრ ვერც ერთს მათგანს ვერ შეეძლო რამე ნივთი თავის-თავად დაესაკუთრებინა; ყველაფერი უფროსისთვის უნდა მიეტანათ.

დანიშნულს მუხას ქვეშ ლოკსლეი დაჯდა ხის ტახტზედ, მარჯვნივ შავი რაინდი მოისვა, მარცხნივ ცედრიკი.



— უკაცრავად, ბატონებო,—სთქვა მან:—რომ პირველი ადგილი მე დავიჭიროე, მაგრამ მე აქ მეფე ვარ და ჩემს საკუთარს სამფლობელოში ვიმყოფები. ახლა გთხოვთ შემატყობინოთ, ჩვენი განდევნილი სად არის?

— მე ვნახე იგი,—სთქვა მეწისქვილემ:—როდესაც ფრონდუ ბეფის მარნის კარები გატეხა და შიგ შევიდა.

ლოკსლიმ კაცები გაგზავნა მის საპოვნელად და თვითონ კი ასეთი სიტყვა წარმოსთქვა:

— ეხლა, როდესაც ხმა ჩვენის გამარჯვებისა ყველგან გახსნდება, ჩვენი აქ დარჩენა ყოველად შეუძლებელია. კეთილშობილო ცედრიკო! ნადავლი ორ ნიწილად არის გაყოფილი: რომელი ნაწილიც მოგწონს ის აიღე იმ შენის ხალხის დასაჯილდოებლად, რომელნიც ჩვენთან ერთად იბრძოდნენ.

— გულ-კეთილო მეშვილდისრევ! მე ნადავლიდან არაფერს არ ავიღებ. მე იმდენი შეძლება მაქვს, რომ ჩემს კაცებს მე თვითონ დავაჯილდოებ. ვერ წარმოიდგენთ, რანაირ შემაწუხა ჩემი მეგობრის ატელსტენის სიკვდილმა. ეხლა მე მხოლოდ იმაზედ ვფიქრობ, რომ მისი გვამი, სადაც ჯერ არს, იქ გადავიტანო. ქალბატონს როენას როტერფუდში უნდა დაბრუნება და ამისთვის საჭიროა ცხენოსანი ჯარი გავაყოლოთ. მე უფრო ადრე წავიდოდი, მაგრამ იმისთვის მოვიცადე, რომ მადლობა გადაგიხადოთ შენა და შენს მამაცს ამხანაგებს ჩვენი დახსნისათვის. ახლა შენ, ჩემო კეთილო ვამბა, არ ვიცი რანაირად დაკავილდოვო,—მიუბრუნდა ცედრიკი ხუმარას და მოეხეია:—შენ ჩემის გულისათვის არც ტყვეობას შეუშინდი და არც სიკვდილს. შენს მეტმა ყველამ თავი დამანებეს.

გულმაგარს ცედრიკს მეტის გრძნობით ცრემლები მოერიო. ასეთი ცრემლები თვით ატელსტენის სიკვდილსაც კი არ გამოუწვევია.

— არა,—მიუგო ხუმარამ და თავის ბატონის აღერსს ყური მოარიდა,—თუ ჯილდოდ შენი თვალების წყალს მომცემ, მაშინ მეც მომინდება ტირილი და რა იქნება. მაგრამ, თუ მართლა ჩემი დაჯილდოება გინდა, დამაჯილდოვეთ იმით, რომ ჩემს ამხანაგს გურტს დანაშაული აპატიო.

— ვაპატიო! — შესძახა ცედრიკმა, — ვაპატივებ კი არა, დავსაჩუქრებ კიდევ. მუხლი მოიდრიკე, გურტო.

მელორემ თავის ბატონის წინაშე დაიჩოქა.

— შენ ამას იქით აღარც მონა იქნები და აღარც ყმა, — უთხრა ცედრიკმა და ჯოხი შეახო: — შენ თავისუფალი კაცი იქნები, ქალაქშიაც და ქალაქ გარედაც, მინდორშიაც და ტყეშიაც. მიჩუქებია შენთვის საშვილიშვილოდ ერთი ნაქერი მიწა. წყეული და შეჩვენებული იყოს ის ჩემი ჩამომავალი, რომელიც შენ ამ მამულს წამოგედავოს.

რაკი გურტი თავისუფალი კაცი შეიქნა და პატარა ადგილის პატრონიც გახდა, იგი წამოდგა ფეხზედ და სიხარულით ორჯელ შეხტა თითქმის თავის სიმაღლეზედ.

— ხერხი მოიტანეთ! — დაიყვია მან, — მომაშორეთ ეს მონობის უღელი კისრიდან, ეხლა თავისუფალი კაცი ვარ. კეთილშობილო ბატონო, შენი საჩუქარი ერთი-ორად გამამხნევეს შენს სამსახურში!... ფანგს! შენს პატრონს ხომ კიდევ იცნობ? — უთხრა მან თავის ძალს, რომელმაც, პატრონი გამხიარულებული რომ დაინახა, თითონაც გაეხარდა და ხტუნაობა დაიწყო.

— თუმცა მე და ფანგსი ისევ უღლიანები ვართ, მაგრამ ორივენი მაინც კარგად გიცნობთ; შენ კი, როგორც გეტყობა, სიხარულით შენი თავიც დაგავიწყდა და ჩვენცა.

— ჩემს თავს უფრო მალე დავივიწყებ, ვიდრე შენ, ჩემო ერთგულო ამხანაგო; თავისუფლება შენთვისაც რომ გამოსადეგი იყოს, ვაბა, ჩვენი ბატონი ცედრიკი შენც უსათუოდ გაგანთავისუფლებდა.

— არა, ძმაო გურტო, მე შენი თავისუფლება არა მშურს; მონა თავისთვის თბილადა ზის ხოლმე ცეცხლაპირას, როდესაც თავისუფალი კაცი საომრად გადის ბრძოლის ველზედ. ძველებური ანდაზა ხომ გაგიგონია: „სულელად მეჯლისში ჯდომა სჯობია, ჭკვიანად ომში ყოფნასაო“.

ამ დროს ცხენების ფეხის ხმა მოისმა და ცოტა ხანს შემდეგ ქალბატონი როენა მოვიდა, რომელსაც ბლომად მოსდევდა

ცხენოსანი და ქვევითი ჯარი. იგი ამპარტანად იჯდა ცხენზედ და მდიდრულად იყო მორთული, მხოლოდ ცოტა არ იყოს გამოვლილ ტანჯვათაგან ფერი შეკრთომოდა. როდესაც იგი მივიდა იმ ადგილას, სადაც ლოკსლეი იყო, მამაცი მეშვილდისრე და მისი ამხანაგები პატივისცემის ნიშნად ფეხზედ წამოდგნენ. როენა გაწითლდა და თავი ისე დაბლა დაუკრა, რომ მისი გაშლილი მშვენიერი თმა ცხენის ფაფარში აირია. მან შემდეგის სიტყვებით გადაუხადა მადლობა ლოკსლეის და მის ამხანაგებს.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ტანჯულთა დახსნისათვის! თუ რომელსამე თქვენგანს პური შიოდეს, გახსოვდეთ, რომ როენას საქმელი ბევრი აქვს; თუ გწყუროდეთ, იცოდეთ, რომ თქვენთვის ღვინო და ლუდი ბერი მექნება; თუ ნორმანებმა ამ ტყიდან გამოგდევნონ, მე მაქვს საკუთარი ტყე, სადაც ყოველს თქვენგანს შეუძლიან თავისუფლად ინადიროს.

— გმადლობთ, მშვენიერო ქალბატონო, — მიუგო ლოკსლეიმ, — გმადლობ ჩემი ამხანაგების მაგივრადაც; ჩვენს ჯილდოს თვით თქვენი განთავისუფლება შეადგენს. ჩვენ ამ ტყეებში ბევრს უკანონო საქმეს ჩავდივართ და თქვენი განთავისუფლება იქნება ღმერთმა მადლად ჩავგიტვალოს და ცოდვანი შეგვიდოს.

როენამ კვალად გადაუხადა მადლობა და ის-იყო მოაბრუნა ცხენი წასასვლელად, რომ ამ დროს დაინახა დე ბრასი, რომელიც ხესთან იდგა. იგი წამოდგა წინ, როენას ცხენი შეაყენა და დაიჩოქა.

— ქალბატონო როენა! ღირსი გამხადეთ თქვენის შეხედვისა მე დატყვევებული და პატივ-აყრილი რაინდი?

— იმით კი არ აგეყარათ პატივი, რომ დამარცხდით, არამედ იმითი, რომ უიარაღო ხალხზედ გაიმარჯვეთ.

— გამარჯვებამ გული უნდა მოგიღობოთ; მაპატივეთ ის ძალადობა, რომელიც თქვენზე ვიხმარე და მალე დაგიმტკიცებთ, რომ მე კეთილშობილური სამსახურიც შემიძლიან გაგიწიოთ.

— მიპატივებია, ბატონო რაინდო, როგორც ქრისტიანს.

— ეს იმას ნიშნავს, — სთქვა ვაშბამ, — რომ სრულიად არ უპატივებია.

— მე იმ უბედურებასა და ტანჯვას ვერ გაპატივებ, რომელიც შენის უგუნ-ურებით მოგვაყენე, — განაგრძო როენამ.

— გეფიცები ამ მზის გულს, — უთხრა ცედრიკმა, — რომ არა მრცხვენოდეს მანდვე გაგათავებდი ჩემის შუბით. მაგრამ იცოდნე კი, რომ იაფად არ დაგისვამ იმ შეურაცხყოფას, რომელიც შენ ჩვენ მოგვაყენე.

— გამარჯვებულს უშიშრად შეუძლიან დამარცხებულს დაემუქროს, — მიუგო დე ბრასიმ: — საქსმა ზრდილობისა რა იცის.

ესა სთქვა დე ბრასიმ და უკან დაიწია.

წასვლის წინად ცედრიკმა მადლობა გადაუხადა განსაკუთრებით შავს რაინდს და გულითა სთხოვდა მათთან ერთად როტერვუდში წასულიყო.

— მე შენგან ვისწავლე დაფასება საქსის გულკეთილობისა, — მიუგო ცედრიკს შავმა რაინდმა. საქირო საქმეების გამო მე ეხლა არ შემიძლიან როტერვუდში წამოსვლა, მაგრამ მალე კი გეწვევი, რადგანაც ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

— თუმცა არ ვიცი, რა სათხოვარი გაქვს, მაგრამ წინაღვე აღმითქვამს მისი შესრულება. მხოლოდ ვიდრე ატელსტენს არ დაემარხავთ, მე იმის ციხე-დარბაზში ვიქნები, — მიუგო ცედრიკმა.

როენამ აღერსიანად დაუკრა თავი შავს რაინდს და ცედრიკთან ერთად წავიდა. დაადგნენ თუ არა გზას, მონასტრის ბერებმაც ატელსტენის გვამი გამოასვენეს. ამ სამგლოვიარო ლიტანიას ხალხი თანდათან ემატებოდა მიცვალებულის პატივის-საცემლად. მეშვილდისრეთაც სცეს პატივი და ფეხზე წამოდგნენ. ლიტანიამ და დაღონებულმა გალობამ მათ მოაგონა ის ამხანაგები, რომელნიც გუშინდელ ბრძოლაში დაჰხოცოდათ. მაგრამ ასეთი მოგონება დიდ ხანს არა რჩება იმ კაცების მეხსიერებაში, რომელნიც განსაცდელიან ცხოვრებას ატარებენ, ამისათვის ჯერ ისევე იმათ ახლო გაისმოდა გლოვის გალობა, რომ ნადავლის გაყოფას შეუდგნენ.

— გმირო რაინდო!—უთხრა ლოკსლეიმ შავს რაინდს,— უშენოდ ჩვენი გამარჯვება საეჭვო იყო; ამოირჩიე ამ აუარებელის ნადვლიდან ერთი რამ ნივთი და სახსოვრად შეინახეთ.

— თავაზიანობისათვის გმადლობთ,— მიუგო რაინდმა:— მე ბატონი მორის დე ბრასი ამომირჩევია.

— ეს ისედაც შენ გეკუთვნის, თორემ აქამდინ ამ ხეზედ იქნებოდა ჩამოკიდებული,— მიუგო ლოკსლეიმ.— საწყალი მამა-ჩემი ამან მოკლა.

— დე ბრასი!—უთხრა შავმა რაინდმა,— თავისუფალი ხარ; სადაც გინდა, იქ წადი. წარსული ცოდვები მიპატივებია და მომავალში კი გაფრთხილდი. კიდევ გიმეორებ: გაფრთხილდი!

დე ბრასიმ მდებლად თავი დაუკრა, შეჯდა ცხენზედ და საჩქაროდ წავიდა. ლოკსლეიმ აიხსნა აშბში მოგებული საყვირი და უთხრა შავს რაინდს:

— კეთილ-შობილო რაინდო, თუ ამ საყვირის მიღება არ დაამცირებს თქვენს ღირსებას, გთხოვთ მიიღოთ იგი ჩემს სახსოვრად; თუ ვინმე ყაჩაღი დაგიხვდეთ ტრენტისა და ტეისის შუა მდებარე ტყეებში, ეს საყვირი აი ასე დაუკარ სამჯერ და მაშინვე მოგეშველებიან.—ლოკსლეიმ აჩვენა რაინდს საყვირი როგორ უნდა დაეკრა.

— საჩუქრისათვის გმადლობ, მამაცო მეშვილდისრე! გაჭირვებაში იმაზედ უკეთესი ქომავი არ მინდა, როგორც შენა და შენი ამხანაგები ხართ. რაინდმა თვითონაც დაუკრა საყვირი და მისი ხმა მთლად ტყეში გაისმა.

— იჲ! რა კარგად დაუკრა,— შეჰყვირა ლოკსლეიმ:— ღმერთმა მკითხოს, თუ ამან ამ ტყეში ისევე კარგად არ იცოდეს სიარული, როგორც ომში. ეტყობა მშველზედ ბევრჯელ უნადირია. მეგობრებო, ვინძლო კარგად დაიხსომოთ რაინდის დაკვრა; ვინც ამ დაკვრას გაიგებს და მაშინვე არ მიეშველება, ჩვენი საზოგადოებიდან მაშინვე გავაგდებთ.

— გაუმარჯოს ჩვენს წინამძღოლს!— შეჰყვირეს მეშვილდისრეთ,— გაუმარჯოს შავს რაინდს. ღმერთმა ინებოს ჩვენი დახმარება მალე დასჭირდეს და მაშინ ნახავს, რა სისწრაფით მივეშველებით.

შემდეგ ლოკსლიმ განაგრძო გაყოფა ნადავლისა და ძლიერ აღალ მართლადაც ჰყოფდა. მეთედი ნაწილი ნადავლისა ეკლესიებისთვის გადაიღო; ერთი ნაწილი იმ ქერივ-ობლებისთვის, რომელთა პატრონებიც ბრძოლაში დაიხოცნენ და ზოგიც იმათ სულის მოსახსენებლად, რომელთაც ქერივ-ობოლნი არა ჰყავდათ. დანაჩენი ნადავლი ერთმანეთში გაიყვეს უფროს-უნცროსობის კვალობაზედ. შავს რაინდს ძლიერ გაუყვირდა, როდესაც ნახა, რომ ეს კანონის წინააღმდეგი ხალხი ერთმანეთში ასე კანონიერად და სამართლიანად იქცეოდა.

ყველამ თავ-თავისი ნაწილი აიღო, ქერივ-ობოლთა ნაწილიც ხაზინადარს ჩააბარეს, მხოლოდ ეკლესიებისთვის გადაღებული ნაწილი-და იყო ხელ-უხლებლად.

— ნეტა ვიცოდე, — სთქვა ლოკსლიმ, — რა მდგომარეობაშია ჩვენი განდევილი და ან სად არის. ნადავლის გაყოფას ის ყოველთვის დასწრებია და ეხლა კი არსადა სჩანს. იმისი აქ არ უფნა ცოტა არ არის მათიქრებს და მაწუხებს.

— მეც ძლიერა ვწუხვარ, — მიუგო შავმა რაინდმა: — მე იმისგან დავალებული ვარ: ერთს ღამეს კარგი მასპინძლობა გამიწია. მაგრამ წავიდეთ დანგრეულ ციხე-დარბაზთან; იქნება იქ გავიგოთ იმის ამბავი.

როდესაც ლოკსლი და შავი რაინდი ასე ლაპარაკობდნენ, დანაჩენებს ერთი სიხარულის ყიჟინა შეუდგათ, რადგანაც დაინახეს, რომ განდევილი მოდიოდა.

— ჩამომეცალენით, ხალხო! — დაიძახა მოსულმა განდევილმა: — მიეცით გზა თქვენს სულიერს მოძღვარს და მის ტყვეს. — ერთს ხელში ნაჯახი ეჭირა და მეორეში ისაკი, რომელსაც ყელზედ თოკი ჰქონდა მობმული.

— მამაცო ბერო, — უთხრა ლოკსლიმ, — თუმცა ჯერ ძლიერ აღრეა, მაგრამ შენ შენი წირვა უკვე გამოგიყვანია. ეგ ვინ მოგიყვანია?

— ტყვე, დაჭერილი ჩემის ხელით და მეცადინეობით, — მიუგო განდევილმა.

— მერე სად იზოვე ეგ ტყვე? — ჰკითხა ლოკსლიმ.

— იქ ვიპოვე, სადაც უფრო კარგს რამეს ვეძებდი. მე სარდაფში ჩავედი, რომ რამდენიმე ბოჩკა ღვინო მეშოვნა და გიშოვნე კიდევ. როდესაც ამოვიღოდი, ერთი ოთახის კარები დაკეტილი დავინახე; ვიფიქრე, სწორედ აქ იქნება კარგი ღვინოები-მეთქი; ჩემს ბედზედ გასაღებიც შიგ კარებში იყო დარჩენილი. შევედი შიგა, მაგრამ ბორკილებისა და ამ ძაღლი ურისის მეტი ვერა ვიპოვე-რა; გამოსელა ჩვენი და ოთახის თაღების დანგრევა ერთი იყო. მაგრამ როგორც იყო გამოვხსნიე ნანგრევებს და ეს ურიაც თან წამოვიყვანე.

— შენ, ურიავ, — უთხრა ლოკსლეიმ, — რაც შეიძლება შენი თავი მალე გამოისყიდე, ამისთვის რომ შენი ხალხი დაწყევლილ ხალხად ითვლება და ჩვენ შორის შენი დიდ ხანს ყოფნა ყოვლად შეუძლებელია. მაშ შენ შენის თავის გამოსყიდვაზედ იფიქრე და მე მინამდინ სხვა ტყვეებს ნოველაპარაკები.

— ფრონ დე ბეფის კაცები ბევრნი გვეყვანან ტყვედ? — ჰკითხა შავმა რაინდმა.

— არც ერთი ისეთი არა გვეყავს, რომლისგანაც რამის მიღება შეიძლებოდეს, — მიუგო ლოკსლეიმ. — ის ტყვე, რომელსაც ეხლა მოიყვანენ, მხიარული ბერია და, როგორც მორთულობაზედ ეტყობა, თავის საყვარლის სანახავად მიდენილა. აგერ ის ბერი კიდევ მოჰყავთ.

ამ დროს ლოკსლეის წინაშე წამოაყენეს მამა აიმერი, რომელსაც მკითხველი უკვე კარგად იცნობს.

### თავი ოცდამეთორმეტე

..... საუკეთესო მხედარნო! რა ამბავშია ტიტ ლარცი?

მ ა ე რ ი კ ი, იგი ასამართლებს ხალხს: ზოგს სიკვდილს უწყვეტავს, ზოგს სამშობლოდან განდევნას, ზოგს თავს ახსნეინებს და ზოგს კი ემუქრება.

შექსპირი. — კორიოლანი.

მოდვარს სახეზედა და მიხერა-მოხერაზედ ეტყობოდა, რომ თავ-გასული და მშიშარა კაცი იყო.



— რა ამბავია აქ, ბატონებო?—ჰკითხა აიმერმა,—ოსმალნი ხართ თუ ქრისტიანები, რომ სასულიერო კაცს ასე ეპყრობით? მერე იცით, რას ნიშნავს ღვთის მსახურის ხელის ხლება?

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა ლოკსლეიმ, — თუ ჩვენთაგანი ვინმე უკადრისად მოგექცათ.

— დიად, შენი კაცები ისე მომექცნენ, რომ ძალსაც კი არ მოექცევიან ასე, არამც თუ ღვთის მოსამსახურე კაცს, — უთხრა აიმერმა, ლოკსლეის წყნარის ლაპარაკით გამხნეებულმა. — აქ თქვენში არის ერთი ღვთის უარის მყოფელი კაცი, სახელად ალლან-ე-დალი, რომელიც სიკვდილსაც კი მიქადდა, თუ რომ ოთხასს ოქროს არ გადავიხდიდი.

— არა მგონია, რომ ალლან-ე-დედი აგრე უზრდელად მოგგცეოდეთ, — მიუგო ლოკსლეიმ.

— რაც გინდათ, თქვით და აგრე კი იყო. ის იმასაც კი მეუბნებოდა, რომ ერთს მაღალს ხეზედ ჩამოგარჩობო.

— მართლა აგრე გითხრათ? მაშ უმჯობესია, ღირსო მამაო, იმის სურვილს დაეთანხმეთ: ის ისეთი კაცია, რომ თავისს სიტყვას უსათუოდ შეასრულებს.

— არა, თქვენ მე მეხუმრებით, — უთხრა შეშინებულმა მოძღვარმა. — მე ძალიან მიყვარს კარგი ხუმრობა. მაგრამ ხა! ხა! ხა! იგი მთელს ღამეს მეხუმრებოდა და ამ დილით მაინც დრო არის შესწყვიტოს ხუმრობა.

— მე სრულიადაც არ გეხუმრებით. თქვენ უსათუოდ ბლომა ფული უნდა გადაიხადოთ, ბატონო მოძღვარო, თორემ თქვენს მონასტერში სხვა წინამძღვარი დაინიშნება, რადგან თქვენ იქ დაბრუნება აღარ გელირსებათ.

— ქრისტიანები ხართ, თუ რა ხართ, რომ სასულიერო პირს აგრე მელაპარაკებით.

— მოდი ასე იყოს, — უთხრა ლოკსლეის თავის თანაშემწემ: — აიმერმა ურიას დაუნიშნოს, რამდენი ფულიც უნდა გადაიხადოს, და ურიამ — აიმერს.

— ეგ კარგად სთქვი, — უთხრა ლოკსლეიმ: — აქ მოდი ებრაელო! შეხედე ამ ჟორვოს მონასტრის წინამძღვარს და გვი-

თხარი, რამდენი ფულის გადახდა შეუძლიან თავის თავის გამოსასყიდლად? ამის მონასტრის შემოსავალი, რასაკვირველია, კარგად გეცოდნება.

— ვიცი, კარგად ვიცი, — მიუგო ისაკმა: — მე იქაურ ბერებისაგან ბევრი ქერი, ჰური და მატყლი მიყიდი. ოხ, ძლიერ მდიდარი მონასტერია! ჟერვონის პატივცემული მამანი მხოლოდ იმისთვის ცხოვრობენ, რომ კარგი სვან, კარგი ჭამონ და კარგი ღვინო დალიონ. ახ, მე რომ იმ მონასტრის შემოსავალი მქონდეს, მაშინ ვინ იცის, რამდენ ოქრო-ვერცხლს მოგცემდით, ოღონდ კი განვთავისუფლებულვიყავ.

— ძაღლო ურიავ! — შესძახა მოძღვარმა, — შენზედ უკეთესად ვინ იცის, რომ ჩვენის ეკლესიის გასამშვენებლად ვალის აღება მოგვიხდა...

— აგრედვე თქვენი მარნების ასავსებადაც საუკეთესო ღვინოებით, — გააწყვეტინა სიტყვა ურიამ.

— გეყურებათ, რას ამბობს ეს ურწმუნო ძაღლი! — სტქვა აიმერმა: — ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ ვალი დავიდეთ ღვინოების საყიდლად, რომელსაც მხოლოდ მაშინა ვსვამთ, როდესაც შეგვცივა ხოლმე. ეს წუწკი კაცი ეკლესიას ჰგმობს და თქვენ კი ხმას არა სცემთ!

— მაგაზე რას ლაპარაკობ, ისაკ, — უთხრა ლოკსლიმ, — შენ ის გვითხარ, რამდენი ოქრო შეიძლება გამოვართვათ მოძღვარს, რომ ძლიერ არ გაუჭირდეს.

— ექვსასი, — მიუგო ისაკმა, — და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არამც თუ გაუჭირდება, ვერც კი რამეს გაიგებს მაგის ჯიბე.

— ექვსასი ოქრო, — წარმოსტქვა ლოკსლიმ შედიდურად: — თანახმა ვარ; სწორედ ასლად გადაუწყვიტე.

— გადაიხადოს! გადაიხადოს! — შესძახეს სუყველამ: — თვით სოლომონ ბრძენიც კი ვერ გადასწყვეტდა ეგრე სამართლიანად.

— ხომ გაიგონე, რაც გადაგიწყვიტეს, ბატონო მოძღვარო? — ჰკითხა ლოკსლიმ.

— რას ამბობთ, ხომ არ გაგიჟდით! მაგდენი ოქრო სად ვიშოვნო? სანაწილე და საკუთრახველის შანდნებიც რომ გავყიდო, მაგის ნახევარსაც არავინ მომცემს. ამასთანავე მაგ ფულის საშოვნელად მე თვითონ უნდა წავიდე ჟორჯოში, მძევლად ჩემს ორს ბერს დავტოვებ თქვენთან.

— ეგ არ შეიძლება, — უთხრა ლოკსლიემ: — ჩვენ თქვენ აქ დავიჭერთ და ის ბერები კი მონასტერში წავიდნენ.

— თუ გნებავთ, — უთხრა ისაკმა მეშვილდისრეთ გულისმოსაგებად, — მე მოვატანინებ იორკიდან მაგ ფულს, თუ მისი მაღალ ღირსება ბათილამას მომცემს და შემდეგ გამორიცხავს იმ ფულიდან, რომელიც მონასტრისა მმართველს.

— რაც გინდა, იმას მოგცემს, ისაკ, — მიუგო ლოკსლიემ, — ოღონდ კი ფული შენ მოგვეცი მამა აიმერისთვისაც და შენთვისაც.

— ჩემთვისაც! ახ, მამაცნო ვაჟკაცნო! მე უბედური და ღარიბი კაცი ვარ. მე რომ ორმოც და ათი ოქრო მოგცეთ, მთელი ჩემი სიცოცხლე გლახაობაში უნდა გავატარო.

— მაშ დაე მამა აიმერმა მოგვარიგოს. რას იტყვით, მამაო? შეუძლიან თუ არა ებრაელს ამდენი ფულის მოცემა?

— შეუძლიან თუ არა? — გაიმეორა აიმერმა: — განა ეგ ის იორკელი ისაკი არ არის, რომელსაც აუარებელი შეძლება აქვს? მე არ მინახავს, მაგრამ ჩვენმა ხაზინადარმა, რომელიც მასთან ხშირად დაიარება საქმის გამო, მიუთხრა, რომ იორკში მისი სახლი ისე გატენილია ოქროთი და ვერცხლითაო, რომ სირცხვილიც კი არის საქრისტიანოსათვის ერთს წუწკს ურიას ამოდენა შეძლება ჰქონდეს და სახელმწიფოსა და ეკლესიებს ჰყვლიფდესო.

— მოითმინე, მამაო! მოითმინე! — შესძახა ებრაელმა, — გული დაიმშვიდეთ. გთხოვთ მოიგონოთ, რომ მე ფულს ძალიად არავის ვაძლევ სესხად. როდესაც ბერი და ერი, თავადი და რაინდი მოდიან ხოლმე ჩემთან ფულის სასესხებლად, ეგრე ამაყად როდი ღაპარაკობენ ხოლმე. მაშინ მეუბნებიან: „მეგობარო ისაკ, ფულით ხელი გაგვიმართე. ღმერთმა ხომ იცის თავის ღრობედ მოგცემთ, ვადას ერთს დღესაც არ გადავაცდნით“ო!

ხოლო, როცა დრო მოვა და ფულსა ვთხოვ, მაშინ კი მეუბნებიან: „წყეულო ურიავ, ვევიპტის ქირმა წავიღოს შენ“! ერთის სიტყვით, რა უშევრის სიტყვითა გინდა არა მლანძღავენ.

— მამაო აიმერ, — უთხრა ლოკსლეიმ, — თუმცა ის ებრაელი არის, მაგრამ მართალს კი ამბობს. როგორც იმანა სთქვა, შენცა სთქვი, რამდენი ოქროს მოცემა შეუძლიან.

— რა კი ვალად მდებთ გითხრათ, რამდენი ოქრო გამოართვათ ამ საძაგელს კაცს, პირდაპირ გეტყვი, რომ ათას ოქროზედ რასაც ნაკლებს აიღებთ, თქვენი ზარალი იქნება.

— ათასი ოქრო! ათასი ოქრო! — შესძახა ლოკსლეიმ.

— ათასი ოქრო! ათასი ოქრო! — შეჰყვირეს იმისმა ამხანაგებმა; — ცხადად გამოჩნდა, რომ ქრისტიანი უფრო გაზდილი კაცი ყოფილა და უფრო დიდ-სულოვნად მოგვექცა, ვიდრე ურია.

— ღმერთი მამათა ჩემთა იყოს ჩემი შემწე! — მწუხარებით წარმოსთქვა ებრაელმა: — თქვენ გინდათ სრულიად დამღუპოთ. დღეს ერთად-ერთი შვილი მომგლიჯეს გულიდან, ახლა სარჩო-საბადებელიც გინდათ გამიწყვიტოთ?

— შვილები რომ არ გეყოლება, უფრო ნაკლები ხარჯი გექნება, ურიავ, — უთხრა აიმერმა.

— ვაი რომ შენ ვერ მიხვდები, შვილი გულთან როგორ არის შეკავშირებული! ოხ, რებეკა! ასულო ჩემის საყვარელის რახილისა. ყველა ფოთოლი ამ ხეებისა რომ ოქროდ იქცეს და მე მეკუთვნოდეს, მთლად ამ სიმდიდრეს თქვენ მოგცემდით, ოღონდ კი გამეგო, ცოცხალია თუ მკვდარი ჩემი საყვარელი ქალი.

— შენს ქალს შავი თმა ხომ არა აქვს? — ჰკითხა ერთმა მეშვილდისრემ, — იმას ხომ არ ეხურა ოქრო-მკედით ნაკერი ფარჩის ჩადრი?

— იმას! იმას! — მიუგო ისაკმა და მღელვარებისაგან ეხლა ისევე თრთოდა, როგორც წინად შიშისაგან. — კურთხევა იაკობისა იყოს შენზედ. შეგიძლიან იმის ამბავი შემატყობინო?

— ის თავხედმა ტაძრის რაინდმა წაიყვანა, — მიუგო მე-  
შვილდისრემ. — მე მინდოდა ისარი მესროლა, მაგრამ შემეშინ-  
და რაინდის მაგივრად ქალს არ მოეახვედრო-მეთქი.

— ახ, ნეტავი არ იქნება გესროლა და თუ გინდ ჩემს ქალ-  
საც მოხვედროდა შიგ გულში! დაე თავის მამა-პაპათა სასაფლაო-  
ზედ დამარხულიყო და გარყვნილი ტაძრის რაინდის სარეცელ-  
ზედ წოლას კი ასცდენოდა.

— მეგობრებო, — უთხრა ლოკსლეიმ და ყველას გადახე-  
და, — თუმცა ეს მოხუცი ებრაელია, მაგრამ ამის მწუხარება მეც  
მაწუხებს. ამისათვის პატიოსნური პირობით შევეცრათ. მაშ  
ათასი ოქრო რომ მოგვცე, ისაკ, შენ აღარაფერი დაგრჩება?

ამ კითხვამ ისე შეაძრწუნა ისაკი, რომ პასუხის მიცემა ვერ  
მოახერხა.

— რაც უნდა იყოს, — განაგრძო ლოკსლეიმ, — ჩვენ მაინც  
სასტიკად არ მოგექცევით. შენს ქალს ბრიან დე ბოა გილბე-  
რისაგან უფულოდ ვერ დაიხსნი... ჩვენ შენ მამა აიმერზედ ასი  
ოქროთი ნაკლებს გამოგართმევთ; ეს ჩემ წილად შემომიწირავს  
შენი ქალის გამოსახსნელად. ტაძრის რაინდებს ოქროებიც ისე  
უყვართ, როგორც შავ-თვალა ქალები. ეცადე ბოა გილბერს  
მალე დაუტკბო სმენა შენის ოქროების წყრილით, ვიდრე შენ  
ქალს ცუდი არა მოსვლია-რა. ეხლა ის თავის ორდენის მო-  
ნასტერში იქნება. მართალს ვამბობ, ჩემო ამხანაგებო, თუ  
არა?

ამხანაგებმა თავის უფროსის აზრი მოიწონეს; ისაკაც ისე  
ძლიერ გაეხარდა, რომ დაიჩოქა და ლოკსლეისთვის მუხლებ-  
ზედ უნდა ეკოცნა, მაგრამ ლოკსლეიმ უკან დაიწია და ცოტა  
არ იყოს ზიზლით უთხრა:

— არა, წყეულო, არა! წამოდექ ზეზედ! მე ინგლისელი ვარ  
და აღმოსავლეთური თაყვანის-ცემა მეჯავრება. ღმერთის წინაშე  
უნდა დაიჩოქო და არა ჩემისთანა ცოდვილი კაცის წინ.

— დიად, ურიავ, — უთხრა მამა აიმერმა, — ჩემ წინ უნდა  
დაიჩოქო, როგორც ღვთის მსახურის წინაშე. ვინ იცის რა  
შელავათი მოგეცეთ შენცა და შენს ქალს რებეკასაც, თუ ცო-

დევებს გულ-წრფელად მოინანიებ და წმინდა რობერტისათვის შესაწირავს გაიღებ. მე შენი ქალი მეცოდება, მერე რა ლამაზი ქალია: მე ის აშბში ვნახე ასპარეზობის დროს. მოიგე რითიმე ჩემი გული და მზადა ვარ ამ საქმეში დაგეხმარო.

ისაკმა საშინლად ამოიოხრა და განწირულებას მიეცა. ლოკსლეიმ ცალკე გაიხმო იგი და ნუგეში სცა.

— კარგად იფიქრე, ისაკ, თუ ამ საქმეში როგორ მოიქცე, — უთხრა ლოკსლეიმ. — მე გირჩევ მამა აიმერის გული მოიგო. იმას ფულები უყვარს, რადგან კარგს ცხოვრებას არის დაჩვეული. შენ მე თავისს დღეში ვერ დამაჯერებ, რომ ღარიბი ხარ. მე შენი რკინის ყუთიც კი ვიცი, რომელშიაც ფულები გიწყვიტა. რაღა ბევრი გავაგრძელო, მე ის ქვაც ვიცი, რომელიც ვაშლის ქვეშ არის და შენი სარდაფის ჩასავალს ხურავს (ებრაელი საშინლად შეერთა და მკვდრის ფერი დაედო). მაგრამ ჩემგან ნურაფრისა შეგეშინდება: მე და შენ ძველი ნაცნობები ვართ. გახსოვს ის ავადმყოფი მეშვილდისრე, რომელიც შენმა ქალმა დაიხსნა ბორკილებისგან და იქამდინ ინახავდა სახლში, ვიდრე არ მოარჩინა; ხოლო როცა მოარჩა, შენც ერთი მანეთი მიეცი საგზაოდ და გამოისტუმრე.

— მაშ შენ გეძახოდით **შვილდს-მოსწყის?** — შესძახა ისაკმა.

— **შვილდს-მოსწყისაც** მეძახიან, ლოკსლეისაც და კიდევ სხვა სახელსაც.

— გამიგონე, ლოკსლეი, თუ რომ ვაშლის ქვეშ მდებარე ქვაზედ ხმას არ ამოიღებ, მე შენ შუაზედ გაგიყოფ იმ საქონელს, რაც იქ არის.

— კრინტსაც არ დავძრავ! მე ძლიერ მეცოდება შენი ქალი რებეკა, მაგრამ შევლა კი არ შემიძლიან, ამისაუვის რომ რაინდების შუბებთან ჩვენი შვილდისრები ვერაფერს გახდებან. სხვაფრივ გიშველი. წამოდი, მამა აიმერს მოველ აპარაკოთ.

— თუ ღმერთი გრწამს, ამ საქმეში როგორმე დამეხმარე.

— ოღონდ შენ შენი ძუნწობით საქმე არ წახდინო და შე ვიცი, — მიუგო ლოკსლეიმ და აიმერისკენ წავიდა, ებრაელიც თან გაჰყვა.

— მამაო აიმერ, — უთხრა ლოკსლიემ: — წამო, აიმ ხისკენ წაიდე, ცალკე მინდა მოგელაპარაკოთ. ამბობენ, შენ თურმე ძლიერ გიყვარს ღვინო და ქალების ღიმილი; მაგრამ მე რასა-ქმე მაქვს. მე ისიც გავიგე, რომ შენ ძაღლები და კარგი ცხენებიც გყვარებია. ყველა ამების დასაკმაყოფილებლად ისაკი მზად არის ასი ოქრო მოგცეს, ოღონდ კი შენი მეგობრის ბოა გილბერის წინაშე უშუამდგომლე, რომ ამის ქალი გაან-ფაისუფლოს.

— მერე ვინ დამიდგება თავდებად, რომ ებრაელიმე ფულს მომცემს.

— მე დავიდგები. დაე ისაკს თავისი ქალი დაუბრუნდეს და ვნახავ ფულის მოცემასზედ უარს როგორ იტყვის. მაშინ მე იმას ისეთს საქმეს დავმართამ, რომ ათი იმდენი დაუჯდეს, რამდენიც შენთვის უნდა მოეცა.

— რახან ბედმა წილად მარგუნა ამ საქმეში გარევა, — სთქვა აიმერმა: — მაშ საწერ-კალამი მომიტანეთ.

მამა აიმერს საწერ-კალამი მოუტანეს, იგი დაჯდა და ბოა გილბერთან წერილი დასწერა, მერე დაბეჭდა, მისცა ებრაელს და უთხრა: — ამ წერილის ძალით შენ ტემპლსტოს მონასტერ-ში შეგიშვებენ და იმედი მაქვს ქალსაც დაგიბრუნებენ, მეტადრე თუ ბოა გილბერსაც დაჰპირდები რასმე.

— ამას შემდეგ მენც თავსუფალი ხარ, მამაო აიმერ, და შეგიძლიან წახვიდე, — უთხრა ლოკსლიემ.

— ახლა გთხოვთ, ჩემი ბერებიც გაანთავისუფლოთ და დამიბრუნოთ ცხენი, ჯორები, ბეჭედი, ძეწკვი და სხვა ნივთეულობანი, — უთხრა აიმერმა.

— რაც შეეხება თქვენს ბერებს, — მიუგო ლოკსლიემ: — იგინი თავისუფალნი არიან. ცხენებსა და ჯორებსაც დაგიბრუნებთ, მაგრამ ნივთებს კი ვერ მოგცემთ, რადგანაც მათი ტარება თქვენ არ შეგზვენით.

— მოიფიქრეთ, რას შვრებით, ბატონებო, — მიუგო აიმერმა: — ეგ ნივთები ეკლესიისაა და დიდი სატანჯველი მოეგლის იმას, ვინც მათ უწმინდურს ხელს შეახებს.



— იმ ნივთებს მე თვითონ გავუკეთებ, — გაერია ლაპარაკში ტყუილი მეუღაბნოე.

— ძმაო, თუ მეგობარო, — მიუგო ამაზედ აიმერმა: — თუ მართლა ბერი ხარ, წარმოიდგინე, რა საშინელს ჰასუხის გებაში ვარდები წინაშე შენის მთავრობისა ამისთანა საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის.

— ჩემო მეგობარო მოძღვარო! — უთხრა ტყუილმა მეუღაბნოემ: — თქვენ ხომ იცით, რომ მე პატარა ეპარქიას ვეკუთვნი, სადაც მე თვითონ ვარ ჩემი თავის ეპისკოპოსი და ისევე ცოტას ვფიქრობ იორაკელს ეპისკოპოსზედ, როგორც ჟორგოს მოძღვარზედ და მის მონასტერზედ. ამისათვის გიცხადებ, რომ შენს ნივთებს ველარ მიიღებ.

— მაშ შენ ტყუილი ბერი ყოფილხარ და შენის მოვალეობისა არა გაგგებია — რა, — დაუყვირა გაბრაზებულმა მოძღვარმა. წყეული და შეჩვენებული იყავით ყველანი.

— მე კი არა, შენა ხარ ტყუილი ბერი და წარმართი, — მიუგო მეუღაბნოემ აგრედღე გაბრაზებით: — მე როდი მინდა, რომ ჩემი მრევლის წინაშე აგრე მლანძღავდე და მამცრობდე. შე ისეთივე ბერი ვარ, როგორიც შენ და თუ ენას არ დაიმოკლებ ჩინჩხვარივით დაგამტვრევ.

— ერეპა! — სთქვა ლოკსლეიმ, — დახე ღვთის მსახურნი ერთმანეთს როგორა ლანძღავენ. მოძღვარო, ამ განდევილს აგრე ნუ აჯავრებ, თორემ ცუდი საქმე მოგივა.

მეშვილდისრეთ ბერები შეარიგეს. ამას შემდეგ ისაკმა მისწერა იორაკში ერთ ებრაელს წერილი, რომ ლოკსლეის კაცისათვის მიეცა ათასი ოქრო და წერილში მოხსენებული ზოგიერთა საქონელი.

— მშვიდობით! — უთხრა ისაკმა ლოკსლეის: — მე შენ კეთილს კაცს არ დაგიძახებ, მაგრამ ბოროტი კაცის დაძახებაც არ შემიძლიან.

ვიდრე ისაკი წავიდოდა, ლოკსლეიმ შემდეგი დარიგება მისცა: — ძუნწი ნუ იქნები, ისაკ, და შენს სიმდიდრეს შენი ქალის დახსნისათვის ნუ დაზოგავ; მერწმუნე, ის ოქრო, რომე-

ლსაც ეხლა შენი ქალისთვის დაიშურებ, მწუხარების მეტს არაფერს მოგიტანს.

ისაკმა იგრძნო სიმართლე ლოკსლეის სიტყვებისა, ერთი საშინლად ამოიოხრა და გზას გაუდგა. მას თან ორი კაცი გაჰყვა, რომ სამშვიდობო გზამდინ გაეცილებინათ.

შავი რაინდიც გამოეთხოვა ლოკსლეის. იგი დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ამბებს და უკვირდა, რომამ ხალხში, რომელიც კანონს არ ემორჩილებოდა, ესოდენი მოქალაქობრივი წეს-წყობილება იყო დაცული.

— უხეირო ხე, ბატონო რაინდო, — უთხრა ლოკსლეიმ: — ბევრჯელ კარგს ნაყოფს გამოიღებს ხოლმე, ხალხის აღრეულობის დროსაც სულ ბოროტება როდი ხდება, ზოგჯერ კარგი საქმეც მოხდება ხოლმე. ჩვენ შორის არა ერთი და ორი კაცი მოიპოვება იმისთანა, რომელიც ნანობს, რომ ამისთანა ცხოვრებას ატარებს.

— მე მგონია ერთს იმათგანს ეხლა მე ველაპარაკები.

— რაინდო, ყველა ჩვენგანს თავისი საიდუმლოება აქვს. შენ ჩემი ვინაობა გინდა შეიტყო, მე შენი. მაგრამ რადგანაც მე არა ვთხოვ შენი საიდუმლოების გამოჟღაპრებას, ამისათვის ნუ იწყენთ, რომ მეც ჩემს ვინაობას გიმალიავ.

— უკაცრავად, მამაცო მეშვილდისრევე: შენი საყვედურო სამართლიანია. იქნება ორივენი როდისმე შევხვდეთ ერთმანეთს და ერთმანეთის ვინაობა გავიგოთ, მინამდის კი დაე მეგობრები ვიყვნეთ, არა?

— აი ჩემი ხელი, ხელი ნამდვილის ინგლისელისა, თუმცა კანონს გარეშე კი ვიმყოფები.

— აი ჩემი ხელიც. მე საკვებურად მიმაჩნია შენი ხელის ჩამორთმევა, ამისთვის რომ ის, ვინც კეთილს სჩადის მაშინ, როდესაც შეუძლიან ბევრი ბოროტება ჩაიდინოს, ღირსია პატივის-ცემისა. მშვიდობით პატიოსანო ლოკსლეი!

ასე მეგობრებად გაშორდნენ ორივენი ერთმანეთს. შავი რაინდი შეჯდა თავისს ღონიერს ცხენზედ და ტყე-ტყე გზას გაუდგა.

თავი ოცდამეცამეტი

მეფე იოანე. აი რას გეტყვი მე შენ, ჩემო მეგობარო: ის გველივით მუდამ იმ გზაზედ იხლანება, რომელზედაც მე მივდივარ ხოლმე. საითაც უნდა ფეხი გადავდგა, იგი მუდამ წინა მხედება. გესმის თუ არა?

შექსპირი.—მეფე იოანე.

იორკის ციხე-დარბაზში პრინცს იოანეს დიდი მეჯლისი ჰქონდა და მთლად დიდებულნი დაპატიუებული ჰყავდა: იმას უნდოდა მათის შემწეობით ქმისთვის სამეფო ტახტი წაერთმია. იოანეს თავი და თავი მოათათბირე ვალდემარ ფიტცურზი იყო, რომელიც სულ იმას ცდილობდა, რომ მეჯლისში მყოფნი თავისკენ მიემხრო და მათის შემწეობით თავისი განზრახვა შეესრულებინა. მაგრამ ამ დროს აქ არ იყვნენ ისეთნი მათი მომხრენი, როგორიც იყვნენ მამაცი ფრონ დე ბეფი, გამბედავი დე ბრასი და ხერხიანი ბოა გილბერი, და უიმათოდ კი ვერც იოანე და ვერც მისი მარჯვენა ხელი ფიტცურზი ვერ ბედავდა თავიანთი განზრახვის შესრულებას. ისაკიც აღარსადა სჩანდა და უიმისოდ ხომ შეუძლებელი იყო შოვნა ფულისა, რომელიც არეულობის მოსახდენად დასჭირდებოდათ.

ტორკვილსტონის აღების მეორე დღეს იორკში გაერკეულდა ხმა, რომ დე ბრასი და გილბერი თავის მომხრე ფრონ დე ბეფით ან ტყვედ ჩაყარდნიათ მტერს ხელში და ან დაუხოციათო. ფიტცურზმა ეს ამბავი პრინცს იოანეს შეატყობინა და დაუმატა, რომ მართალი იქნებაო.

— მაშ რა ვქნათ ეხლა?—ჰკითხა პრინცმა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, მე ყოველივე განკარგულება მოვახდინე და ამაზე მეტს რაღას ვიზამთ,—ძიუგო ფიტცურზმა.

— შენ ყოველთვის ჩემი მფარველი ანგელოზი ხარ, ვალდემარ, და თუ შენისთანა კანცლერი მეყოლება, მათიანენი ჩემს სახელს ყოველთვის ქებით მოიხსენიებენ. მერე რა განკარგულება მოახდინე?

— მე ვუბრძანე დე ბრასის თანაშემწეს, რომ ეხლავ წავიდეს ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზისკენ და ჩვენს მეგობრებს მიეშველოს.

— ღმერთს გეფიცები, ვალდემარ ფიტცურზო, რომ შენს თავს ბევრს ნებას აძლევ!—უთხრა ჯაფრზედ მოსულმა პრინცმა:—ვიდრე მაგ განკარგულებას მოახდენდი, ჯერ ჩემთვის უნდა გეკითხა.

— გთხოვთ მომიტეოთ, თქვენო უმაღლესობავ,—მიუგოა ფიტცურზმა:—გარემოება ისეთი იყო, რომ დავგვიანება არ შეიძლებოდა.

— მიპატივებია, ფიტცურზო,—უთხრა პრინცმა მედიდურად:—შენი განზრახვა შენს მოუფიქრებელს თავხედობას ამართლებს. მაგრამ ეს ვინ მოდის ჩვენსკენ? წმინდა ჯვარს გეფიცები, დე ბრასი არის! ერთი შეხედვით, რა უცნაური ტანისაა მოსი აცვია!

მართლაც, იგი დე ბრასი იყო, დაფხრეწილის და სისხლით მოსვრილის ტანისამოსით. მოსვლის უმაღლვე მან თავისი ზუფის სტოლზედ დადო და კარგა ხანს სულს იბრუნებდა, რომ მერე ახალი ამბები უფრო დაწვრილებით შეეტყობინებინა.

— ეგ რა ამბავია შენს თავს, დე ბრასი?—უთხრა პრინცმა იოანემ.—გიბრძანებ, ყველაფერი ეხლავ შემატყობინო! საქსები ხომ არა ჯანყდებიან?

— თქვი, დე ბრასი, თქვი!—უთხრა ამავე დროს ფიტცურზმა.—სად არის ბოა გილბერი? სად არის ფრონ დე ბეფი?

— ბოა გილბერი გაიქცა,—მიუგო დე ბრასიმ,—ფრონ დე ბეფს თქვენ ველარა ნახავთ: მან სამარე თავის ციხე-დარბაზის ნანგრევებში ჰპოვა და მარტო მე გადავჩინე, რომ ეს ამბავი თქვენთვის შემეტყობინებინა.

— ეგ ვერაფერი ამბავი შეგვატყობინე!—უთხრა ვალდემარმა.

— უფრო ცუდს ამბავს გაიგებთ,—განავრძო დე ბრასიმ, მერე მივიდა პრინცი იოანესთან და ყურში უჩუქრჩულა:—რთი ჩარდი ინგლისშია, მე თვითონ ვნახე იგი და ველაპარაკე.

პრინცი იოანე გაფითრდა და დაბარბაცდა, თითქო გულში ისარი მოხვდაო.

— შენ მგონია როტავ, დე ბრასი,—შეჰყვირა ფიტცურზმა:—ეგ ყოვლად შეუძლებელია.

— ნამდვილს ჭეშმარიტებას გეუბნებით,—მიუგო დე ბრასიმ:—მე იმას ტყვედ ჩაეუვარდი ხელში და კიდეც ველაპარაკე.

— რიჩარდ პლანტაგენტს?—ჰკითხა ფიტცურზმა.

— დიღღ, რიჩარდ პლანტაგენტს, რიჩარდ ლომ-გულს, რიჩარდ ინგლისელს.

— შენ ტყვედ ჩაუვარდი იმას? მაშასადამე, ჯარი ჰყოლია.

— არა, მხოლოდ რამდენიმე ყაჩაღი—მეშიეილდისრე ჰყავს. მე ჩემის ყურით გავიგე, როდესაც უთხრა ყაჩაღებს: მე იმისთვის მოგემხრეთ, რომ ტორკვილსტონის აღება მეშველაო.

— ასეთი კაცია რიჩარდი, მოგზაური რაინდი,—სთქვა ფიტცურზმა,—რომ არავითარს განსაცდელს არ ერიდება. ახლა რა გინდა ქნა, დე ბრასი?

— მე? მე დავპირდი რიჩარდს ჩემს რაზმს მოგაშველებ-მეთქი, მაგრამ იმან ამაზედ უარი განაცხადა. ეხლა ჩემს რაზმს ფლანდრიაში წავიყვან და იმედი მაქვს იქ საქმე გავიჩინებო. თუ გინდა შენც თან გამომყე, ვალდემარ, და ბედი და უბედობა შეუაზედ გავიყოთ.

— მე ეხლა საკმაოდ მოხუცი ვარ და სხვაგან წასვლა აღარ შემიძლიან. მე წმინდა პეტრეს ეკლესიას შევაფარებ თავს, იქაურთ არხიეპისკოპოსი ჩემი კარგი მეგობარია.

ამ ლაპარაკის დროს პრინცი იოანე ცოტა გონზედ მოვიდა და მიხვდა, რომ ფიტცურზი და დე ბრასიც თავს ანებებდნენ მას.

— როკორ, ბატონებო,—უთხრა პრინციმა იოანემ ძალდტანებულის ღიმილით:—თქვენ მე იმისთანა დროს მანებებთ თავს, როდესაც მტერთან ერთი პირდაპირი შეჯახება საკმაო იყო, რომ საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

— მაგას რას ბრძანებთ?—უთხრა დე ბრასიმ.—როგორც კი გავარდება ხმა რიჩარდის დაბრუნებისა, ჯარიც მაშინვე გა-

ჩნდება მასთან და ჩვენს საქმეს აღარა ეშველება-რა. მე თქვენ გირჩევთ, პრინცო, ან საფრანგეთში გაიქცეთ და ან თქვენს დედოფალს-დედას სთხოვოთ მფარველობა.

— მე ჩემს თავზედ არა ვფიქრობ,—მიუგო პრინცმა იოანემ ამყად,—საკმაოა ერთი სიტყვა ვუთხრა ჩემს ძმას, რომ შემირიგდეს. მაგრამ ვაი თქვენი ბრალი! მე არ მინდა, რომ თქვენი თავები კლიფორდის ციხის კედლებს ამშვენებდეს. ეხლა ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს... ის კაცი, რომელიც ეხლა თავზარსა გვცემს, მარტოდ-მარტო მოგზაურობს... ჩვენ იმას უნდა დავუხვდეთ...

— მხოლოდ მე კი არ ვიზამ მაგას,—გააწყვეტინა სიტყვა დე ბრასიმ:—მე იმას ტყვედა ვყავდი და მაპატივა, ამისათვის იმის ზუჩის ბუმბულსაც კი არ ვახლებ ხელსა.

— იმის ხელის ზლებას ვინ გეუბნება,—მიუგო მწარის ღიმილით იოანემ.—ვინ იცის, იქნება შენ ისიცა სთქვა, რომ მე იმის მოკვლა მინდოდეს? არა, მე მგონია ჩემი ძმისთვის სულ ერთია, სადაც უნდა იჯდეს—ავსტრიის ციხეში, თუ ინგლისისაში. ჩვენ სულ იმის იმედი გვქონდა, რომ რიჩარდი ავსტრიაში დარჩებოდა ტყვედ.

— მამა-თქვენი გენრიხი უფრო მკვიდრად იჯდა ტახტზედ, ვიდრე თქვენ,—მიუგო ვალდემარმა.—მე იმას ვიტყვი, რომ ყველაზედ საუკეთესო საპატიმრო ის არის, რომელსაც მესაფლავე აკეთებს.

— საპატიმრო იქნება, თუ საფლავი,—უთხრა დე ბრასიმ, —სულ ერთია, მე ხელი დამიბანია.

— ბოროტო!—შესძახა პრინცმა იოანემ,—ჩვენს გაცემას ხომ არ აპირობ?

— მე არავის გამცემელი არა ვყოფილვარ,—მიუგო ამყად დე ბრასიმ,—და ბოროტ კაცობას ჩემთან. ხელი არა აქვს.

— ხმა-დაბლა სთქვი, ბატონო რაინდო!—უთხრა ვალდემარმა,—და თქვენც მოწყალეო ხელმწიფეც, აპატივე დე ბრასის; მე იმედი მაქვს იგი კვლავ დავიყოლიო და ჩვენსკენ გადმოვიყვანო.

— მაგისტანა მკვერ-მეტყველი არა ხარ, რომ ეგ შეიძლო, ფიტცურზო!—მიუჯო რაინდმა.

— გამიგონე, საყვარელო მორის, — განაგრძო ცბიერმა ფიტცურზმა, — შეშინებული ცხენით ნუ ხტი, ვიდრე შენი შემადრწუნებელი საგანი კარგად არ გაგისინჯავს. გუშინ არ იყო რიჩარდთან პირდაპირ შებრძოლებას ნატრობდი, ამაზედაც ხომ უარს ვერ იტყვი.

— დიად, მართალია, მე სურვილი მქონდა ბრძოლაში შეეხვედროდი იმას; მაგრამ ის სურვილი კი არა მქონია, რომ უაჩილით დავცემოდი მას თავს.

— თუ შენ ეგ გაბრკოლებს, მაშ ნამდვილი რაინდი არა ყოფილხარ. განა ცოტამ გაიჟკვეს სახელი იმით, რომ თავისს მტერს ტყეში ჩუმად დაეცნენ?

— შეიძლება, მაგრამ მე იმათგანი არა ვარ, — უთხრა დე ბრასიმ, — და მე მგონია ისინი არას დროს არ იკადრებდნენ, რომ მთელის ჯარით ერთს კაცს დასცემოდნენ.

— უგუნური ყოფილხარ, დე ბრასი. განა ჩვენ ისეთს რას გავალეზბთ? შენ ჩვენს მტერს კარგად იცნობ და სწორედ მაშინ ამბობ მასთან ბრძოლაზედ უარს, როდესაც შენს ამხანაგებს და თვითონ შენც განსაცდელი მოგელის.

— მე შენ გეუბნები, — უთხრა დე ბრასიმ ხმა-მადლა, — რომ შე იმან სიცოცხლე მაჩუქა; თუმცა თავის სამსახურიდან დამითხოვა და ჩემი დახმარება იუკადრისა, მაგრამ მე იმას მაინც ხელს ვერ შევახებ.

— მაგას ვინა გთხოვს მერე! მის წინააღმდეგ ერთ-ერთი შენი თანაშემწე გაგზავნე თავის ჯარით.

— არც ერთი ჩემი თანაშემწე მაგაზედ არ დათანხმდება, — მიუჯო მორისმა.

— მაშ ვერე ჯიუტობ რაღა, დე ბრასი? — ჰკითხა პრინცმა იოანემ: — აკი მპირდებოდი შენი ერთგული ვიქნებო, ნუ თუ ეხლა თავს მანებებ?

— მე თავს არ განებებ, — მიუჯო დე ბრასიმ, — მე თქვენს სამსახურს ბრძოლის ველზედაც კი არ დავივიწყებ; მაგრამ ეს უაჩილური საქმე კი ჩემს დაპირებას არ შეეხება.



— წავიდეთ, ვალდემარ, — უთხრა პრინცმა იოანემ. — რა უბედური მეფე ვარ, ერთგულმა მეგობრებმაც მიღალატეს.

— არა ყველას არ უღალატნია, — უთხრა ფიტცურზმა: — მე თვითონ ვიკისრებ ამ განსაცდელიანს საქმეს. ბიჭო! — განაგრძო მან, — წადი ჩემს სახლში და ჩემს საქურვლის მტვირთველს უთხარ, რომ ეხლავე აქ მოვიდეს, ჯაშუში გიუგ ბარდონიც გამოგზავნე. მშვიდობით, პრინცო! — ვალდემარი წავიდა.

— მას უნდა ჩემი ძმა დაატყვევოს, — უთხრა პრინცმა იოანემ დე ბრასის და ეტყაზობადა, რომ სენილდისის ქეჯანასა ჰგრძნობდა. — იმედი მაქვს იგი არ გადაუდგება ჩვენს ბრძანებას და არაფერს დაუშავებს ჩვენს საყვარელს რიჩარდს.

დე ბრასიმ მხოლოდ ღიმილით გასცა პასუხი.

— მე წავალ მასთან, — მიუგო დე ბრასიმ, — და კარგად შევატყობინებ თქვენს უმბლდესობის სურვილს, რომელიც წინაღმეც კარგად ვერ გავიგე და შეიძლება ვალდემარსაც ვერ გაეგოს.

— არა, არა, ნუ წახვალ, უთხრა პრინცმა მოუთმენელად, — გარწმუნებ იმან ყველაფერი გაიგო; ამას გარდა მე შენთან სხვა საქმე მაქვს. მოდი აქა, მორის, მხარზედ მინდა დაგეყრდნო.

ორივემ ასე გაიარეს დარბაზში და პრინცმა იოანემ მეგობრულად განაგრძო საუბარი: — შენ ამ ვალდემარ ფიტცურზზედ რას ფიქრობ, ჩემო დე ბრასი? იმას ჩვენი კანცლერობა უნდა. რასაკვირველია, ჯერ კარგად ვიფიქრებთ, ვიდრე მივცემთ ამ მაღალს თანამდებობას ისეთს კაცს, რომელსაც ძლიერ მკირე პატივისცემა აქვს ჩვენის გვარეულობისა. ეს იმაზე ეტყობა, რომ რიჩარდის წინააღმდეგ მოქმედობს. შენ იქნება გგონია, ძლიერ გვწყინდეს, რომ ჩვენი წინადადება რიჩარდის შესახებ უარი ჰყავი? სრულიადაც არა! პირიქით, მე შენ სწორედ მაგისთვის გცემ პატივს. ხშირად არის ისეთი საქმე, რომლის გაკეთებაც უსათუოდ საქირთა, მაგრამ მის გამკეთებელს კი არავითარს პატივს არა ვცემთ ხოლმე. ჩემი ძმის დატყვევებით მორისი ისე აღვილად ვერ დაიმსახურებს კანცლერის თანამდებობას, როგორც შენ უარის თქმით — მარშლობისას. იფიქრე

ამაზედ, დე ბრასი, და შენი თანამდებობის ასრულებას შეუდგე.

— რა სუსტი მტარვალია!—წაიბუტბუტა დე ბრასიმ, როდესაც გარედ გამოვიდა.—უბედურნი არიან ისინი, ვინც შენ გიჯერებენ! შენი კანკლერი... ჰმ!... დიად!... მაგრამ ინგლისის მარშლობა!—დაუმატა მორისმა და ხელი გაიწვდინა, თითქო მარშლობის ყავარჯენს უნდა ხელი სტაცოსო.—ეს ისეთი დიდოჯილდოა, რომ ღირს კაცი ამისთვის ეცადოს.

დე ბრასი გავიდა თუ არა ოთახიდან, პრინცმა იოანემ დაუძახა ჯაშუშების უფროსს ბარდონს და უთხრა:

— ბარდონ, ჩვენთვის საჭიროა, რომ დე ბრასის თვალყური ედევნო, მხოლოდ ისე კი, რომ არ შეგნიშნოს. დრო და დრო შეგვატყობინე ხოლმე, ვის ელაპარაკება იგი და ან რა სწადრან.

გიუგ ბარდონმა თავი დაუკრა და წავიდა.

— თუ მორისი მე მატყუებს,—ბუტბუტებდა პრინცი იოანე:—თუ ის მე მატყუებს, უსათუოდ თავს გავადგებინებ მაშინაც კი, როდესაც გამარჯვებული რიჩარდი იორკის კედლებს მოადგება.

### თავი ოცდამეთერთმეტი

ვირჯანის უღაბნოთა ვეფხვის გაღვიძება და საჭმლის გამო შშიერ ლომთან ჩხუბი ისე საშინელი არ არის; როგორც აღგზნება ფანატკოსობის ჩამქრალის აღისა.

ანონიმი.

ახლა მივუბრუნდეთ იორკელს ისაკს.

იგი შეჯდა ლოკსლისაგან ნაჩუქარს ჯორჯე და გაუდგა გზას ტემპლსტოს მონასტრისკენ, რომ თავისი ქალი როგორმე გაენთავისუფლებინა. ფრონ დე ბეფის დანგრეული ციხე-დარბაზიდან ამ მონასტრამდინ ერთი დღის სავალი იყო. ისაკი გზაზედ ცოტა უქეიფოდ შეიქნა და იძულებული იყო იმ და-

მეს ერთს პატარა სოფელში დარჩენილიყო, სადაც ექიმობით გათქმული მისი თანამემამულე რაბინი ცხოვრობდა. რაბინმა ნატან ბენ ისრაილმა თავისი თანამემამულე ისაკი დიდის სიამოვნებით მიიღო სახლში, იმ ღამეს ციებ-ციხელების წამლები დააღვეინა და თბილად დააძინა. მეორე დღეს, როდესაც ისაკმა გამოუცხადა თავის მასპინძელს, რომ ტემპლსტოში უნდა წავიდეთ, მას საშინლად გაუკვირა.

— ტემპლსტოში შენი წასვლა როგორ შეიძლება? — უთხრა ბენ ისრაილმა: — უ თუ არ იცი, რომ მათი ორდენის უფროსი ლუკა დე ბომანოარი ეხლა იქ იმყოფება? ისიც ხომ იცი, რა ნაირი დაუძინებელი მტერია იგი ჩვენის ხალხისა? გირჩევ არ წახვადე და თუ წახვიდე, ეცადე ბომანოარს არ შეხვდე. სხვა რაინდებს ოქრო-ვერცხლით მაინც შეისყიდი, მაგრამ მისი შესყიდვა კი ყოვლად შეუძლებელია. გიმეორებ, მას ჩვენი ხალხი საშინლადა სძულს და ებრაელის მოკვლა ღვთის სასიამოვნოდ მიაჩნია. ჩვენს წამლობასაც კი ეშმაკის მანქანებას ეძახის.

— ყველა ეგ მართალია, მაგრამ მე მაინც უნდა წავიდე, — თუ გინდ რომ სიკვდილიც მომელოდეს იქა.

ისაკმა ნატანს წასვლის მაზგიუნი უამბო. რაბინმა გულ-მტკივნეულობა გამოუცხადა თავის ხალხის ჩვეულებისამებრ, ტანი-სამოსი შემოიხია და სთქვა: ახ, ჩემო ქალო! ვაი შენდა, შევინებავ სიონისა! ვაი შენდა, ტყვეობავ ისრაილისა!

— აი ხომ ხედავ რა მდგომარეობაში ვარ, — განაგრძო ისაკმა, — და განა შემიძლიან დავიგვიანო.

— წადი, — უთხრა ნატან ბენ ისრაილმა, — და ეცადე გონიერულად მოიქცე. ღმერთმა შენი გულის საწადელს მოგწიოს. კიდევ გიმეორებ, ბომანოართან შეხვედრას ერიდე, იგი გულით სიამოვნებს, როდესაც ჩვენი ხალხის ტანჯვას უყურებს. ბოა გილბერთან რომ მოახერხო ცალკე ლაპრაკი, იქნება უფრო გააწყო რამე. იქიდან ისევ ჩემთან მოდი და ამბავი მომიტანე; იმედი მაქვს შენს ქალს რებეკასაც თან მოიყვან.

ამას შემდეგ ისაკი გამოეთხოვა თავის მებობარს და ერთი საათის განმავლობაში ტემპლსტოს მონასტერში მივიდა.

ეს ტაძრის რაინდთა სადგომი აყვავებულ მდგლოთა და ხასხას მწვანით მოსილ მინდორთა შორის იყო აშენებული. იგი ციხე-კოშკებით იყო გამაგრებული და გარშემო ორი შავად-ჩაცმული გუშაგი უვლიდა. ტაძრის რაინდთა უფროსი ლუკა ბომანოარი ამ დროს მართლა აქ იყო, ციხის ეზოში გაშენებულ პატარა ბაღში დასეირნობდა და ერთს თავისს დაახლოვებულს რაინდს ელაპარაკებოდა. ამ დროს საჭურვლის მტვირთველი შევიდა ბაღში, ბომანოარს უმდაბლესად თავი დაუყრა და ჩუმად დადგა.

— რა გინდა? რად მოსულხარ? — ჰკითხა ბომანოარმა საჭურვლის მტვირთველს.

— კარებთან ურია დგას, თქვენო მაღალღირსებავ მამაო, — მიუგო საჭურვლის მტვირთველმა, — და ბრიან დე ბოა გილსერთან ლაპარაკის ნებას თხოულობს.

— კარგსა შვრები, რომ ჯერ მე მატყობინებ, — მიუგო ბომანოარმა: — როცა ჩვენ აქა ვართ, არც ერთს რაინდს ტაძრისას ნება არა აქვს თავის ნებაზედ მოიქცეს. ჩვენთვის განსაკუთრებით საჭიროა ვიცოდეთ მამაცი რაინდის ბოა გილბერის საქციელი. წამოაყენე ჩვენს წინაშე ურია, — უბრძანა მან საჭურვლის მტვირთველს.

საჭურვლის მტვირთველი გავიდა და რამდენიმე წამის შემდეგ ისაკი შემოიყვანა. იგი შიშისაგან კანკალობდა. სამს ნაბიჯზედ რომ მიუახლოვდა, ბომანოარმა კვერთხით ანიშნა შემდგარიყო. ებრაელმა დაიჩოქა და პატვის-ცემის ნიშნად მიწას ემთხვია, მერე გულ-ხელი დაიკრიბა, თავი ჩაქინდრა და ისე დადგა. ლუკა ბომანოარმა განკარგულება მოახდინა, რომ ბაღში არავინ შემოსულიყო: საჭურვლის მტვირთველმა თავი დაუყრა და გავიდა.

— გამიგონე, ურიაე! — უთხრა თავხედმა ბომანოარმა: — ჩვენს ღირსებას არ შეჰფერის, რომ დიდ ხანს გელაპარაკოთ; ამისათვის მოკლე პასუხი მამეცი იმაზედ, რასაცა გკითხავ; თუ სიცრუევე გითქვამს, ვაი შენი ბრალი! პირიდან ენას ამოგაგლეჯავ. რა საქმე გაქვს ბოა გილბერთან?

ისაკი შიშისაგან სულს ძლივს იბრუნებდა. ეაქვა თავისი თავ-გადასავალი, ტაძრის რაინდთა შეურაცხყოფად ჩაუთვლიდნენ, გაჩუმებულიყო და რაღა იმედი ჰქონოდა ქალის განთავისაყოფლებისა? ბომანოარმა შენიშნა შეკრთომა და გაამხნევა.

— ნურაფრისა ნუ გეშინიან, ურიავე, თუ ყველაფერს მართალს იტყვი. კიდევ გეკითხები, რა საქმე გაქვს ბრიან დე ბოა გილბერთან?

— მამა აიმერის წერილი მოვუტანე, — წაილულლულა ებრაელმა.

— აკი გითხარ, ცუდს დროში ვცხოვრობთ-მეთქი, — უთხრა თავისს თანამხლებელს კონრადს. — მამა აიმერი ტაძრის რაინდს ურჩის ხელით უგზავნის წერილს! — აბა აქ მომეც ეგ წერილი!

ებრაელმა ხელის კანკალით ამოიღო წერილი და უნდოდა ბომანოარისთვის მიეცა.

— უკან დაიწიე, ძაღლო! — დაუყვირა ბომანოარმა: — ურწმუნოებს თუ არა ხმლით სხვაფრივ არ შევცხები. — კონრად, გამოართვი ურჩის წერილი და მომიტანე.

ბომანოარმა გამოართვა კონრადს წერილი და კარგად გასინჯა გარედან; მერე დაუწყო გახსნა ძაფს, რომელიც გარედან ჰქონდა დახვეული.

— მაღალღირსო მამაო, — ჰკადრა კონრადმა, — ნუ თუ წერილის გახსნას აპირობთ?

— რატომაც არა? — მიუგო ბომანოარმა და წარბები შეიკრა. — აკი სწერია ჩვენს წესდებაში, რომ ტაძრის რაინდმა მამისაგანაც კი არ უნდა მიიღოს წერილი ისე, რომ პირველად თავისს უფროსს არ წააკითხოს.

ბომანოარმა საჩქაროდ გადაავლო წერილს თვალი და შიშის ზარმა შეიპყრო; მეორედ უფრო ღინჯად წაიკითხა; მერე კონრადს გადასცა იგი და უთხრა: — დახე ორს ქრისტიანს რა საგანი ამოურჩევით მიწერ-მოწერისათვის, ორივენი კი სარწმუნოების საზოგადოებათა წევრნი არიან. ამას შემდეგ მიკვირს, მთლად ქვეყანა რატომ არ წაირღვება. კონრად, ხმა-მაღლა წაიკითხე წერილი და შენც, ურიავე, ყური დაუგდე: წერილის შინაარსის შესახებ მინდა გეკითხო რამე.

კონრადმა შემდეგი წაიკითხა: „ჟორჯოს მოძღვარი აიმერი, შადლითა ღვთისათა, ნატრობს ბატონ ბრიან დე ბოა გილბერტი-სთვის კარგად ყოფნას და მოწყალეებას ბახუსის მეფისა და ქალ-ბატონი ვენერისას. გატყობინებ, ჩემო საყვარელო ძმაო, რომ ჩვენ ტყვედ ვყვეართ უღმერთო და ურწმუნო ხალხს, რომელიც გამოსასყიდელს ფულსა გვოხვოს და ფრან დე ბეფის სიკვდილიც ამათ შეგვატყობინეს; ერთმა მათგანმა ისიც გვითხრა, რომ შენ გაგიტაცნია ებრაელი ტურფა ქალი, რომლის შავს თვა-ლებსაც მეტად მოუხიბლიხარ. ჩვენ გულით გვიხარის, რომ ყა-ჩალებს გადარჩი; მაგრამ გთხოვ ერიდო მაგ ენდორის მეორე ჯა-დოქარს ქალს, რადგანაც გავიგეთ, რომ ნორმანდიიდან მოდის დიდი მაგისტრი ბოძანოარი თქვენი მზიარული ცხოვრების ასა-ლაგმავად და რომელიც ერთს მარცვალს ლობიოსაც არ გაიმე-ტებს შავ თვალა და ალის-ფერ ლოყებიან ქალისათვის. ვინძ-ლო ფხიზლად დაუხვდე მას და არაფერი შევამჩნიოს. რებეკას მამა, მდიდარი იორკელი ისაკი, მთხოვს თქვენს წინაშე ვუშუა-შდგომლო და ეს წერილიც იმან მომაწერინა; მე გწერთ ამ წე-რილს და გირჩევ, რომ ფული გამოართვა და ქალი კი გაუნ-თავისუფლო; ურია იმდენს ფულს მოგცემს, რომ იმით ორმოც და ათს სხვა ქალს იშოვნო, რომლებთანაც არშიყობა საშიში არ იქნება, რადგანაც იმედი მაქვს იმათგან ერთ-ერთი ზეც მე-რგება, როდესაც ჩვენ ორივენი ერთად ვისხდებით საქეიფოდ-მშვიდობით, ვიდრე ერთმანეთს ვნახავდეთ.—ეს წერილი ყაჩა-ღების ბუნავში დაიწერა.

აიმერი, მოძღვარი ჟორჯოს მონასტრისა.

P. S. თქვენი ოქროს ძეწკვი დიდ ხანს არ შემოჩა. ეხლა იმას რომელიმე მეშვილდისრე შეაბამს თავისს საყვარს და ძაღ-ლებს დაუძახებს.

— ამაზედ რას იტყვი, კონრად? — ჰკითხა დიდმა მაგისტრ-მა. — ქურდების ბუნავი! დიად, ასეთი მოძღვრისათვის ქურდე-ბის ბუნავიც კი აფსუსია. ამას შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ღმერთი გვსჯის და პალესტინაში ქალაქი ქალაქზედ გვეცლება

ხელიდან. ნეტა ეს ენდორის მეორე მომჯადოებელი ქალი ვილა არის?—ჰკითხა მან თავისს თანამოსაუბრეს, როდესაც ცალკე გაიხმო.

კონრადმა, რომელმაც თავის უფროსზედ უფრო კარგად იცოდა საარზიყო სიტყვების მნიშვნელობა, აუხსნა, რომ ამ სიტყვას სამოქალაქო წოდების კაცი თავისს საყვარელს ეტყვის ხოლმეო; მაგრამ კეთილ-მსახური ბომანოარი ამ ახსნით არ დაკმაყოფილდა.

— ეს სიტყვა უფრო ცუდს რამეს ნიშნავს, კონრად, ვიდრე შენა გგონია: შენს გულწრფელობას არ შეუძლიან ასეთი დიდი ბოროტების გაგება. ეს რებეკა გაზრდილია იმ მარიაძისა, რომლის ამბები შენ უკვე გაგონილი გექნება. შენ დაინახე, რომ არც თვითონ ურია დამალავს ამას.—მერე მიუბრუნდა ისაკს და ჰკითხა:—შენი ქალი ბრიან დე ბოა გილბერსა ჰყავს ტყვედა?

— დიად, მაღალღირსო ბატონო, — წაილულლულა საბრალო ისაკმა,—და მზად ვარ გადავიხადო გამოსასყიდი ფული იმდენი, რამდენიც კი შეუძლიან საწყალს კაცს...

— ხმა გაიკმინდე! შენი ქალი ექიმობს?

— დიად, ბატონო,— მიუგო ებრაელმა დაბეჯითებით:— რაინდი და მემამულე, საქურვლის მტვირთველი და ბატონი—ყველანი ლოცვა-კურთხევით იხსენებენ ზეცის მიერ მონიჭებულს მის ნიქს მკურნალობისას. არა ერთი და ორი მოწამე დაამტკიცებს, რომ იგი ჰკურნავდა ისეთს სნეულეებას, რომელსაც სხვა ვერაფერს გაჰკურნავდა.

ბომანოარი მიუბრუნდა მონ-ფიტშეტს და მწარის ღიმილით უთხრა:

— ხომ გეყურება, ძმაო, ამ მატყუარას სიტყვები! ხომ ხედავ ბადეს, რომელსაც უგებენ კაცის სულს, რომ სააქაო წუთის სიცოცხლე გაუგრძელონ და საუკუნო ნეტარებას კი მოაკლონ. წინააღმდეგეთ ლომს! შევმუსროთ ჩვენი დამღუპველი!—დაიყვირა ბომანოარმა.— შენი ქალი,— მიუბრუნდა ისაკს,— ალბად თილისმით არჩენდა ავადმყოფებს.



— არა მალაღლირსო და გმირო რაინდო,—მიუგო ისაკმა:—იგი მხოლოდ საოცარის თვისების ბალზამით არჩენდა.

— მერე ვინ ასწავლა იმას მაგ წამლის საიდუმლოება?—ჰკითხა ბომანოარმა.

— ერთმა გონიერმა ქალმა მარიამმა, რომელიც აგრედვე ებრაელი იყო,—მიუგო ყოყმანით ისაკმა.

— საზიზღარო ურიავ! იმ მარიამმა ხომ არა, რომლის თილისმობაც მთელს საქრისტიანოში იყო გათქმული?—შეჰყვირა ბომანოარმა და პირჯვარი დაიწერა.—მისი გვამი ხომ დასწვეს და ფერფლი ოთხ-კუთხივ გაანიავეს, მაშ მეც ასე მომივიდეს, თუ იმის მოწაფესაც იგივე არ დავმართო, თუ უარესიც არა. მოდი აქ, საქურელის მტვირთველო, კისრის კვრით გააგდე აქედან ეს საზიზღარი ურია... ნურც მოსაკლავად დაინდობ, თუ ვინიცობა ან გაგიძლიანდეს და ან უკან დაბრუნება მოინდომოს! მაგის ქალს კი ისე მოვეპყრობით, როგორც გვიბრძანებს ქრისტიანული კანონი და ჩვენი უმაღლესი მოვალეობა.

საწყალი ისაკი მაშინვე გამოაგდეს მონასტრიდან; არცერთარს მის თხოვნას და ვედრებას ყური არ ათხოვეს. იმას მეტი ღონე არა ჰქონდა, უკან უნდა დაბრუნებულიყო რაბინთან და მასთან ერთად ეფიქრა თავის ქალის დახსნის შესახებ. წინაღ თუ თავის ქალის პატიოსნების შელახვისა ეშინოდა, ეხლა მისი სიკვდილიდან დახსნაც საფიქრებელი გაუხდა. ბომანოარმა ტემპლსტოს თავმჯდომარე დაიბარა.

(შემდეგი იქნება)

\* \* \*

I

სოფელს გაეშორდი, კელს გაეკელ,  
სურვილმან ამიყოლია,  
ვნახე ბილიკი: მთის ქედებს  
ზოლიკით გადასწოლია,  
თადი შეუკრავს ბუჩქნარებს,  
ამკობს ხაკურდი მდელოსი,  
შიგა ჭქრის გრილი ნიაკი  
ამ ტურფა საქართველოსი.  
მას ზედ დაკადეგ, გაეყუკი  
ნელ-ნელ მის არე-მარესა,  
თავს გადაკადეგ ციკ წყაროს,  
მთიდან ძირს მომჩქეტარესა,  
მის ზირს კიგრილე, მიკუფუარ.  
უური მისს ჩუხჩუხ-ჩხურასა,  
სიამით დაკსთური, შეეწყვე  
მე ჩემს შწარს ბედის წყრასა.  
იქვე ყვაკილნი კისილე:  
თითო მარგალიტს სჯობია,  
ზოგი თავსა ჭხრის ბუჩქის ძირს,  
ზოგი ტოტს ამოჭკრობია;  
მათ შუა ერთი ამიუობს,  
ედემს ნახარდის მკვანია,  
იმის სიტურფეს კინ ასწერს!?  
კარდია, კარდოსანია.

უნოსკა მომსურდა იმისი,  
 მის ახლოს მიველ, გესტუმრე,  
 მაგრამ შეეჭვა... შეგებრდი:  
 უწყალოდ შევსცდი მე თურმე:  
 შინაგნად სული არ ედგა,  
 გარეგნად იყო შემეკული;  
 შიგ სურნელებს ვერ ვჭვოვე  
 და მით მეტვინა მე გული.  
 ვსთქვი: გვაცდენს სასე საგნისა,  
 ჩვენგანვე დანახულია:  
 ყოველს სიტურფეს გარეგანს  
 სჯობს სიღამაზე სულია.

## II

სოფლად: დაბრუნდი, ვეწვიე  
 კაცთა სამყოფელ არესა  
 და კვლავ შევეერთე ცხოვრებას,  
 ზღვასაკით მოძლეულაქსა;  
 ქალაქად განველ... ჯარი სდგას,  
 ყოველ ნაბიჯზედ ხალხისა;  
 ვიმ, ეს სახლები დამ-დამით  
 რა ტურფა დასანსია!  
 ქუჩას დავადგე — კვირვობდრ  
 დაბაზთა მშეენიერებასა,—  
 მიველ ერთს ალაგს, ვეწვიე  
 რჩეულ ქალ-კაცთა ვრებასა:  
 რხევით დადიან ქალები,  
 ვაუკაცთა შორის ჩართული;  
 სმენას იამა... სადღაცა  
 კიდევ მოისმის ქართული.  
 ერთს მხარეს სხედან ქალწულნი,  
 დართულნი ფერად-ფერად,

წამწამთ აჩხუკენ, სსივთ ჭურთან  
 კაცთ გულის დასაჭერად,  
 მათ შორის ერთი სსივლენობს,  
 ზედ შუქი მოუფენია,  
 ციურს ჭტანს, ზეცას მისებრივ  
 აქ არკინ მოუვლენია!  
 ცნობა მომსურდა იმისი,  
 მიველ მის სანსაჟად,  
 ვაკესაუბრე... მეტკვა,  
 გულს სეკდა მოსკდა შაკად:  
 მის სულში აზრი ვერ ვპოვე,  
 მნათობდა გარეგნობითა,  
 შინაგნად იყო უსასო  
 და დავსდნი მწარე გრძნობითა.  
 ვსთქვი: გაცდენს სსხე სსგნისა,  
 ჩვენგანვე დასახულისა:  
 ყოველს სიტუროფეს გარეგანს  
 სჯობს სილამსე სულისა.

ცახელი

## ს ა ნ ა ქ ლ ე მ

სოლომონ ბრძენი ერთსელა  
სამეფოს მიმოკლადაო  
და ამ დროს ძროხის დიდ ფარას  
გამოუარა გზითაჲ;  
ერთ იუროთან შეჭდვა და მსლებლებს  
უბრძანა: «დაიტადეთო:  
ამას სასარე ნიშა სბო  
უძვეს, ეს გაიტადეთო».  
უკელა ერწმუნა, მსოლოდ მწვემის  
ძროხისას გაუღიმაო.  
მეფემ ასურვა დომისა  
მიწეზი მოესმინაო.  
მწვემსმატა ჭკადრა: «ცნობაში  
ბრძანდებით არეულიო:  
სასარე სბოა, შუბლსედ კი  
კუდი აქის დასკუელიო».  
სიტყვასედ მეფემ ფურისა  
უბრძანა დაკვლინება  
და სამტყუილოდ ერთურთში  
ნამღევი ასე ინება:  
უკეთუ მწვემისი ამაში  
მტყუენი გამოსუელიო,  
მაშინ ის თავის საჭონლით  
საკაროდ გაუდუელიო,  
და თუ ხელმწიფე: «ოჭროო»,  
შესძასა მწვემისა თვითონა:  
«რაც აქ საუადეს», და კენხსოა

თვალის ბუდეზედ უჩვენა.  
 ფური დაკლეს და გასინჯეს,  
 მწუემის ნათქვამი გამართლდა.  
 მეფე ჭთიქრობდა: «ფობნება,  
 თორემ სხვა არა დაშავდა:  
 თვალს ერთ-ორ ოქროს... ამითა  
 საქმე მოწინა და გათავდა».  
 მაგრამ არ მოწინა: რამდენიც  
 რაქრო ჩაგდეს თვალშია,  
 იმდენი ჩანთქა, და გაჭქრა,  
 როგორც მდინარე ზღვაშია!  
 მეფე იდგა და აყრიდა  
 რაქრო-კერცხლს თანდათანაო,  
 სანამ არ უთსრეს: «არ განლავსთ,  
 ხაზინა დაცალაო».  
 რა ოქრო-კერცხლი გათავდა,  
 მიჭქვა თვალ-მარგალიტისცა;  
 მაგრამ სად იყო ავსება?  
 არ უმაღავდა ძირსაცა!  
 «მოზიდეთ ვეკლამ, რაცა გაქვსთ»,  
 უბრძანა ობოლ-ქვრივისცა.  
 მაგრამ არ იქნა ავსება:  
 თვალმა შესუტა ისაცა!  
 მწუემსმა სთქვა: «ჩაყრევენეთ  
 შიგ ერთი მუჭა მიწაცა».  
 ჩაყარეს... თვალი აივსო,  
 პირზედაც გადაედინა!  
 მწუემსს კი სიმწარეს ნაგრილი  
 სახეზედ გადაეფინა,  
 და უთსრა: «განა არ უწეით,—  
 ბრძენი ხართ მაღლა მსკდიო,—  
 რომ თვალ-გულს კერა გაამღებს  
 შავ-ბნელი მიწის მეტიოა?»

## აღმასანი ბუზიის მოთხრობები

### IV \*)

#### ბავშვის ქალა

მთელი სოფელი ფეხზედ იდგა. გიჟებით მოწოდნენ დედა-კაცები და წიზლით და წყევლით ქოქოლას აყრიდნენ იმ «უნამუსოს, იმასა». ბავშვებს კისერი წაუგრძელებინათ, რომ უკეთ დაენახათ და თან დედის კახას ებლაუტებოდნენ, თითქო ეშინიანთ—იმ წუშაკისაგან არა მოგვეცხოს-რაო. ძაღლებიც კი სულ სხვაფერი, ცოფიან მკელსავით, უღრენდნენ და მსოლოდ მარტო მამა-კაცები შესტყეროდნენ გულ-გრილად ამ ყველასაგან განვიცხულ მგზავრს და «ბიჭო, მარიაში მოსულაო» გაიძისოდნენ.

ჩამავალ მზეს სამოთხის სხივით დაემშვენებინა ლაჟვარდი კამარს ცისა, გრილი სიო ჭბურავდა, ახლად აუვაკებული ზამბასი კეკელუცად ირხეოდა, გარს ეკლებოდა იას და ნაზის სმით სიყვარულს ჩანსჩუჩნელებდა.

ბუნება სიყვარულით იყო სავსე და მსოლოდ ადამიანს...

ოცის წლისა იქნებოდა მარიაში; გამსდარი, ჩაყვითლებული. გაჭირებისაგან წელში მოხრილს ესლა უფრო დაბლა დაეღუნა თავი და ამოდენა ხალხისაგან შერცხუნილი ხან წითლდებოდა და ხან უვითლდებოდა.

თან ჰატარა ბიჭი მისდეკდა, ჰატარა ანგელოზი; ჩასუქებული, ჩაწითლებული. კახაში ჩასჭიდებოდა, სულ უკან-უკან იეურებოდა და ალერსიანად შეჭლიმოდა იმით, კინც იმის დედას ქოქოლას აყრიდა.

\*) „მოამბე“ № 10.



ძნელი სანახავი იყო ეს დედა-შვილი! ოხლად, ოსურ-ტიალად ხედავდა თავის თავს უბედური დედა იმ სოფელში, სადაც როდის-ღაც ისიც უკვლას საუკარელი იყო...

მთელი სოფელი გადავლო და სულ უკანასკნელ სახლთან გაჩერდა. ბავშვმა რომ ნახა, ახლა კი მივედითო, თავი დანება ჭკუდას და—უკან ბაღლები დასდევებოდნენ—იმათკენ წავიდა; სოფელელებმა ჯერ უკან დაიწიეს, იუცხოვეს უცნობი; მაგრამ ისეთი მიმზიდველი დიმილით მიიწივედა იმათკენ პატარა, ისეთი სიყვარულით შესტინოდა უკვლას, რომ ცოტა ხანს უკან ერთად თამაშობაც დაიწიეს.

მარიამმა კარი დაარაკუნა. სახლიდან მოსუცბეული კაცი გამოვიდა; დაინახა მარიამი, შეკრთა, უკან დაიწია და შეუტია:

— შენ აქ რა გინდა?

სამიხელმა კანკალმა აიტანა მგზავრი, კედელს რომ არ მიჭყუდებოდა, წაიქცეოდა სწყვლი.

— გასწი, გასწი! გუერთიე აქედან!—განაცრძო მოსუცბეულმა. — შორს ჩემგან, შე უსვინდისო, შენა! სასლ-კარს ნუ მიტრსვენ!..

— მამა!—შესტიროდა მარიამი.

— გაუთრიე! გაუთრიე!

გაუთრიეო! სად უნდა წასუღაიყო? და ნელ-ნელა შინ შევიდა მტირალი, სტოლს დაეყრდნო და თავ-დაღუნული, შერცხეპილი ცხარედ სტიროდა თავის დაღუპულ იმედს და შერცხეპილ საუკარულს. სადღა წასუღაიყო?

— მამას ნუ მიძანა!.. მე გლახის მამა არა ვარ! მე უნამუსოს მამა არა ვარ! მამაო! მართალია, მე ქალი მუკადა, მე ქალი მუკადა, რომელსაც ცხოვრებელი დედა-მისი აღმერთებდა, თაყვანსა სცემდა... კარგი ქალი იყო ჩემი ქალი, კეთილი, პატროსანი, მოსიყვარულე! კარგი იყო და სიცოცხლეს არ დავიშურებდით მისთვის მე და ცხოვრებელი ჩემი... დღე და ღამეს კასწორებდით, წელეებსედ ფეხს ვიდგამდით, რომ ჩვენს ქალისთვის საკმარი სწავლა-განათლება მაგივენ და ტკბილი ცხოვრება მოგვემზადებინა. ჩვენს თავს არა ვზოგავდით, გვინდოდა ჩვენი ქალი ქვეყნის სამაგალითო ყოფილიყო; ქვეყანასუდ

მის მეტი არა ვიცნობდი-რა, მით გნსოვრებდათ, მით გნცნსლობ-  
დით, მის იმედით ვსარობდით. და კარგადაც ვამოკნსარდეთ! მაცას  
ნურსკინ იტყვის. მამასაკით ჰსტიოხსანი, დედასაკით უმანყო სნკე-  
ლოზი იყო სემი ქალი... გამოკნსარდეთ და სსჯა მის მსითვის მო-  
გროკებს სეეუდუქით; სკენი ქალას ღასის ბიჭი გკინდოდა გკე-  
პოკნა და ღისსეული მსითუკით გგკესტუმრებინა, თუ სკენთან დარ-  
სენას არ ინდომებდნენ. ღმერთს მადლობას ვწინავდით, ატო თი-  
თქმის სიტკრაც აკვისსრუდლო, ერთი-ორი დღეც და სიშნობასაც გა-  
კანალებდით... ღმერთს მადლობას ვუბღვნიდით, რომ ამოღეს ტანჯვა  
უნსყოფოდ არ სსკვიტარს და ღისსეული შილი მგკვცა... და ერთ  
სადამის ვენასიდან რომ მოკედით... ის უნამესო, ისა!... ერთს მს-  
წანწალას გსჭყოლოდა! შეკვარცსკენას! სკენი ჭლარს არ დანდო!..  
ქვენის სლანსარკოდ გგკვსადა მოხუკებულები!.. რისთვის? რა და-  
კუშაკით? ნუ თუ იმიტომ, რომ სიცოცსსლე იმას შეგწირეთ!

წელში მოსრილი მოსრუტი სულს ძლავსდა იბრუნებდა. დარუმიდა  
დაღალული და მარამის ქკითინი და გარეთ მოთამაშე ბავშვების  
სმარობა-ღა არღვევდა სინუშეს.

— თვალთ ტრემლი კელარ შეიშრო უბედურმა დედამ, აღარც  
სტამდა, აღარც სკამდა! იჯდა ქუნის კარში და გსას გსჭყურებდა—  
იქნება სემი გოგნუცა მოდიოდესო. აღარც სიცვივე იყო იმისთვის,  
აღარც ქარბი, აღარც წკამა... სკელა დაწყებინა... მერე ღოგინად სკარ-  
და... სულთ მობრძკვა მისოკა—სემი მარამის გულას-შარბი მო-  
მეტი—სარიაარებლად რომ შეკუკუყო...

— მამა! შემიბრალე!...

— და იმ დროს... ის... რა, ღმერთო! რას მომასწარბი!  
ქალაქელები რომ ამოკვლიდნენ სოლმე, გამარჯობის მავიკრად, სემს  
შერცსკენას მიმსდნენ: «შენი ქალი ვნსკეთ, გუშინ ბღში იყოკო!»...  
არა, მე ქალი აღარა მკავს-მეთქი, მავრამ ვის დაკვკურებდი? რა-  
გორ თუ არა გყავს, მსშ მარამი შენი ქალი არ არისო?! კინც კი-  
დეკ გამისკენებს იმ უნამესოს სსსელს, მოკვლამ, ან ზედ შეკავ-  
დები-მეთქი! ბარს დავცემ შიგ თაკში!...

გარეთ გასკვლა კვლარ გამიბღვინა!... ასე მგონია ქვეყნას, მე და-  
მცინის-მეთქი; ქუნაში კელარ გამივლია—მგონი სულ მასსარად მი-

გდებენ, თითოთ საჩვენებელად ეყვარ ეყვალს. ქალაქში ევლარ ჩა-  
სუფლავარ... მეშინინ, სადამო ხანს გოგომ არავენ გამიხატოეს და  
ის გოგო ჩემი ქალი არ გამოდგეს... ჩემი ქალი!.. კარგით ერთი!  
სადღა მყავს მე ქალი? აღარა მყავს, აღარა! გასწი აქედან, მანანწა-  
ლაგ! ქუჩის... გაუთრე!... აბა ჩქარა!..

— მამა!..

— გაუთრევი, თუ არა?..

და მამა შეიღს ეცა და გარეთ გაყვანას უპირობდა. მარნიძე  
სტოლს წაეჭიდა.

— მამა! მამა!..

— გაუთრე-შეთქი!..

თამაშობით დაღაღუელი, უფრო გაწითლებული შეკარდა პატარა  
ბიჭი, დედის ყვირილი რომ მოესმა. პატარა თითებით თვალებზედ  
ჩამოშლილი სუტუტე თმა გადაწია და მოხუცს მივარდა:

— რაზედ ატირებ დედასა, ჰმა? კაი მოგივა კარგი პაპა შენა  
ყოფილხარ!

მოხუცმა თავი დანება მისუტუბულ ქალს და გაკვირვებულად,  
გაშტერებული დასტქეროდა პატარა ანგელოზით ლამაზ ბავშვს.  
დასტქეროდა გოცნებულად, უძრავად, სული ევლარ მოკბრუნებინა... გუ-  
ლის ძირში რაღაც ხსალი, ჟერედ უცნობი ტბილი გრძობა ადე-  
მრა და ისეთი სისწრაფით მტულლობდა, რომ... ხმის ამოღება ეე-  
ლარ მოახერხა... თვალთაგან ცხარე ცრემლი წამოსტვიკდა... და მწა-  
რედ მტირალი გადაეხვია და კოცნა დაუწყო დედა-შვილს.



### მეზობრები

ინათლებდა და იაკობიც ფესზედ იდგა—სიცივე, ქარი, თოვლი,  
წვიმა სულ ერთი იყო იმისთვის: წამოსტებოდა, პირზედ ცივ წყალს  
შეიშხაზუნებდა და გასწევდა ქარხანისაკენ.

ეჭიან ხელში უშეკლებელი ჩაქეჩი და დილით-სადამომდე ისე-  
თი გაშმაგებით ებრძოდა რკინას, თითქმის ქვეყნის უბედურებას სულ  
იმას აბრალბსო.

დაბინდებოდა და დაღაღუღ-დაჭანტუული მიეშურებოდა შინისკენ; შევიდოდა, ტანისამოსს გამოიცივლიდა, პირს დაიბანდა, თავის ჰატარს ანასს გადაჭკორნიდა და სუფრას მოუჭადებოდა.

სულ კი კვირის მოლოდინში იყო; იმიტომ კი არა—უსაქმურად ვიქნებო! არა, იაკობს ჟაფისა არ ეშინოდა და სულ იმას ნატრობდა—ღმერთო საქმეს ნუ გამამილეკო! არა, კვირას იმიტომ მოელოდა ასე მოუთმენლად, რომ თავისი ჰატარს ანას ქალაქ გარეთ გაეყვანა სადმე, ბაღებში გაესეირნებინა და ჩრდილში, მდინარის პირას, მწვანეყვად ერთი კარგი სუფრა „გაქალათ. მართალია, ამგვარ ღვინოსად ცოტა ფულიც მეტი ისარჯებოდა, მაგრამ ფულიც სომ მისი მონაგარი იყო, მასი რჭროდ-ჭტეული რფელი. ვითომ არ შეერგებოდა თუ? თუ კი ჯარის-კაცს მუდმივ ღვინოს არავინ აყუდრის—ბრძოლის პეღსეად გაგა ერთ დღეს და ქვეყნისთვის სისხლს დაანთხვესო, მუშას რაღად უნდა აყუდრინდეს? ბრძოლის პეღად ქარხანა გაუხდია და სისხლის წილ რფელი სდის ბეჩავს. ერთ დღეს კი არა, მთელი თავისი სიცოცხლე ქვეყნის გამამდიდრებელ რფელს უნდა იწმენდდეს და მადლიერი კი მანინც არავინ ჰყავდას.

კვირა დღეს! რა მშვენიერი დარი დაიჭირა-და!

გამღვირვებლმა საათმა წკარუნი მორთო და იაკობმაც თვალები ატყეიტა, კაიმი დამიგვიანდაო! წამოსტა შეშინებული, მერე მოაგონდა—კვირას, დღეს სამუშაოდ არ მივდივარო და სახე ბედნიერებით გაუბრწყინდა.

რა მეჩქარება, მოდი ერთი ძილის ჟავრს გიყვარო, იფიქრ და ისევე დაწვა. მაგრამ ჩვეულება რფულთ უმტეიტესიაო, თვლიც ველარ მოსუქა, ხან გადაბრუნდა, ხან გადმობრუნდა... კერა, ვერ დაიძინა.

ველარ მოისვენა ლოგინში, იმდენი იტროადა, რომ ანანც კი გააღვიძა.

— რა კქნა, რატომ არ მოისვენებ? თუ შენ აღარ გეძინება, მე მაინც მომასვენე, შეუტია ცოლმა.

სულ რამდენიმე თვის ცოლქმარნი არიან; იაკობს გაგიყვებით უყვარს თავისი ანას... სახანს უსწორებს და თან ბოდიშს იხდის:

— ალარა, გენაცვა, ალარა!

და ნელა, ფრთხილად დგება და ტანთ იცვამს.

ანა რომ ადგება, ყველა მზად უნდა დაეასპექდროყო, ფიქრობს თავისთვის იაკობი. ვაბის ჩანძმა-ლა უნდოდას, სსვა ანაფერი. აბა ჯერ ერთი ოთასები დაგვავა.

რას იზამით—მუშა-და! როგორც თვეში უწყლოდ, ისე იაკობი უსაქმოდ ვერ გასძლებს.

ოთასები დაგვა. მტკერი გადაწმინდა. სამსარეულოშიაც ვი შეისება. მერე ანას ფესსაცმელს წმენდა დაუწყო. ვერ მოასერსა, თავისი ტლანქი სელი მის ფესსაცმელში ვერ ჩასტია! სწმენდა და თან იცინოდა:

— გმადლობ შენ ღმერთო! ნეტავ ამ ციცქნა ფესებით სიარულს როგორ ასერსებსო.

ქმრის სიცილზედ ანასსაც გამოეღვიძა.

წამომდგარიყო და ეპარებოდა, მაგრამ სიცილი კვლავ შეიკავა.

— იაკობ, რას იცინი?..

— ფესშიშველა?! გინდა გაცივდე? დაწექ! ესლავე დაწექ!

— რას იცინოდი?

— ანაფერს! წადი, დაიძინე!

— შენ რაღას აკეთებ?

— მე? ჩვენს ზატარას საბრძანებელს ვუვლი; მინდა ყველა მზად დაგვხედეს, რომ შენი ადგომა და ჩვენი წასვლა ერთი იყოს.

— კარგი რამ ვი იქნება შენი მოკლილი... მგონი ისე არ ივადარიე მანდაურობა... მოდი ერთი მაკოცე და კიდევ ადგები...

— ადგები ვი ანა! იწექ, რა გენქარებ? დღეს კვირაა, დიასახლისობა ჩემი რიგი იყოს. ჯერ ყველაფერი მოგიმზადო...

— ნუ სუელელობ ერთი! აბა რა შენი საქმია...

— ვითომ-და ატომო! საძიკვე სად არის, წავიდე ერთი რძე ამოვიტანო...

— რა ვქნა, მე ვი ვერ წავალ!

— თქვენ, ქალბატონო, მანდ უნდა განისვენებდეთ!— მოასხუნა მოწიწებით იაკობმა და თან ისრე მაგრა აკოცა თავის ზატარას ანასს, რომ ფანჯრებმა ზანზარი შექნეს.

— რა კარგი ხარ, იაკობ, რა ძალიან მიყვარხარ!

სადღა იაკობი, რომ გაიგონოს ეს ტკბილი სიტყვები: სელ-  
ში სარძევე უჭირავს; მესუთე სათუღლიდან კიბეზედ ჩადის და თან  
ტკბილად ღიღინებს:

მჭედელი ვარ,  
ფოლადი ვარ,  
ჭკუენას შეეებრძოლები;  
მაგრამ ნაფთან,  
ლამაზ ქალთან  
მარტის თოვლივითა ვდნები!

— რძე იყიდა, მერე ჰური... ჰური და რა ჰური? ნაფუქი! თა-  
ნაც კარაქი... კვირავა-და!

მუხურესავან რომ გამოდიოდა, წინ ერთი ამხანაგი შეეფუთა.  
ქარსნაში ერთად მუშაობდნენ.

— გამარჯობა შენი!

— აი, გავიმარჯვოს!

— მოდი ერთი პირი გავისკელოთ, იაკობ! ჭა, როგორა ხარ?

— ძალიან კარვად! ისე გამიშა მერე ე ოსერი სასა...

მჭედლის ხასა! ადვილი კი ნუ გგონიათ მისი ვასკელება. მთელი  
კვირა ნაკვერჩხალივით ტატენტლებულ რკინას ატრიალებდა სელში,  
ქარხნის სიცხეს და ბუღსა სუნთქავდა; ისე გაუშრა ყელი, მგონი  
მთელმა ჭკუერმაც კელარ მოუღბოს.

ერთ ხარქვს მეორე მოჭყვა, მერე მესამე, მეოთხე... ვინც კი  
ნატნობი დაინახეს, გამკლელი და გამომკლელი ყველა შეიპატიუეს;  
თან ქარსნის საჭმეებზედ ლაპარაკობდნენ, ძველ მეგობრებს იგონე-  
ბდნენ...

შუადღემ მოაწია, როდესაც მოაგონდა იაკობს—ჩემი პატარა  
ანა მელისო და უცბად იფრესედ წამოხტა. სასქაროდ გამოემშვიდო-  
ბა ამხანაგებს, ხელი წააგლო სარძევეს, მეორე სელში ჰური და კა-  
რაქი დაიტოვა და შინისკენ გასწია. უკანიდან სიცილი შემოესმა:

— ბიჭო, იაკობ... რა ვქნა, ეგ რა მიგაჭკს?!

იაკობი შედგა, შეერთა; მანც თავი შეიმტრა და უპასუხა:

- ჩემი ცოლის საუზმე.  
 ყველამ სიცილი დაიწყო. იაკობს უფრო შერცხვა, გაწითლდა.  
 — მაშ რძის სასყიდლად შენ დადისარ?  
 — იქნება სარცხსაც შენ აკერებ?  
 — საცქელსაც შენა სარმაჲ, იაკობ?  
 — შე კაი კაცო-და, ჭარხანაში წვა-დაგვას, მოასლედ დაუდ-  
 ვე ვისმე, ის არ გირჩენია!  
 — ბიჭო-და, ლოგინს ვილა შლის სოლმე, შენ თუ შენი ცო-  
 ლი?!

რამდენადაც ღონიერი იყო ჩვენი მჭედელა, იმდენად გულ-  
 კეთილი, მაგრამ ცხვარი ცხვარიაო, ნათქვამია... ბრახი მოყ-  
 რია, შუბლი შეიკრა... დაცივნას დანკეული არ იყო და მძასაც არ  
 მოუთმენდა, არამც თუ ვილაც... მისდა საბედნიეროდ ერთმა ამხა-  
 ნაგმა წელსედ სელი მოჭსვია და იქით წაიყვანა: ღმერთმა შთაგო-  
 ნა, თორემ აუცილებლად ჩსუბი მოსდებოდა.

— იაკობ, გენაცვა, ნუ გეწინებ... სომ იცი, მიყვარსარ, იმი-  
 ტომ გეუბნები... არ გეწინებს... განა არ ვიცი? შენ შენი ცოლი  
 გიყვარს, და იმის სასიამოვნოდ მგონი თავიც გასწირო... ვიცი-  
 და! მაგრამ შენს ცოლს კი არ შეშენის... მაგის ნებას არ უნდა გა-  
 ძლეკდეს... ეკ ჭაღის საქმეა და არა ვაყვანისა... სამასსარად სა-  
 ქმეს რად უნდა გასდიდეს?!...

— შე თითონ ატყუდი, მე წაველ-მეთქი.

— რა ვუეთ, რა? შენ ასტყუდი, შენს ცოლს მაინც ეკ არ უნ-  
 და ექნა, არ უნდა გამოეშვი, არ უნდა შეეჩხვინე...

— ჭა...r ფთხილად!..

— იაკობ, თუ ძმა სარ... ვითომც არაფერი მითქვამს... მიყვარსარ,  
 თორემ.. იცი რა? მადი თითო ჭიქანც... ზავიმარჯოს, ჩემო იაკობ?

— შენც გავიმარჯოს...

ზის იაკობი და სკამს. რაი საათი დაჭკრა, ის რომ ბარბაცით  
 მივიდა თავის სახლთან, მოაჯირს დაუბლაუჭა და თავის მეს-უთუ სართუ-  
 ლის კიბეს შეუდგა... შუბლი უფრო შეკრულია ჭქონდა, თვალთაგან  
 ნაპერწკალი სცვივოდა...



იაგობის წასვლა და ახნას ადგომა ერთი იყო. ქმარს საკვირაო—  
გასამებელი ჰერანგი და ტანსაცმელი დაუღაცა იქვე ლოგინზედ; ჰა-  
ტარს სარკეში ჩაისვდა და წასასვლელად მომზადებული ჩანძულ-და-  
ხურული ფანჯარას გადაეყუდა. ელოდა ერთი საათი, ორი... დაღონდა.

ლოდინით გული გადაუწყდა და ტირილი დაიწყო.

იაგობი კი არსად იყო.

სასიეროდ წასვლა გვიანდა იქნებოდა. საგარეო ტანისამოსი  
გახდა. იტირბ, მანამ ცრემლი ჰქონდა, მანამ გულს ტირილი  
შეეძლო. მერე დაოსებული, დასუსტებული იქვე სტოლს დაეუბნო  
და გაშტერებული უგრძობლად შეასერდა სივრცეს.

შემოსავალ კარს ისეთი ძალით შემოჭკრა ვიღამაც მუშტი,  
თითქო სახლს დანგრეკას უპირებსო... ბარბაცით შემოვიდა იაგობი,  
სარძევე შიგ თავში ახალა თავის ჰატარს ახნას, მერე ხელი სტაცა, ძალ-  
ზედ შეარყია და შეუტია:

— შენ გინდა საქმე სამსახაროდ გამისადა განა? ჰა, შე... არა,  
ვინა გგონივარ შენა, ჰა?... შენ გინდა, რომ ჰეყვანა მე დამცინოდეს?!.  
სცემა... მაგრამ ჰატარს ახნას კი აღარ უტირინია.

შინ ვიღა ნახავს იაგობს? ქარსანაში მოელი კვირა იმიტომ მე-  
შაობს, რომ შაბათ საღამოს დუქანში შესვამოს.

ჰატარს ახნა... არის, მაგრამ ის ჰატარს ახნა აღარ გახლავთ.

## VI

### დავითაშვილი

მშენიერი დღე დადგა, ადღგომის მეორე დღე. ახლა გაზაფ-  
ხულია, ვერ ისევე ცივა, სუსხიანი ქარი ჰქვამს, მაგრამ უკვლავან  
მხიარული გაზაფხული მოახსნ და ახლად აუკავებელი ბუნება... გა-  
იარა გაუთავებელმა ზამთარმა, მზის სხივი მოხვდა გაუინულ დედა-  
მიწას და მწვანე სავერდით შემოსა.

სასაფლაო ხომ სამოთხის წაღვოტს დაჭკვანება. საღხით  
სავსეს აჭაურობა—საფლავი უგურთხებინებიათ, აჭკე საფლავის გვერ-

დით დამსხდარან, წინ მშვენიერი სუფერა გაუშლიათ—სასაფლავოს  
მწკანე ბელახედ, ზედ ზატარა საუზმე, მშვენიერი ღვინო. მხიარულ-  
ლი ღაზარაგი, ოხუნჯობა, სიცილი მოისმა ყველგან.

— ღმერთმა გაცოცხლეს!

— გაგიმარჯოს!

— ეს ღმერთმა ადღეგრძელოს...

— ვისაც ვინ უყვარდეს...

და იქვე ბუნებებს იქიდან მღვდლის ღვთა-კურთხევა და «გა-  
ნუსევენე» მოისმის.

დაიღ, დღეს მიტარებულთა დღე გასლავთ.

კარგა სანია რაც შავ მიწაში განისვენებს. ქვენიური აღარა  
აწუხებს-რა. უცხად წაღაც მხიარული ხმები შემოესმა ზემოდან და  
შეინძრა. სუფარმა შრიალი მართო, გუბოს სასურავმა ბანი მი-  
სტა. მეტე შეზობელს კედელი გაუგაგუნა.

— უკარგავად, ბატონო, გღვიძით? მომილოცავს!

— გმადლობთ! დღეს ჩემი დღეა, მგონი... რაღაც ხმები ის-  
მის... დაიღ, დაიღ! დღეს ჩემი დღეა, სტუმრები გვეყოლება.

— ექვს, ნეტავი სტუმრად წასვლა შეგეძლოს და სტუმრები  
ნუ გვინდა!

— ელით ვისმე, ბატონო?

— მე?! ღმერთმა დამიფაროს! ჩემი მოკალე თუ მოკა ვინმე  
თორემ სსვა არავინ. ისიც რას წაიღებს, კიდევ რომ მობრძანდეს,  
დამტყვნარ გვირგვინს?!

— მე კი ჩემ ცოლს კელი. ეჭ, საწყალი ქალი! მოკა, დაიწყებს  
ტირის და თავში ტემის... თვითონაცა სწუხდება, მეც მაწუხებს!

— რადა, ბატონო?..

— აი ნახავთ. დაიწყებს ტირის და მოთქმის, ცრემლს კე-  
ლარ შეიშრებს. ეჭ, საწყალი ჩემი ცოლი!

— ჩუმად! თქვენსგან მოდინ.

— ავი მოგასსენეთ, ჩემი სხობლ ცოლი გასლავთ! ახლა უყუ-  
რეთ! უბედური გუელს კედარ მიაბრუნებს.

— უკარგავად კი გასლავართ, ბატონო, და... რა ღამისი ცო-  
ლი გეოლიათ! რა კველური წამა ყოფილ-დას! თვალებს უყურეთ.

თქალებს! ტუჩები! გაუშლელი ვარდის კოკორია სწორედ! მომი-  
ლოცავს, ჩემო ბატონო, მომილოცავს!

— საწყალი ქალი! რა მწარედან ტირის!

— ტირისო? თქვენ სომ არ გელანდებათ, მეზობელო? სად  
ვინა ტირის?

— ჩუმად იყავით, ბატონო!

— რა კოსტა რამ ვრის, თქვენი ჭირიმეთ!

— ბატონო ჩემო... მე გთხროთ სკამარის შატრისცემით მო-  
ისსენიოთ ცოცხალნი.

— ბიჭო, ბიჭო... მარტო როდი ყოფილას!

— რაო? მარტო არა ყოფილასო?

— მამ კერა სედავო? ზგერ ერთი უმაწვილი კაცი მოსდევს და  
გვირგვინი მოაქვს.

— რაო? უმაწვილი კაციო? ჩემს ცოლთან უმაწვილი კაცი?! რა  
გჭნა, თქვენ სომ არა გელანდებათ-რა, მეზობელო?

— ეური დაეუბდოთ!

— უგატრავად! ეგ თქვენ არ შეგეხებათ!

— ჩუმად! ზგერა ლაშაწავობენ:

«ოჰ! ძლივს არ მოკვდით! მე შეგონა. საღამომდინაც ვერ მი-  
კადწიკოთ-მეთქი.

— ანატოლ, მომეცი ეგ გვირგვინი.

— დასწვევლას დმერთმა, რა ტალახნი ყოფილას აქეთკენა-და! მუ-  
ხლამდე ამოვისვარე!

— ეჰ, კარგი ერთი! სომ იცი, დღეს უგანასუნელის ჩვენი აქ  
მოსვლას.

— ახლას რა! იქნება გნებავს საფლავი აკურთხებიანო?

— მღვდელი კი არსადა სჩანს-და.

— კიდევ რომ ჩანდეს! ეგ არის სწორედ? ახლას მაგაზედ და-  
მასარჯობი!

— მართლას კი აშობ, დმერთმანი, ეგ. თუელი სხვაფორივაც გრ-  
მოგვადებთა.

— კარგი, კარგი! დასქარდი, სომ იცი, აქედან ჩვენს შატრას ბი-  
ჭიკოს უნდა ჩავუაროთ...»

— ბიჭო, ბიჭო! შატრას ბიჭიკოსს ჭყლიათ! მომილოცავს,  
მეზობელო! მომილოცავს!

— ბატონო ჩემო... თქვენ ჯერ სრულიად ყმაწვილა ხართ და... მე გთხოვთ, აგრე უზრდელად...

— არა, როგორ მოგწონთ, ჭა? ი ლამაზი გოგონება ანატოლსა და შენ, ჩემო გარგო, ეს გვირგვინიც გუეოფაო...

— სულ მისის ვარდები კი მოუკრებია-და!

— მისის ვარდებიო?! ეგ არის, დიალ! სულ მინდვრის ბა-  
ლახები გასლავთ და სხვა არაფერი!..

დიალ, დღეს მიცვალებულთა დღეს.

მესაფლავებს სახლში ისეთი ღვინი და მსიარულებსა, ქოჩი-  
ლი გეგონებათ. საცა საფლავის მთხრელი და კუბოს გამეორებელი  
ყოფილან კინძე, ყველანი აქ შეგროვილან და საგანგებოდ შემეულ  
სუფრას შემოსხდომიან. რა გინდა, სულა და გულა, რომ ამ სე-  
ფრასზედ არ იყოს, საჭმელებს სტოლი ძლივსღა იმაგრებს, ღვინო  
წყაღვივითა დის...

— ღმერთმა მიცვალებულნი გაგვიმრავლოს!

— ღმერთმა ცოცხლები დაგვიხაროს!

— ჩვენ კი ღმერთმა გავცოცხლოს!

სმენ და რასა სმენ? ქვეყნის ამოწყვეტისა სმენ!

სასაფლავოს გაზრდას სმენ მესაფლავნი!

თან თავიანთ საქმეებზედ ღაზარაკობენ:

— ჭა, რას დაღრეჯილხარ, ნიკოლოზო?

— ეეჭ, როგორ არ დაღრეჯილვარ, ჩემო ძმაო, ფენსედე ძლი-  
ვსღა გდგეგარ გაცი—წუსეჯის სამი საფლავი გავთხარეთ.

— მე კი არა მეთხარეს!... დღეს დილით სააკადემიუფოდან  
ოთხი ცხედარი გავასეგნეთ. ვათომ ჩვენი ხელობაც ხელობაა.

— ჩემდა, თამადა რაღასაც ბრძანებს.

ბარბაციო წამოდგა თამადა, პირამდე სიკე ჟამს ხელი წამო-  
აგლო, თვალები ჭერს ააჭერო და სთქვა:

— საღხნო, ეს ღმერთმა გაუმარჯოს ყველა მესაფლავეს, მე-  
კუბოეს, და ყველა ექმის... ექიმების წყალობით ექსამთ ამ წუთი  
სოფელში ერთ ღუგამა ზურს, თორემ... გაუმარჯოს!

— მრავალჯამიერ!

დიალ, დღეს მიცვალებულთა დღეს.

ერთი ემსწილი ქალი მოხანს სსსაფლავოს ბოლოში. თაღსი კაბა აცვია... კაბის ანაბარა წამოსულა, სტივა, კასკალებს. თაღადუ-ნული მიღის წინ, სიყვარულ სიფლავისკენ, დაღონებული, თაღ-ცრე-მღანნი. აი მივიდა, დაეკანა ჯერად შეუძრავს მიწას და მწარე ქვითინი მოკთო.

საწყალი დედა! არც გვირგვინი მოუტანია თავის შვილისთვის, არც უგაილები. ამას თავის ცრემლის, სკედის და ლოცვის გარდა არა აქვს რა. მაგრამ ვარდის დატყუება, გვარგვინიც და დღის სე-გდა კი თავის დღეში არა.

ღიღ დღეს მიცვალებულთა დღეს.

## VII

### ქვეყნის მანათობელი

გაბრუნდა ქვეყნის მანათობელი—ზამთარმა ასე რაგორ დამ-ჯახნაო! გულმა კენეს დაუწყო, სიტყვილი მოკრია, გაწითლდა — სუთუ ისე დაკმაზუნდი, რომ ქვეყანა უკუნითი უკუნისამდე ამ სე-შინელ ყინვით უნდა იყოს შესუთული? გაბრუნდა, მოკრიაბა მო-სუტმა რაც კი ძალ-ღონე ჰქონდა და ქვეყნად ურინსვი რაშიმე გა-მოგზავნა, თავის სხივების რაშიმე: წადით და ზამთარი შეთრგუ-ნეთ, ბუნებს სული ჩაუდგით! გატაცხლდეს და გაღამაზდეს: სი-ცოცხლე—სიღამასკა!

წამოვიდა სხავი-სხივსკად და ქვეყანას ღვიძება დაუწყო. აღვი-ძება და თან ტბილად ჩასსურსულება: გაიღვიძე, ადექ და სიტ-ცხლით დასტუბი! სიტცხლე—სიყვარულია, და სიყვარული—მიწი-ერი სამოთხე; წუთიერია ჩვენი აქ ყოფნა და ამ წუთისაგ აგრე უბ-რადოდ ატარებთო?!

ოჰ, რა უხვი, რა დიდ-სულკანია ყოფილა მოსურსებული მანა-თობელი ქვეყნისა!

ქვეყნის მამა, მისი სულის ჩამდგმელი რას შეეხოს, რომ არ გამშენიეროს, სული არ შთაბეროს, არ გააცხლავოს და გააღი-ადოს? ტუფილად კი არა სთქვა პოეტმა:

«სხივს სტეორტინის, სიცოცხლეს ჰბადებს,  
ახარებს სულს და გულს,  
ტბილად ამღერებს ყმაწვილებს,  
ყრმად აქტეკს მოსუცებულსა...»

ამიტომ არის, რომ ყველას უყვარს ქვეყნის მანათობელი, ყვე-  
ლა კალესება და ისიც ამოდენა ლოცვა-გურთხევით გალაღებული

«ხარობს, ცელქობს სსიგ-ბრწინკალებს,  
თაგი ვეკლას შეყვარა;  
ღმერთმაც მიტომ მოგვიკვლინა  
და ეღობა ჩაბაჩა.»

ადექო! ჩასძახოდა სსიგი ღარიბს და ნელ-ნელა გულსიკენ მი-  
კვარებოდა. ჩაუპარა, გათოშილი გული გაუთბო, სიღარიბე და გა-  
ტრეებული იმედი დაავიწყა...

და უტბად წამოხტა ღარიბი.

— ადექ და სიცოცხლით შენც დასტებიო! — ჩასძახოდა მზის  
სსიგი.

მაშ არ ადგებოდა?!

წამოხტა და გარეთ გაემურა. გასაფხულით განსარებული, სი-  
ნეტარო სურვილით გასელებული ღარიბიც ხალხისკენ წავიდა.

ბადში შევიდა. ღმერთო, რა მშვენიერება იყო ეს წალკოტი!  
ანგელოზივით ღამის ქალებით სავსე წალკოტი!

თითქო პირობა ჰქონოდათ შეკრული — დღეს ქვეყნის მანათობელს  
მივესალმეთო, გადაეყარათ ჩამთრის ტანის-მოსი... წულში სურთ-  
სავით ირხეოდნენ, გულ-მკერდი მზის მოაღერსე სსიგებისთვის  
გადაუშლათ, თმა კეკლუცად ჩამოეშავათ და სეირნობდნენ მზის სსი-  
ვით დამშვენებულნი და თვითონაც სსიგოსახნი.

ღმერთო რა მშვენიერი იყო ქვეყანა!

სულ გარეთ გამოსულიყვნენ დიდით პატარამდე და ყვეალებულ  
ბატს მოსდებოდნენ. სიცილით, მხიარულ ჟივილ-ხივილით მიდი-მო-  
დიოდნენ ახლად ამწვანებულ მდელოზედ კარდის კოკრებით შემეუ-  
ლი ყმაწვილი ქალები, იცინოდნენ, სარობდნენ და თან გაუფრთხი-  
ლებლად, უზრუნველად ეთამაშებოდნენ თავის პატარა, ჯერედ უმა-  
ნეო გულით ქვეყნის დამწველ და დამდაგველ მზის სსიგებს.

ვიდის ახსოვდა სიფრთხილე და სკალინდელის ზრუნვა? სიცოცხლე და სიუკარულო ესაღაისებოდა ყველას, გულის ტკბილი იმედი უღვივოდა და ზემოდან ძველი მეგობარი—ჭეყენის მანათობელი მზე დასტკეოდა.

ბავშვებს ფერხული დაებათ. ღმერთო, რა ღამაა! ბავშვები იყვნენ თავის კურთხევას უგზავნიდა მათ ზემოდან მოსუცებულ მზე, თავსედა სსივისკით დასდგომოდათ მადლი უმანკოებისა. ან რაღას გაამშვენებოდა მზე თავის ოჭროს-მფეს სსივით, თუ არ მომაკვალს თაობას, ამ ერთადერთ იმედს კაცობრიობისას? ჯერ თანჯარას მოსვდა, ჰატარა, სუსტმა სელმა თარდა გადასწია და აკადმყოფობისაგან კალასულ ბავშვის ფერმერთალი სსსე გამოჩნდა. თანჯარა გადო, კადმობსედა, გაფითლებული სსსე გაუბრწყინდა და ტკბილი, ანგულრსებრივ ტკბილი ღიმილით დაასახუჭა მოსუცი მანათობელი ჭეყენისა.

დაიღ! ვისაც კი თავისი სსივი დაჭკრა, ყველას გული აუტოკა. ყველა გაამსხევა, აბიღრა, წყვილიდით მოსილი მომაკვლი სსივით გაუნათლა და ტკბილი, ტკბილი იმედი განურხოველა.

მიდიოდა ღარიბი და ყველგან საკვირველებს სედავდა. მიძინებული ბუნება მის თვალწინ იღვიძებდა. იღვიძებდა თითქმის მიწა-ღუნებულნი წადილი. ყველა ხარბად ეწაფებოდა სიცოცხლის და სიუკარულის წყაროს.

ოჰ, რა საკვირველი სასწაულთ-მოძქმედი ყოფილა მოსუცებულ მანათობელი ჭეყენისა!

ამოკიდა და ჭეყენას ფერი უცვალა! ამოკიდა და ეინვით შესუთულს უსულა ბუნებას სული ხაუდგა და სიცოცხლე მანაიჭა.

მიდიოდა ღარიბი ამაყად, ამპარტყანულად, თითქო მის უმიდირესი არავინ არისო; მხიარულად გადასტკეოდა განკვლეულ-გამომკვლელთ, ყველას თანასწორად ჰგომობდა თავის თავს, ყველას ტკბილად უღამოდა. ან რა ჰქონდა სამწესარო: სასწაულთ-მოძქმედმა მზემ კადმობსედა, თავისი სსივი მოჭოინა ღარიბს, დაავიწყო დარდიც, სიღარიბეც, დამცირებაც... შუბლი შეუსურა და ნეტარებით სსსე მომაკვლი წარმოუდგინა.

იმას სომ ვერ ეტყოდნენ—შენ, ღარიბ-ღატაკ სსსაფსულის მზის სსივი და მის სითბოში წილი არა გაქვსო?! ჯერ კაცობრიო-



ბას აქამდე ვერ მივღწიას. მიდიოდა ღარიბი და ამაყად მიცუფრებოდა: მეც გაცი ვარ, ქვეყნის მანათობელი მეც მათობს და მასობსო. ამაყად მიდიოდა ღარიბი და თვალწის ოცნებასავით ტკბილი და ოცნებასავით მიუღწევადი იმედი უდგას: დაჭკრა, შუბლი შეუსურს სასწაულა-მოქმედმა და სრულიად გადავიწყა თავისი სიღარიბე.

ტკბილ ფიქრებით გატაცებული ერთი სასლში შევიდა, მიდიდა მორთულ შალატში. კედლებს ოქროს ქსოვილი სალები ეფარა, ძირით ჭკრამდე სარკეები იყო ამართული და ზედ მზის სსაჟა თამაშობდა: სან სარკეს დაჭკრამდა, სან, მასგან გამოტყუარნილი, ღარბს ეტომდა, თვალს უსწავდა და სულ წინ, სარკისკენ მიანიდავდა.

ისიც მიდიოდა გატაცებული, ამ უნასაჟ მშკენიერებით მოყვადებული. მიდიოდა სულ-ჩელა და ბოლოს მზის და სარკის შუა ჩადგას... დმერთო ძლიერო?! რა სანს, რომ უკან დაიწია ასე უცბად?! რა სანს? თავისი სიღარიბე.

გასუნებული ტანსაცმელა... დაკრებული ზეინგი... გასული წლები... ოჭ, რა გუფქვა, რა უსულა ყოფილა ქვეყნის მანათობელი! რასაც კი შეესო, ყველას სსივი მოჭფინა და ღარიბს: კი დასულია უფრო გაუსამაგლა, გასუნებული უფრო გასუნა, უბრალო ლაქა ჭკრამის მორქვად გაუსდა. ოჭ, რა შეუბრალებელი ყოფილა მოსუნებული მანათობელი ქვეყნის!

ტყვიან-ნაკრავით გამობრუნდა ღარიბი. თავდაღუნული მიდიოდა თავას ბსელ ბინისკენ და ფიქრობდა: რა გაეწობა, ვარგი სემეული მარტო ლამაზ ქალს შეშეენას, მზის სსივი მანისის ვარდას და ქვეყნა-ურა ნეტარება მარტო... მაგრამ რად ღრის, რომ სიღარიბეს მსე არ უსდება და მარტო წყვადი შეჭფერას? რად ღრის, რომ ყველას ამშკენებს მზის სსივი და სიღარიბეს კი გულის ამრეე იარად ანეს?..

იქნება ზღაპარი გეგონათ... სოგკურ ზღაპარიც მწარა.

## ველირი მის...

კმლერი ბუნ, თუ ვი სიღერა ეთქმის  
სმა-მაღლა მომთქმელს, ქვეყნის მოზარეს,  
თუ სისარული მოეპოვება  
სასო-წარვეკეთილს, ბედით მწუხარეს.

კმლერი ვით ჭოტი, როცა საზარლად  
სამობსკლებულ სანგრეკსუდ კივის,  
ოდეს გრიგალი ტრამა კლდე-ღრეში  
მშიერ მგელივით ღმუის და ვვირის.

კმლერი და თვალ-წინ სიკვდილი მიდგა,  
დაშტურებული მის ჩონჩხსა ვსედაგ,  
კმლერი და მიკვირს, ჭკვიდამ არ შეკვდი,  
სმის ამოღებას როგორა გბედაგ!  
კმლერი?—ჩემს თვალ-წინ როცა ჩემს კუთვნილს  
მოსისსლე ხელი ჭვლეყვას და სწეწავს?

კმლერებ, თუ ვი მტრისგან მძა-მოკლულს  
სამდერლად სცადის, ან ელსინება,—  
კმლერი და შორით მისი ძგალთა გროვას  
ხლვეკას მომძახის, გულს ეყურება.

თვალს არ მამორებს როგორც შემცოდეს  
სისსლთით მოსკრალი მისი ახრდილი,  
ეურში ჩამძახის: «თუ ჩემი მძა სარ,  
აილე სისსლი! აილე სისსლი!»

ვძღუერი და ჩანგის სიძთა უღრიალში  
 ის შემადრწენი ერთგის ძასილი,  
 და მეც რომ მკითხოთ, ვასუხს ვერ მოგცემთ,  
 ვძღუერი, თუ შმაგის ისმის ტირილი.

ვძღუერი, ვამბობ, შენც ამას იტყვი,  
 დიდი, ვატარა სულ ასე ამბობს;  
 მას ვინლა ჭხედავს, თუ ამ მღერაში  
 ბედ-მწარე ცრემლით მიწასაც ალობს.

თ. რაჭიკაშვილი

1894 წ.

# სახალხო პოეზია

და

მისი საპედაგოგიკო და საესტეტიკო მნიშვნელობა

არსად არ არის სახალხო პოეზიისა და სიტყვიერების ნაწარმოებთა შეკრებისა და გამოკვლევის საქმე ისეთს სამწუხარო მდგომარეობაში, როგორც ჩვენს ქვეყანასა და ლიტერატურაში. მაშინ, როცა ევროპასა და რუსეთში ბევრმა გაითქვა სახელი და ქება-დიდება შეიმოსა მხოლოდ სახალხო პოეზიის კვლევა-ძიებით, ჩვენში ყოვლად მცირე ყურადღება ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. ქართულს მწერლობაში არა თუ სრულიად არ მოიპოება სამეცნიერო გამოკვლევა სახალხო პოეზიისა, არამედ თითქმის ერთი რიგანი კრებულები კი არსად არის სახალხო ნაწარმოებთა. ამ მეტად საყურადღებო საგანს თითქო უგულვებელ-ჰყოფენ ჩვენი წიგნების გამომცემი ამხანაგობანიცა და მწიგნობრობის მოყვარულნი კერძო მოღვაწე-გამომცემნიცა. ეს კიდევ არაფერი. შესაძლოა, აქამდე ღონისძიება არა გვექნა და ამ საქმის გაკეთებას ვერ ვახერხებდით? მაგრამ მაგარი ის არის, რომ ზოგიერთნი დღესაც კი სულ უარ-ჰყოფენ ამ საგანის მნიშვნელობას და მით ხელს უშლიან იმათ, ვისაც დრო და ხალისი აქვს თვისი ღონე და შეძლება მოახმაროს სახალხო პოეზიის ნაწარმოებთა შეკრებასა და გამოკვლევას. როცა ქუთაისის წიგნების გამომცემმა ამხანაგობამ გადასწყვიტა, ვეცადოთ და გავუძღვეთ სახალხო სიტყვიერების ნაშთთა შეკრებასა და დასტამბვასაო, გაზ. „НОВ. ОР.“-ში

დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორიც ამტკიცებდა, რომ „ამხანაგობის“ გარდაწყვეტილება და მისი განხორციელება სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს ერსა და ქვეყანასაო: ამხანაგობა მთელს თავისს ძალ-ღონეს მაგ საქმეს შეაღწევს და რა უნდა იყოს კი სახალხო წიგნები, რომელშიაც სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები იქნება მოქცეული და ან რა სარგებლობას მოუტანს ეგ წიგნები ჩვენს ხალხსაო<sup>1)</sup>.

ცხადია, რომ ამისთანა გარემოებაში, ყოვლად საჭიროა ნათლად და გარკვევით გავითვალისწინოთ ის რთული საქმე სახალხო სიტყვიერების ნაშთთა შეკრებისა, მათის გამოქვეყნებისა, მათის შესწავლისა და მნიშვნელობისა, რომელსაც წარმატებული და დაწინაურებული ქვეყნები დიდის ყურადღებით ეკიდებიან. კერძოდ ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ამ საგანს და ამიტომ განვიზრახეთ, რამდენადაც შეიძლება, ვრცლად და სავსებით განვიხილოთ. ეს საგანი, როგორცა ვთქვით, ფრიად რთულია და მისი განხილვა სხვა-და-სხვა მხრით შეიძლება. სახალხო პოეზიის განხილვა ყოველ მხრივ, რაღა თქმა უნდა, ძნელია მცირე დროსა და მოკლე წერილში; ძნელია მით უმეტეს, რომ ეს საგანი თითქმის სრულიად ხელ-უხლებელია ჩვენში. ამ ხანად შევეუდგებით და ვრცლად განვმარტავთ საზოგადოდ სახალხო პოეზიის და კერძოდ ქართულ ზეპირ-სიტყვიერების საპედაგოგიო და საესტეტიკო მნიშვნელობას. ვეცდებით ამასთანავე ნათლად გამოვარკვიოთ, რა კავშირი არსებობს სახალხო პოეზიასა და ცხოვრებასა, სკოლასა, სიტყვა-კაზმულ მწერლობასა და ხელოვნებას შორის. გავარჩიოთ ჯერ მხოლოდ ის შემცდარი აზრი, რომელიც ზემოდ მოვიხსენეთ.

ქუთაისის „ამხანაგობის“ კრებაზედო, ამბობს ზემოხსენებულ წერილის ავტორი, ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ინტელიგენციამ ყოველივე ღონისძიება იხმაროს ჩვენის ეპოქის

<sup>1)</sup> იხ. „Нов. Обоз.“ 1892 წ. № 2825.

ძველ ნაშთების შეკრებისა და დაბეჭდვისათვის და მით მისცეს ხალხს სალი და მარგებელი საზრდოვო; ხოლო ზოგნი იმ აზრს ადგენენ, რომ ხალხს უნდა მივაწოდოთ ადვილად გასაგები პატარ-პატარა წიგნები საბუნების-მეტყველო შინაარსისა და მივეცეთ ის სხვა-და-სხვა გვარი ცოდნა, რომელიც ცხოვრებაში გამოადგება ჩვენს გლეხ-კაცობასაო. ამ მეორე აზრს შეიძლება დაეთანხმოს კაცი, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ჩვენის ქვეყნის საეკონომიო ვითარებასაო. ხოლო რაც შეეხება ჩვენის პოეზიის ნაშთების ბეჭდვას, მე (?) მგონია, მაგ გზით განსჯა საგნისა უადგილოაო. უადგილოა იმიტომ, რომ „ამხანაგობას“ აზრად უნდა ჰქონდეს აღამაღლოს ხალხში გონებრივი განვითარება მისიო. ან ცოდნის მიტემა შეუძლიან პოეზიის ძველ ნაშთებს? ბეჭდვა ძველ სალიტერატურო ნაშთთა იმ აზრათ, რომ ჰითამ ეს აზრს სსკა ღონის-მიებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ღონის-მიება საღსის სასარგებლო ცოდნის გაგრძელები-სა, მგონია ვერ აზრავს ძალსაღა ფიქრად. მე (?) ვამტკიცებ, რომ იგი ნაშთი აზრს დროს ან გამოდგებას სასახლო წიგნების საგნადა.

ეს აზრი, ჩვენის ფიქრით, სრულიად შემცდარი აზრია, პირიქით, ვისაც კი შევნებულოი ჰქონდა ჰემმარიტი საჭიროება ერისა, არამც თუ ფიქრად მოსლიოდათ შეკრება და ბეჭდვა სახალხო სიტყვიერებისა, არამედ თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ და ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ მდაბიო ხალხის გონება და ზნეობა მისისავე ნაწარმოების, ესე იგი სახალხო სიტყვიერებისავე შემწეობით ევარჯიშებინათ; აღმამლებინათ. ამას გარდა, ამისთანა კაცნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ძველი სახალხო პოეზია ერთად-ერთი წყაროა, ერთად-ერთი ღონისძიება ერის ცნობიერების, საეროვნო აზრის აღორძინებისათვისაო. ასეთი მნიშვნელობა სახალხო სიტყვიერებისა, დღეს კი არა, რამდენისამე საუკუნის წინად შეიგნო ყველა ცოტაოდნად მაინც დაწინაურებულმა ერმა. ესპანიაში მე-XV-ე საუკუნეშივე დაიწყეს საპედაგოგიო აზრით სახალხო სიტყვიერების შეკრება. ამ კრებულთა ეწოდებოდა „Cantilquio“

და ხელმწიფის სასახლეში ისე კითხულობდნენ დედარფლისა და მემკვიდრისათვის, როგორც სახარებას. ამ აზრითავე დაჰბეჭდეს იქ მე-XVI-ე საუკუნეში ორი კრებული რომანსებისა და ლექსებისა: *Romansero General* და *Confionero* <sup>2)</sup>. სპარსეთში თითქმის მე-V საუკუნეში შეიგნეს საპედაგოგო მნიშვნელობა სახალხო ეპოსისა, ასე რომ მაშინ დაწყებული საქმე—შეკრება ეპოსისა, არ შეწყვეტილა მე-XII საუკუნემდე. მე-VI საუკუნეშივე ეწოდა ამ კრებულს: „წიგნი მეფეთა“. ამ საქმის თაოსნობა იტვირთა პირველად თვით ანოშირვანმა (531—578); მისი საქმე განაგრძო მე-VII საუკუნეში ივზდიგერდ III-მ; მე-X საუკუნეში ასევე შრომობს სახალხო პოეზიისთვის მაჰმუდი, რომლის საუკუნე ითვლება საეპიკო პოეზიის ოქროს საუკუნედ <sup>3)</sup>. ეს კრებულნი უმთავრესად იმ აზრით იქმნა შემდგარი, რომ ხალხში გაეგრძელებინათ, აღეზარდნათ ერი და გაეძლიერებინათ მისი საეროვნო ცნობიერება. ამ აზრითვე დაიბადა ცოტა შემდეგ არაბეთში სურვილი სახალხო სიტყვიერების შეკრებისა. მე-XII საუკუნეში შესდგა ამ სახით იქ რამდენიმე კრებული, რომელსაც აგრძელებდნენ ხალხის საკითხავად. საკმაოა დავასახელოთ კრებულნი: მეიდანისა, ზაგოკშარისა („*Золотые ожерелья*“), რომელშიაც ანდაზებია ერთად თავ-მოყრილი; კრებული შაქრუსი, ჯეგერთავისა; ეს უკანასკნელი კრებული შეიცავს არაბულს ზღაპრებს და ეკუთვნის მე-IX საუკუნეს <sup>4)</sup>. გადავიდეთ ეხლა საფრანგეთში. იქ არა თუ პოეტებს, რომელთა შესახებ მერე იყოს, არამედ სამღვდელთადაც კი ჰქონდა შეგნებული, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ძველს სახალხო ეპოსს მდაბიო ხალხისთვის. ინგლისშიაც ასეთის აზრით გამსჭვალული ოქსფორდის არქივისკოპოსი ვოლტერი ჰკრებს ბრიტების თქმულებათა და ამ კრებულს აწოდებს ხალხსავე. საპე-

<sup>2)</sup> О. Буславъ—Русскій богатырскій эпосъ. Предисловіе. (Русскій Вѣст. 1862 г. № 3).

<sup>3)</sup> В. Миллеръ—Экскურსіи въ область р. нар. эпоса, 1892 г. Москва. Прилож. 66 стр.; ср. Карьеръ—Искусство въ связи съ общ. развит. культуры, т. III; новопере. поэзия 201.

<sup>4)</sup> *ibidem* III, 105, 201 და სხვ.



დაგოგო მნიშვნელობავე ჰქონდათ სახეში <sup>5)</sup>, როდესაც ინგლისში დაიწყეს ზღაპრების ბეჭდვა: გოცციმ (თუმცა ზნეობრივი მნიშვნელობა სახალხო სიტყვიერებისა ნაკლებ შეივნო), შეინდმა, რომელიც მიხვდა გოცცის აზრების უმართლობას და ყველას ნათლად შეატყობინა მნიშვნელობა სახალხო პოეზიისა <sup>6)</sup>. არც სხვა მეცნიერ-ნატურალისტებმა, როგორც, მაგალითებრ, კიუვიემ, არაგომ, ჟოფფრუა-სენტ-ილერმა, შლეიდენმა და სხვებმა დაივიწყეს ეს საპედაგოგო მნიშვნელობა ერის გონების ქმნილებათა. რომ უფრო გასაგები ყოფილიყო ხალხისთვის მათი უკვდავი ნაწერები და მათს შრომას უფრო მეტი ნაყოფი მოეტანა, ისინი დიდის ყურადღებით ეკიდებოდნენ სახალხო სიტყვიერებას, რომელიც ამ სახით ხშირად იყო ხოლმე საგნად მათის ლექციებისა და სახალხო წიგნაკებისა; ისინივე უხსნიდნენ ხალხს მისი პოეზიის მნიშვნელობას და სხვ. <sup>7)</sup>. თუ მივხედავთ ნიჭიერს პედაგოგებს, დავინახავთ აგრედვე რა პატივსა სცემენ სახალხო სიტყვიერებას. თუ გინდათ, შორს ნუ წავალთ; ავიღოთ ნიჭიერი რუსის პედაგოგი უმიწსკი და ჩვენი გოგებაშვილი. მათ „დედა ენაში“ პირველი და უმთავრესი ადგილი უჭირავს სახალხო სიტყვიერების ნიმუშებს: გამოცანებს, ანდაზებს, ზნეობრივის შინაარსის ზღაპრებს და სხვ.; ეს არის მიზეზი, რომ ასეთს წიგნებს აღტაცებით კითხულობს პატარა და დიდიც, ქალიცა და კაციც, მეტადრე მდაბიო ხალხი. რუსეთში დღეს განსაკუთრებული საზოგადოება არსებობს, ეგრედ წოდებული „Посредникъ“-ი, რომელსაც აზრად აქვს ხალხში გასაფრცვლებელი წიგნების ბეჭდვა. ამ წიგნებში არა უკანასკნელი ადგილი აქვს დათმობილი სახალხო სიტყვიერებას. „Посредникъ“-ის მოღვაწეობაში დიდს მონაწილეობას იღებს ლევ ტოლსტოიც; მისს უკანასკნელ ნაწერებში არა ერთი და ორი მოთხრობა და წერილი შეგხვდება, რომელიც ან გადაკე-

<sup>5)</sup> ib. 480.

<sup>6)</sup> ibidem. V. 45.

<sup>7)</sup> Минист. Народн. Просв. 1863 г. часть СХVІІ. „Историч. очерки народн. просоверд. и суетьны“.

თებული და ან პირდაპირ ნაამბობი სახალხო ზღაპარია ზნეობრივის შინაარსისა; საზოგადოდ ლევ ტოლსტოი დღეს ასეთს წიგნაკებს დიდს ყურადღებას აქცევს და უმეტეს ნაწილად აწვდის ხალხს სავარჯიშოდ მისვე გონებრივ ნაწარმოებს. ამ სურვილითვე არიან გამსჭვალულნი ზოგიერთნი სხვანიცა, რომელნიც კბეჭდავენ პირდაპირ სახალხო ზღაპრებსა და სხვა-და-სხვა ხალხის გმირთა შესახებ თქმულებათა. ეს წიგნაკები მთელს რუსეთშია მოღებულნი. ყველა ქალაქში ჰნახავთ, რომ ქუჩა-ქუჩა დააქვთ კალათებითა და ტომრებითა ასეთი პატარა-პატარა წიგნები. ჩვენშიაც დაიარებიან რუსნი და დააქვთ გასასყიდად სახალხო საკითხავი წიგნები: „Егорій Храбрый“, „Илья Муромецъ“, „Русскій богатырь, Добрыня Никитичъ“, „Дьдюкъ Степановичъ“, „Алеша Поповичъ“ და სხვ. და სხვ. ასეთს წიგნებს კბეჭდავენ: სიტინი, გუბანოვი; დავასახელოთ კიდევ გამოცემანი ქურნალებისა: „Досугъ и дѣло“, „Мир. Вѣсти.“ ან „СПб. Комиссiи Нар. Чтенiя“ და სხვ.

ახლა ვიკითხოთ: მოსვლია ვისმეს, თუ არა, ფიქრად სახალხო სიტყვიერების საპედაგოგიო მნიშვნელობა და შით ხალხის აღზრდა? ამდენის მაგალითების შემდეგ რას ნიშნავს ფრაზა: „მე (?) ვამტკიცებ, რომ ნაშთნი ძველი სიტყვიერებისანი არადროს არ გამოდგებიან სახალხო წიგნების საგნად“?

რაც შეეხება ასეთს აზრს: „სახალხო წიგნებმა უნდა მისცეს მდაბიო ხალხს იმისი პასუხი, რაც ყოველ დღე აწუხებს, რის გაგებაც ეჭირვება, უნდა ასწავლოს ყოველივე კარგად, განავითაროს მისი საზოგადოებრივი ზნეობა და ამხილოს საზოგადოებრივი ზნე-დაცემულება და ბიწიერებანი“, რაც შეეხება, ვამბობთ, ამ აზრს, ამ ყოველად კეთილს სურვილს არამც თუ არ უარვყოფთ, კრინტსაც ვერ დავსძრავთ მის წინააღმდეგ. ვიტყვით მხოლოდ, რომ სწორედ მაგ სურვილის მისაღწევად არის მდაბიო ხალხისათვის სახალხო სიტყვიერება უებარი წამალი. ამიტომ ძალიან გვაკვირვებენ შემდეგი სიტყვები:

«ჟანტასიოუჲი ზღაპრები, — ამბობს იგივე ავტორი — ჩვენჯან ძალიან დასწორებულ დროთა, როგორცაჲც არიან მოთხრობილნი როსტო-

მიანში», «ყარამინანში» და სსკა ქართულ (?) პოემაში; სრულიად (?) ვერ უშველის ხალხს ამ შემთხვევაში ასე, როგორც (მაგალითად) ბაღისუბი «ილია მურომელისა» და სსკა გმარებისა მთავარ კლადი-მერის კინკლასისა ვერ დაეხმარება ვერაუთარ სსსარგებლო ცოდნათა გაგრძელებას რუსეთის გლეხ-კაცთა შორისა.

აქ რამდენიმე შეცდომა მოსვლია ავტორს. ჯერ ერთი ესა, რომ არც „როსტომიანი“ და არც „ყარამინიანი“ ქართული ნაწარმოები არ არის. პირველია ფირდუსის „შაჰ-ნამე“ და, მაშასადამე, ნათარგმნი სპარსულით; მეორეც გადმოთარგმნილია სპარსულით. მერე ის შეცდომა მოსვლია ავტორს, რომ არ არჩევს „полезное знание“-ს „правственности“-ისაგან. იწყებს ასე: სახალხო წიგნმა ხალხს ზნეობა უნდა ასწავლოსო, ხოლო ათავებს ასე: „ილია მურომელი“ ხალხს სასარგებლო ცოდნას ვერ მისცემსო! შემდეგ აი რა შეცდომა მოსვლია კიდევ: როდესაც ხალხურს პოეზიაზე ლაპარაკობენ და ან სახალხო წიგნაკებზე აქვთ მსჯელობა, მარტო „ბაყბაყ-ღვევები“ და „ქუჩუკ-ყარამანები“ კი არა აქვთ სახეში, არამედ მთელი სიტყვიერება ხალხისა, ესე იგი, პოეზია გმირული, ისტორიული, დიდაქტიკა, ლირიკა და სხვ.

დასასრულ. შეცდომაა ის აზრიც, ვითომ „როსტომიანი“ ვერას ასწავლის ხალხს და ვერა სარგებლობას ვერ მოუტანს. „როსტომიანში“ დასურათებულნი გმირნი, მაგ. თვით როსტომი და მისი სახელოვანი შვილი ზურაბი სამაგალითო პედაგოგნი არიან ხალხისათვისაც და კერძო კაცთათვისაც. იგინი არიან განხორციელებანი დიდ-სულოვნობისა, პატრიოტიზმისა, კაცურის კაცობისა, დარბაისლობისა, და თითქმის ყოველის მაღალი სათნოებისა. ფირდუსის „შაჰ-ნამე“ ვერ აღზრდის ხალხს, სარგებლობას ვერ მოუტანსო?! ამას იტყვის ის, ვინც დაბეჯითებით არ იცის, ვინ არის მსოფლიო ლიტერატურაში ფირდუსი და რა არის იმავე ლიტერატურაში მისი „შაჰ-ნამე“? აიღეთ კარიერი, კორში, შერი, წაიკითხეთ და შეიტყუეთ, რა საზრდო უძლევეია ამ უკვდავს და მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო ნაწარმოებს ხალხისათვის. მაშ ამ თხზულებაზე ვერ,

ააგო ფირდუსიმ ირანის დიდება?! მაშ ვერ ჩაუდგა სული ბედისა და დროთა-ვითარებისგან გათვლილს ხალხს?! თუ ფირდუსის გამირებმა ვერ აღზარდეს ხალხი და სარგებლობა ვერ მოუტანეს, მაშ მიჰმართეთ ონეგინებს, პეჩორინებს, პოლდეკოკებსა და ემილ ზოლას გამირებს. აი ისინი „ასწავებენ ხალხს ყოველსავე კარგსა, აუწყებენ ერს სასარგებლო ცოდნას“!

რაც შეეხება ილია მურომელს, ეს გმირი ისეთი ბრწყინვალეა და ისეთი იდეალია კაცისა, რომ ცოტა მოცქებნება ბადალი მთელს მსოფლიო ხელოვნურს ლიტერატურაში, ფირდუსის, ჰომიროსის და შოთა რუსთაველის გამირების შემდეგ, ხალხს მის მეტი იდეალი არ უნდა. მასთან ვერ მოვლენ ვერც ონეგინი, ვერც პეჩორინი, ვერც მოლოტოვი და ვერც მათი კოლლეგები. ილია მურომელი ნამდვილი გმირია, სახელოვანი შვილი სამშობლოსი, მისთვის თავ-დადებული. იგი არ არის შებღალეული იმ გარყვნილებით, იმ „ყავახანურისა და ლუღხაუნურის გმირობით“, რომელიც არის განუშორებელი ატტრიბუტი ჩვენის დროის გამირებისა. როცა მურომელი ოქროს პოეზიას, ან მდიდარს ართმევს, როგორც არსენა, ამ ალაფს ან სულ არ ჰკიდებს ხელს, ან მოაქვს და ახმარს ქვირე-ობოლს ან რომელსავე საზოგადო ქველს საქმეს აკეთებს, ესე იგი ჩვენის ტერმინოლოგიით, „ფულს არა სცემს თავყვანს“, რადგან მაღალი დანიშნულებ ადამიანისა. მუდამ თვალ-წინ უდგია. ჩვენს ბელეტრისტიკაში გამოყვანილი ტიპები კი არა თუ არ დგანან ამ სიმალღეზედ, არამედ თვით ბელეტრისტებიც კი, თვით პოეტებიც კი ვერ დაიჩემებენ ასეთს სიწმინდეს ხასიათისას, ასეთს სიმალღეს სულისას, ასეთს განუზომელს კაცთ-მოყვარეობას.

ამისათვის ძალიან მრუდედ მსჯელობენ ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ „ერთი კარგი ბელეტრისტული თხზულება უფრო ბევრს სარგებლობას მოუტანს ხალხს, ვიდრე ყველა ნაშთები ძველის პოეზიისაო“. საბრალო ფირდუსი! რას წარმოიდგენდი, თუ შინი უკვდავი პოემა ასეთის წყალობის ღირსი არ გახდებოდა? რა გეგონა, თუ იგი „хорошее беллетристическое“

произведение“-დაც არ ჩაითვლებოდა? მაგრამ ნუ გავკიცხავთ კრიტიკოსს; მან ხომ არცკი იცოდა, რომ რაღაცა „როსტომიანი“ გაჰკრა კლანჭები, ფურდუსის პოემას მისცა ვითომ ზიანი, ამ პოეზიას წაართვა ვითომ ღირსეულად მოპოვებული სახელი...

საქმე იმაშია, რომ ჩვენ სხვებზედ ნაკლებ არა ვართ დაჯრწმუნებულნი, რომ კარგი ხელოვნური ნაწარმოები ნიჭიერის პოეტისა ყოველად სანატრელი და ძვირფასი რამ არის. მაგრამ ბელლეტრისტიკამ რომ სახალხო სიტყვიერებას მნიშვნელობა წაართვას ან თვითონ სახალხო სიტყვიერება არ ეჭირვებოდეს,—ამას კი ვერაფერს დაგვიმტკიცებს. ქვემოთ ამათ ჩვენ დაწვრილებით განვმარტავთ, რომ, რამდენადაც ხელოვნური ლიტერატურას ახლო და მკვიდრი კავშირი აქვს სახალხო პოეზიასთან, იმდენად იგი მაღლა სდგას და ხალხზედაც უფრო ძლიერი გავლენა აქვს. აქ კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ, როდესაც ბელლეტრისტიკის მნიშვნელობაზედ ვლაპარაკობთ, სახეში უნდა ვიქონიოთ უმეტეს ნაწილად ინტელიგენცია, ანუ მკითხველი საზოგადოება. ეს იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა ჯერ არც კი იცის, რა ფრინველია ბელლეტრისტიკა; იგი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა პატრიარქალურ მდგომარეობიდან. ამიტომ ბელლეტრისტიკაში რაც ჩვენთვის, ინტელიგენციისათვის, სასარგებლოა და ჭკუის მასწავლებელი, ის უბრალო ხალხისთვის შეიძლება ხშირად სრულდებით უმნიშვნელოც იყოს. ჩვენ გვწამს, რომ ის თხზულებანი, რომელშიაც წმინდა იდეალებია გამოკვანილი, როგორც, მაგალითებზე, „გლახის ნააბობის“ მოძღვარი და გაბრიელი, საუკეთესო გმირები ყაზბეგისა და სხვ., ძლიან სასარგებლო არიან მდაბიო ხალხისთვისაც, მაგრამ არიან ისეთი თხზულებანიც, რომელნიც შეიძლება მწერლობაში მარგალიტად ითვლებოდეს, მაგრამ უმეცარის ხალხისთვის კი მანებელიც გამოდგეს. ჩვენ, ინტელიგენტებს, შეგვიძლია ყოველივე ავსწონ-დავსწონოთ თხზულებაში, ჩვენ გვესმის მგონის ხმა, მისი ღვთაებრივი მოწოდება, მისი ღალადება, მაღალი აზრები, გვესმის ცხოვრების მოთხოვნილებაც და ისიც, რის

პასუხსაც იძლევა პოეტი. ამიტომ ჩვენ ადვილად მივხედებით ხელოვნურის ნაწარმოების აზრს, კილოს, ანუ მოტივს; თხზულების გმირებს კრიტიკის თვალთ შევხედავთ, ცხოვრებას შევუწონებთ. ავიღოთ მოთხრობა „ჩატეხილი ხიდი“. ჩვენ ვიცით, რის შედეგია ნიკო, რას მოჰყვა მისი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, როგორმა ატმოსფერამ აღზარდა ასეთი ტიპი; გვესმის მისი სისუსტე და კიდევ შეგვიძლია ავსცდეთ სისუსტეს, მაგრამ, ძნელად თუ მან გაასწოროს ხალხი, ასწავლოს „კარგი ზნე“, მისცეს სასარგებლო ცოდნა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენის ფიქრით, ასეთი თხზულება, თუნდა ხელოვნების მხრით გენიალური ნიწარმოები იყოს, ისეთს მაიმუნობას დაანახვებს და შეიძლება კიდევ ასწავლოს, რომელიც ჯერ არც კი წარმოედგინოს. გარნა თუ მხოლოდ იდეალებს აქვს ხალხზე ზნის გამსწორებელი გავლენა და არა იმ თხზულებებს, სადაც მტლამატლუშის მეტი არა არის-რა, სად არის იმდენი იდეალები, რამდენიც ხალხის პოეზიაშია? ხალხმა თავისი საყვარელი და საზიზღარი გმირები თვითონვე შექმნა<sup>\*)</sup>. მისთვის არ შეიძლება დაჰხატოს ვინმემ და დაჰბადოს იმაზედ უკეთესი ტიპები, როგორიც არიან სახალხო სიტყვიერებაში და თქმულებაში: ილია მურომელი, ვახტანგ გორგასლანი (ლეგენდებში), ირაკლი, თამარი, ავთანდილი, არსენა, როსტომი, ზურაბი, სოსლანი, სოლოლა და სხვ. მთელს რომანს ურჩევნია ხალხს თამარის ერთი ლექსი, ფშავ-ხევსურების მოთქმა ირაკლის საფლავზედ, ავთანდილის ლექსი და სხვ. პირველი ხალხს აგონებს და უთვალისწინებს თამარის ლეთიურს სახეს, ძველს ღიღებას, სათაყვანო და შეუბღალავ მიუწოდებელს იდეალს; მეორე აგონებს უკანასკნელს გულისცემას სამშობლო ქვეყნისას, მზის სხივების მისთვის საუკუნოდ ჩასვენებას, ბნელს ხანას, დაკარგულს ღიღებას; მესამე კი უღვიძებს სიყვარულს დედისა და ცოლისადმი, ოჯახისა და მამულისადმი და სხვ. რა გრძნობასაც გაუღვიძებს ხალხს ერთი

\*) А. Беселовский—Розыск. въ обл. р. стиха. СПб. 1883 г. VIII, 260; შედარე В. Миллеръ—Осетин. этюды, I, 141, предание о Груз. Корони; „Груз. сказки“ Бѣбуръ, 1884, „Предсказаніе отца“, 71 და სხ.



ისტორიული ლეგენდის სახით დარჩენილი ამბავი თამარისა, ან ირაკლის ცხოვრებისა, იმ გრძნობას ვერ აუფეთქებს მთლად ის ნაწილი ჩვენის ბელოლექტრისტიკისა, რომელიც დაჰშორებია სოფლის ხალხს და მის-მიერ შექმნილ სიტყვიერებას, დაჰშორებია, მაშასადამე, ეროვნულსა და ერ-თ-საზოგადო ნიადაგს. დობროლიუბოვი კარგად იყო დარწმუნებული, რომ პუშკინი, გოგოლი და მათის შიმართულებების პოეტები კარგი პოეტები იყვნენ, მათი თხზულებანიც უკვდავნი, მაგრამ სულ მუდამ იმას ამბობდა, რომ ამ თხზულებათა მდაბიო ხალხზედ (და არა ინტელიგენციანზედ) თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს; ხალხმა მათი სახელი და არსებობაც კი არ იცისო \*). რასაკვირველია, თუ ხალხმა წერა-კითხვა არ იცის, ვერც სხვა წიგნს წაიკითხავს, მაგრამ საქმე იმაშია, რით უფრო წავახალისებთ ხალხს, რას უფრო უგდებს ყურს: იმას, ნიკომ და ლადომ როგორ გააბრიყვეს № და ან რამდენჯელ აკოცეს ტუჩებში, თუ იმას, როგორი არის და როგორ იქცევა მის-მიერვე შექმნილი შვილი—გმირი, რომელიც მის გემოვნებაზედ არის დახასიათებული, რომელიც აგონებს დიდებულს ძველს დროს თვისის გმირობით, სინილისით, წმინდა ზნეობით?.. მაგრამ ჩვენ როგორ ვიტყვით ისე ლამაზად და ცოცხლად, როგორც თვითონ გლეხი გეტყვით და გადმოგცემთ თავისს გულის-პასუხს? მაშადევდლოთ ყურით.

— „ეგ რა არის“?—ეკითხება ილია ჭავჭავაძის გაბრიელა გლაზა ქვზედ მჯდომ გლაზუკას.

— ზღაპრების წიგნია, ჩემო ძმაო.

— „აბა თუ ღმერთი გწამს წაიკითხე, მეც გავიგონო, ვუთხარი მე ხეწნითა“, მოგვითხრობს გაბრიელი. „დამიჯერა იმ კვი კაცმა და დაიწყო ისეთნაირად კითხვა, რომ, ღმერთო შეგცოდე, შური მამერივა. ეგ კიდევ არაფერი: ყური ვუგდე და ის რასაც კითხულობდა, თითქო მეტონა, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოს. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა; ის კი სწორედ ჩვენს სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სისარულათ გადამიტრიალდა. და-

\*) Добролюбовъ. т. I. 449.

დახკრას ღმერთისა, — წამოვიძახე უცებ, — სიკენთ გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?... დიად ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ..... აი დალახვე-რა ღმერთმა, წიგნში ჩაწერილა! აბა ერთი კიდეე წაიკითხე. კიდეე წამი-კითხა იმ დალოცვილის შვილმა. რა გავაგმძელა, იმ წიგნმა თავი შე-მაყვარა. ისე ჩემ სიტყვებსღებში არა მინატრია-რის, როგორც ამ დღეს წიგნის კითხვა მე კინატრეა<sup>10)</sup>.

თვითგაბრიელ გლახა არის ისეთი საბუთი, რომლის შერყევა არავის არ შეუძლია. იგი გვატყობინებს სულსა და გულს გლეხი-სას. პირდაპირ ეუბნება ყველას, რომ ხალხის განათლების დაწყე-ბის ხანაში, თუ ბელღეტრისტიკას აქვს მნიშვნელობა, არა ნაკ-ლები, თუ არ მეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო ნაწარმოებს, რომ გლეხი თავის ნაწარმოებს უფრო ადვილად სცნობს, იგებს; ხალხს უყვარს მისივე ტიპები უფრო, ვიდრე რომანები და ტრაგედიები; მართლაც, სახალხო წიგნაკების შინაარსი გლეხს უმეტეს ნაწილად ეცოდინება, ან წინად ეცოდინებოდა და მო-იგონებს წიგნაკის წყალობით. თუ თვითონ აღარ ახსოვს, სო-ფელში ორს ან სამს მაინც ეხსოვნება და მათგან სხვანიც გა-იგებენ, ან კიდეე ერთმაც რომ იცოდეს კითხვა, მის კითხვა-ზედ არავის აღარ დასჭირდება განმარტება; ყოველივე ეს მი-სია და მისსავე გონებაში კპოვებს ფართო ადგილს; ერთის სი-ტყვიით, ცნობილისა და საყვარელის შინაარსის წყალობით თვით წიგნის კითხვაც შეუყვარდება, როგორც გაბრიელას.

ჩვენი ისტორიული და ლეგენდებშიაც დასურათებული გმირები: ვახტანგი, თამარი, დავით სოსლანი, ერეკლე და სხვე-ბიც დღესაც დაუფრწყარნი არიან ჩვენ სახალხო პოეზიაში და ხალხის ხსოვნაშიც. თამარი გაღმერთებულია ფშავ-ხევსურეთ-ში<sup>11)</sup>, სადაც „პირ-მზეს“ ეძახიან; აგრედვე მის შესახებ ლე-გენდები მოდებულია მთელს საქართველოში. ესევე უნდა ით-ქვას ვახტანგზე. იმერეთში გლეხები დღესაც მრავალს უჩვენე-ბენ ადგილს, სადაც ვახტანგს, ხალხის თქმით, ვითომ პური უჭამია („ვახტანგის საპურაო“ ს.ს. სვირში და ზეკარში), ან

<sup>10)</sup> ი. ქავთავაძე, „გლახის-ნამბობი“, ტ. III.

<sup>11)</sup> იმ. ა. ყაზიბეგის თხზულებანი, ტ. I. 41.



სადაც ხომალდები დაუბაძს რკინის პალოთი („ვახტანგის ნავთ-სადგური“). ხალხი სიამოვნებით მოგიყვება ამ ამბებს. რამდენად ჰღირს ეს გრძნობა, ეს მამულისადმი და ნაციონალური გმირებისადმი სიყვარული, ეს მოგონება წარსულისა მაშინ, როდესაც ლუდხანისა და „ფაბრიკის ციფილიზაციას“ ცოტა რამ სანუგეშებელი დაუტოვებია ჩვენთვის? ამისათვის ყოველად ჭეშმარიტია ის აზრი, რომ არ დაეავიწყოთ კი, არამედ უნდა მოვავონოთ როგორმე ხალხს გმირული პოეზია და მის მაგიერ ახპატელოგების ბრამიურებით არ გავრყვნათ მისი გული.

ეს უნდა ასე მოხდეს, მით უმეტეს, რომ ასეთი დაცემა სახალხო პოეზიისა დღეს საზოგადო მოვლენაა. სადაც გარეგნულმა ევროპულმა „კულტურამ“ ფეხი მოიკრდა, იქ წმინდა შინაარსი და მალაღი აზრი გმირულის პოეზიისა შეიბღალა. „პოეტურის მშვენიერებითა, ჭეშმარიტის გრძნობითა და სამუსიკო მოტივებით სავსე სახალხო ლექსები იკარგება და მათ მაგიერ ვრცელდება ხშირად უაზრო და უმნიშვნელო ბაიათები“<sup>12</sup>). ნიშანი სახალხო პოეზიის ასეთის დაცემისა ჩვენს დროში ის არის, რომ ეპიკურ მოთხრობებს ფორმა უკვდება, ეკარგება, სიცოცხლე აკლდება; წინად თუ ეს ეპოსი ერთს ორგანიზმს წარმოადგენდა, დღეს ამის მაგიერ იგლიჯებ-იქსაქსება; აგრედვე ეკარგება საესტეტიკო და საზნეობო მოტივები და ხალხი ამ მკედარს, უმზგავსო მასალას ველარ ასულდგმულებს, ველარ ასაზრდოვებს თავისის მოქმედებით, რასაც ისე ადვილად ახერხებდნენ მისი წინაპარნი<sup>13</sup>). ეს დაცემა ძველის სიტყვიერებისა ხანდახან იმ ზომამდინ მიდის, რომ საკოსმოგონიო მოტივიც აღარა სჩანს! ერთის სიტყვით, ხალხის შემოქმედებითი ძალა და მისი დღევანდელი ნაწარმოები მოგვაგონებს ხალხის კულტურულ მსვლელობის პირველ ნაბიჯს, პირველ ხანას, როცა იგი ბავშვობიდან გამოდიოდა და გონებრივ ცხოვრებას იწყებდა. „უაზრობას კი, რომელიც თან-და-თან ემჩნევა დღეს

<sup>12</sup>) Розовъ.—О происхожд. русск. былинъ (по поводу статьи Стасова въ Вѣстн. Евр. за 1868), 1088 ст.

<sup>13</sup>) ibidem.

ძველ პოეზიას და რომელიც მოსდევს ფაბრიკისა და ყავახანის განათლებას, ხალხი ნაკლებად ეწყობა და მალე, თითქმის განგებაც, ძალად იფიწყებს“<sup>14)</sup>. რომ ამის მიზეზი არის დღევანდელი გარყვნილება ახალ-თაობისა და „ქუჩის ცივილიზაცია“, ამას ამტკიცებს „Сборникъ материаловъ для описанія жьтностей и племень Кавказа“<sup>15)</sup>, საცა დაბეჭდილია პერედელსკის წერილი: „Темижбанская станица и пѣсни поющіяся въ ней“; ამ წერილში ისეთი ლექსებია მოყვანილი, რომელიც გულს აურევს, გულს გაურყენის კაცს! ვსევლოდ მილლერის სიტყვით<sup>16)</sup>, ამ ლექსებს ეტყობა რუსების გავლენა, სახელდობრ, ყუბანის ყაზახებ-სალდათებისა! საზოგადოდ, მწიფნობრობისა და რკინის გზის გავრცელების შემდეგ, — ამბობს იგივე პროფესორი მილლერი: — ყველგან შეამჩნევ, რომ ჰქრება და იკარგება სახალხო ნაწარმოები, პოეტობის ნიჭი ხალხისა; ეხლანდელი ნაწარმოები კი, რომელსაც ეტყობა ფაბრიკის დალი შესაკრებადაც კი არა ღირს, მეტადრე კავკასიაში, სადაც 43 სხვა-დასხვა ტომ-რჯულის ხალხი ცხოვრობს<sup>17)</sup>. ასეთი დაბალ ხაზ რისხის პოეზია ჩნდება უფრო ქალაქ-დაბების ახლოს, სადაც თავზედ ხელ-ადებული „გმირები“, არა „ზეგარდმო მადლით ცხებულნი“, არამედ ღვინით გაქენთილნი, ასეთს მარგალიტებს მოგიძღვნიან ქუჩებში:

ახ ბალა ბალა,  
შენ ჩემო ბალა,  
შენი ჭირიმევეეე!..

ახ ზაჩემ ზაჩემ  
ვი დალი სლოვა!...  
ჯან, ჯან, ჯან, ჯანი!...

ასეთი არ არის ქეშმარიტი და შეუბღალავი ნაწარმოები ძველის ხალხის ერთობილის გენიოსობისა. „თავდაპირველა-

<sup>14)</sup> ibid.

<sup>15)</sup> 1883 г. Вып. III.

<sup>16)</sup> Млн. Нар. Просв. 1883. ч. ССХХV.

<sup>17)</sup> ib.

დაო, — ამბობს პროფესორი პოტებნია, — პოეზია შეიცავდა ერის მთელს ესტეტიკურს ცხოვრებას, თესლს ყოველგვარ ხელოვნებისას... მხოლოდ ჩვენს დროს არის შესაძლო, რომ ლექსს ჰმღეროდნენ მხოლოდ მღერისათვის“. „ეს გარემოება მოასწავებს სახალხო პოეზიის დაცემას, რომელიც მოსდევს ენის წარბდენას და გარყვნას<sup>18)</sup>. ხალხმა თავის ძველს პოეზიაში არც ის იცის, რასაც დღეს კრიტიკოსები ეძახიან „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, ანუ „წმინდა ხელოვნებას“ სახალხო სიტყვიერება სწორედ იმითი განირჩევა ხელოვნურ მწერლობისაგან, — გალახოვის სიტყვით, — რომ პირველი შეეხება ყოველს კერძობას ხალხის ცხოვრებისას, მეორე კი მარტო კერძო კაცთა სხვა-და-სხვა გრძნობას, იმას, თუ რა აზრისა და შეხედულებისანი არიან ისინი. წინააღ, როდესაც სხვა-და-სხვა წოდებად და კლასებად არ იყო დაყოფილი ხალხი, როდესაც ყველანი ძეგბივით იყვნენ, მაშინ ყველანი თანასწორ მონაწილეობას იღებდნენ ყოველს საქმეში. ამ საქმეს კი ასრულებდნენ არა ერთის კერძო კაცის ბრძანებით, არამედ მთელის ერის ინსტიქტის ძალით<sup>19)</sup>. ამ დროს ყველანი ერთისა და იმავე გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი, რადგან ყველანი ერთს დონეზედ იდგნენ ქუთა-გონებითა და განვითარებით. მაშინ მგოსნობდა მთელი ერი; კერძო კაცი — მგოსნები მხოლოდ ორღანო იყო ერისა. მაშინ ხალხი იმას კი არ მღეროდა, იმას კი არ აქებდა და აღიდებდა, რასაც წითელი ღვინო ჩასძახებდა, ან სნეული ფანტაზია ჩააკონებდა, არამედ იმას აქებ-აღიდებდა, რაც მისთვის შესამჩნევი იყო ცხოვრებაში, ვისაც დიდი ბიჭობა, გმირობა-რაინდობა გამოეჩინა დროთა-ვითარებასთან ბრძოლაში. სახალხო პოეზიაში პიროვნება მგოსნისა, იმავე გალახოვის სიტყვით, არა სჩანდა, მოჩრდილული იყო<sup>20)</sup>. „ამისათვის იმ დროის ნაწარმოები მოკლებულია კერძობას, კერძო ინტერესს, „შენ-ჩემობას“ და წინააღვე აჩემებულს აზრს. იქ არ

<sup>18)</sup> Потѣбня — „Мысль и языкъ“ (Мнѣ нар. Провѣ. 1862, ч. СХІV. гл. X. „Поэзія, проза и сгущеніе мысли“.

<sup>19)</sup> Галаховъ — Исторія русск. литературы, § 12.

<sup>20)</sup> ibid. § 13.

არის არც ლირიკული სანტიმენტალისტობა, არც არავინ ცდილობს გაიტაცოს საზოგადოება, რადგან ეს გატაცება არც კი იყო საჭირო მისთვის. მგონები ისედაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათის ჩანგის ჟღერას ყველა თანაუგრძნობს“. ერთის სიტყვით, ხალხს მაშინ მართო საესტეტიკო კერძობა, უშინა-არსოდ, წინააღმდეგ ზოგიერთ დღევანდელ ფანტაზიორ იდეალისტებისა, არაფრად ეპრიანებოდა. დღევანდელი „ფილოსოფოსები“ და ტყვილად მოხეტიალენი მაშინ არ იყვნენ; მაშინ ყველა შრომობდა; მაშასადამე, ძველის ხალხის შეხედულებით, ხელოვნება არის ცხოვრებისათვის, კაცისათვის, და არა პირიქით კაცი ხელოვნებისათვის, როგორც იდეალისტები ამტკიცებენ<sup>21)</sup>.

როგორც ჰხედავთ და როგორც ბ-ნი ჟდანოვიც ამბობს<sup>22)</sup>, ხალხს არ სკოდნია „გარჩევა“ და მით უმეტეს „დავა წიგნსა და ლექსს, საზოგადო და კერძო საქმეს შორის“. მაშასადამე, ვიტყვით ჩვენი დროის სახელოვან აკადემიკოსის ბუსლაევის სიტყვით<sup>23)</sup>, „საეპიკო“ პოეზია არასოდეს არა სჯერდება თავის სიუჟეტის მართო საესტეტიკო კერძობას; იგი ცდილობს დააკმაყოფილოს ყოველი ზნეობრივი მოთხოვნილება საზოგადოებისა. ამ შემთხვევაში საეპიკური პოეზია ერისა თუმცა ძალიან ძველია და ხელოვნურად ვერ არის შემუშავებული, მაგრამ მაინც სრულებით შეესაბამება და აკმაყოფილებს ჩვენის დროის საესტეტიკო კრიტიკას, ანუ უკედ ვთქვათ, რეალისტების მოთხოვნილებას, რომელნიც ამბობენ, რომ ხელოვნური ნაწარმოები არა მართო ფორმის სიფაქიზეს უნდა მისდევდეს, არამედ პასუხს უნდა აძლევდეს ერის ნამდვილს მოთხოვნილებას, უნდა შეაქცევდეს არა მართო ფანტაზიას და ოცნებას, არამედ თვალწინ აყენებდეს მძიმე საზნეობო და საზოგადოებურ საქმეებს. ამის დასამტკიცებელს მაგალითებს ჩვენ წარმოვადგენთ ქვემოთ,

<sup>21)</sup> Розовъ—О пропех. русск. быльи, 45 стр.

<sup>22)</sup> Ждановъ—Къ литературн. исторіи русск. былевой поэзи. Кіеѣ, 1881. VII.

<sup>23)</sup> Народная поэзія. Пѣсня о Роландѣ, 303.

როცა გავარჩევთ ქართულ პოეზიის შინაარსს. მაგრამ, თუმცა ჩვენა ვთქვით, რომ სახალხო პოეზია უფრო შინაარსს აქცევს ყურადღებას, თვით ჩვენ მიერ ნახმარი სიტყვა „უფრო“ ამტკიცებს, რომ სახალხო პოეზიაში არც ფორმაა სრულებით დავიწყებული და მაშასადამე არც ხელოვნების კანონებსა აქვთ ზურგი შექცეული, როგორც ეს მოსდით ზოგიერთ რეალისტებს, ანუ უკედ ვთქვათ, ცრუ რეალისტებს. ამის დამტკიცებასაც ქვემოთ წარმოვადგენთ. აქ კი უნდა შევნიშნოთ, რომ სახალხო პოეზია ასეთის ხელოვნურის მხრით იმდენად ფართოა და ვანიერი, იმდენად უნივერსალურია, რომ შეიცავს თითქმის ყველა სხვა ხელოვნებას.

„მთელის ერის ყველა გვარ-ტომის მონაწილეობით და კერძო ინტერესების დავიწყებით, ამბობს იგივე ბუსლაევი,—სახალხო პოეზიას, თუმცა ერთის მხრით ყველა ხელოვნებებისაგან განირჩევა, მეორეს მხრით, მაინც მტკიცედ აქვს შეთვისებული შეხორცებული, მაგალითებრ, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, ხუროთ-მოძღვრება; ეს თქმის მეტადრე იმ ადრინდელ ხანაზე, როდესაც ყველა ეს ხელოვნებანი, როგორც საზოგადო სარელიგო იდეებისა და მოთხოვნილებათა გამომხატველნი, მთელის ერის კუთვნილება იყო“<sup>24</sup>).

თუ ეს ასეა, სათვორიო მოსაზრებით, რასაც ქვემოთ ვამართლებს ჩვენის პოეზიიდან ამოღებული მაგალითები, მაშ სახალხო პოეზია ყოფილა არა აბუჩად ასაგდები, არა დაცინვისა და ქირდად აგდების ღირსი, არამედ ყოველად პატივსაცემი და ყოველი ბელლეტრისტიცა და პედაგოგისათვის დიდად საჭირო, ძვირფასი რამ მარგალიტი, სარკე და მაგალითი თვისის სამუსიკო მოტივებთ, მშვენიერებთ, უნივერსალურის იდეებით და რეალურის მიმართულებით. იგი ყოფილა და უნდა იყოს კიდევ სამართლიანად დაუშრობელი წყარო ყოველის პოეტისათვის.

ამ გარემოებით აიხსნება ის ყოველად საყურადღებო ამბავი, რომ ყველა შეგნებულმა ერმა გაიჩინა სახალხო სიტყვი-

<sup>24</sup>) Буслаевъ—Народн. Пѣзнія, 442.

რების სკოლები, ესე იგი ცნობილი სალიტერატურო მიმართულება, რომელსაც სარჩულად უდევს სახალხო სიტყვიერება, „საღმრთო წარსული ერისა“, რომელსაც აზრად აქვს ხელოვნურ ქმნილებათა ჩაუდგას საეროვნო სული, შეუფერ-შეუწონოს სახალხო პოეზიას და მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული შეუდგეს იმ სურვილის მიღწევას, რომელიც არის დანიშნულება მთელის კაცობრიობისა. მხოლოდ ამ გზით სცნეს იმ შეგნებულ ერთ შესაძლოდ განხორციელება ამ მაღალის სურვილისა საზოგადოდ და კერძოდ ლიტერატურაში უნივერსალ იდეების ქადაგება, საეროვნო კულტურისა და დიდების შექმნა; ამ გზით თვე სცნეს შესაძლოდ გაღვიძება ერის ცნობიერებისა, განკაღვლებული გვარტომების შეერთება და მტკიცედ ერთმანეთთან დაკავშირება, ერთის სიტყვით, ამ სალიტერატურო მიმართულებას აქვს აზრად შექმნას, დაჰბადოს „ეროვნება ლიტერატურაში“. „მეტადრე დღეს დადგა დრო, ვიტყვით ბუსლაევის სიტყვით,—როცა სიტყვიერებას ანთავისუფლებენ ვიწრო კალაპოტისაგან და შეიგნეს, რომ ნამდვილი და შეურყვევლი ნიადაგი მწერლობისა არის მთელის ერის სარელიგო და საზნეობო რწმუნებანი“ 25).

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია მართლაც სამაგალითო ამბავს მოგვითხრობს ამ საგნის შესახებ. თუმცა სრული შეგნება სახალხო პოეზიის იმ მნიშვნელობისა, რომელიც ჩვენა გვაქვს სახეში, არის შეილი ახალის დროისა, მაგრამ თითო-ორიოლა მაგალითი სახალხო პოეზიის ჭეშმარიტის მნიშვნელობის შემცნებისა ისტორიაში ყოველ დროს ყოფილა. ამიტომ, ვიდრე ახალს დროს შევეხებოდეთ, ჩავიხედოთ ლიტერატურის ძველს ისტორიაშიც. ყველაზე ადრე უკვდავმა ჰომეროსმა დააფასა ღირსეულად სახალხო პოეზია, ეროვნული ეპოსი. ამ ეპოსზე აავო მან თავისი დიდება. რაც მან ილიადა და ოდისეა დასწერა, მას აქეთ დიდმა დრომ განვლო, ბევრმა წყალობა ჩაიარა; მაგრამ ფასი იმ პოემებს არა თუ აკლდება და ეკარგება;

25) ო. Буслаевъ—Народная Поэзія, 434.



არამედ, რამდენად წინ მიდის კაცობრიობა, რამდენად ვითარდება გემოვნება ხელოვნებაში, იმდენად უფრო ფართო ადგილს იკავებს. ვისთვის არ იყო ჰომიროსი პოეტურის გენიოსობის იდეალად, უმაღლეს მწვერვალად, სანატრელ საგნად? ყოველი ნიჭიერი პოეტი სცნობდა მის ღირსებას და კიდევ ეტრფოდა იმ იდეალს, მაგრამ თვის სურვილს აგრე ადვილად ვერ მიაღწევდა, რადგან ჰომიროსები აგრე ადვილად და ხშირად არ იზადებიან. ვირგილიმ თავი შესწირა ამ სურვილის მიღწევას, ყოველ ღონისძიებას ჰხმარობდა, რომ ჰომიროსი გამხდარიყო, რომ მის პოემას „ენეიდას“ ისეთივე მოძიბლავი ძალა მისცემოდა, როგორც ჰქონდა ჰომიროსის პოემებს. ამ სურვილის მისაღწევად მან ისევ სახალხო ეპოსის შემუშავება ირჩია; მაშასადამე, წყარო და გზა ერთი და იგივე იყო ორივე პოეტისათვის. მაგრამ ვირგილი ჰომიროსს ვერ მისწვდა და ვერ მისწვდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვირგილი ჰომიროსი არ იყო და, მაშასადამე, ჰომიროსობასაც ვერ გამოიჩინდა ხელოვნებაში! აქ ჩვენთვის მხოლოდ ის არის საყურადღებო, რომ ვირგილიმაც ისევე შეიგნო სახალხო ეპოსის მნიშვნელობა, როგორც ჰომიროსმა. ძველს საბერძნეთში სხვებიც აღმოჩნდნენ სახალხო პოეზიის მნიშვნელობის შემგნებელნი. ასეთია ესხილი, რომელმაც თავისის ტრაგედიის „მიჯაჭვეული პრომეთეოსის“ სიუჟეტი იმავე სახალხო თქმულებათაგან აღიღო. შეაკეთა, გაასულდგმულა და მიაწოდა თავისს ერს <sup>26</sup>).

ასეთი შემეცნება სახალხო ნაწარმოების მნიშვნელობისა და იმკვიდრეს საშუალო საუკუნოებმაც. ამის მაგალითებს ბლომად შევხვდებით მაშინდელ ფრანგულს, იტალიურს, ესპანურს, გერმანულს და ინგლისურს ლიტერატურაში. სახალხო პოეზიამ ჩაუდგა სული ჩაუსერის მოთხრობებს; სიღის პოემას, ანუ უკედ „პოემას სიღზე“ <sup>27</sup>), „La chanson de Roland“-ს; აგრედვე ფრანგულს რომანებს „ვარღზე“ <sup>28</sup>) და სხვ. შუა საუ-

<sup>26</sup>) Θ. Буслаевъ—Народн. Поэзия, 1887 г. стр. 231.

<sup>27</sup>) ibid. 321.

<sup>28</sup>) ib. 285.

კუნოებშივე მრავალნი დაწაფენენ სხვა-და-სხვა ერთა თქმულე-ბას აღექსანდრე მაკედონელის შესახებ, და ლიტერატურას შეეძინა არა ერთი მშვენიერი ნაწარმოები. აქ შეგვიძლიან დავასახელოთ ასეთ ავტორებად: მღვდელი ლამბერტი, ალბეროკ ბეზსონელი, ლამბერტ-ლი-ტორსი (12 საუკ.), აღექსანდრე-დე-ბორნე და სხვები<sup>29)</sup>; აგრედვე შეიმუშავეს თქმულებანი კარლოს დიდზე, როგორც მაგალითებრ არიოსტომ<sup>30)</sup>, ვილჰელმ ტულუზელზე<sup>31)</sup>, ვოლტერ აკვიტანელზე<sup>32)</sup>; არტურზე თქმულებანი გადააკეთეს ვოლფრანმა და გოტფრიდმა; სვით დიდებულმა შექსპირმა დიდი ყურადღება ათხოვა სახალხო გარდმოცემათა. მაგალითებრ, სახალხო თქმულებანი და სამითოლოგია შეხედულებანი დაედვა საფუძვლად მის „ვენეციელს ვაქარს“ და „ჰამლეტს“. „ჰამლეტის“ წყარო იყო პოეტისათვის მითი ორნავალზე და შუა საუკუნოებში გავრცელებული თქმულებანი, რომელნიც აქვს ჩაწერილი საქსონ გრამატიკოსს<sup>33)</sup>.

ახლა ჩავიხედოთ იმ დროინდელსავე აზიის ლიტერატურების ისტორიაში. აქ ჩვენი ყურადღება პირველად უნდა მიექცეს სახელოვანს ფირდუსის, რომელსაც მაჰმუდმა მიანდო ისტორიული პოემის შექმნა იმ მასალისაგან, რომელიც მაჰმუდისავე ბრძანებით იქმნა შეკრებილი და ეწოდა სახელად „წიგნი მეფეთა“. „სახელოვანმა პოეტმა, ამბობს პატივცემული პროფესორი ვ. მილლერი, — სინიდიისიერად მიჰყო ხელი ამ საქმეს. დიდ ხანს იკვლევდა და სწავლობდა ყველაფერს, რაც რამ შეკრებილი იყო მის წინამოადგილეთაგან და რაც შეეხებოდა სახალხო გარდმოცემათა. თითონაც კი ეძებდა ასეთს ზვირთქმულეებათა ძველ გვარებში და თავისს ქმნილებაშიაც კი იხსენიებს იმ წყაროებსა და იმ კაცთა, სადაც და ვისგანაც გაიგონა ეს თუ ის თქმულეება. ყველამ იცის, რომ ვეებერთელა

<sup>29)</sup> М. Карьеръ — Искусство въ связи съ общ. разв. культуры, III, 474•

<sup>30)</sup> ibid. III, 480.

<sup>31)</sup> ib. III, 474—5.

<sup>32)</sup> Бусл.—Нар. Поэзия, 1887. Введение.

<sup>33)</sup> О. Буслаевъ—Нар. Поэзия, 1887, 231.



ისტორიული პოემა თირღუსისა დიდად შესანიშნავ თხზულეზად გადაიქცა. მთელის ირანისათვის სპარსელების აზრით იგი დღემდე ნამდვილი ისტორიული წყაროა, მიუწოდომელი მაგალითი, ნიმუში საეპოსო პოეზიისა. ხელოვნური შემუშავება ათასნაირ ადგილობრივ გარდმოცემათა, მაღალი პატრიოტიზმის ჰეტორიისა და კრძალულება წინაშე მამა-პაპათა მამაცობისა— ყოველივე ესე აღამაღლებდა ეროვნულს ცნობიერებას და აღვიძებდა სპარსელთ შორის სიყვარულს სახალხო თქმულება-გარდმოცემათა მიმართ. თირღუსის ამგვარად გამარჯვებამ გამოიწვია მე-XI—XII საუკუნოებში მთელი გუნდი ასეთისავე პოეტებისა, რომელნიც აგრედვე სახალხო თქმულების ნიადაგზედ აგებდნენ თავიანთ ნაწარმოებს და პოეტურად აშალაშინებდნენ ძველის გმირების ბიოგრაფიებს. მრავალს სხვა ამგვარ პოემებსაც იხსენიებენ მკვლევარნი, პოემებს, რომელნიც არიან დაცულნი აზიის და ევროპის წიგნთ-საცავებში. მაგალითებრ, ასეთებია: „გერშასპნამე“, „სამნამე“, „ჯიზანგარნამე“, „ფარამურზნამე“, „ბანუგუშასპნამე“, „ბარზუნამე“, „ბახმანამე“ და სხვ. (Mobl. Preface. LXII—LXXXI). ამ პოემების ავტორები უმეტეს ნაწილად ჰხმარობენ მასალად ხალხის საისტორიო და საეპოსო თქმულებათა, და ხან-და-ხან საზღაპრო მოტივებსაც ურთვენ შიგ<sup>34</sup>).

სპარსეთის ლიტერატურა ძლიერ ახლოს იყოს დაკავშირებული შუა საუკუნოებში ჩვენს, ქართველების, ლიტერატურასთანაც. ამისათვის ზემო-აღნიშნულ მიმართულების ბუკედი აზის ამ ლიტერატურასაც მე-XI—XII საუკუნოებში. თამარის საუკუნე არა მარტო საპოლიტიკო ძლიერების გამოა მიჩნეული ოქროს საუკუნედ, იგი არის დიდი საუკუნე, ოქროს დრო უმეტეს ნაწილად იმიტომ, რომ მთელი მაშინდელი კულტურა ახლოს იყო დაკავშირებული ხალხის გულთანა და ცხოვრებასთან. იგი იყო ნამდვილი ეროვნული კულტურა, ხალხის გულიდან აღმოცენებული და ხალხურსავე ნიადაგზე აგებული.

<sup>34</sup>) В. Миллеръ — Эскурси в область р. н. эпоса. 1892. Москва. Прилож. стр. 67.

უკეთესი წარმომადგენელი ამ დიდებულ დროის ლიტერატურის—უკვდავი შოთა რუსთველი—არ იყო „ცრუ კლასიკი“, ანატომი ამჟოვრებულის ლეშისა, არამედ ღირსეული შვილი ერისა, გამსჭვალული მისის სურვილითა და მიმართულებით, მისი საქიროების შეგნებით. ამ უკვდავ პოეტს გვერდს უდგას მეორე ღირსეული წარმომადგენელი იმვე მიმართულებისა. ეს არის მოსე ხონელი. ამ ორ პოეტში ერთმა შეიმუშავა, მსგავსად ესხილის, ხალხის საყვარელი მითი ამირანისა, მეორემ კი მიმართა მთლად ხალხის ცხოვრებას,—ხალხის გმირებს, სიბრძნეს, რომლის მაგალითს ჩვენ ვპოვებთ აგრედვე ისპანიურ ლიტერატურაში<sup>85</sup>). აქ, როგორც რუსთაველის ნაწარმოებში, ხშირად შეუხედებით ისეთს თხზულებას, სადაც ყოველივე აზრი და მთელი ამბავიც ბოლოში დამტკიცებულია და ბექედ-დასმული მოსწრებულის სიტყვით, ხალხურის ანდაზით, რომელიც ბოლოს შედის ეპიკურ რაპსოდიაში და ისეთ ნაირად ეხორცება მოთხრობას, რომ შემდეგ თვით მოთხრობიდანვე გამოსჭვირს ეს აზრი და მიმოიქცევა ხალხში, როგორც ხალხის სიბრძნე—ანდაზა<sup>86</sup>).

აქედან არის ის სულის ჩამდგმელობა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელსაც ვერა სკეპტიკი და ვერა კრიტიკოსი ვერ შეარყევს, ის სიმტკიცე, ის გულის გამგმირავი ძალა ყოველის სტრიქონისა, ანუ სტიხისა, ყოველი აფორიზმისა, რომელიც იმდენად ამაღლებს ამ პოემას, რომ ჩვენ პოეტებში დღემდისაც კი ვერავინ შესძლო შესწვდეს მის სიმაღლეს ცოტაოდნად მაინცა!! ვერ მოხიბლა ამიტომ ამ ნაწარმოებმა ხალხის გული?! ვერ ანუგეშებს ეს ნაწარმოები დღესაც მთელს ერს?! ვერ გადაქცა „ვეფხისტყაოსანი“ მთელს საქართველოს მეორე სახარებად?! რამ მისცა მერე ასეთი ძალა? ხალხის გულთან, სულთან, პოეზიასთან და მაშასადამე აზრებ-იდეალებთან სიახლოვემ და ორგანიულმა დაკავშირებამ. ამ პოემაში ჰპოვა თავისი საყვარელი გმირები, რომლებზედაც წინადაც იყო უთუოდ ხალხში.

<sup>85</sup>) - О. Буслаевъ--Нар. поэзія, 1887 г. стр. 418.

<sup>86</sup>) ibid. 429.

ხმები, თქმულებანი. აი ამიტომ, ვიტყვი არტურ ლეისტის სიტყვით, „ვეფხის-ტყაოსანი“ არის სახალხო ნაწარმოება ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოდ მეტად შესანიშნავი პოემა, რომელიც კი დღემდე შეუქმნია კავკასიის ერთა პოეტურ გენიოსობას. თუმცა აგერ შვიდას წელიწადზე მეტი გასულა, რაც იგი დაწერილა, მაინც იგი დღესაც ჭეშმარიტად სახალხო წიგნია და იკითხება და რქებ-იდიდება ყმაწვილისაგანაც და მოხუცისაგანაც... (იხ. „ვეფხის-ტყაოსნის“ გერმანულ თარგმანის წინასიტყვაობა. Dresden, 1890).

ესლა მიმართოთ ახალ დროს. მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ისეთი გარემოება გაჩნდა ლიტერატურაში, რომელმაც ახალი ხანა გამოიწვია და ყველა ერთა პოეტურს ქმნილებას, მათს შემოქმედების ძალას ღრმა ბეჭედი დაასვა. ეს არის რომანტიკის სკოლის დაარსება და შუა საუკუნოების ცრუკლასიკობის გამეფება და ხალხის ცხოვრებისადმი მიმართვა.

ისტორიაში არაფერი არ სწარმოებს უმიზეზოდ. ერთი მოვლენა არის შედეგი სხვა ადრინდელ მოვლენათა. რომანტიზმიც ლიტერატურაში იყო შედეგი წინანდელ მიმართულებისა, ეგრედ წოდებულ „ჰსევდოკლასიციზმისა“. ყველა ერთა უღალატა ნამდვილს იდეალებს, ნამდვილ გემოვნებას ხელოვნებაში. ჯერ ფრანგებმა მოინდომეს კლასიკურ მწერლებად გადაქცევა, მთელის საბერძნეთის ხელოვნების გადმონერგვა ფრანგულ ნიადაგზე. ბოლოს თვით ფრანგები გადაიქცნენ ასეთვე იდეალად სხვა ერთათვის, როგორც მაგალითებრ გერმანელათვის და რუსებთათვისაც. მაგრამ რადგან არც ფრანგები იყვნენ ბერძნები და არც გერმანელები და რუსები—ფრანგები, ამისათვის ცხოველ მიმართულებად ჭეშმარიტის იდეალების მაგიერ გაჩნდა მხოლოდ ის სენი, რომელმაც მაიმუნობა დაჰბადა მაშინდელს ლიტერატურაში. ყველას დაეიწყა თავისი თავი, თავისი ერი, თავისი წარსული, თავის ცხოვრების აზრი და საგანი, თავისი მისწრაფება, ეროვნული ელემენტი ცხოვრებისა და ამათ მაგიერ გააღმერთ-ხატეს ყოველივე ის, რასაც ფრან-

გული სახელი ერქვა და მისი სუნი ეტყობოდა. ერსაც ისეთი თვისება სჭირს, რომ ყოველ გარემოებას ითვისებს, ურიგდება, ვიდრე წრეს არ არის გადასული. მაგრამ როცა პსევდოკლასიკაც წრეს გადავიდა, მაშინ კი ყველა უნდა მოსულიყო გონს, ჩამხვდარიყო ჭკუას. დადგა დიდებული მე-XIX საუკუნე; დაიწყო ნაპოლეონმა თარეშობა; მოინდომა ყველა ერთა ჩაყლაპვა. ეს მოვლენა იყო უფრო საბაბი და არა მიზეზი, რომ ახლა ყველა ჩახედა ჭკუას. გაიღვიძეს გერმანელებმა და ზიზლით შეჭხედეს ფრანგებს. ხოლო თუ ყოველივე ფრანგული ამას შემდეგ მათთვის აღარ ეარგოდა, რა შეიქნა მათთვის სატრფიალო და სანუკარი? ამის პასუხს გვაძლევს დიდებული ფილოსოფოსის ფიხტე უფროსის „სიტყვები“ (Reden an die deutsche Nation). აი რა არის დედა-აზრი ამ შესანიშნავის „სიტყვებისა“: „ჩვენი ენა (ესე იგი გერმანული), — ეუბნება ავტორი თავისს ერს, — არის ნაყოფი ჩვენის გულისა, ნამდვილი შვილი ჩვენის ერისა, შედეგი მისის ნიჭიერი ბუნების მოღვაწეობისა. ფრანგების ენა კი, რომელსაც ჩვენი ერი დღემდე თაყვანს სცემდა, არის რალაც დომხალი, სადაც ყველაფერი მიბოჭილ-მიბოჭილია, ნასესხები, სხვისგან მოკრებილი, რალაც მკვდარი და არა ცოცხალი ორგანიზმი. თუ ასეა, მაშ გერმანელებმა რად უნდა სცენ თაყვანი ფრანგულს, რად უნდა დაივიწყონ და დასჩაგრონ თავისი ღვიძლი შვილი — ენა“? ესევე უნდა ითქვას, ფიხტეს აზრით, ამ ორის ერის კულტურის შესახებაც. ფრანგული კულტურა, მათი იდეალები, მათი მისწრაფებანი გერმანელ ერისათვის უსარგებლოა და თითქმის მკვლელიც. ჩვენი (ესე იგი გერმანელების) იდეალები ჩვენსავე ისტორიაშია, ჩვენსავე წარსულში, ერის მოგონება-გარდმოცემაში. აი ამ წარსულს უნდა მივმართოთ, ის უნდა შევისწავლოთ, რადგან იგი ნაყოფი ჩვენის სულის მოძრაობისა, იგია შვილი ჩვენის ერისა<sup>37</sup>).

ფიხტეს სიტყვებზე უფრო ცხადად და საგრძნობელად პსევდოკლასიციზმის წინააღმდეგ მოძრაობა გერმანიაში გამოი-

<sup>37</sup>) შეადარე - Карьерь - Искусство въ связи съ общ. разв. культуры, V, 370.

ხატა მე-XVIII საუკუნის სახელოვან მწერლის ჰერდერის სხვადასხვა თხზულებაში. არავის არ აღუმაღლებია ისე გაბედვით ხმა ეროვნულის კულტურის სასარგებლოდ და სახალხო პოეზიისათვის კერძოდ, როგორც ჰერდერმა აღიმაღლა. ჰერდერი ძალიან შესანიშნავი მწერალია ევროპაში († 1803 წ.); მრავალს მის თხზულებას ეტყობა ბექედი გენიოსობისა, მაგრამ არც ერთს თხზულებას არ განუდიდება მისი სახელი ისე, როგორც იმ ნაწერებმა, რომელიც შეეხება სახალხო პოეზიას. ამ ნაწერებში გამოთქმული აზრი იმ დროისათვის სრულიად უცხო ამბავი იყო. ჰერდერმა თითქო წინასწარმეტყველის როლი იტვირთა და თვითელი მისი სიტყვა თავზარსა სცემდა დაშორებულს სხოლასტიკას და პსევდოკლასიკების მიმართულებას. არ შეგვიძლიან ამისათვის ცოტა დაწვრილებით არ მოვიყვანოთ ჰერდერის აზრები სახალხო პოეზიის შესახებ, მით უმეტეს, რომ ჩვენს საზოგადოებას ყველაზედ უფრო მეტად ეჭირება დღეს გაცნობა ასეთის ბრწყინვალე აზრებისა.

„წყეულიმც იყოს სიტყვა: „კლასიკური“! ამბობს ჰერდერი ძველის მიმართულების წინააღმდეგ,—მან გარდაქცია ციკერონი კლასიკურ სასკოლო ორატორად, ჰორაცი და ვირგილი—კლასიკურ სასკოლო პოეტებად, ცეზარი—პედანტად, ლივიუსი—ფრაზიორად. ამ სიტყვამ მიჰკერძა ყოველი ქეშმარიტი განათლება ძველს ხალხებს... მან დაჰბადა თავის ქება ძველთა ერთა ცოდნით და ყოველ სხვა მაღალ მისწრაფებათა დავიწყებით. არა ერთი გენიოსი დაჰმარხა მან სიტყვების გროვას ქვეშე; მან გადაქცია თვისი თავი სხვის ფრაზების ხაოსად და წაართვა სამშობლოს გაფოთლილი ხეხილები“.

„რად უნდა ვბაძვდეთ ასე მონოტონურად და გარეგნულად ძველ აღთქმის პოეზიას, ბერძნებს, რომაელებს, როდესაც ჩვენი მფესალმუნენი, ეპიკოსნი, ღითირამბებისა, ოდებისა და იდილიების მთხველნი საკმაოდ გვიმტიცებენ, რომ ამგვარის წაბაძვით ხეირიანი არა იბადება—რა მწერლობაში, თითქმის უსათუოდ არც არა დაიბადება—რა, რადგან ჩვენი ბუნება მისის ლანდშაფტებით, ჩვენი ისტორია, მითოლოგია, მთლად

ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი თვისებანი, ჩვენი ენა სრულებით ჰგავს დედანთა ბუნებას, ისტორიას, მითოლოგიას, სარწმუნოებას, თვისებას და სხვ.! ამ სასაცილო მიბაძვის მაგიერ რატომ პირდაპირ არ უნდა ვთარგმნოთ და განვუმარტოთ, რომ ამ ნაირად ჩვენ, სანამ მივბაძამდე, კარგად შევიგნოთ ის ბერძენი? "

„ჩვენ ვიქნებით უხეირო რომაელები ენაში, ფილოსოფიაში, მითოლოგიაში, ოდაში, საფილოსოფიო-სადიდაქტიკო პოემაში, ელევგიაში, სატირაში, ორატორიაში, თუ გვსურს, რომ მხოლოდ რომაელები, მხოლოდ ჰორაციები, ლუკრეციები, ტიბულლები და ციცერონები გავხდეთ. იმის მაგიერ, რომ ძველის ერისაგან ვისწავლოთ ის, თუ როგორ ავმალოდეთ და ვისახელოთ თავი ჩვენის დროის შესაფერად და ჩვენის ქვეყნისათვის, ჩვენ მხოლოდ გარეგნობას ვაქცევთ ყურადღებას. შევისწავლეთ მხოლოდ ის, რასაც ძველნი ერნი ფიქრობდნენ და არა ის, როგორც ფიქრობდნენ; ჩვენ ვლაპარაკობდით იმენით, რომლითაც ისინი ლაპარაკობდნენ, ხოლო იმ მანერებით კი არა. გერმანიაში ოდესმე ლიტურგია სახელოვანი საქმე ჰქნა, რომ გააღვიძა გერმანული ენა, აზრი და გრძნობა; მაგრამ შემდეგში მისი საქმე ისევ გააფუჭეს, და გერმანული ლიტერატურა, გერმანული განათლება და ენა დაუმონეს ისევ ლაციუმს. მაგრამ განა არ ვიცით, რომ რომაელები კულტურის სულ სხვა დონეზედ იდგნენ, ჩვენთან. შედარებით, რომ ზოგიერთი მხრით იგინი ჩვენზე უკან იყვნენ, ხოლო რაშიაც ჩვენ გვჯობდნენ, იმაში არ ძალგვიძს მათი მიბაძვა? სასახელოა ის, რომ ამბობდნენ, ესა და ეს პოეტი მეორე ჰორაციოა არისო, ესა და ეს ორატორი ისე ლაპარაკობს, როგორც ციცერონიო; ეს დიდაქტიური პოეტი მეორე ლუკრეცი არისო; ეს ისტორიკოსი მეორე ლივიუსიო? გარნა ის კი დიდი სახელი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს თქმა: ასე დასწერდნენ ჰორაციო, ციცერონი, ლუკრეცი, ლივიუსი, უკეთუ ამათაც ესევე საგანი აეღოთ და ეწერათ ამ დროს, ამ აზრით, ამ ერისათვის და ამ ენათაო“.



ამნაირად, ჰერდერის აზრით, გერმანული ლიტერატურა ასეც ეროვნულს ნიადავს, გაზრა, ფერი დაეკარგა. ასეც უნდა მომხდარიყო. „ყველგან და ყოველთვის ასეა, რომ ის ნაწილი ლიტერატურისა, რომელიც ხალხს შეეხება, უნდა სახალხოც იყოს; თუ ასე არა, იგი გარდაიქცევა კლასიკურ საზნის ბუშტად. ყოველთვის და ყველგან ასეა, რომ თუ არა გვყავს ხალხი, არა გვყავს მაშინ არც საზოგადოება, არც ერი, არა გვაქვს არც ენა და პოეზია, ჩვენ შორის მცხოვრები, ჩვენ შორის მომქმედი. ამიტომ არის, რომ ჩვენ მუდამ ვსწერთ კაბინეტური მეცნიერებისთვის და ილაჯის გამწყვეტ რეცენზენტებისათვის. მერე კი ისევ ვიღებთ ამასვე მათის პირიდან და კუჭიდან და ვსთხზავთ რომანსებს, ოდებს, საგმირო პოემებს, საეკოლესიო და სამზარეულო ლექსებს, რომელნიც არავის არ ესმის, არავის არ უნდა, არავის გრძნობას არ უღვიძებს. ჩვენი კლასიკური ლიტერატურა არის სამთხის ფრინველი, ჭრული, კარგი ხასიათისა, მაღლა-მაღლა მფრინავი—მაგრამ მხოლოდ საფუძველსა და გერმანულს ნიადავს მოკლებული!“

„სხვა ხალხებს კი როგორ სრულებით სხვარივად აქვთ მოწყობილი ეს საქმე! რა მშვენიერი ლექსები შეჰკრება პერსიმთავის Reliques“-ში... კიდევ რომ უხეირონი იყვნენ, ინგლისელებს ხომ არ ეჩვენათ ასე? რაც უნდა იყოს, ეს მაინც ძველი ეროვნული ლექსებია, რომლებსაც ხალხი მღეროდა, რომელთა წყალობით, მაშასადამე, შეგვიძლია შევისწავლოთ ხალხის აზრი, მისი ენა, გრძნობანი; ეს ლექსები იცოდა შექსპირმა, იქიდან ამოიღო რამდენიმე მწკარი და სხვ. ამ სახით მკითხველი გულ-მხიარულად იხსენიებს ძველ დროს, იფაღისწინებს ხალხის აზროვნებას, უგდებს ყურს, მათს გულის-ცემას, ან გაიცინებს, გაიხარებს, ან დაფიქრდება და ისწავლის რასმე. ყველგან ჰხედავს, თუ რა გაუშალოზინებელ, მცირე და მოძულეებულ მარცვლებიდან აღმოცენდა ვეებერთელა ტყე მათის ეროვნულის პოეზიისა, რომელმა ტვინმა შეჰქმნა სპენსერი და შექსპირი“.



ამისათვის „როცა ვფიქრობდი ინგლისში გამგზავრებას, ოჰ, ჩემო მეგობარო, ვერ წარმოიდგენთ, რა იმედი მქონდა მაშინ იმ შოტლანდიელებისა! მსურდა ვადამეგლო თვალი საზოგადო მიმართულებისათვის! სცენისათვის და ინგლისის ერის ცოცხალის დრამისათვის, რომ ამ გზით გამომერკვია ის იდეებში ამ საკვირველის ერის ისტორიის, ფილოსოფიისა, პოლიტიკისა და სხვა თავისებურ კერძობათა შესახებ, რომელიც ხშირად ბუნდად ირევა უცხო ქვეყნელის თავში! მერე კი უცბად კველათფერი იცვლება—მივდივარ შოტლანდიელებისკენ! მაკფერსონისკენ! იქ მინდა მოვისმინო ლექსები ცოცხალი ხალხისა, ვნახო იგინი მთლად იმ ძალით და მოქმედებით, რომელიც ზედვე ეტყობათ, ვნახო ის ადგილები, რომელიც იმ პოემებში განცხოველებულია, მინდა ჩვეულებათა დაკვირვებით შევისწავლო ამ ძველის ქვეყნის ნაშთნი! ცოტას ხნით გადვიქცე ძველ კალედონცად, მერე კი ისევ ინგლისში დავბრუნდე, რომ დაახლოვებით შევისწავლო მათის ლიტერატურის ნაშთნი, ხელოვნება, ხასიათი — რა ნაარ მახარებდა ეს განზრახვა, ეს აზრი!“

„ხალხებს შესწავლაში კაცობრიობამ ძალიან წაიწია წინ. ბერძნებთანა და რომაელებთან შედარებით, რამდენად მეტი ხალხები ვიცით ჩვენ! მაგრამ როგორ ვიცით? გარეგნულად, გრავიურებით და დამახინჯებულ ფიზიონომიებით, სხვისის სიტყვებით, რომელნიც ამ გრავიურებს წააგავენ? ვიცით ვითომ დანამდვილებათ თვით მათი სული, გრძობანი, ენები და საქმენი? ასეც უნდა ვიცნობდეთ; მაგრამ ესეც რომ ცოტაა? პრაგმატიული ისტორიკოსი და მოგზაური სწერს, ხატავს; იგი ხატავს ყოველთვის ისე, როგორც ხედავს თავის ტვინით, რომელიც ცალკერძ არის განვითარებული, რის გამოც ხშირად ცრუობს, თუმცა მოტყუება და სიცრუე სრულებითაც არ უნდა! მაშ რა უნდა მოვახერხოთ, რომ ნამდვილი ცოდნა გვქონდეს იმ ხალხებისა?

„ერთად-ერთი საშუალება არისო ამისთვის, აშბობს ჰერდერი. ყველა გაუნათლებელი ხალხი მღერის და მოქმედობს;

რჯსაც მოქმედობს იმასვე სიმღერაში ამბობს... მათი ლექსები ხალხის არხვია, საუნჯეა მათის მეცნიერებისა და სარწმუნოებისა, თეოგონიისა და კოსმოგონიისა, მათთა მამა-პაპათა მოქმედებისა და ისტორიულ გარემოებათა, მათი სახეა, მათი გულია; სურათია მათის შინაურის მხიარულებისა, მწუხარებისა, ცოლქმართა საწოლთან და სამარესთან გაქრობილისა. ბუნებამ სანუგეშოდ და ათას გვარ ბედნიერების მაგივრად მიანიჭა თავისუფლება, სიზარმაცე, უსაქძობა, სიმღერა. აქ იგინი იხატებიან და გვეჩვენებიან ისე, როგორც არიან. გმირული ხალხი თავის სიმღერით გმირობას აქებ-ადიდებს; ნაზი, გულჩხვილი ხალხი შეამკობს სიყვარულს. გონებით გამჭირახი ხალხი ადგენს ამიციანებს, ხალხი მდიდარი თანტაზიით—აღლეგორიებს, შედარებებს, ცოცხალ სურათებს. ცოცხალ ენებათა ღელვით სავსე ხალხი ხატავს მხოლოდ გულის-თქმას ისე როგორც ის ხალხი, რომლის ცხოვრება მიმდინარეობს საშიშარ გარემოებათა შორის, იგონებს მხოლოდ საშიშარ ღმერთებს. პატარა კრებული ამ ლექსებისა... სამშობლო ენაზე, ამასთანავე სწორედ შეგნებული, განმარტებული და მუსიკასთან შეერთებული, როგორ გააცხოველებდა იმ განყოფილებას სხვა-და-სხვა მოგზაურთა აღწერილობაში, რომლებსაც უფრო ხშირად მიჰმართავენ ხოლმე ერთა ზნე-ხასიათის მკვლევარნი და რომელთ სათაურია: „ცნება-წარმოდგენანი ამა და ამ ხალხისა და მისი ზნეობა, მისი მეცნიერება და ენა, სათამაშო-გართობანი და ცეკვა, მუსიკა და მითიოლოგია“. ყოველსავე ამას გავითვალისწინებდით ამ გზით, ვიდრე მოგზაურთა მრავალ-სიტყვაობით და ან აღწერილის ენაზედ მოყვანილ „მამაო ჩვენოთი“! როგორც საბუნების მეტყველო ისტორია აღწერს მცენარეებსა და ცხოველებს, ისე თავის სიმღერა-ლექსებში აღწერს ხალხი თავის თავს...

„მონტენი ამბობს: „სახალხო პოეზია, რომელიც არის თჳ ვიდან ბოლომდე ბუნება, თვისის მარტივობითა და მშვენიერებით უდრის უმთავრესს მშვენიერებას საუკეთესო ხელოვნურის პოეზიისას“. დაჯერდეთ მხოლოდ ამ ერთს მოწმობას სახალხო ლექსების შესახებ...

„ექვსე გარეშეა, რომ პოეზია და უფრო კი სიმღერა თავდაპირველად იყო ხალხური, ესე იგი ადვილი, მარტივი... სიმღერას უყვარს უბრალო ხალხი, შეწყობილი სულის მდგომარეობა მრავალთა პირთა: იგი ითხოვს მსმენელის ყურს და ხმასა და გულთა ხოროს... იგი ცხოვრობდა ხალხის სმენაში, ცოცხალ მგოსანთა ენასა და არფაზე: იგი მღეროდა ისტორიას, შემთხვევებს, საიდუმლოებას, სასწაულოებას და მოსწავებას; იგი იყო ხალხის თვისებისა, ენისა და ქვეყნის ნიმუში, ნიმუში მისის საქმისა და რწმუნებათა, მისთა ვნებათა და მისწრაფებათა, მისის მუსიკისა და სულისა“...

... „თუ რამ კეთილ-შობილურია და ცხოველურ ბერძნულ პოეზიაში, აღმოცენდა ამ ძირიდან.“

„საუკეთესო მგოსანი ბერძნებისა, ჰომიროსი, მასთანვე არის უუდიადესი სახალხო პოეტი. მისი თხზულება ეპოპეიას კი არ წარმოადგენს, არამედ, ეპოსს, ზღაპარს, საგას, ცოცხალ სახალხო თხზულებას... იგი მღეროდა იმას, რაც ესმოდა, ხატავდა, რაც თვალ-წინ უდგა და ცოცხლად წარმოდგენილი ჰქონდა. მისი რაპსოდები არ ეგდო წიგნის მალაზიტებში, ან ჩვენის ქალაქის დაშორებულ ნაგლეჯებზე კი არ ეწერა; არამედ იმ ცოცხალ მგოსანთა და მსმენელთა სმენასა და გულში იყო, რომელთაც, ბოლოს, შეჰკრიბეს იგინი, შესცვალეს თავისებურად და ისე გარდმოგვეცეს ჩვენა. სტიხი ჰომიროსისა, რომელიც ისეთი ფართოა, როგორც მტრედის ფერიცა, — არ არის რომელისამე სკოლისა და ხელოვნების ჰეკაბეტრი, არამედ იგი არის ის მეტრი ბერძნებისა, რომელიც მზა-მზარეული იყო სახმარებელად მათს წმინდა და მახვილ სმენაში, მათს მუსიკალურს ენაში“...

ასეთი ფერი სდევს, ჰერდერის სიტყვით, ჰეზიოდს და ორფეისაც. ამის გამო ჰერდერი მოდის ალტაეებში და ველარ იკავენს თავს. „ოჰ, ნეტავ შემეძლოს გადმოვიტანო რამე ჩვენს ენაში ამ ძველ მარგალიტებიდან, — ამბობს იგი, — ამ კეთილშობილურის ხალხის ლექსებიდან იმგვარად კი, რომ ისეთივე დარჩნენ, როგორნიც არიან!...“

ეს შეეხება კულტურის მხრით მეტად დაწინაურებულს ხალხს—ბერძნებს. მაგრამ იმ მარგალიტებს არ არიან მოკლებულნი არც ველურნი ხალხნი. პირიქით, იმათ უფრო მშვენიერი პოეზიაც აქვთ, ჰერდერის სიტყვით. „მე ვადევნებდი თვალყურს ხალხების აზროვნებას,—ამბობს იგი,—და დავასკენი, რომ ყოველ ხალხს აქვს შექმნილი თავისი ნაშთები სარწმუნოებისა, გარდმოცემათა და ცნებათა შესახებ, რომ ეს ნაშთი გაჩნდნენ პოეტურს ენაზე, პოეტურ ტანსაცმელითა და პოეტურ რითმით... ამისთანა ლექსები ჰქონდა ყოველ ხალხს, რომელსაც თავისივე შრომით და კულტურით ცოტათი მაინც მიუტოვებია ბარბაროსობა. თუ სადმე არის რაიმე ცნობანი და კვალი, ყველგან არის ასეთი ნაშთებიცა. ქელების ედდა, კოსმოგონია, ან თეოგონია და გმირული ლექსები უფძველესის ბერძნებისა, თქმულებანი ინდიელებზე, ისპანელებზე, გალლებზე, გერმანელებზე და ყველა იმათზედ, რომელნიც ბარბაროსებად იწოდებოდნენ,—ეს ყველა არის ერთი ხმა, ამ ძველის დროის პოეტურ ნაშთების ხმა... ვისაც უნდა, რომ ამ ძველთა დროთა ისტორია გააცოცხლოს, უნდა განახლოს კაცის სულში ეს ეროვნული თქმულებანი, მითიკური წყობილება... იქ, სხვა რომ არა იყოს—რა, ისეთი ენა-მეტყველი თვისებანი მაინც არიან კაცის სულისა და გულის გამოსახატავად, რომელთაც ჩვენ ვერ ვპოვებთ ჩვენს განათლებულს და ხელოვნურს საუკუნეში. ყველა ის, რაც ამ ჩვენს დროს გვხვდება მხოლოდ ბუნდად, იმ საუკუნოების ნაშთებში მოიპოვება“.

ჰერდერი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც პსევდოკლასიკა კიდევ ღონიერი იყო და კიდევ მრავალი თანამგრძობი ჰყავდა. ამისათვის იგი უსათუოდ უნდა შებრძოლებოდა ამ უკანასკნელებს, რადგან მათს გამოფიტულს თეორიას სრულებით სამარეს უთხრიდა თვისის ახალის აზრებით. ასეც მოხდა. ზოგიერთებმა მართლაც გამოილაშქრეს მის წინააღმდეგ და საცინლად აიგდეს სახალხო პოეზიით ასეთი გატაცებისათვის.

„თქვენ დასცინით ჩემს ენტუზიაზმს ამ ველურებისადმი? უპასუხებდა იმათ ჰერდერი,—მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ამავე

დროს ზიზლით ვეკიდებოდე ჩვენის ზნეობის და განათლების უმჯობესობას.

„თქვენ გგონიათ; რომ სკაღდების პოემები ყველა ახალ მეღვინესათაჲვის მიმაჩნია მაგალითად? სრულებითაც არა! შესაძლოა, რომ ისინიც ერთფერნი და მწრალნი იყვნენ; სხვა ერთა პოემები, შეიძლება, ბევრად სჯობდნენ. შესაძლოა, რომ ის პოემები მხოლოდ ჩრდილოეთის მეისტერზენგერების ან იმპროვიზატორების ლექსებია, მაგრამ მაინც იმას ამტკიცებენ, რის დამტკიცებაც მე მინდა. სული, რომელიც მათში ტრიალებს, გაუთლელი, უბრყვილო, მაგრამ დიდი, თითქოს მომჯადველი მანერა, სიღრმე იმ შთაბეჭდილებისა, რომელსაც ახდენს კაცზე ყოველი ასეთი მკვირცხლად და ბეჯითად ნათქვამი სიტყვა, თავისუფალი შემოქმედებითი ძალა (der freie Wurf), რომელიც იწვევს ამ შთაბეჭდილებას, — აი, მხოლოდ ესენი მინდოდა მეჩვენებინა ძველ ხალხებში, არა, როგორც იშვიათი რამ მოვლენა, არამედ როგორც ბუნება და აი ამეზე გთხოვთ მათქმეინოთ რამე.

ჟიციით მოგზაურების აღწერილობათაგან, თუ როგორ მტკიცედ ხატავენ თავის აზრებს ველური ხალხები, იგინი ჰხედავენ საქმეს ცხადად, ცოცხლად, რეალურად; პირდაპირ ჰგონობენ იმ მიზანს, რომლისთვისაც ლაპარაკობენ... იგინი ან სულ არ იღებენ ხმას, ან როცა ეინტერესებათ რამე, ლაპარაკობენ იმ წინ-და-წინ მოუშადებელ სიმტკიცით და მშვენიერებით, რომელიც კარგად აღზრდილ ევროპეელებსაც კი გააკვირვებს. ამ ველურებთან შედარებით ვინ არიან ჩვენი პედანტები, რომელნიც წინ-და-წინ ჰღეჭავენ და კბილავენ ყველაფერს, რომ მერე მისი თქმა მოახერხონ; ვინ არიან ჩვენის სკოლების მასწავლებლები და ეკლესიის მსახურნი, ნახევრად ნასწავლნი და სხვანი ყველანი, რომელნიც მუდამ ნასწავლებთან დახეტილობენ და ვერაფერს იძენენ იმის გარდა, რომ, როგორც შექსპირის ლონსლოტები, პოლიციელი და მესაფლავე, ლაპარაკობენ ბუნდად და არევ-დარევით, თითქოს სულთ-მობრძანნი არიანო?..

„...ყმაწვილობიდანვე ჩვენს დროში ასწმელიან დიდის წვალეობით იმას, თუ რამდენი მარცვალია სხვა ენებში, რომელთაც ვეღარ ვისმენთ ვეღარც ყურითა და ვეღარც ვგრძნობთ ბუნებით; ასწავლიან იმას, როგორ კანონებს უნდა დაემორჩილო მუშაობის დროს და ის კი არა თუ იმ კანონებს შორის რომელიმე გენიოსი ერთსაც ვერ სცნობს ბუნების კანონად; აკლავენ თავს იმას, რომ ლექსები სწერონ ისეთს საგნებზე, რომლებზედაც არაფერი ფიქრი არ შეიძლება და მით უმეტეს ცოცხლად მათი წარმოდგენა; რომ მოიგონონ ისეთი ვნებანი, რომელნიც ჩვენ არა გვაქვს, მიჰბადონ ისეთს სულის ძალებს, რომლებიც ჩვენში არ არიან—დასასრულ კი ყველაფერი გადიქვა სიცრუედ და საზანტედ. თითქმის საუკეთესო, კარგის ჭკუა-გონებისანიც კი აირ-დაირივნენ და დაჰკარგეს ძალა თვალისა და ხელისა, რწმუნება აზრისა და მისის გამოხატულებისა და ამასთანავე გაჰქრა ყველაფერი—სიცოცხლე, ქეშმარიტება და სარწმუნოება. ის პოეზია, რომელიც უნდა იყოს მღელვარე, მორწმუნე შვილი კაცის სულისა, იქცა ურწმუნოდ, კოქლად; პოემები გახდნენ ბავშვების სასკოლო ვარჯიშობად“...

მერე, ჰერდერის აზრით, სწორის თვალით რომ შევხედოთ საქმეს, სად ხალხი და სად კაბინეტში დამწყვდევული მეცნიერები! პირველს ათასჯერ მეტი გრძნობები აქვს, მინემ უკანასკნელებსა... ეს უკანასკნელები როცა ხელს ჰკიდებენ ხალხის ნაწარმოებს, იმას ცდილობენ მხოლოდ, რომ გამოსდგონ იქიდან ყოველი ის გრძნობა, რომელიც მას ამკობს და მის მაგიერ ჩაურთონ შიგ საზიზღარი და მახინჯი რითმები. „თითქოს დიდს და პატივცემულს ნაწილს ჰუბლიკისას, რომელსაც ხალხი ეწოდება და რომლისთვისაც ამახინჯებენ ამ ლექსებს,—ოდესმე გაეგებოდა რამე იმ მშვენიერ „კანონებისა“, რომლების მიხედვითაც აოხრებენ იმ ლექსებს; ან კიდევ თითქოს იგი უფრო ჰგრძნობს და დაიხსოვებს მშრალს სწავლას, გახვეულს მძინარე დოღმატიურს ფორმაში, მკვდარს დამტვრეულს რითმებში, მინამ მაშინ, როცა თვათ მისი სული მღერის სიცოცხლით, ცეცხლით, სწავლით და საქმით“...



თუმცა წმინდა სახალხო ლექსი არის „დიდი საგანი კაცობრიობის ისტორიკოსისათვის, პოეტისათვის, პოეზიის თეორეტიკოსისა და ფილოსოფოსისათვის“, მაგრამ ის მაინც არა სჩანს ჩვენს (გერმანულს) ლიტერატურაში, რადგან აქრობენ, ამახინჯებენ. ლიტერატურაში არ სჩანს ძველის დროების ნაშთები, ცხოველი პოეზია, რომელზედაც შეეძლოს აღმოცენება ახალს პოეზიას, როგორც ეროვნების შტოზე ამოფეთქილს ყლორტს; სხვა ერთი კი მთელის საუკუნოებით მიდიოდნენ წინ და მიიღეს სრული სახე თავისს საკუთარს ნიადაგზე, დაიბადნენ ეროვნულ ნაყოფიდან, ხალხის გემოვნებასა და რწმუნებებზე, ძველის დროის ნაშთებზე. ამ გზით მათი პოეზია და ენა გახდა ნაციონალურ ენად და პოეზიად. იგინი სარგებლობდნენ ერის ხმით, აფასებდნენ მას; აქ მათ მეტი საზოგადოება შეიძინეს, ვიდრე ჩვენი“... „გეგონება, მიზნად ის გაუხდია ყველას, რომ მოსპონ ერთბაშად უკანასკნელი ნაშთი ეროვნულის სულისა“. პროვინციებში დღესაც ბევრი მოიძებნება ძველი ნაშთები, რომ მოსძებნოს კაცმა. „მაგრამ ვინ ზრუნავს მათთვის, ვინ შეჰკრებს? ვინ იზრუნებს ხალხას ლექს-სამღერებისთვის ქუჩებში, ბაზრებში? ვინ მიაქცევს ყურადღებას სოფლის ხალხის მუდმივ მღერას, ლექსებს, რომელთაც ზოგჯერ ზომა და რითმაც არ უვარგა? ვინ დაუწყებს მათ ბეჭდვას ჩვენი კრიტიკოსებისათვის, რომელთაც ასე მშვენიერად შეუწავლიათ მარცვლების ძველი და კითხვა! მოდი, ისევ ვბეჭდოთ და ვიკითხოთ, გასართობად, ჩვენი ახალი პოეტები. დეე, ფრანგებმა ჰკრიბონ თავიანთი ძველი chansons! დეე, ინგლისელებმა გამოსცენ მშვენიერ წიგნებად თავისი ძველი songs, ბალადები და რომანსები! დეე, გერმანიაში, თუ გინდა, ერთმა ლესინგმა იზრუნოს ძველის პოეზიისათვის... დეე, გაჰქრნენ შენახული ნაშთნი ძველი სახალხო პიესებისა, გაჰქრნენ, ეგრედ წოდებულ და თანდათან ფეხის ფართოდ მდგმელ კულტურის გავლენით ისე, როგორც უკვე გაჰქრნენ სხვა ამგვარი საუნჯენი, — ჩვენ ხომ მეტაფიზიკა, დოღმატიკა, სიგელები გვაქვს და დავიძინოთ გულდამშვიდებით!



„მაგრამ, ერთი დაფიქრდით მაინც იმაზე, რომ, თუ ჩვენც დავუწყეთ ძებნა ჩვენს პროვინციებში ლექსებს, შეიძლება, შეგვეკრიბნა რამდენიმე პიესა, იქნება დოდსლეევის კრებულის Reliques ნახევარიც კი და ამასთანავე ისეთებიც, რომელნიც კიდევ გაუსწორდებოდნენ იმის შეკრებილს ღირსებით! რამდენჯერ გავიგონე ისეთი შოტლანდელი პიესები, რომლებმაც მომაგონეს გერმანული ზნე, ისეთი პიესები მე თვითონ მსმენია გერმანიაში. თუ გყავსთ მეგობრები ელიზასში, შვეიცარიაში, ფრანკონიაში, ტიროლში, შვაბიაში, შეეხვეწეთ,—მაგრამ პირველად კი ისა სთხოვეთ, რომ არ დაირცხვინონ ასეთი საქმე. გამბედავი ინგლისელები გულშიაც არ ატარებდნენ ამ სიარცხვილს. მაგონდება, რომ როდისღაც გავიგონე თვით მელოდია ლექსისა: „Come away, come away de ath“. ამას წინადაც მომაგონდა ერთი გლახის ლექსი, რომელიც შინაარსით არეული იყო და თვისის ძველ სალირიოკო მელოდიით ისე მწუხარედ გაისმოდა!..

„დიდებულო! იმპერიავე! იმპერიავე; შემდგარო ათის ხალხისაგან, გერმანიავე!—მიმართავს ჰერდერი თავისს სამშობლოს,—შენ არა გყავს შექსპირი, მაგრამ ნუ თუ შენ არა გაქვს არავითარი ლექს-სიმღერა შენთა მამა-პაპათა, რომლითაც შეგეძლოს თავის მოწონება? შვეიცარიელებო, შვაბებო, ფრანკონელებო, ბავარელებო, ვესტფალელებო, საქსონელებო, ვენდებო, პრუსიელებო! ნუ თუ თქვენ არა მოგეძევებათ-რა? ხმა წინაპართა თქვენთა დადუმდა და აღარა დარჩა-რა მათ შემდეგ მათ საქმეთა შესახები? დიდ-სულოვანო, კეთილშობილურის სათნოებით და ენით შემკულო ხალხო, ნუ თუ არ დაგრჩენია ძველთა დროთაგან არავეთაარი სახე შენის სულისა! არა, ეგ შეუძლებელია, მის აღსადგენად ბევრი ნაშთია დარჩენილი, მაგრამ იგი ჰყრია ტალახში, მას ვერ იცნობენ, იგი ეზიზღება ყველას“ 38).

აი მეორე ფიხტეს ხმაზედ კიდევ უფრო ძლიერი ხმა, რომელიც ცეცხლივით მოედვა მთელს გერმანიას მეXVIII სა-

38) იხ. ამაზე „Вѣстн. Европы.“ 1890 г. мартъ и апрѣль.

უკუნეში. ამას შემდეგ არ შეიძლებოდა ჩარხი სხვა რიგად არ დატრიალებულიყო, ლიტერატურას. სხვა ფერი არ დასტყობოდა.

მართლაც, ასეთი მლალადებულნი წინამორბედად გადაიქცნენ მთელის გერმანიისათვის. ყველამ მიჰბაძა დიდებულის მწერლების მაგალითს, მრავალმა აღამალლა ხმა პსევდოკლასიციზმის წინააღმდეგ და ეროვნულის წარსულის სასარგებლოდ და განაძევეს ფრანგული კულტურის ელემენტი თავიანთ კულტურრიდან. გერმანელებმა თითქმის ორი ფრანგული სიტყვაც აღარ დასტოვეს თავიანთ ლექსიკონში და შეუდგნენ წარსულის შესწავლას, ხალხის საღმრთო ტრადიციების განხილვას, შემუშავებას.

ამ ხანებში ყველგან მიიღო სრული და ცხადი ფიზიონომია, განსაზღვრული მიმართულება ამ მოძრაობამ ძველი მიმართულების წინააღმდეგ და ეწოდა სახელად რომანტიზმი, რომანტიული სკოლა, რომელსაც ყველგან ჰყავს წარმომადგენელი. ხალხური პოემა შეიქმნა საყვარელ საგნად ყველასათვის. ცოტა რომ ფართოდ ავიღოთ ეს ხანა, ხალხური სიტყვიერება განდა მეტად საინტერესო საგნად, მაგალითად, შვინდისათვის და გოცისათვის, რომელნიც გულმოდგინედ შეუდგნენ ზღაპრების შესწავლას. დანიაში იოანე ევალდმა თავის სახელოვან დრამებს სარჩულად დაუდვა ხალხური სიტყვიერება. კლოპშტოკმა მიჰმართა ჩრდილოეთის მითოლოგიას, გიკმა შეიმუშავა გერმანელების თქმულებანი<sup>39</sup>). გიოტემ თავის სახელოვან თხზულების ფაუსტისათვის სიუჟეტი სახალხო მითოლოგიიდან ამოიღო, ელენშლოფერმაც და ტეგნერმაც ძვირფას წარსულს მიაშურეს და დაეწაფნენ ამ დაუშრომელს წყაროს<sup>40</sup>). ისპანიაში პოეტებსა ფერნარ კავალიერო სრულიად სახალხო პოეზიაზე დაფუძნებული. ნორვეგიაში ბიორნსონი მასალას თავის ტრაგედებისათვის იღებდა ჩრდილოეთის ეპოსიდან. ვიქტორ ჰიუგოს უკვდავ თხზულებებში სხვათა შორის ჩინებული ადგილი მის

<sup>39</sup>) *ibid.* V. 405.

<sup>40</sup>) *ibid.* V. 450.

ლევენდებს უჭირავს. მაგრამ სამაგალითო რამეს წარმოგვიდგენს ვალტერ სკოტტი. იგი ისე გაიტაცა ხალხურმა პოეზიამ, რომ სულ სოფელ-სოფელ დადიოდა და ვისაც შეხვდებოდა, ყველას ეხვეწებოდა, ეთქვა მისთვის ან ზღაპარი, ან ლექსი, ან ლეგენდა. მისის პოეზიის ასეთმა მიმართულებამ ის გამოიწვია, რომ მისი თხზულებანი ათასობით იყიდებოდა კვირაში და ავტორის ჯიბეს მილიონებით ავსებდა. როდესაც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა წაიკითხა ახლად გამოსული „Борисъ Годуновъ“-ი პუშკინსა, სთქვა—მშვენიერი თხზულება არისო, მაგრამ უკედ მოიტყეოდა ამის ავტორი, რომ ისე ეწყა წერა, როგორც ვალტერ სკოტტი სწერსო. როგორც სჩანს, ასეთი მიმართულება რუსეთშიაც გადმოსულა ამ დროს.

მართლაც, ვის არ ეცოდინება, თუ რა შედეგი მოჰყვა პეტრე დიდის რეფორმას. ამ რეფორმის წყალობით ყველაფერი შეიცვალა რუსეთის ცხოვრებაში, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ყველამ დაიპარსა წვერ-ულვაში, დაიხურა ცილინდრი, დაიცვალა ტანსაცმელი, მაგრამ შინაგანი კერძობა ცხოვრებისა და ხალხისა კი ისევ ის დარჩა, როგორც წინად იყო. მხოლოდ შეიძულეს ყველაფერი ეროვნული და მიაშურეს ევროპას, თუმცა ევროპიული კულტურისა თითქმის უმეტეს ნაწილს არა გაეგებოდა-რა. ამ გამაიმუნებამ ხალხისამ გამოიწვია ის შესანიშნავი მოვლენა რუსის ცხოვრებაში, რომ შემდეგ აქ გაჩნდა ორი დასი, ორი მიმართულება, ორი წრე: სლავიანოფილების და იმათი, ვინც დასავლეთის კულტურას თაყვანს სცემდა და თავისას ყველაფერს უგულოდ უყურებდა. ამის გამო სლავიანოფილები ისე შეშინდნენ, რომ ყოველი ღონისძიება იხმარეს დაეხსნათ ერი სულიერ სიკვდილისაგან, ცდილობდნენ, რამე უებარი წამალი მოენახათ ამისათვის და ამ წამლად დასახეს ერის წარსული, მის იდეალების შესწავლა და ზეპირსიტყვიერების შეკრება, დაბეჭდვა და ხალხში გავრცელება. მიჰყვეს ხელი პოეზიის შეკრებას და ზედი-ზედ გამოვიდა რამდენიმე ვრცელი კრებული. როდესაც საბნიკოემა თავისი შესანიშნავი კრებული დაბეჭდა, სლავიანოფილები აღტაცებაში

მოვიდნენ და ერთ ხმად აღიარეს, რომ რუსის ცხოვრებაში დღეიდინ ახალი ხანა დაიწყო<sup>41</sup>). ხალხმა ამ კრებულების წყალობით მოიგონა თავისი წარსული, ძველი ეროვნული მიმართულება, ძლიერება, შეუბღალავი ზნეობა, სახელოვანი გმირები და როდესაც ყოველივე ესე გაითვალისწინა, სრულებით აღფრთოვანდა, ხელმეორედ დაიბადა. ამ თავის ნაწარმოებში ყველამ იცნო თავისი თავი; შეადარა აქ გამოკვანილი წმინდა იდეალები ლუდხანების გმირებს და, როდესაც მათ შორის გაუფალი უფსკრული დაინახა, შეეშინდა, შეაფურთხა დამახინჯებულს ლუდხანურს, კანცელიარულს კულტურას და თავისს გონებას ისევ ეროვნულს ნიადაგზე დააწყებინა მუშაობა<sup>42</sup>).

ამნაირად რუსეთის ცხოვრებაშიაც ის მოხდა, რაც ევროპაში საზოგადოდ და გერმანიაში კერძოდ. ამისათვის რომანტულ სკოლას რუსულ ლიტერატურაშიაც დიდი როლი უკავია, ფართო ადგილი უჭირავს. აქაც გაჩნდნენ მრავალი პოეტები, რომელთაც ძლიერ უყვარდათ სახალხო სიტყვიერება. პირველი წარმომადგენელი ამ ახალის მიმართულებისა არის ე. უუკოვსკი. მისი თხზულებანი თითქმის სულ სახალხო ზღაპრებსა, ლეგენდებსა და ცრუ-მორწმუნებაზედ არის აგებული. თუ რამეს სთარგმნიდა ევროპულ ლიტერატურიდან, აქაც ისეთს რამეს არჩევდა, რაც ხალხის სიტყვიერებიდან იყო ამოღებული. ამავე მიმართულებაზე აღიზარდნენ სახელოვანი პოეტები პუშკინი და ლერმონტოვი. ორივენი ძლიერ სწუხდნენ, რომ ისეთი არავინა ჰყავდათ ახლოს, რომელსაც სახალხო გარდმოცემანი, ზღაპრები და თქმულებანი სცოდნოდათ და მათთვისაც

<sup>41</sup>) Ө. Буслаевъ—Русскій богатый эпосъ. Введение.

<sup>42</sup>) В. Завятневичъ—„Значение первыхъ славянофиловъ“. Кіевъ. 1891, 28—45. შედარეთ—„Происхождение славянофильства“. Бор...на. СПб. 1891.

სლავიანოფილების დევიზი ზომიაკოვმა გამოხატა ლექსში:

О, вспомни свой удѣлъ высокій,  
Былое въ сердцѣ воскреси,  
И въ немъ сокрытаго глубоко  
Ты духа жизни допроси!

ემბნათ. როცა ლერმონტოვს რუსული ზღაპრები გაახსენდებოდა, იტყოდა: „что за прелесть эти русскія сказки!“ და დარდობდა, რომ ბებია-ჩემი გერმანელი ქალი იყო და რუსული ზღაპრებისა არათფერი არა გაეგებოდა-რაო. ეს არას მიზეზი, რომ ორივე პოეტი ხშირად იღებდნენ სიუჟეტს სახალხო პოეზიიდან თავიანთ ნაწარმოებებისათვის. ასეთები არიან პუშკინის „Русланъ и Людмила“, „Русалка“, „Пѣснь о вѣщемъ Олегѣ“, „Сказка о рыбацкѣ и рыбацкѣ“ და სხვ. ლერმონტოვის ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება „Пѣснь про купца Колашникова“, რომლის შინაარსი სახალხო პოეზიიდან არის ამოღებული; ამ თხზულებისათვის ყოველმა უწოდა ლერმონტოვს „უუდიდესი მხატვარი რუსეთის ცხოვრებისა (величайшій живописецъ русскаго быта)“. ბელინსკი ამბობს, რომ ამ პოემაში თითქო „გაიგონა და გაიგო გულის ცემა ისტორიულის წარსულისა“, „გაიგო უღრმესი და დაფარული საიდუმლოები მისის სულისა“, „დაუნათესავდა და შეუხორცდა მას მთელის თვისის არსებით, დასტება მისის ხმებით, შვითვისა ბუნება მისის ძველებურის მეტყველებისა, გოლ-უბრყვილო სიმტკიცე მაშინდელ ზნე-ხასიათისა“<sup>43</sup>). დასასრულ პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიის მიმართულების დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთის შესანიშნავის მწერლის სიტყვებს. „ხალხს ჰსურს, ამბობს დოსტოვესკი<sup>44</sup>),— რომ იგი გიყვარდეთ არა მარტო ტანჯვისათვის, არამედ გიყვარდეთ თვიჯონ იგი. რას ნიშნავს თვით ხალხის შეყვარება? იმას, რომ „შენ შეიყვარო ის, რაც მე მიყვარს, პატივი სცე იმას, რასაც მე ვსცემ პატივს“. აი რას ნიშნავს ეს და როგორ გიპასუხებს ხალხი. უამისოდ იგი თავისს დღეში ვერ გიცნობს, არ გიწოდებს თავისიანს, რამდენიც უნდა ჰბეჭდო და სწერო მათ შესახებ“. ასე უყვარდათ, განაგრძობს იგივე მწერალი,— პუშკინს და ლერმონტოვსაც თავისი ვრი. „რუსის სუნი ტრი-ალებს მათს ნაწარმოებში; ყველგან სცემს რუსის ძარღვი. მათ სახელოვან, უმაგალითო ლექსებში გამოიხატება რუსთა შეხე-

<sup>43</sup>) Мнх. Бор...ницъ—Памяти М. Ю. Лермонтова. СПб. 1891. стр. 71.

<sup>44</sup>) Ф. Достоевскій—Дневникъ Писателя. т. XI. 404.

დუღება თავიანთ ძმებზე—სლავიანებზე. აქ გამოირკვა მთლად მისი შეხედულება, რომელიც დაცულია დღემდე სიმღერებსა, ლექსებსა და გარდმოცემათა შორის. აქ გამოითქვა მთლად ის, რაც უყვარს და რასაც თაყვანს სცემს, გამოიხატა იდეალები მისის გმირებისა, მეფეებისა, ერის მფარველებისა, პატრონებისა; დაიხატა სურათი სიმშვიდ-სიწყნარისა, მხნეობისა, სიყვარულისა და თავ-განწირულობისა. პუშკინის ის მომხიბლავი ხუმრობანი კი, როგორც, მაგალითებრ, უბედობა ორი მთერალი გლეხისა, ამბავი მამალ დათვისა, რომელსაც ტოლი მოუკლეს, —ეს, ხალხის შეხედულებით, რაღაც საყვარელია, ძვირფასი, მიშვიდველი. პუშკინს რომ მეტი ხანი ეცხოვრა, ხალხის შესასწავლად დაგვიტოვებდა ისეთს ხელოვნურს საუნჯეს, რომელიც თვისის გავლენით უთუოდ შეამოკლებდა დროს და ვადას ინტელიგენციის გადასვლისას... ხალხის ნიადაგზე, ხალხის ძლიერებას და დანიშნულების შემეცნებაზე“, როგორც ეს მოიქმედა ნეკრასოვმა და ლერმონტოვმა (Письнь про купца Жоланикова <sup>45</sup>).

როგორც სჩანს ამ შესანიშნავ სიტყვებიდან, ასეთს ლიტერატურულ სკოლას, რომელზედაც ჩვენ გვაქვს აქ გამართული მსჯელობა, ჰქონებია ისეთივე მნიშვნელობა, როგორც აქვს რომელსამე სამოსწავლო დაწესებულებას, მაღალს სასწავლებელს. სახალხო პოეზიას, როგორც სჩანს, შეჰძლებია გაღვიძება „ეროვნულ შემეცნებისა“, ინტელიგენციის ხალხთან დაახლოების „დროსდა ვადის შემოკლება“, და ინტელიგენციის მიერვე „ხალხის დანიშნულების შემეცნება“! რა ძვირფასი სკოლა ყოფილა! რა ძალა ჰქონია! რა სასწაულის ქმნა შესძლებია! ჩვენში კი გამოსულან და მედიდურად გაიძახიან, რომ სახალხო პოეზიას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ხალხისათვისაო! არა, ესეთის ძახილის ნაცვლად სჯობს, „შეიყვაროთ ის, რაც ხალხს უყვარს“ და „სცეთ თაყვანი მას, რასაც ხალხი სცემს თაყვანს“, —რის წინაშეც იგი მუხლს იღრკეს, რამაც მრავალი

<sup>45</sup>) *ibid.* 406.

საუკუნე ასაზღდოვა, რამაც ჩაუდგა ძალა და პატარა მკერდზე შეაკვლევინა მთელი აზიური ისლამი და ბარბაროსობა!?

ხალხის ცხოვრებისა და მის წარსულის შეუფერებლობამ არა მარტო გააშრო და გამოჰფიტა შუა საუკუნოების ლიტერატურა, არამედ სამოციან წლებში აღძრა სჯა რეალიზმზე ლიტერატურაში და ხელოვნებაში. ასეთის სკოლის საუკეთესო წარმომადგენლების დევიზად იყო: თუ გსურს იყო ქეშმარიტი რეალისტი, უნდა შეისწავლო მდამიო ხალხის ცხოვრება ისე, როგორც იხატება იგი ხალხის ნაწარმოებში, სიტყვიერებაში, ზნე ჩვეულებაში, თქმულებებში, ცრუ-მორწმუნებებში და სხვ. <sup>46)</sup>.

ჩვენი დროის ქართულს ლიტერატურასაც უმეტ-ნაკლებოდ ამ მიმართულების ბეჭედი ასვია: აკაკი წერეთელი, ილია ქავჭავაძე, ა. ყაზიბეგი, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, რ. ერისთავი და სხვ. არა მარტო რეალისტებად უნდა ჩაითვადნონ, არამედ ამასთანავე იგინი ყველანი არიან თავის ხალხის შვილნი, მაჰის გულის, ტრადიციის, წარსულისა და აწმყოს მცოდნენი, მოყვარულნი. „გლახის ნამბობი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გოგია მეჩანგურე“, „ამირანი“, „წმ. გიორგი და წმ. ელია“ <sup>47)</sup>, მთელი პოეზია ვაჟა-ფშაველასი და ბაჩანასი სულ ხალხურს ნიადაგზეა აშენებული. ამიტომ ასე ძვირფასია ყოველი სიტყვა, კალმის თვითელი მოსმა ამ პოეზიისა ჩვენის ერისათვის. მაგრამ ამავე დროს რამდენი ასცდნენ ამ გზას, ამ საიმედო ასპარეზს? რამდენი ქალღლი ფუჭდება „კაბინეტურის პოეზიით“?! რამდენისათვის არის ეს დაუღვეველი წყარო პოეზიისა დახშული?!

ჩვენ განგებ გამოეტოვეთ რუსულ პოეტებში კოლცოვი, ტარას შევჩენკო და კრილოვი, ხოლო ჩვენს პოეტებში—იო.

<sup>46)</sup> А. Скабичевский—Собр. соч. т. I., 113; О. Буслевъ—Нар. поэзія, 1887. 441; Добролюбовъ 1885, I, 449.

<sup>47)</sup> იხილე «ივერია» 1888 წ. №№ 258—259.



სებ დავითაშვილი. როცა სახალხო პოეტებზე ლაპარაკობს ვინმე, უნდა უჩვენოს შეფხენკოზე, კოლცოვზე და კრილოვზე, როგორც საუკეთესო მაგალითზე და თითქმის იდეალზედაც. რაში მდგომარეობს მათი დიდება და სახელი? მაგალითებრ, ჩვენი თანამედროე რუსის პოეტი გლებ უსპენსკიც სახალხო პოეტად ითვლება. მაგრამ შეიძლება მის პოეზიას ეს სახელი ისე თამამად ეწოდოს, როგორც ზემო-ჩამოთვლილ პოეტების პოეზიას? ჩვენის აზრით, აქ სულ სხვა-და-სხვა პოეზიაა და, ვინც მათ ვერ გაარჩევს, ცხადად დაგვიმტკიცებს, რომ არ სკოდნია, რაში მდგომარეობს სიმშვენიერე, ან თვისება სახალხო პოეზიისა და ან რა არის სახალხო პოეტობა. სახალხო პოეტისათვის არ კმარა სწეროს და ილაპარაკოს. ხალხზე სწერს ჩვენი ანტონ ფურძელაძეც, მაგრამ რითა ჰგავს იგი ზემო-ჩამოთვლილ პოეტებს? აგრედვე გლებ უსპენსკი სულ გლეხებში ტრიალებს, სულ გლეხის ჯოხზე, ქალამნებზე, ქაშზე, ტყაპუქებზედ ლაპარაკობს; ამასაც არა სჯერდება: უმეტეს ნაწილად სულ დამტვრეულის გლეხურის ერთ ლაპარაკობს და სწერს, მაგრამ ესეც არ კმარა ამისათვის, რომ სახალხო პოეტი შეიქმნას კაცი. ხალხურს პოეტს უნდა ესვას ბეჭედი თვით ხალხის შემოქმედების ძალისა, მისი მოტივისა, მუსიკისა, კილოსი, გრძობისა, გულ-დამშვიდებულისა და ობიექტიურის შეხედულებისა საგანზე. არ კმარა მარტო გლეხის ფრაზებით და ან ანდაზებით ააქრელო ენა. ხალხური ენა თვით შენ უნდა შექმნა ისე, რომ მკითხველმა ვერ გაგარჩიოს ხალხურ მგონისაგან. შენს პოეზიაში, მაჯის ცემაში, გულის ძგერაში, კილოში, შეხედულებაში, თვით ბუნებაში უნდა იყოს ის, რასაც ეძახიან „ხალხურს“, ესე იგი ის, რასაც თვით ხალხი ჰქმნის თავისს სიტყვიერებაში. უამისოდ, რამდენიც უნდა ილაპარაკო და იმრავალ-სიტყვაო ხალხზე, გლეხზე, მის ქალამნებზე, ჩოხაზე, ქოხზე, სოფელზე, ქამა-სმაზე, ჩვეულებაზე, შენ მაინც იქნები ჩინოვნიკი, ან მდივანი, რომელსაც დავალებული აქვს ეს საგნები ასწეროს და წარუდგინოს უფროსს, მაგრამ ხალხური მგონანი კი სრულეგბითაც არ

იქნები. ჩვენის ქართულის პოეზიის გარჩევით ცხადად დავანახვებთ მკითხველებს, რომ იქ სუფევს სრული ობიექტივიზმი, სულ-გრძელობა, გულის დამშვიდება. იქ თქვენ ვერ შეხედებთ ტენდენციას და მით უფრო ნაკლებ პესსიმისტურ შეხედულებას საგანზე. აი ასეთი პოეზია არის პოეზია ვაჟა-ფშაველასი, ბაჩანასი, კოლცოვისა, კრილოვისა და შევჩენკოსი. რაღა ეწოდოს ჩვენს იოსებ დავითაშვილს? ყველამ იცის, რომ იგი თვითონ გლენი იყო, მდაბიო ხალხის შვილი და მისი მუზაც იყო მუზა სახალხო მკოხნისა. მაგრამ პოეტი აქ არ გაჩერდა; ხალხური პოეზია, ეს დაუღვეველი წყარო მან არ იკმარა. იგი გაერთო ქალაქების ცხოვრებაში, ჟურნალ-გაზეთების კითხვაში; გაეცნო გარყვნილ, უიმედო საზოგადოებას, ცხოვრების ბნელ მხარეს და, მიატოვა რა ოქრო-მარგალიტი—ნაკადული ცქრიალა ხალხურის პოეზიისა, იწყო წერა პოეტებზე („პოეტებს“), ჟურნალისტიკაზე („ამერიკის გაზეთები“, „ჯეჯილი“, „სახალწლო“), არხეოლოგიაზე („არხეოლოგები“), მეცნიერებზე („მარი ბროსე“) და სხვ.

ასეთმა შეუფერებელმა მიმართულებამ დავითაშვილის პოეზიას წაართვა ის ძალა, ის სიცოცხლე, ის მარტივობა, ერთის სიტყვით ის თვისებანი, რომელნიც აღამაღლებენ სახალხო უხელოვნო პოეზიას. კალცოვიც ცნობილია და პატივცემული მხოლოდ იმ ლექსებით, რომელნიც არაფრით არ განსხვავდებიან სახალხო ქმნილებათაგან<sup>46</sup>). აგრედვე დავითაშვილის დიდებას უნდა ვპოვებდეთ არა იმ ლექსებში, სადაც იგი ეხება ახალი დროის პოლიტიკას და მეცნიერებას, არამედ იმ ლექსებში, სადაც გლენს მკოხანს ნხარში უდგია და მასთან ერთად და იმავე კილო-ენით დამღერის ჩანგზე. ასეთებია მისი ლექსები:

ადე, გიგო, კმარა ძილი,  
ნუ დაჰკარგე ძველი ძალა,  
მიწის მუზა ბიჭი იყავ,  
მიკვირს ეხლა რამ შეგცვალა!

<sup>46</sup>) იხ. „Нов. Обозр.“ 1892. №№ 3031, 3033 და 3034.

„მუშის სიმღერა“, „ვაზაფხული“, „შემოდგომა“, „გლეხის პასუხი“, „მკათათვე“, „მონადირეს ლექსი“, „წუთ-სოფელშია ცხოვრება“, „მეხრედა ვარ“, რ სხვები ზოგიერთნი, თუმცა ესენიც ხალხურ პოეზიაზე დაბლა დგანან.

მ. კელ—ბე

(შემდეგი იქნება)



# იტალიელი მოგზაურები საქართველოში

მე-**XV** საუკუნეში

იტალიურიდან

## 1) იოსაფა ბარბარო<sup>1)</sup>

(Di messer Iosafa Barbaro, genti'l huomo venetiano, il viaggio della Tana).

სამეგრელოს საზღვრავს ქვეყანა ყაიტაღებისა (Caitachi)<sup>2)</sup>, რომლებიც სწვრივობენ კასპიის მთის მასლობლად (il monto Caspio), საქართველო, შავი ზღვა (il mare maggiore) და ჩერქეზეთის მთაგზენაღა. რადგანდემე ფაზისის მდინარეც უკლას ვარძეჟა ამ ქვეყანას და მერე შეერთვის შავს ზღვას.

სამეგრელოს მთავარს ქვეა ბედიელი (Bendian). შავის ზღვის შირადადამ მთავარს ქვეს ორი ციხე: ბათიმი (Yathi) და სეპასტოპოლი (Sevastopoli) და აგრედეკ სხვა კოშკება და მცირე ციხეები. ეს ქვეყანა სულ (?) კვადოვანი და მშირია. აქ ბლომად იზრდება

<sup>1)</sup> იოსაფა ბარბარო რამდენჯელმე იმგზავრა 1486 წლიდან დაწყებულ კანასა ანუ ტანაისსა (აწინდელს აზოვსა), სპარსეთსა, ოსმალეთსა და ინდოეთში. 1471 - 1479 წლებში იგი ვენეციის რესპუბლიკისაგან იყო გაგზავნილი ელჩად სპარსეთის შაჰისთან. მისი მოგზაურობა პირველად გამოიცა ვენეციაში 1543 წ. მკითხველი შენიშნავს, რასაკვირველია, რომ, როგორც ბარბაროს, ისე კონტარინს ზოგიერთი შეცდომა მოსულიათ საქართველოს აღწერილობაში და ვარდუ ამისა ქართველთ ზნე-ჩვეულებების შესახებ მეტის-მეტო სასტიკო მსჯელობა და ზოგჯერ უსაფუძვლოც წარმოუთქვამთ. მაგრამ მათ მოგზაურობას მაინც ვებუქდავთ ვითარ-ცა საისტორიო მასალას, რომლის ჯეროვანი დაფასება საისტორიო კრიტიკის საქმე იქნება.

<sup>2)</sup> სამეგრელო სრულებითაც არ ემზრობა ყაიტაღებს, რადგან ყაიტაღები სცხოვრობენ დაღესტანში, სადაც არის Каптаро-Табасаранский округ.

ზნა, რის გამოც აქაუნი თაფლა მწარეა. გარდა ღომისა (paniccia), აქ სხვა ჭარბს ეწეოდა არ მოჭყავთ. მარალი მოაქვთ კაფიდან (di Caphà), ქსოვენ მცირეოდენად ტილოს კანაფისა ან ჭინჭრისას (d'ortica), მაგრამ დაბლის საჩისისას. ხალხი ბრევიას (bestiale). ამას შემდეგი მაგალითი ამტკიცებს: კონსტანტინეპოლიდან მე ტანაშა მაგდოდი ოსმალს გემით და ცხად გამოაკანე ბათომში. ქალაქში შეკედით მე და ერთი ჟენოკელი ანცოლინე სკვანჩაფიკო. ერთის სხლის კარბთან იდგა ასაღვანდა ქალი, რომელსაც ჟენოკელმა ჭკითხა: — «სორენა ბატონა კოკას?» (ქალო, სახლშია შენი ბატონაო, ესე იგი შენი ქმარიო). ქალმა უბასუხა: — «აგინამაღას» (ასაღვე მოკაო). ანცოლინე ქალთან მივიდა, ლოკეზე სელი მოუჭირა, მისი გბილება დამანახა და მითხრა: — «შესედე, რა თეთრი გბილები აქვსო». მეზე სელი უბეში ჩაუფო და მისი ძუძუები მაჩვენა. ქალი არც კი შემკრთაღა და ადგილიდანაც არ დამიწულა. შემდეგ შეკედით სახლში და დავსუდით. ანცოლინემ ქალს უთხრა, — «წყალები მაწყებენ და მომშორებო (mostrando d' haver pulici nelle mutande, le fece d'atto ch' andasse a cercare). ქალი აღერსიანად მივიდა მსთან და სრულის გულდამშკადებით და უხანკობით წყალებს ძებნა დაუწყო (et ella se ne venne con grande amorevolezza, et cercò intorno con somma fede et castità). ამ დროს მოკადა ქმარი, რომელმაც სახლში შემოსულის უხალ ქასა დაატრიალა სელში და ანცოლინეს უთხრა: — «ბატონა, თეთრი სიქა» (ბატონაო, ფულა გაქვსო)? ანცოლინემ თავი ისე აჩვენა, ვითომ არავერი მაქვსო და მისცა მსოლოდ რა დენიმე ასპრი რაიმე გასაგრილებელის საყაღლად. მცირე ხანს კიდე დავრჩით იქ და შემდეგ სხვაგან წაკედით. ჟენოკელა კი, იქაურის ჩვეულებით წაქეზებულა, ყველგან ამას ჩადაოდა; რაც ფიქრად მოკადოდა. მისი მოქმედება არავის სწინდა და არც არავან არას ეუბნებოდა. განა ეს არ ამტკიცებს ამ ხალხის ქაღელს საბრაყვეს? ეს არის მიზეზი, რომ აქ მოვსწრე ჟენოკელები ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე: «აი, მე მეგრელოკო», ვითომ-და «აი, მე ბრევიკო».

რადგან სემოდ ვთქვი, რომ მეგრულად ფეთრი ფულს ნაშნავს მეთვი, ისიც უნდა ვთქვა, რომ საკუთრად თეორი ფედს ნიშნავს

და რადგან გერცხლი თეთრია, ამიტომ ამ სიტყვით იფუძს აღნიშნავენ. ბერძნების იუელი ისპრი, თურქების აკრია, ყაზახთა ელგის (Zagatal) ტენგი ზერედვე თეთრს ნიშნავს. გენერციაში წინადასმებში იყო და ასლაც არის იუელი, რომელსაც უწოდებენ ბიანკო ანუ თეთრი. ესპანიაშიც არის იუელი, რომელსაც თეთრს უწოდებენ. აქედან ვხედავთ, რომ სსვა-და-სსვა ერა, თვითიველი თავისის კნით, ერთს და იმავე საგანს ერთ ნაირად აღნიშნავს.

ესლა ორიოდე სიტყვა უნდა გთქვას საქართველოს (Zorzania) შესახებ, რომელიც ს:ზღვრავს სამეგრელოს. საქართველოს მეფეს ჰქვია პანკრატო (Paneratio). ეს ქვეყანა მშენებური და ნაყოფიერი. ბლამ-დ მადის პური, ღვინო და სსვა-და-სსვა ნაყოფი. ბერძნები აგრედვე საკლავი. ვაზი უმეტესად სეპტეზა ამკებელი, რომელსაც ტრანპინონში. მკვიდრნი მშენებრნი და მოსულნი არიან, მკრამდ ახარებულს და უშეკრის სნე-ნეეულებს მისდებენ. თავზე თმის იმარსავენ, ხალხი განსემა ცოტას იტოვებენ, რომელსაც სკენი აბბატე-ბი, რომელთაც აქ პანტივისტებით ეგვიდებიან. ულვაშები ერთის ტყავალით უფრო გქელი აქვთ წვერზედა. თავზე ჰსურებთ მოკლე ფონინა პატარა ქუდი სსვა-და-სსვა ფერისა. ტანთ აცვიათ გრძელი და ვიწრო პაზა, რომელსაც უგანს კალთა გაჭრილი აქვს, რადგანაც უმისოდ ცხენზე შეჯდომს გაუძნელებოდათ. ასეთს ტანისამოსს ვერ დაემრსავს, რადგან ფრანგები დღესაც ამკვარ ტანისამოსს სძარბენ. ფესთ აცვიათ ისეთი წაღები, რომ, როცა დგანან, ქუსლები და ცუტები მიწას ესებან და ფეხას მუხგულია ვი მიწასე იმდენად მოშორებულად, რომ მუქს ადვილად გაატარებთ ღანისს ქვეშ. ასეთის წაღების გამო ისე დადიან, თათქო დაღლალები არიანო. სპარსელებიც ასეთს წაღებს იცვამენ.

საჭმელს, რომელსაც ერთის დიდებულის სხლში ვნახე, ასე შექმნილი: ოთხ-ეუთის სტალი უდგათ, საგანით ნასკვარი წყრთას; გარემო ნაზირებულად ამ სტალს საჩება აქვს პოღებულად; მუხაზე სდებენ უმარდლო და უეზბოლო ღომს (paniccia). მეორე ასეთსავე სტალზე აწევია გარეულის ღორის სორცი, შამფურზე ისე ცურთანად შემწვარი, რომ, როცა სჭრიდნენ, სულ სისხლი სდიოდა. ეოველსავე ამის ისინი სანამკურნით მარბთმეგდნენ. მე ვი გე-

მოდან კენა ვინსე, თუმიცა კი ისე ვიქცეოდი, ვითომ მეც შეეპქნევი-  
მეთქი. ღვიანო უსჯად იყო და განუწვივეტლივ გავწვდიდნენ მერქიქაფენა.  
სსკა სსკმელები აღარა მოუტანიათ-რა.

საქართველოში მდელი მთების და დიდი ტყეები. უმთავრესს  
ქალაქს ეწოდება ტფილისი (Tiflis), რომელიც მტკვრის (Tigris) ზი-  
დად არის გასწვრიული. ქალაქი კასპია, მაგრამ მცხოვრებნი სსკლე-  
ბად არიან. საქართველოში არის ვიდრე გორის რისე, რომელიც  
შავის ზღვის მსაღობდად მდებარებს (confina con il mare maggiore)<sup>2</sup>).

## 2) ამბროზიო კონტარინი

(Il viaggio del magnifico M. Ambrosio Contarini, ambasciadore  
della illustrissima signoria Di Venetia al gran signore Ussun Cas-  
sian, Re di Persia, nell'anno 1473.)

ჩვენმა ბრწყინვალე მართებლობამ სპარსეთის ბრწყინვალე  
შაჰის უსუნ-კასანის (Ussun-Cassan) წინაშე ელსად დამნიშნა მე,  
შვილი ბენედეტოსა. თუმიცა ეს მონღოლებოჯა ძლიერ მძიმედ და  
გრძელას გზის გამო საუთსილოდაც მამასნდა, მაგრამ, მივიღე რა  
მსედველობაში ბრწყინვალის მართებლობის მსურვალე სურვილია და  
მთელის ქრისტიანობის საყოველთაო სიკეთე, უკუვადგე, უფლისა  
ჩვენისა იესო ქრისტეს სასელათ, ყოველავე შიში და გადაწვევატე  
გულდამძვიდებით და სიამოვნებით შეგსდგომოდი ამ მონღოლო-  
ბის შესრულებას, ჩვენის მართებლობის და ქრისტიანობის სასიკე-  
თად.

ვივქრობ, რომ ასეთის დიდის და სანგრძლივის მოგზაურო-  
ბის აღწერას სასიამოვნო და სასარგებლოც იქნება ჩვენის შთამომავ-  
ლობისათვის. სალო ამ მოგზაურობის ამბავს დღიდან ჩემის ვენე-  
ციიდან გასვლის (23 თებერვალს 1473 წ.) უკან დაბრუნებამდის  
(10 აპრილს 1477 წ.), რამდენადაც შეეძლება, მოკლედ მოგიათხრობა,  
და აღვწერ სუყელა ქალაქებს, მანსრებს და სასელმქიფოებს, სადაც კი  
გამივლია, და იქაურთა ზნეს და ჩვეულებას...

<sup>2</sup>) ავტორის, ვტყობა, ერთმანეთში აურევია გორი და გურია.



29-ს ივნისს (1474 წ.) მივედით ბათუმში (al Varthi) და, რადგან ცხენები ავად გაგვიხდა, გადავწყვიტე სძულეთით გამოვზავნა ფაზისამდინ, რომელიც, როგორც გვეუბნებოდნენ, სამოცი მილის მანძილზე არისო. ბათუმში ერთი ბერწარდინის ბერი იყო, რომელიც ჩვენთან მოვიდა გემში და, რა გაიგო, რომ ჩვენ ტინაში მივდიოდით, გვითხრა, თუ იქ წახვალთ, უსათუოდ უგვლას დაგატყვევებენო, რადგან ესლა იქ არის მრავალი ცხენოსანით ერთი ოსმალელი ჯარის უფროსი, რომელიც ჩვეულებისამებრ იმ ადგილებს ათვალიერებსო. ღმერთს მადლობა შევსწირე და იქითკენ აღარ წავსულვარ.

ბათომი ცისკა და მცირე ქალაქი სამეგრელოს მთავრისა, რომელსაც სახელად ჭქვიან გორბოლა (Gorbola). ამ მთავარს კიდევ აქვს მეორე შატრას ქალაქი შავი ზღვის შირად, სახელდობრ კალთისკა (Caltichea), სადაც ჭქვიანის აბრეშუმს, მამხო ტილოს და მცირეოდენ თაფლსაც. სასოგადოდ მკვიდრნი ღარბნი არიან.

1 ივლისს 1474 წ. მივედით იქ, სადაც ფაზისი ზღვას შეერთვის. ბარკასით შეგვეკებნენ მეგრელები, რომელთაც უსიამოვნოდ მიხვრან-მოხვრან ჭქვიანთ და ახირებულნი ტანისამოსი ეცვათ. გემიდან გადავსვლით მათ ბარკასში და შევედით ფაზისში. შესავალშივე გუნძულს მივაწყდით, სადაც მეფობდაო, ამბობენ, მწამლეკელის მედას მამა აუტოო. ღამე ამ გუნძულზე გავატარეთ, მაგრამ იმდენი ჭინჭლა (moscioni) იყო, რომ არ გვეკონა, თუ გადავურჩებოდით.

2-ს ივლისს დღითი მეგრელებისაკე ბარკასით გავყევით მდინარეს შირშელმა და მივედით ფაზის ქალაქში (Asso) <sup>3)</sup>. ეს ქალაქი დგას მდინარე ფაზისის შირად და გარშემო აკრავს ტყე. ამ ადგილას მდინარე ორი შვილდის სრულა არის სივანით... ქალაქში რომ შევედი, ვნახე ვინმე ნიკოლო კაშუელლო მოდონელი (da Modone), რომელიც აქ დასახლებულიყო და ამბობდა, მექვიდან ვარ წამოსულიო. ვნახე კიდევ ერთი ჩერქეზის ქალი მართა. ეს ქალი წინად ერთის ჟენოველის ტყვე ეოფილიყო და შემდეგ კი ცოლად შეერთო ჟე-

<sup>3)</sup> იქ კორრექტურული შეცდომა უნდა იყოს ორიგინალში, რადგან ჭვემოდ ავტორი ამ ქალაქს Fosso-ს უწოდებს.

ნოკუესაგუ. ბინად ჩამოგზდი ამ ქალისას, რომელიც ძლიერ კარგად გაიმძისპინძლდა. ფაზისში დავრჩი 4-ს ივლისამდინ.

ფაზის ქალაქი (Fasso) მეგრელების არის, მათ მთავარს ბედიელი ეწოდება, ბედიელის სამთავრო მცირე არის, ისე რომ სამ დღეში სასლკრიდან სასლკრამდინ მიხვალთ და ამ სამ დღესაც იმიტომ მოუწოდებთ, რომ მრავალი ტყე და მთა შეგსკდებათ. სალსი ბრიყია (sono huomini bestiali). ძამაკაცები თავს იზარსავენ, როგორც ჩვენნი მორჩილნი (Frati minori). ჰური ცოტა მოჭყავთ, ღვინოც მოსდით, მაგრამ დაბალის ხარისხისა. მათი საჭმელი არის ღომი (panizzo) ურიგოდ გაკეთებული, როგორც ჩვენი ჰოლენტა. დღაკაცები უფრო საწყლად სასრდლობენ. ამ ხალსის ცსოკრება კიდე უფრო უბედური იქნებოდა, რომ ტრავიზონიდან არ მოჭქონდეთ ღვინო და დამარიღებული თევზი და კაფიდან მარლი. თავს ირსენენ მხოლოდ იმით, რომ ცოტადენს მოძხო ტილოს და ცვილს ჭყიდან. მკვიდრნი რომ გამრჯელნი იყვნენ, მათ მდინარეებში, რამდენიც უნდათ, თევზს დაიჭერდნენ. მეგრელები სულ ქრისტიანები არიან, მაგრამ დიდად ეტანებიან მწკალებლობას და აღიარებენ ბერძენთა სარწმუნობას.

4 ივლისს წაკედით ფაზისიდან. ჩვენთან იყო ზემოსსენებული ნიკოლო კაპელლო, რომელიც თან წაკიყვანე, როგორც გზის მცოდნე. იმავე დღეს ნაკით გაკარეთ მდინარე მაცო (Mazo).

5-ს ივლისს კიდეც სამეგრელოს ტყეებსა და მთებსედ ვიარეთ და საღამოს მიკედით ჰატარა მინდორზე, სადაც სამეგრელოს მთავარი ბედიელი იყო თავის კარის კაცებით. მე ჩამოვსტი ხის ძირს და მთავართან გაგზახენე ზემოსსენებული ნიკოლო, რომლის პირითაც შეუთვალე—თქვენი ნასვა მსურს. მეუქი. მთავარმა მიმიწკია. მიწაზე გაგებული იყო ხალი და ზედ იჯდა მთავარი თავის მეუღლით და რამდენიმე შვილით. მთავარმა დამსვა მის წინ და მე ორიოდ შესაფერი სიტყვა მოვასსენე. ამასთანავე საჩუქარიც მივართვი. ჰასურხად მხოლოდ მითსრა—კეთილი იყოს შენი აქ მოსკლათ. მე ვთხოვე ერთი მსლებელი. აღმითქვა მსლებელი და დავბრუნდი ჩვენებთან. მთავარმა გამომიგზანა ერთი ღორის თავი და მცირეოდე-



ნოკელსავე. ბინად ჩამოვხდი ამ ქალისას, რომელიც ძლიერ კარგად გამიმსპინძლდა. ფაზისში დაერჩი 4-ს ივლისამდინ.

ფაზის ქალაქი (Fasso) მეგრელების არის, მათ მთავარს ბედიელი ეწოდება, ბედიელის სამთავრო მცირე არის, ისე რომ სამ დღეში საზღვრიდან საზღვრამდინ მისკალთ და ამ სამ დღესაც იმიტომ მოუხდებით, რომ მრავალი ტყე და მთა შეგხვდებათ. ხალხი ბრიკია (sono huomini bestiali): მამაკაცები თავს აზარსავენ, როგორც ჩვენნი მოწილნი (Frati minori). პური ცოტა მოჭყავთ, ღვინოც მოსდით, მაგრამ დაბალის ხარისხისა. მათი საჭმელი არის ღომი (panizzo) ურიგოდ გაკეთებული, როგორც ჩვენი პოლენტა. დღაცაცები უფრო საწყულად საზრდოობენ. ამ ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო უბედური იქნებოდა, რომ ტრანპონიდან არ მოჭქონდეთ ღვინო და დამარილებული თევზი და გაფიდან მარილი. თავს ირჩენენ მხოლოდ იმით, რომ ცოტაოდენს მოძხო ტილოს და ცვილს ჭყიდნან. მკვიდრნი რომ გამრჯული იყვნენ, მათ მდინარეებში, რამდენიც უნდათ, თევზს დაიჭერდნენ. მეგრელები სულ ქრისტიანები არიან, მაგრამ დიდად ეტანებიან მწკალებლობას და აღიარებენ ბერძენთა სარწმუნოებას.

4 ივლისს წავედით ფაზისიდან. ჩვენთან იყო ზემოსსენებული ნიკოლო კაპელლო, რომელიც თან წავიყვანე, როგორც გზის მცოდნე. იმავე დღეს ნაკით გაკიარეთ მდინარე მაცო (Mazo).

5-ს ივლისს კიდევ სამეგრელოს ტყეებსა და მთებზედ ვიარეთ და სელამოს მივედით პატარა მინდორზე, სადაც სამეგრელოს მთავარი ბედიელი იყო თავის კარის კაცებით. მე ჩამოვხტი ხის ძირს და მთავართან გავეზახე ზემოსსენებული ნიკოლო, რომლის პირითაც შეეუთვალე—თქვენი ნახვა მსურს. მეოქი. მთავარმა მიმიწვია. მიწაზე გაგებული იყო ხალი და ზედ იჯდა მთავარი თავის მეუღლით და რამდენიმე შვილით. მთავარმა დამსვა მის წინ და მე ორიადე შესაფერი სიტყვას მოვასხენე. ამასთანავე საჩუქარიც მივართვი. ვასუსხად მხოლოდ მითხრა—კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა. მე ვთხოვე ერთი მსლებელი. აღმითქვა მსლებელი და დაუბრუნდი ჩვენთან. მთავარმა გამომიგზავნა ერთი ღორის თავი და მცირეოდე-

ნი ძროხის სორცი, რომელსაც მოხარშვა აკლდა და რაღაც საძაგელი ჰური. სხვა გზა არ იყო, ეს სანოკაგე უნდა გვეტყაძა და მთელი დღე უნდა მოგვეტყადა, სინამდინ მსლებელი მოგვივიდოდა. სსენე-ბუღ მინდორზე მრავალი ხე სდგას, წიფუელას მსგავსი, თუძცა იმა-ზე დიდრანებია. ხეები სწორედ არის ჩამწკრივებულები და შუაში გზა მიდის. ბედელი იქნება ორმოც და ათის წლისა, საკმაოდ შნოა-ნი კაცი არის, მაგრამ მისკრა-მოსკრა აქცა-ახინებუელი.

7-ს იელისს განვგრძეთ გზა და გავიარეთ ტყეები და მთები. მორე დღეს გავუდით მდინარეში, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისა-გან სამეგრელოსა და საქართველოს. აქ დავრჩით ღამის გასათევად ზატარა ტრიალ მინდორზე. მთელი ღამე გვიმოდა და საჭმელი არა-ვიტარი არა გვექნადა.

9-ს იელისს მივედით ზატარა ქალაქს ქუთაისს (Cotatis); აქ მდინარე გორასზე არის ცისე სულ ქვეთვირისა. შივ ცისეში ეკლესია არის, როგორც ეტყობა, ძლიერ ძველი. გავიარეთ ხიდი, რომელიც გადებულა საკმაო დიდ მდინარეზე, და მივედით ზატარა მინ-დორზე. აქ დგას სასახლე საქართველოს მეფის პანგრატის (Pangrati), რომელსაც ქუთაისს ეს ცისე-ქალაქი. იქაურმა მოუჩვენა მიგვიზა-ტიყა და დავაბინავა ამ სასახლეში. აქ დავრჩით ჩვენ იელისის თერთმეტმდინ და დიდად თავი მოკაბეზრეს ქართველებმა, რომელნიც ისეთივე უჩაინი (Matti) არიან, როგორც მეგრელები იმდრო-უნაჟამ სადილად მიმიზატიყა. სახლში რომ შევედით, ძირხბრანსმ დნენ თვით მასპინძელი და რამდენიმე თავისიანდ მიგვიჩვენეს მსახურ-ლებით მათთან დაკავშირ. სუფრის მაგივრად გვიმზადეს ოქროსფერ-ლიც ისეთი ქონიანი იყო, რომ ვინაჟამინდითეც მიგვიჩვენეს მსახურ-ებთან და მიწვეეს ერთი საჭმელი მწერა მსახურებიც, მცირეოდენი მსახურები იმათებურად მომზადებულნი და სასა-არაღსა-ღამადი (dinner) რომ მელთაც ვერც კი ჩამოკეთელი. ღვინით სასე თასი ერთისაგან მუქ-რესთან გადადიოდა და იყო მგონად ეტყობა, რომ მცირეოდენი მსახურ-ებიც დაკავშირდნენ მსახურ-ებთან და მსახურ-ებიც უნდა დადიოდნენ მსახურ-ებთან. აქაინი რომ მომწვეს სადილად და უყენათ დღის ძლიერ, თავიანდაკს მოკაბეზრეს მსახურები მომცნ, რომელსაც უნდა მივეყვანე იქ, სადცა მისი მან მივეუბნე მოკაბეზრეს მან

12-ს ივლისს წავედით ქუთაისიდან და გავიარეთ ტყეები და მთები. კარგა დადამდა, რომ მსლუბელის რჩევისამებრ ჩამოვხედით ერთ ჰატარა მინდორში, სკანდის (Scander) ცხის მსლობლად, რომელიც მთაზე არის აქუნებელი; იმ უამად მეფე ბაკრატი (Pangrati) — ამეფებოდა. მსლუბელმა მითხრა, წავალ მეფეს მოვასსენებ თქვენს აქ მოსვლას, მალე დავბრუნდები და თან სსვა მსლუბელს მოვიყვან, რომელიც მიგაცილებთ ჩვენის მეფის საბძანებლის საზღვრამდინაო. მართლაც, იგი წავიდა და ჩვენ შუა-გულ ტყეში დაერჩით შეშინებულნი. თან შიმშილმა და წყურვილმა შეგვაწუხა. დიღით ადრე მსლუბელი დაბრუნდა და თან მოჭყვა მეფის ორი მწერალი, რომელთაც გამოგვიცხადეს, რომ მეფე ქუთაისს (Cotatis) წავიდა, მონდობილი გვაქვს ავწეროთ შენი ქონება, რათა შემდეგ სამეფოს სასღვრამდინ ისე მისვიდე, რომ მეტი ბაჟი აღარ გადაგასდგვიწინო. ამის გამო მომთხოვეს, უოკელივე გვიჩვენო და ის ტანისამოსიც გი ავიწერეს, რომელიც ტანთ მეცვა. უოკელივე ესე ძლიერ მეუცსოვა. როცა აწერა გაათავეს, მითხრეს, შევუქცხენზე და მართა წამოგვიყვებ მეფისთანაო. რაკი დაინახეს, რომ კუურჩხობდი იმათს ბრძანებას, გინება დამიწყეს და ძლივს ნება დამრთეს, ჩემი თარჯიმანი მანც წამეყვანა თან. მშეიერი შევუქცხენზე და გავეყვი. წამიყვანეს ქუთაისს, სადაც მეფე იმეფებოდა. ერთს სესთან გამანერეს და აქ უნდა გამეტარებინა ღამე. მეფემ მცირეოდენი პური და თევზი გამომიგზავნა და ეს იყო და ეს. ჩემი მსლუბელნი გი დატყრილნი იყვნენ სკანდაში. სოფელში მიეყვანათ და დაუბინაგებინათ ერთის მღვდლის სასლში. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე ვიქნებოდი ამ ხნის განმავლობაში. მერე დიღით მეფემ მიმიწვია. იგი თავისს სასახლეში იყდა ძირს თავის დიდებულებითურთ (baroni). მეფემ კითხვა დამიწყო და სსხათა შორის მითხრა:

- რამდენი მეფე არის დედა-მიწაზეო?
- მკონია თორმეტი-მეთქი, — მოვასსენე მოუფიქრებლად.
- შენ მართალს ამბობო, — მიწასუხა მან; — მათ შორის ერთი მე კარ და შენ რად მოსულხარ ჩემს სასელმწიფოში ისე, რომ შენის სელმწიფისაგან წერილი არ მოგიტანია?



— მიხეზი ის არის-მეთქი, რომ არ ვიცოდი, თუ მომისდებოდა თქვენს სასულემწიფოზე გამოვლას, თორემ უმჯობელია, რომ ჩემი მეფე ჰპანი, რომელსაც თქვენი ისეთივე ჰატიკისცემს აქვს, როგორც სხვა სულემწიფეებისა, დიდის სიამოვნებით გამომატანდა თქვენთან წერილს.

ეს სიტყვები, როგორც შევატყუე, მოეწონა. შემდეგ კიდევ უფრო ასირებული კითხვა დამიწყო. ახლას კი დაუწმუნდი, რომ სკენმა გაიძვერა მსლბელმა დააჯერა მეფე, ვითომ დიდი სიმდიდრე მქონდა თან. მართლაც რომ ძვირფასი რამ მქონდა, სწორედ თავს ვეღარ დაკანწყვდი იქიდან. მცირეოდენი რაღ მქონდა, ყოველივე ზემოხსენებულმა მწერლებმა ამიწერეს და რაღ კი მოეწონათ, ცალკე გადააღეს და ძალით მიმარეშინეს მეფისათვის. გამომშვიდობების დროს მეფეს ვთხოვე, მსლბელი მიბოძეთ, თქვენ სასლგრამდინ გამაცილოს-მეთქი. მეფე შემპირდა და თან მიბრძანა, სიგელსაც მოგცემ, რომ მშვიდობით გაიარო ჩემი სამეფო. ეგრე დაიმედებული დაგბრუნდი ზემოხსენებულ სესთან, მაგრამ დაპირებული მსლბელი და სიგელი დიდის ვაკავლასით მომცეს, მეფის მწერალთან ხანგრძლივს დავის შემდეგ.

14-ს ივლისს ქუთაისიდან წავედი და იმ სოფელში მივედი, სადაც ჩემი ამაღა იყო. მღვდელს მათთვის ბეგრი რამ ეამხნა მეფის სასტიკის სასიათის შესახებ და ამის გამო გულში გადაუწყვიტათ, რომ უნარ ვეღარ დაგბრუნდებოდი. როცა დამინასეს, თითქო მესია მოკვლინათო, სინარულით აღარ იცოდნენ, რა ექმნათ. მღვდელსაც, როგორც ეტყობოდა, ძლიერ გაესარდა და მაშინვე პური მაჭამა. დამე მშენიერად მოვისკენე და მეორე დღეს მღვდელმა ცოტადენი პური და ღვინო საგძლად გაგვატანა.

15-ს ივლისს დიდის სამ საათზე გზას გაუდგეჩით მეფისგან დანიშნული მსლბელის შემწეობით. უნდა გაგვე ლო უშველებული ტყეები და მთები ამ ქვეყნისა (paese maladetto). დამეებს ცას ქველ ვატარებდით მწვანეზე, რომელსამე წყაროს მასლობლად, და სიცივის გამო ცეცხლს განთებდით.

17-ს ივლისს მივედი ქალაქს გორს (Gorides), რომელიც ეგრეთჲნის იმავე მეფეს ბატონს და მღვდლებს ვაგვსე. ამ ვაკეზე გორს



არის და გორასე დგას ხის ცისე. ქალაქს ჩამოუდის დიდი მდინარე. საზოგადოდ აქაური ადგილ-მდებარეობა საკმაოდ კარგია. მისკლი-სათანავე მსლებელი გაუფრანკენე აქაურ მოურავს (governatore) და შეკატუობინე ჩემი იქ მისკლა. მოურავმა მასინე განკარგულება მოასდინა, რომ ჩემთვის სახლი ემოკნათ. იმედი მქონდა, მოურავი კარგად მიმიღებს-მეთქი და ძლიერ გამიგვირდა, როცა მისგან გაუგონე, რომ მევე მწერს, ოც და ექვსი ოქრო (ducati) უნდა გადაგხდკინო და ამას გარდა ექვსი ოქრო კიდევ მსლებელისათვის უნდა მოგგეო. მე ვუბასუსე, რომ ეგ შეუძლებელია, რადგან მევემ კარგად მიმიღა და კიდევ მივართვი სამოც და ათი ოქრო-მეთქი. ბერი რამ ვუთხარი კიდევ, მაგრამ ჩემის სიტყვებმა სრულიად არ გასჭირა და იბუღებუელი ვიყავ მიმეტა, რაც მომთხოვა. 19 ივლისამდინ აღარ გამისტუმრა მოურავმა და ძლიერ შევწუხდი. იმ უგუნურებს (bestie) თითქოს ვატყობ არ ენახათ.

საქართველო ცოტად უკეთესია სამეგრელოზე, მაგრამ ზნე, ჩვეულება და საწმინოება ქართველებს და მეგრელებს ერთი და იგივე აქვთ. როცა ჩვენ გორში ვიყავით, გვითხრეს, რომ იქ მასლოზად ერთი მთა არის, რომელსაც გარშემო ტყე აკრავსო. იმ მთაზე დიდი ეკლესია არის, სადაც ასკენის ღვთის მშობლის ძველებური სატიო. იქ ცხოვრობს ორმოცი ბერიო. ამბობენ, რომ ეს სატი ძლიერ სასწაულთ მოქმედაო. იმ ეკლესიის სახასყად აღარ წავედი, რადგან დიდი სურვილი მქონდა ჩქარა გავსულაყავი ამ ქვეყნიდან (di quel maladetto paese), სადაც იმდენი უსიამოვნობა და შიში გამოვიარე, რომ ყოველივე მოთხრობა ძლიერ გავრძელებოდა და არც არავითარ საჩუბლობას მოუტანდა მკათხველს.

20-ს ივლისს გორიდან გავედით. უნდა გაგვეგლო მთები და ტყეები. აქა-აქა შეგვხვდებოდა სოფლები, სადაც საგაძლს ემოულოზდით. ღამეებს ვი წას ქვემ ვატარებდით, იქ, სადაც წყალს და ბალახს ვიშოვნიდით ცხენებისთვის. მწვანე ბალახი იყო ჩვენი ღოგინი. ასე გავიარეთ სამეგრელო და საქართველო.

22 ივლისს მივალწით ერთს თრიად დიდს მთას, რომლის წვერზე საღამოს ავედით, აქ დავბინავდით ღამის გასათყვად, თუმცა წყალი არა გვქონდა. მეორე დღით გზას გავუდექით და

ჩამოკედით თუ არა მთიდან, მიუკედით უზუნ-ჭასანის საბრძანებელში, ანუ უკედ კოჭკოთა, სომხეთში. სულამოს მიუკედით ამ უზუნ-ჭასანის ციხესთან, რომელსაც ლორი (Loro) ეწოდება. ეს ციხე მდებარეობს ვაკეს და ერთის მხრით აგრავს მთა, ხოლო მეორეს მხრით მდინარე ჩაუდის. ეს მდინარე ძალიან ღრმაა, არა წყლის სიმრავლის გამო, არამედ ნაპირების სიმაღლის მიყუჩით. მდინარეში რომ გაუკედით, სომხების ერთს სოფელში მიუკედით და აქ დაკვინავდით ღამის გასათევად. აჭაურ ციხეში არიან უზუნ-ჭასანისგან დაუქნებელი თათრები (Turchi). ამ სოფელში 25 ივლისამდინ დაერჩი, რადგან დასვენებაც მუწირებოდა და ისეთი მსჯებელიც უნდა მეშოვნა, რომელსაც გზა სტოდნოდა. მცხოვრებლებმა კარგად მიმიღეს. აქ აღმოჩნდა, რომ ის სომეხი, რომელიც კავიდან წამოვიყვანე და რომელიც ამბობდა, უზუნ-ჭასანის კაცა კარო, საშინელი გაიმეკრა ყოფილიყო. აჭაურმა სომხებმა მითხრეს, ძალიან ბედი მოგსულია, რომ მაგის სრიაკებს გადარჩენილხარო. რაკი ეს გავიგე, გამოკართვი ცხენი, რომელიც სამგზავროდ მიუკედი და თავიდან მოვიშორე. გზის მანქნებლად ავიყვანე ერთი სომხის მღვდელი, რომელიც გამეყა თავრიზამდინ და დიდი ერთგულებაც გამიწია.

26 ივლისს ჩვენ სუთნივე, ამ რიცხვში მღვდელიც, წაკედით ლორიდან, გადავიარეთ კიდეკ ერთი მთა და სულამოს გაუკედით ვაკესე, რომელსაც ვარძქემა მთება ერტყა და მიუკედით თათრების (Turchi) სოფელში. აქ კარგად მიგვიღეს და ღამე მინდროში გაუათიეთ...

ბრწყინვალე ელჩი თავრიზიდან გამობრუნდება  
საქართველოსა და სამეგრელოს გზით და შემდეგ  
მრავლის განსაცდელისა მივს ფაზისში.

12 ივლისს 1475 წ. მიუკედით საქართველოს მეფის ქალაქში, რომელსაც ჭქვიან ტფილისი (Tiflis). ეს ქალაქი დგას მდინარე ვორანსე. მეორე უფრო მაღალ ვორანსე აშენებულა ტფილისის ცი-

სე, საკმაოდ მაგარი. ჩვენ გავედით მდინარეში (il qual s'ichiamma Tigris) და ვიპოვეთ ერთი სომეხი კათოლიკე, რომლის სახელიც დაგვინახდით. ტფილისი წინად სასულგანთქმული იყო თავისის სიდიდით და ამ უამად კი დატრეშულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომელიც ახსრებსა დადარჩენია, ესლაც კარგად არის დასახლებული. იქ კიდევ მრავლად არიან კათოლიკენი.

15 ივლისს გავედეთ გზას, უმეტესად მთა-მთა მივდიოდით და გზაზე აქა-იქ ვსვდავდით სოფლებს და მალლობზე აშენებულ ციხეებს.

18-ს ივლისს სამეგრელოს საზღვრის მახლობლად ერთ ჰატარა ტყეში, რომელსაც გარშემო ერტყა მთები, ვიპოვეთ მეფე ბატონი. ჩვენ ყველანი მივედით მის სახანაჯად. მეფემ სადილად მიგვიწვია. დაგვსხა ძირს აქაურ ჩვეულებისამებრ და წინ სუფრის მაგიერ გაგვიშალეს ტყავი. ჩვენი საჭმელი იყო ცუდად შემწვარი მწკვიდი და ცოტოდენი ქათმის ხორცი და სხვა რაღაც ცუდმადი. სამაგიეროდ ღვინო ბლომად იყო, რადგან ღვინას სიუხვე საუკეთესო მასპინძლობად მიანიათ. სადილს შემდეგ დაიწყო სადღეგრძელოების სმა დიდის სტაქნებით. სიმაღლე თვითივე სტაქნისა ნასკვარ წყრთა იყო. მათში ვინც მეტს დაღვდა, ამას მეტი ჰატიკისცემა ჰქონდა. რადგან თათრები (Turchi) სულ არ სვამდნენ ღვინოს, ჩვენც მათის მიყენით აღარ მივიღეთ მონაწილეობა ღვინის სმაში, მაგრამ ამით ძლიერ ვაწყენინეთ მასპინძლებს, რადგან მათის ჩვეულებისამებრ არ მოვიქცეთ. მეფე უნდა იყოს ორმოდის წლისა. მალაღმალაია, შავკერძანი, თათრული (Tartaresco) სახე აქვს, მაგრამ ღამაზი კაცია. ცოტახსნს კიდევ დაერნით და შემდეგ გამოვემშვიდობეთ მეფეს.

20-ს ივლისს წავედით იქიდან დილით და გავიარეთ საქართველოს სამეფო თითქმის სულ მთა-მთა და ბოლოს 22 ივლისს მივედით სამეგრელოს საზღვარზე, სადაც შეგვსვდა ერთი კაპიტანი რამდენიმე ქვეითისა და ცხენოსანის ჯარის კაცით. ეს კაპიტანი მეფისაგან უფროსი გამოგზავნილი სამეგრელოში, სადაც უწესობის გამო, რომელიც მომხდარიყო იმ დროს სამეგრელოს მთავრის ბედიელის სიკვდილის გამო. კაპიტანმა ჩვენ დიდის მუჭარით გა-

გვჩვენა, ორი კაპაჩინი შეილდ-ისარი წაგვართვა და გაგვანთავი-სუფლად მხოლოდ მაშინ, როცა ფული მიგვეცით. რაც შეგვეძლო, სა-ჩქაროდ ცხენები გავაჭენეთ, შარა-გზას თავი დავანებეთ და შეკედით ტყეში, სადაც ღამის გასათევად დავჩნით. შიში დიდი გამოვიარეთ იმ ღამეს, რადგან ყოველ წამს მოველოდით, რომ თავს დაგვესს-მიანო.

23-ს ივლისს დილით გავემოგზაურეთ ქუთაისისაკენ. გზაზე ერთს ვაწრო შუკაში კიდევ თავს დაგვეცა რამდენიმე სოფელი და წაგვართვეს სამი ცხენი. ეს ცხენები უზუნ-ჭასანის ელჩებისა იყო, რომელთაც საჩუქრად მიჭყადათ სსკა-და-სსკა ხელმწიფეებისათვის. იძულებული შევიქენით მიგვეცა ოცი ოქრო, ცხენებიც და რამდენიმე შეილდიც. მხოლოდ ამას შემდეგ დაგვანებეს თავი და გასწიეო ქუთაისის ციხისაკენ, რომელიც ბატონი მუყეს ეკუთვნის.

24-ს ივლისს დილით, როცა უნდა გაგველო ერთს მდინარეზე გადაბული სადი, კიდევ დაგვეცნენ თავს და იძულებული ვიყავით, ჩვენდა ფრთხილად სამწუხაროდ, თითო ცხენზე თითო გროსი (grosso) მიგვეცა. გაკედით გაღმა და შეკედით სამეგრელოში. ღამეს სულ ტყეში ვათუდით.

25-ს ივლისს კიდევ გაკედით მეორე მდინარეში ნაპებით და მიკედით ბუდიელის დის მარეკას (Maresca) სოფელში. ამ მანდი-ლოსანმა ძლიერ კარგად მიგვიღო, გამოგვიგზავნა პური და ღვინო და დაგვანაჩა თავისს ბაღში.

26 ივლისს დილით გადავწვიტეთ ერთი ოცი ოქროს (dukati) ღირებული საჩუქარი მიგვერთმია ჩვენის მასპინძლისათვის. ჯერ ამ მანდილოსანმა მადლობა გუთხრა და არ მიიღო ჩვენი საჩუქარი, მაგრამ მერე მრავალი გაჭირვება დაგვყენა და მოგვთხოვა ცხენზე ოროდო ოქრო. ბერს ვემუდარეთ—მაგდენს ნუ გადაგვანდეკინებ, არ შეგვიძლიანო და სხვა მიზეზებიც მოგვასხენეთ, მაგრამ ჩვენ-მა სვეწნამ არ გასტრა და იძულებული გავხდით მიგვეცა ცხენზე ოროდო ოქრო და ის საჩუქარიც, რომელსაც უწინ ვამდგავდით. მერე ცოტა რამ გვატამეს და დიდის გაჭირვებით გავვისტუმრეს. თუმცა ცხადი იყო, რომ ჩვენი მასპინძელი ფიქრობდა წაერთვა ჩვენთვის ყოველისფერი, რაც გავაჩნდა, ბოლოს მანინც მშვიდობით გაგვიშვა.

27-ს ივლისს ზოგი ჩვენგანი ნაუში ჩასსდა და ზოგი ცხენებზე შეჯდა და ასე ერთმანეთისაგან დაცალკეკებულნი მივედით ფაზისში, სადაც ჩამოესდით ზემოსუნებულ მართა სერქეზის ქალის სახლში. შემდეგ აძენის განსაცდელასა, რომელიც ჩვენ გამოვიანეთ, აქ გავიგეთ, რომ ვაივა თურქებმა დაიჭირესო. წარმოადგინეთ, რამდენი ახალი გაცირება და განსაცდელი კიდევ მოგველოდა წინ. არ ვიცოდით, რა გზას უნდა დავდგომოდით და ვიყავით გონება-დაკარგულებივით. ხოლო ლუდოვიკო ბოლონელმა, ანტიოქიის პატრიარქმა, გადასწვიტა წასულიყო სერქეზეთის გზით, გაველოთათობის ქვეყანა (la Tartaria) და მასულიყო რუსეთში. ეტყობოდა, რომ იმან გზა იცოდა. მე რამდენჯერღმე ვუთხარი, ერთმანეთს ნუ დაეშორებით-მეთქი და ბეკრიც ვესვეწე ერთად წავიდეთ ამ გზით-მეთქი, მაგრამ იმან მიშასუსა: დადგა უძმი, როცა ყოველმა თავის-თავს უნდა უშველოსო. ასეთმა მისმა უგულო და ახირებულმა შასუსმა ძლიერ გამაჰვირვა და კიდევ ვითხოვე, ასეთს სისასტიკეს ნუ გამოიჩინებ-მეთქი, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. მანც და მანც მოისურვა წასულა თავისის ამხანაგებით, ამაღათი და ელწით (con l'ambosciador Turco), რომელიც გამოატანა მას უსუნ-ჭასანმა. ამას შემდეგ მოვიდომე საქმე დამეჭირა მარკო რუსთან და იმ ელწითან (con l'ambosciador Turco), რომელიც ამ რუსს თან მოჰყავდა. ამით ვითხოვე—ვიღონოთ რამე და უკან დავბრუნდეთ-მეთქი. ამასვე ვერ ვითამ დათანხმდნენ და ნიშნად თანხმობასა გადაკოცნეთ ერთმანეთი. მათი სიტყვა მე უეჭველი მეგონა, მაგრამ შემდეგ ერთმანეთში მოიღაპარაგეს და გადასწვიტეს, გაველოთ ახალციხის (di Calceian) მოაკრის ვარკვარეს (Gorgora) საბრძანებელი და ბათომის (Vati) მხარე, რომელიც ოსმალოს სასელმწიფოს საზღვარზეა და ხარკს იხდის. მე რომ ეს გავიგე, ჭკუაში არ დამიჯდა ამ გზას დავდგომოდი და ვამჯობინე თავი მიმენდო მოწყვლევ დიურთისათვის და ფაზისშივე დავრჩენილიყავ.

6-ს აგვისტოს 1475 წ. სსენებული პატრიარქი შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას თავისის მსლებლებით. ჩემთან კი ბოდიში მოიხდა. მეოთხე დღეს წავიდნენ სსენებულნი მარკო რუსი, მისი მეზავრი ელწი და სსვა რუსები, რომელნიც მარკოს ახლდნენ. ზოგი

მათგანი ჩაუდგა ბარკასში და ზოგი ცხენით გაემგზავრა ბათუმისაკენ. აჭედან უნდოდათ შემახიას (Samachi) მისუღიყენენ და მერე სათათრეთში გადასუღიყენენ. ამ გზარად შე დაჯრნი მარტო ჩემის ამაღით. სულ კიყავით სუჯანი, ყველასაცან მიტოკებულნი, უფუღოდ და უმიღოდ. არ კიციღით, რა გზას დაჯგომოღით და რა უნდა გემოქმედნა. რა ტეცსლი იყო ჩვენს გუღში, ამის გამოცნობა მიმანდგია უოკულ გონიერ კაციასთვის. იმავე დღეს მწუხარებისაცან სანინლად გამეციავ. ამისთანა მდგომარეობაში ჩემი სარჩო იყო წყალი და ადგილობრივის თქვილისაცან მოხარშული საცქმელი და მხოლოდ ხანდახან, ისიც გაცირებით, მიშოკინდენ კარიას. მართლად მიმივე ავადმყოფი კიყავი. როგორც შემდეგ მითხრეს, მანბოდებდა და ახირებულ რადაცეებს ვამბობდი ბოღვის დროს. რამდენისამე დღის შემდეგ ჩემს ამაღაში დანარჩენებიც ავად განდნენ, გარდა მამა სტუფანესი, რომელიც ყველას გვიკლიდა. ჩემი ლოჯინი იყო ერთი სიცოდავი საბანი, რომელიც მათხოვა აქ მცხოვრებმა კონოკელმა ვიოკან დი კალანმა; არც ზეწარი მქონდა და არც ლეიბი. ჩემი მსლებლები იოღად გამოდიოდნენ შადებით, რომელიც თან ჰქონდათ.

ამ მდგომარეობაში დაჯრნი შე სექტემბრის ათამდინ და ავადმყოფობამ იმ ზომამდინ მიმიყვანა, რომ ჩემმა მგზავრებმა იმედი გადაიწყვიტეს ჩემის მორჩინისა. ჩემდა საბედნიეროდ, მართას ჰქონდა ავგაროზი და შემება გულსედ. ამისთანავე ცოტა ზეთი და რადაც ბალახები დამადგა და უგედ შევიქენი. მაგრამ ამ უგეთობას უფრო მიავწერ უოკულად მოწყალე ღმერთს, რომელმაც არ ინება, რომ ამ ქვეყანაში მომეკვდარეყავი. დიდებულ იუოს მისი სასული უგუნითი უგუნისამდე! ყველანი, ვინც დაჯრნით, იმის რჩევას შეუგდეკით, თუ რა გზას დაჯდგეთ, და გადაწყვიტეთ, თანსმად ჩემის აზრისა, დაჯბრუნებულეყავით უკან შამახისკენ და გადაესულიყავით სათათრეთში (la Tartaria). ზოგი ძირჩეკდა, რომ სირიით წავსულიყავი, მაგრამ შე არ მოვისურვე. რამდენიმე დღე კიდევ დაჯრნი თაზისში.

10-ს სექტემბერს 1475 წ. შეგვეკით ცხენებზე, მაგრამ ვავართ თუ არა ორი მიღი, უნდა გაჩერებულეყავით, რადგან სიუსტის გამო აღარ შემიძლო მგზავრობა. ცხენიდან ჩამომსვეს, ცო-



ტა ხანს მიწაზე მომასვენებს და შემდეგ წამიყვანეს ისევე მართას სხლში, სადაც დაკრით 17 სექტემბრამდინ. აქ მოკვდობინდი თუ არა მტირეოდნად, შეკვრებით ცხენებზე და მოწყალე ღმერთის იმედით გაკუდექით გზას, რომელიც წინად გვქონდა ამორსეული. ფაზისში იყო ერთი ბერძენი, რომელმაც შეგონული ენა იცოდა. ეს ბერძენი გზის მარჯვენადად წავიყვანე, მაგრამ იმდენი უსიამოვნება მომყენა, იმდენი, რომ სათქმელადაც სამძიმოა.

17-ს შეკვრებით ცხენებზე-მეთქი და სამეგრელოს გზით უკან დაგებრუნდით დიდის გაჭირვებით.

21-ს მიკვდით ქეთაისს, სადაც შემოხსენებულმა ბერძენმა ჩხუბი ამატეს და იმუღბეული შევიქვენ როგორმე თავიდან მომეშორებინა. აქ დაკრით 24 სექტემბრამდინ ერთის მხრივ იმ მიზეზით, რომ ცუდად გვრძნობდით ჩემს თავს და მეორეს მხრივ—მგზავრები გვინდოდა გვეშოვნა. ბოლოს, შემოგვიერთდა რამდენიმე კაცი. ამ კაცებს ვერც ვიცნობდით და არც ენა გვესმოდა მათი, მაგრამ მათთან ერთად მანაც გაკუდექით გზას. გადავიარეთ რამდენიმე მთა, თუმცა დიდის შიშით, და 30 სექტემბერს მიკვდით ტფილისში, სადაც ცოცხალ-მკვდარი ჩამოვხდით ერთის სომეხთ კათოლიკე სარწმუნოების მღვდლისას, რომელმაც ძლიერ კარგად მიგვიღო. ამ მღვდელს ერთი ვაჟი ჰქონდა, რომელსაც ჩვენადა სუბედუროდა, შავი ყაში შეეყავა. ამ წელს ტფილისში ეს სენი ძლიერ მუხრავდა ხალხს. რადგან ჩემი მახლობლები არ ერიდებოდნენ ავადმყოფს, ერთი ჩემი მოსამსახურე მათეო ბერგამელი ავად გახდა სენით. ხოლო ამ სენს ორი დღე მალავდა და ბოლოს კი ლოგინად ჩავარდა. მე მირჩევდნენ სხვაგან გადავსულიყავი. სხვა კერავარი ვიშოვნეთ და ერთი ბოსელი, რომელშიაც ღამ-ღამე ძროხები ჰყავდათ, დამიწმინდეს, რამდენადაც მისი დაწმენდა შესაძლო იყო, დამიგეს ცოტადღენი თივა და ამ თივაზე დამაწვინეს დიდად დასუსტებული. შემდეგ მღვდელმა აღარ ისურვა, რომ სსენებული მათეო მის სახლში დარჩენილიყო და, რადგან სხვა ადგილი ვეღარ ვუშოვანეთ, იმუღბეული გავხდით დაგვეთმო მისთვის ერთი კუთხე ბოსლისა, სადაც მე ვიწვიქი. მისი მოკლა კი მივანდე მამ სტეფანეს. მერე უფალმა ღმერთმა იხუბა და სეცად იხმო მათეო. მე დიდის გაჭირვებით



მიშოვნეს მეორე იმისთანავე ბოსელი და გადაიყვანეს. დაკრით ჩვენ ყველასაგან მიტოვებულები. ჩვენთან იყო მხოლოდ ერთი მოსუცი, რომელმაც ცოტაოდენი ფრანგული იცოდა. ეს მოსუცი ერთ წამსაც არ მოგვშორებია და გულმოადგინედ გვემსახურებოდა, ადვილი მისახვედრია, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიქნებოდით.

ტფილისში დაკრით 21 ოქტომბრამდინ. წინა დღით ჩამოვიდა ქალაქში ის ელჩი, რომელიც გაჭვეს ძამა ლუდოვიკოსს, ანტი-ოქიანს შატრიაჩეს. ამ ელჩმა მიაშრო—როცა მიკვლიეთ ახსანეთს (Avagasia), ავანაკები თავს დაგვეცნენ და სულ ერთიანად გაგვძირვეს. ამის მიზეზი თვით ლუდოვიკო იყო და, როგორც ვი დაგვრუნდები ჩემს ქვეყანაში, ლუდოვიკოსს გუჩიელებ ჩემს ხელში იყვნენ უზუნ-ჭასანათსო. მე, რამდენადაც შემიძლო, ვანუგეშე ელჩი და გადავწვიტეთ ერთად მოგზავრობა. ტფილისიდან გავედით, როგორც ზემოდ ვთქვი, 21-ს ოქტომბერს. ეს ქალაქი ეგუთვნის საქართველოს მეფეს ბატონს. რთი დღე-კარეთ და შეკედით უზუნ-ჭასანათის საბრძანებელში, რომელსედაც მიდიოდა შამსიის გზა. ბევრი კარგი ქვეყნები შეგვხვდა გზაზე.

# ლვინის დაყენება

XXX\*)

## ჭაჭა, თხლე და მათი მოხმარება

როგორც ვიცით, მრეწველობაში გადასაკეთებელი და გადაკეთებული მასალიდან არაფერი არ უნდა დაიკარგოს, არაფერი არ უნდა წახდეს და გაფუჭდეს, არამედ ყოველი მათი შემადგენარი ნივთიერება კარგად, სარგებლიანად და ეკონომიურად უნდა იყოს გამოყენებული და მოხმარებული. ეს არის უმთავრესი და საზოგადო პრინციპი მრეწველობისა და ამაშივე მდგომარეობს თითონ ეკონომიური მოთხოვნილება. მაშ ღვინის დაყენებაშიაც ამავე პრინციპს უნდა ვადგეთ და, თუ ყურძნისა და ღვინის ნაშთებიდან რამე გამოყენება შეიძლება, თუ მათში რამე სასარგებლო და გამოსაყენებელი ნივთიერება არის დარჩენილი, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ (რასაკვირველია ეკონომიური) ამის გადასაკეთებლად და ტყუილ-უბრალოდ არა დაეკარგოთ-რა. ამის გამო ჩვენ აქ ვეცდებით მოკლედ ვუჩვენოთ, რა სასარგებლო ნივთიერებანიც მოიპოვებიან ჭაჭასა და თხლეში და რა რიგად შეიძლება მათი გამოყენება.

ერთ წინა წერილში (ღვინის დაწმენდა) ჩვენ უკვე გავარჩიეთ თხლის შედგენილება და ვნახეთ, რომ ეს თხლე შეადგენს 4% იმ ღვინისას, რომელიც ამ თხლიდან არის გაღმო-

\*) «მოამბე» №16 1—10.

ლებული; აქ კიდევ დავუმატებთ, რომ ეს რაოდენობა შეეხება ქაქაზე დაყენებულ ღვინოს, ე. ი. წითელ ღვინოს; თეთრი ღვინო კი, რომელიც, როგორც ვიცით, ქაქაზე არ არის დაყენებული, უფრო ბევრ თხლეს იძლევა, ჩვეულებრივ 80%-ს. თხლეში სამი მეოთხედი ღვინოა და დანარჩენ ერთ მეოთხედში 66,6% ღვინის მარილი არის.

რაც ქაქას შეეხება, ამის რაოდენობა დამოკიდებულია ყურძნის ჯიშზე და ჩვეულებრივ თითო ფუთი ყურძნიდან, ანუ გედრო ღვინოზე ან ტკბილზე ან გირვანქაზე მეტი ქაქა რჩება; მაშასადამე, ეს ქაქა შეადგენს ყურძნის 250%—300% და ამასთან რაც უნდა ძლიერ იყოს დაქაჯული ეს ქაქა, შიგ მანც ბევრი ღვინო ანუ ტკბილი რჩება (თეთრ ყურძნის ქაქაში ტკბილი რჩება და შავი ყურძნისაში კი ღვინო). ღვინის ანუ ტკბილის რაოდენობა ქაქაში შეადგენს საშუალოდ 100% და ხან ამაზე მეტიც არის. ქაქის 100 ნაწილში 700% ჩინტი სხეულებია; როგორც წყალი ანუ ქაქის წვენი და ღვინო და მათში გახსნილი ექსტრაქტული ნივთიერებანი და დანარჩენი 300% შესდგება კლერტიდან, ჩენჩოდანა და კურკებიდან (გამშრალი). საფრანგეთის ქაქები, რომელთა ვრცელი ანალიზიც მიუნცმა (Munz) მოახდინა, შესდგებიან შემდეგი ნივთიერებიდან და შემდეგი რაოდენობით:

სველი ქაქის შედგენილება:

აზოტიური ნივთიერებანი	—	—	=	4,28 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	
ცხიმოვანი ნივთიერებანი (ზეთი. და სხვ.)			=	4,01	
ექსტრაქტული ნივთიერებანი (უაზოტო)			=	19,06	
ცელულოზა (ხის შემადგ. ნივთიერ.)			=	8,18	
ალკოგოლი	—	—	—	=	6,50
წყალი	—	—	—	=	57,20

მშრალი ქაქას შედგენილება:

აზოტიური ნივთიერებანი	—	—	=	11,25 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
ცხიმოვანი ნივთიერებანი (ზეთი. და სხ.)			=	7,86

ექსტრაქტული ნივთიერებანი (უაზოტო) = 58,7—  
 ცელულოზა (ხის შემადგ. ნივთიერ.) = 13,58—  
 ნაცარი ანუ მინერალ. ნივთ. — = 9,78—

გარეგანი შეხედულებით სველი ჰაჰა შესდგება:

280/0 კლერტიდან,  
 52— ჩენჩოდან  
 და 20— კურკებიდან.

რაც შეეხება ჰაჰაში ღვინის რაოდენობას, ამ მხრით დიდად საგულისხმებელი და დიდი ყურადღების ღირსია მიუნცის გამოკვლევა შესახებ საფრანგეთის სხვა-და-სხვა მხრის ჰაჰებში; აქედან აღმოჩნდა შემდეგი:

ვენახების სახელები	ღვინის მოსავალი, ჰექტოლი-ტრი.	გაუწურავი ჰაჰა, კილო.	დაქაჯული ჰაჰა, კილო.	დარჩენილი ღვინო დაქაჯულ ჰაჰაში.	დარჩენილი ღვინო შედარ. გააღებულ.
St—Laurent—d' Aigouze . . . .	190,2	2641	848	20,33	10,64 <sup>0/0</sup>
Jarras . . . .	132,5	2588	577	20,51	15,47—
Guilhermain . .	112,0	1680	680	10,20	9,10—
Verchant . . . .	94,0	943	292	6,64	7,06—
Les Vergnes . .	44,4	916	284	6,45	14,52—

ამ გამოკვლევებიდან ცხადია, რომ ჰაჰაში ბლომად რჩება ღვინო.

როგორც ვხედავთ, ჰაჰაშია ბევრი სხვა-და-სხვა სასარგებლო და გამოსადეგი ნივთიერება არის დარჩენილი, აქ ღვინოც ბლომად არის, ალკოგოლიც, საფერავიც და ღვინის მარილიც.

აქედან ცხადია, რომ ჰაჰისა და თხლის გამოყენება სხვა-და-სხვა გვარად შეიძლება მათში მყოფი სასარგებლო ნივთიერებათა დაგვარად.

ჩვენში, სამწუხაროდ, ყურძნისა და ღვინის ნაშთებს საკმაოდ ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო, თუ მთლად არა,

ბევრი ნაწილი მაინც სრულიად ტყუილ-უბრალოდ ფუჭდება და იკარგება. ეს მით უფრო საფრქვებელია, რომ ჩვენში ჯერ არ არიან გავრცელებულნი კარგად მოწყობილი საქაჯავები და ამის გამო ქაქაში უფრო ნამეტანი ღვინო რჩება. თუ მივიღებთ, რომ ჩვენში 10—12 მილიონი ვედრო ღვინო მოდის, ესე იგი 1,300,000—1,500,000 გექტოლიტრი ანუ 130—150 მილიონი ლიტრი, მაშინ ადვილად შეგვეძლება (ზემოდ. მოყვანილ ცნობებით რომ ვისარგებლოთ) გამოვიანგარიშოთ ქაქაში და თხლეში დარჩენილ ნივთიერებათა რაოდენობა:

რადგანაც თხლეში სამი მეოთხედი ღვინოა, და თუ მივიღებთ, რომ ჩვენში თეთრი და წითელი ღვინოები თანაბარი რაოდენობისაა, მაშინ ჩვენი ღვინის თხლის რაოდენობა 600,000—720,000 ვედრო თხლე უნდა იყოს და ამაში დარჩენილი ღვინის რაოდენობა იქნება 450,000—540,000 ვედრო. ქაქა ხომ შეადგენს 25% და ამ ქაქაში 10% დან 20%-დინ ღვინოა; თუ ჩვენ მივიღებთ ღვინის საშუალო რაოდენობას, ე. ი. 15% მაშინ მთელ ქაქაში უნდა იყოს დარჩენილი 375,000—450,000 ვედრო ღვინო; მაშ ქაქაში და თხლეში ერთად იქნება

თხლეში 450,000—540,000

ქაქაში 375,000—450,000

825,000 990,000 ვედრო; აქედან

ცხადია, რომ ქაქაში ალკოგოლიც ბლომად უნდა იყოს; რადგანაც საშუალოდ ჩვენს ღვინოებში 10<sup>0</sup> ნაკლები ალკოგოლი არ არის, ამისათვის ალკოგოლის რაოდენობა იქნება:

თხლეში 45,000—54,000

ქაქაში 37,500—75,000

82,500 99,000 ვედრო ალკოგოლი.

ღვინის ფასი და ალკოგოლისა ყველამ იცის და, მაშასადამე, ადვილი წარმოსადგენია, რა წლიური ზარალიც მოუვა ჩვენს ქვეყანას, თუ ეს ქაქა და თხლე უყურადღებოდ დაეტოვებო.

ამ ზარალს დაემატება ღვინის მარილის არ მოხმარებაც, იმისი დაკარგვა:

ჩვენი მოსავლის თხლეში, სულ რომ ცოტა ვთქვათ;

4,000—5,000 ფუთი ღვინის მარლია

და ამაში 3,200—3,800 ფუთი ღვინის სიმეცვე,

რომლის ფუთიც იყიდება არა ნაკლებ 15 მანეთისა; ამას დავუმატოთ დაკარგული ზეთის და საფერავის ფასიც და დაერწმუნდებით, რომ ყურძნისა და ღვინის ნაშთები ისე მცირე ფასისანი არ არის, რომ იმათზე ლაპარაკი არა ღირდეს.

ამისათვის აქ მოკლედ გავარჩევთ ყველა იმ საშუალებათა, რომელთა შექმნობითაც შესაძლებელია ამ ნაშთების ასე თუ ისე გამოყენება და მოხმარება.

ქაჭისა და თხლის გამოყენება სხვა-და-სხვა გვარად შეიძლება: აქედან ა) წყალ-ღვინოს (pique) მოამზადებენ წყალის მიმატებით და გამაწურვით და ან ეკრედ-წოდებულ ქაჭის ღვინოს (vin de mare) წყლისა და შაქრის ერთად მიმატებით და დადუღებით; ბ) ან არაყს გამოხდიან, როგორც ქაჭიდან ისე თხლიდან; გ) ან ამათ მაგივრად თხლესაცა და ქაჭისაც ძმრად გადააქცივენ და უკანასკნელად დ) ზემოდ მოყვანილ ნივთიერებათა გარდა როგორც ქაჭიდან, ისე განსაკუთრებით თხლიდან ღვინის მარლის ამოიღებენ და ან ღვინის სიმეცვეს; ამასვე დავუმატოთ კურკებიდან ზეთის გამოხდა, ტანინისა და საფერავის ამოღება და ან ჟანგარას მოშადება; უკანასკნელად, ნაშთი ქაჭისა ან საქონლის საკვებავად და ან თათონ ვაზისავე პატივად მოიხმარება.

### ა) ზაფიდან და თხლიდან ღვინის გაყოფა

რადგანაც, როგორც ყველამ კარგად იცის, ჩვენში ქაჭიდან და თხლიდან არაყის გამოხდა ძლიერ შევეწრობებულია სხვა-და-სხვა განკარგულებით; რადგანაც ჩვენში პატარა ვენახების პატრონებს, გლეხ-კაცობას სხვა-და-სხვა გარემოების გამო სრულიად არ შეუძლიან სხვა-რიგად ქაჭის მოხმარება, ამი-

სათვის იძულებულნი ვართ მკიხაველების განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ ჭაჭიდან ღვინის ამოღებასა.

როგორც უკვე ვიცით, რაც უნდა კარგად იყოს ჭაჭა გამოქაჯული, იმაში მაინც ღვინო ბლომად რჩება. რა საშუალებით უნდა გამოსცილდეს ჭაჭას ეს ღვინო? საქაჯავი, რასაკვირველია, აქ ვეღარას უშველის, ამისათვის ღვინის დამყენებელნი ორგვარი საშუალებით სარგებლობენ: ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ ჭაჭას ცოტაოდენი წყლით რეცხავენ, რომელშიაც ღვინო კარგად გაიხსნება და წყალ-ღვინო გამოდის. მეორე საშუალებით ჭაჭას წყალთან შექარსაც უმატებენ და ხელ-მეორედ ადუღებენ. ამით მეორე ღვინო, შექარსწყალის ღვინო ანუ ჭაჭის ღვინო დგება.

1) წყალ-ღვინო (piquette). წყალ-ღვინოს იმისთანა სასმელს ეძახიან, რომელიც მომზადებულია ჭაჭაზე წყლის მიმატებით ანუ ჭაჭის გარეცხით,—მაშ ეს სასმელი ჭაჭის ნარეცხია. წყალ-ღვინის მოსამზადებლად ან დაუქაჯავ ჭაჭას ხმარობენ და ან გამოქაჯულს; პირველ შემთხვევაში მომზადებულ სასმელს უფრო დიდი ძალა ექნება, რადგანაც, როგორც ვიცით, დაუქაჯავ ჭაჭაში დიდძალი ღვინო რჩება. საფრანგეთში, სადაც ძალიან გავრცელებულია წყალ-ღვინის მომზადება, ბევრი სხვადასხვა გვარი საშუალება არის ნაჩვენები ამ სახარჯო წყალ-ღვინის მოსამზადებლად და ყველა ეს საშუალებანი დამყარებულია იმაზედ, რომ ჭაჭას წყალი მიემატოს ვარაუდით ან ერთ-ბაშად და ან ნაწილ-ნაწილ, დრო-გამოშვებით.

როგორც ვიცით, სადუღებელიდან ვადმოღების დროს ღვინოში კიდევ არის დარჩენილი ცოტაოდენი შექარი, რომელიც შიმდევ უნდა განაწილდეს ეგრედ-წოდებული ნელი ანუ შეუმჩნეველი დუღილით. ჭაჭაც ამავე მდგომარეობაშია, იმაშიც არის დარჩენილი შექარი და წყლის მიმატების შემდეგ აქაც (ჭაჭაში) გაჩნდება ნელი და წყნარი დუღილი. ჭაჭის ამგვარ დადუღებას დიდი ყურადღება უნდა: ჭაჭა და ღვინო დიდ ხანს არ გაიშვება ერთად, მალე უნდა იყოს გადმოღებული; საჭი-



როა დიდი სიფრთხილე, რომ ამ დუღილის დროს ჭაჭას ან ობო და ან პრკე არ მოეკიდოს და ან ღვინო არ დაძმარდეს.

აი როგორ აგვიწერს წყალ-ღვინის მომზადებას საფრანგეთის ერთხელ გამოჩენილი ქიმიკოსი და ეენახის პატრონი შაფთალი:

„როცა, სადუღებელიდან ღვინის გადმოღების შემდეგ, ჭაჭა კარგად არის დაქაჯული, მაშინ ამ ჭაჭას გაჰმლიან, ისევე ჩაპყრიან სადუღებელში და მიუმატებენ შესაფერ წყალს იმ ვარაუდით, რომ იმის რაოდენობა ამ ჭაჭიდან გადმოღებული ღვინის  $\frac{1}{5}$  ან  $\frac{1}{6}$  არ გადასცილდეს. ამ წყალს ერთბაშად არ მიუმატებენ, არამედ ცოტა-ცოტაობით, ჯერ ერთ მეხუთედს ან მეექვსედს; სადუღებელში ნელი დუღილი გაჩნდება; მეორე დღეს კიდევ მიუმატებენ ამოდენავე წყალს და აგრე ბოლომდინ, ვიდრე სულ არ მიემატება გამოანგარიშებული წყალი. სადუღებელში რომ ერთბაშად ჩაესხათ საჭირო სწალი, დუღილი არ გაჩნდებოდა და ჭაჭა დაღებოდა\*). ექვსი ან რვა დღის დუღილის შემდეგ წყალ-ღვინო მზად არის. ახლა სადუღებელიდან გადმოიღებენ და შესანახავ ჭურჭელში ჩაახამენ; ამ ჭურჭელში ღვინო ცოტაოდნად კიდევ შექაფდება და ქაფის გაქრობის შემდეგ ჭურჭელს შეავსებენ, კარგად დაუცობენ და გრილ ადგილს შეინახავენ. თუ შესანახავი ადგილი კარგა გრილია, წყალ-ღვინო მეორე მოსავლამდინ უვნებლად შეინახება, მაგრამ თუ თბილა და სითბომ ღვინოზე იმოქმედა, მაშინ ძალიან მალე წახდება. ამისგამო თუ სარდაფში სითბო მოსალოდნელია, მაშინ ღვინოს გოგირდი უნდა უბოლონ და ან სათბობ ქვებში გაატარონ.“

„წყალ-ღვინოს მაშინ უფრო ცოტა ალკოგოლი ექნება, როცა ყურძენი დამარცვლული იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ღვინოს სუსტი სიმკვლე ექნება და ამისგამო უფრო ბევრი ჭა-

\*) ეს მოვლენა მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როცა მისამატებელი წყალი ცივია; პირიქით, თუ წყალს 25°—28° სითბო აქვს, მაშინ ერთბაშად შეიძლება მთელი წყლის მიმატება; ამ შემთხვევაში ჭაჭის დაღობის შიში ირ უნდა გვქონდეს. ავტ.

ქა დასჭირდება ღვინის ერთისა და იმავე რაოდენობის მოსამზადებლად“.

„ყველაზე კარგი და სანმდო საშუალება წყალ-ღვინის მოსამზადებლად ის არის, რომ ამ წყალ-ღვინოს სხეული მისცენ (de donner du corps à la piquette), ე. ი. მიუმატონ იმისთანა სხეული, რომელიც ჭაჭას აკლია და რომელიც ღვინის დამყენებელია—ესე იგი შაქარი.

„შეთათლის აზრით, შაქრის ან თაფლის და გომიზის მიმატებით (რომლებიც წყალში უნდა იყოს გახსნილი) და დადუღებით ღვინის დაგვარი სასმელი დადგება, მეტადრე თუ ამასთან ცოტაოდენი ღვინის მარილიც არის მიმატებული“.

შეთათლის ფიქრით, ასე მომზადებული წყალ-ღვინო ძალიან კარგი სასმელი იქნება მუშებისათვის და ყოველ ვენახის პატრონს ავალებს ამისთანა ღვინის მომზადებას. აი იმისი სიტყვები: „მემამულენო, იცოდეთ, რომ თქვენნი მოსამსახურენიც ადამიანის შვილნი არიან, რომ იგინი თქვენთვისა მუშაობენ. ურმისოდაც მესაბრალოსნი არიან, რადგანაც მეტი ღონე არა აქვთ და უნდა იმუშაონ მარტო მჟეკლის გასაძღობად და ისეთი ჯამაგირი იღონ, რომელიც სრულიად არ უდრის იმათ ჯაფას; მოიგონეთ, რომ წყალ-ღვინო ერთად-ერთი მათი სასმელია მთელი წლის განმავლობაში; გახსოვდეთ, რომ ვინც კარგად ნაკვები არ არის, ის ცუდად მუშაობს. მაშ თქვენს ჭაჭას ძალიან ნუ დაჰქაჯავთ, უკანასკნელი ნაწური მაინც დასტოვებთ მათთვის და ან ის საშუალება იხმარეთ, რაც მე გირჩიეთ (შაქრის მიმატება)—ხარჯი ისე მცირეა, რომ კაცი მართლა უსულუგულო უნდა იყოს, რომ ამაზედ უარი სთქვას“.

წყალ-ღვინოს ახლა ცოტა სხვანაირად ამზადებენ. მიუნციის მოწმობით, ქვემო საფრანგეთში ეხლა გავრცელებულია ერთგვარი საშუალება ჭაჭიდან ღვინის ამოსაცლელად, რომელსაც ის ეძახის სარწყულის (à l'arrosoir) საშუალებას; ასე მომზადებული სასმელი საკმაოდ შეფერილია, მკვირვალე და საღი ფერისა; სასმელადაც სასიამოვნოა. ამ სასმელს სახელად დაარქვეს პატარა ღვინო (le petit vin); საყოველღეო საშინაო

სახარჯავად ძალიან კარგია. აი როგორ ამზადებენ ამ სასმელს: კარგა წმინდა ქაქას დაფხვიან ანუ გაჭულიან და სადღუღებელში ჩაჰყრიან რიგ-რიგადა, ჯერ პირველ რიგს კარგად დასტკეპნენ ფეხით, შემდეგ მეორე რიგს დააყრიან, რომელსაც აგრედვე დასტკეპნენ და ასე ამ რიგად, ვიდრე სადღუღებელი გაივსებოდეს. კარგი და ერთ-რიგი დასტკეპნა ამ შემთხვევაში მიუცოდებლად საჭიროა, რომ მიმატებულმა წყალმა ყველგან ერთგვარად გაიაროს. სადღუღებელს ძირში ონკანი აქვს და ხან ყალბი ფსკერიც ამ ონკანის ზემოდ. როცა სადღუღებელი ქაქით საესეა, ონკანს მოუშვებენ, რაიმე ქურქელს მიუღვამენ და ქაქას ზემოდან სარწყულით წყალს დაასხამენ, ისე რომ ქაქამთლად დასველდეს. წყლის დასხმას მაშინ შეაჩერებენ, როცა ონკანიდან ღვინო გამოჩნდება. ახლა ათიოდ წუთს შეისვენებენ და კიდევ დაასხამენ ერთ სარწყულს და ყოველ ათ წუთში გაიმეორებენ, ვიდრე ონკანიდან გამონადენ ღვინოს საკმაო ფერი და ალკოგოლი აქვს. როცა ალკოგოლის რაოდენობა 30%-დინ დაიწვეს, მაშინ ახალ ნარეცხს სხვა ქურქელში ჩაასხამენ და იხმარებენ წყლის მაგივრად მეორე ქაქის გასარეცხად. ამ საშუალებით მიუწემა 3,000 ფუთი ქაქიდან მოამზადა:

სულ	90	გეკტოლ.	ღვინო,	რომელშიც	9%	ალკოგ.	იყო.
	102	—	—	—	8	—	—
	120	—	—	—	7	—	—

სულ 312 გეკტოლიტრი

80 ალკოგოლიანი.

აგრე მომზადებულ ღვინოს 17—19 გრ. ექსტრაქტი ჰქონდა და ლიტრში და ღვინო კარგად შესანახავი და გაძლიერ გამოდგა.

წყალ-ღვინის მომზადება ქაქის პირდაპირ წყალში დაღობობითაც შეიძლება. თუმცა წყალ-ღვინის სარწყულით მომზადება სამჯობინარო და ხელ-მოსაცემია და ღვინოც კარგი გამოდის, მაინც ვისაც დიდი მამულები აქვს და ბევრი ქაქა იმათთვის ასე ღვინის მომზადება ძნელი გამოსაყენებელია; აგრედვე არც თეთრი ღვინის ქაქიდან შეიძლება ამგვარად წყალ-ღვინის მომზადება. ამისათვის ხმარობენ ამ მეორე საშუალებას.

ე. ი. რამდენისამე ხნით აღბობენ ქაქას ბლომა თბილ წყალ-ში და დუღილის შემდეგ გამოაცლიან წყალ-ღვინოს. თუმცა ამ საშუალებით მომზადებულ წყალ-ღვინოს ბევრი ალკოგო-ლი არა აქვს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისიც კარგი გამოსა-ყენებელია. აი რა გვარად მზადდება ეს წყალ-ღვინო:

როცა სადუღებელი გავსებულია ქაქით, ძირის ონკანს გა-ამაგრებენ და სადუღებელს გააფცებენ თბილი წყლით (30<sup>0</sup>—35<sup>0</sup>); დუღილი მალე გაჩნდება და, როცა მთლად გათავდება, მაშინ წყალ-ღვინოს გადმოიღებენ, ქაქას საქაჯავში გამოსწორვენ და ამასაც პირველს მიუმატებენ და შეინახამენ გრილ ადგილას. ზოგჯერ ქაქის დაქაჯვის მაგიერად, ამას ხელმეორედ დაასხა-მენ თბილ წყალს და ერთი დღის შემდეგ გადაიღებენ. ამ უკა-ნასკნელს ხმარობენ შემდეგ ახალი ქაქის დასაღობად. ამ-გვარად შეიძლება, როგორც თეთრი ღვინის ქაქის მოხმარება, ისე წითელი ღვინისაც. წითელი ღვინის ქაქას ხანდისხან მე-თოდურად რეცხამენ, მაგრამ ამგვარი ნარეცხი ღვინოდ ვერ გამოდგება და ამისათვის ამაზე მაშინ მოვილაპარაკებ, როცა არაყის გამოხდის საქმეს შევუდგები.

აი კიდევ რაგვარად ურჩევენ წყალ-ღვინის მომზადებას: დაქაჯულ ქაქას ჩაპყრიან ქვევრში ან ბოჩკაში და ზედ დაა-სხამენ ქაქიდანვე გამოქაჯულ ღვინოს და ამასთან იქვე მიუ-მატებენ მიმატებულ ღვინოზე ხუთჯერ თუ ექვსჯერ მეტს წყალს. დუღილი მალე გაჩნდება და რვა დღის შემდეგ სრუ-ლიად დანელდება; მაშინ ქურჭელს შეაფცებენ, გერმეტულად დახურავენ და შეინახავენ. ერთი თვის შემდეგ წყალ-ღვინო სასმელია. ამ ღვინოს ქაქას არ აშორებენ, ამბობენ, უამისოდ ღვინო ძალას დაჰკარგავსო. ჩვენის ფიქრით კი, უფრო ემჯო-ბინება სრული დადუღების შემდეგ ღვინო გადაღებულ იქმნას და ცალკე გრილ ადგილს შენახული; ბოთლებშიაც შეიძლება ამ ღვინის ჩასხმა და შენახვა.

კიდევ ბევრია სხვა რეცეპტები ქაქიდან წყალ-ღვინის მო-სამზადებლად, მაგრამ ჩვენ იმათ აწერას არ შევუდგებით, რა-დგანაც ყოველთვის ნაჩვენებია წყალთან შაქრის მიმატებაც.

შაქრიანი წყლის მიმატებით სულ სხვა ნაირი ღვინო დგება, ეგრედ-წოდებული ჭაჭის ღვინო, რომლის მომზადებასაც ეხლა გავსინჯავთ.

2) ჭაჭის ღვინო ანუ მეორე ღვინო. ჭაჭის ღვინოს ანუ მეორე ღვინოს იმისთანა სასმელს ეძახიან, რომელიც დაყენებულია ჭაჭაზე წყლის და შაქრის მიმატებით და ხელმეორედ დადუღებით. ამ ჭაჭის ღვინოებსაც სხვა-და-სხვა გვარად ამზადებენ და მათ შორის ჩვენ აქ გავარჩევთ პეტიოს (Petiot), Bizzarri's, ოტავის (Ottavi), გალლის (D-r Gall) და კარპენეს (Carpené) საშუალებათა.

პეტიოს საშუალება. 1854 წელს ერთმა ბურგუნდელმა მემამულემ პეტიომ გამოაცხადა შემდეგი: „რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ იმ სასმელს, რომელიც ღვინის სახელის ღირსია, მხოლოდ ყურძენს შეუძლიან გადასცეს ყველა იმას შემადგენელი ნივთიერებანი, ამისათვის ამ ვაზის ხილზე, ე. ი. ყურძენზე მოვახდინე ჩემი გამოცდილებანი. ამ გამოცდილებათა მიზანი იყო მომეზადებინა იმისთანა სასმელი, რომ სრულიად ჰგვანებოდა იმ ბუნებურს ღვინოს, რომელიც ყურძნიდან არის დაყენებული. ჩემი სურვილი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ასრულებული, როცა ჩემგან მომზადებული სასმელი თავისის თვისებით, ღირსებით და ბუკეტით სრულიად დაემსგავსებოდა ბუნებურს ღვინოს და რომელიც ღვინოსავეთ გაკეთდებოდა და გაუმჯობესდებოდა შეძველებით“.

თვისის სურვილის საბუთად პეტიოს მოჰყავს ის გარემოება, რომ ყურძნის წვენმა დუღილით ჭაჭიდან სრულიად და მთლად არ ამოიღო ყველა ის სასარგებლო ნივთიერებანი, რომელიც ჭაჭაში არის და ღვინის მასალას შეადგენს. ჭაჭაში ბლომად დარჩენილია საფერავი, მარილოვანი სხეულები, ექსტრაქტული ნივთიერებანი და ალკოგოლი; თუ ჭაჭა არ მოვიხმარეთ, ეს სასარგებლო ნივთიერებანი ტყუილ-უბრალოდ დაიკარგება. ამას გარდა ჭაჭაში არის დარჩენილი აგრედვე კარგა ბლომად დუღილის დედაც, რომელსაც შეუძლიან არა ერთხელ კიდევ დაადუღოს ტკბილი ანუ შაქრიანი წყალი, თუ

კი მიემატება. ამგვარ მოსახრების შემდეგ, პეტრო გამოცდასაც შეუდგება და 1854 წელს იწყებს გამოკვლევას და, როგორც თითონ ამბობს: „ამ გამოკვლევათა შედეგმა ბევრად გადაჭარბა ჩემს მოლოდინსა და იმედს“. ამ გამოცდისათვის პეტრომ აიღო იმდენი შავი ყურძენი პინო (Pinots noirs), რომელსაც ჩვეულებრივი დუღილით 60 გექტოლიტრი ღვინო უნდა მოეცა და ამ 60 გექტოლიტრის მაგივრად იმან მოამზადა 285 გექტოლი., ე. ი. ხუთჯერ უფრო მეტი ღვინო. ამ შემთხვევაში პეტრო აი როგორ მოიქცა:

დაქყლეტილი ყურძენი ჩაჰყარა საღუღებელში და დუღილის წინად გადაიღო მთელი ტბილი და ცალკე დაადულა; ამგვარად დადგა ცოტათი შედგებილი თეთრი ღვინო, კარგი და ნაზი, რომლის რაოდენობაც 45 გექტოლიტრს შეადგენდა (როგორც უკვე ვიცით, თეთრი ღვინის დაყენების დროს მხოლოდ  $\frac{3}{4}$  ტბილი ეცლება ჭაჭას და  $\frac{1}{4}$  კი ჭაჭაში რჩება). საღუღებელში დარჩენილ ჭაჭას მიუმატა 50 გექტოლიტრი შაქრიანი წყალი (თითო გექტოლიტრ წყალში 18 კილო შაქარი დააღწო) და დაადულა. სამი დღის შემდეგ საღუღებელიდან გადაიღო 50 გექტოლიტრი კარგად შეფერილი წითელი ღვინო. ამგვარი ოპერაცია ამავე ჭაჭაზე პეტრომ რამდენჯელმე გაიმეორა: მეორედ აიღო 55 გექტოლიტრი შაქრიანი წყალი (თითო გექტოლიტრზე 22 კილო შაქარი) და დუღილის გათავების შემდეგ გადაიღო ამდენივე ღვინო, ესე იგი 55 გექტოლიტრი. მესამედ აიღო კიდევ იმდენივე შაქრიანი წყალი (55 გექტოლიტრი) უფრო ტბილი (თითო გექტოლიტრზე 25 კილო შაქარი) და დუღილის შემდეგ ღვინო გადაიღო და ჭაჭა გამოქაჯა—გამოვიდა 60 გექტოლიტრი ღვინო. დაქაჯულ ჭაჭას კიდევ მიუმატა 35 გექტოლიტრი შაქრიანი წყალი და დუღილის შემდეგ გადაიღო 30 გექტოლიტრი ღვინო. ამას გარდა პირველი თეთრი ღვინო 90 გექტოლიტრიან ჭურჭელში ჩაასხა და აქაც მიუმატა 45 გექტოლიტრი შაქრიანი წყალი (თითო გექტოლიტრზე 18 კილო შაქარი).

ამ გამოცდილებით, პეტროს სიტყვით, აი რა აღმოჩნდა:

„ფუჯალის შესახებ. ოთხსავე ცდაში დუდილი ძლიერი და გაცხოველებული იყო და მათში უკანასკნელი უფრო მაღლე გათავდა, ვიდრე პირველი“.

„ფერის შესახებ. ამ ოთხს ღვინოში მესამეს უფრო მუქი ფერი ჰქონდა და მეოთხეს, დაქაჯულის ქაჭის ღვინოს კი ყველაზე სუსტი. მესამე ღვინო ისეთის მუქის ფერისა დადგა, რომ ჩვეულებრივი დუდილით დაყენებულ ღვინოს ბევრად სჯობდა“.

„ალკოგოლის შესახებ. თეთრ ღვინოს 12% ალკოგოლი ჰქონდა, მეორეს (როცა გეკტოლიტრზე 18 კილო შაქარი იყო ხმარებული)—13%, მესამეს—15% და მეოთხეს—17% ალკოგოლი“.

„ბუკეტის მხრით. შაქარ-წყლის ღვინოებს უფრო სუსტი სიმკვავე ჰქონდათ, ვინემ თეთრ ღვინოს და ალკოგოლი კი მეტი; შაქარ-წყლის ღვინოები უფრო ნედლი ღვინოები იყო და ამის გამო უფრო სასიამოვნო სასმელი; ბუკეტიც ამავე ღვინოებს უფრო სასიამოვნო ჰქონდათ“. ერთი სიტყვით, პეტის აზრით, შაქარ-წყლის ღვინო უფრო კარგი გამოდგა.

გამძლეობის და შენახვის მხრით. პეტია ამოხსნა, რომ შაქარ-წყლის ღვინო უფრო გამძლე ღვინო იყო, ვიდრე ბუნებურიო. შაქარ-წყლის ღვინოები ერთი წლის დამლევს ბოთლებში იყო ჩასხმული და შენახული; ზოგი ბოთლი დაცობილი იყო და ზოგი კი ახდილი. გამოცდილება გაგრძელდა სამი თვე და ამ ხანში ღვინოები ხშირად იქმნა გასინჯული და დაქაშნიკებული; არავითარი ნაკლი არ დაეტყო; ამ დროს განმავლობაში ღვინო სრულიად მკვირვალე და საღი ფერისა დარჩა; არც პრეე მოეკიდა და არც ძმრის სუნი დასტყობია. ამგვარი გამძლეობის შესამოწმებლად პეტომ რამდენიმე ბოთლი ამ ღვინისა ძალიან შორს გაგზავნა, ახალ ორლეანში (Nouvelle Orlean). ეს მგზავრობა ღვინომ კარგად აიტანა და დანიშნულ ადგილას სრულიად საღად და კარგად მიადწია.

პეტომ თავისი გამოცდილება მეორე წელიწადსაც (1855 წ.) გაიმეორა უფრო ვრცლად და მოამზადა 3,000 გეკტოლიტრი შაქარ-წყლის ღვინო და ამ წელსაც იმის გამოცდილებას ისე-



თივე კარგი შედეგი ჰქონდა, როგორც წინად. თავისი საშუალება იმან სხვასაც ასწავლა და ყველა დარწმუნდა, რომ სასარგებლო იყო. სხვათა შორის, იმას მოჰყავს საფრანგეთის გამოჩენილი ქიმიკოსის ტენარის (Thenard) სიტყვები, რომელთაგანაც სჩანს, რომ ამგვარად მომზადებული ღვინო, ვითომ, უფრო კარგი იყოს ბუნებურს ღვინოზე. პეტეო ამას კიდევ უმატებს შემდეგს: „მე ბევრს ვუჩვენე 1854 წელს მომზადებული შაქარ-წყლის ღვინოები და ყველას ძალიან მოეწონა და ბუნებურს ღვინოებიდან ვერ გამოარჩიეს“.

ჩვენის ფიქრით, პეტეოს ამგვარი აზრი გაზვიადებული უნდა იყოს; თუ მართლა მისი დაყენებული შაქარ-წყლის ღვინოები კარგი ღვინოებისა იყო, ეს მაინც იმის დასამტკიცებელი არ არის, რომ ყოველი ჰაჰა პეტეოსთანა ღვინოებს მოგვცემს. მკითხველების ყურადღებას აქ ჩვენ იმასაც მივაქცევთ, რომ იმ დროის მოსაველი, როცა პეტეო ასეთს ცდას ადგა, ე. ი. 1854 წლის ყურძენი ყოველის მხრით შესანიშნავი და განსაკუთრებულის ღვინოებისა იყო.

მეცნიერებმა შემდეგ ვრცლად გამოიკვლიეს ეს საგანი და დარწმუნდნენ, რომ ბუნებურსა და ჰაჰის ღვინოებშიაც დიდი განსხვავება არის და თითონ ჰაჰის ღვინოებშიაც პირველი ნაღული უფრო კარგია, ვიდრე შემდეგი ნაღულები; მეორესა და მესამე ნაღულს ძალიან აკლია ღვინის შემადგენარი ნივთიერებანი და განსაკუთრებით ტანინი, ფერი და ექსტრაქტული ნივთიერებანი.—რაც შეეხება ბუნებურ ღვინის და ჰაჰის ღვინის შედარებას, აქაც დიდი განსხვავებაა და პირველი ადგილი, რასაკვირველია, ბუნებურ ღვინოს უჭირავს. მაგრამ, თუ ღვინო დაყენებულია მოუსვლელო ყურძნიდან და ამასთანავე ამავე ყურძენს ცალკე საღულებელში შაქარი აქვს მიმატებული, მაშინ, რასაკვირველია, შაქარ-მიმატებული ყურძნისა უფრო კარგი ღვინო დადგება. იმას კი ვერ დაუვიჯერებთ, რომ, თუ ყურძენი კარგად არის დამწიფებული, მითომ მისი ღვინო უფრო დაბალი იყოს შაქარ-წყლიან ღვინოზე.

ამ საგნის მეცნიერულად გამოკვლევა პროფესორმა ჟირარმა (Aimé Girard) იკისრა და გაარჩია ურთიერთი შედეგნილობა, როგორც ბუნებურ ღვინისა, ისე ჭაჭის ღვინისა. ამისათვის საფრანგეთის სხვა-და-სხვა მხრიდან მოითხოვა გამოქაჯული ჭაჭა და ამ ჭაჭებზე თითონ დააყენა შაქარ-წყლის ღვინოები. ეს ღვინოები შეუდარა იმავე ჭაჭაზე დაყენებულ ბუნებურ ღვინოებს. ჟირარი აი რას ამოხსნა თავის გამოკვლევის შესახებ:

„ამ ჭაჭების შემწვობით მოვამზადე ღვინოები საანალიზოდ. რადგანაც იძულებული ვიყავ ცოტა ჭაჭა მეხმარა საცდელად (6 ან 8 ლიტრი ყოველი დუღილისთვის) და მეშინოდა, გარეგანი ტემპერატურის ზედმოქმედებას არ შეეფერებინა დუღილის მსვლელობა, ამისათვის ყველა გამოცდილება მე მოვახდინე ერთს გამთბარ ოთახში, სადაც ტემპერატურა 22<sup>0</sup>—26<sup>0</sup> იყო. ამ ოთახში ჩამოვამწკრივე ჭაჭის სადუღებელი ჭურჭლები, რომლებიც საჰიდრატული საცობლებით იყვნენ დაკობილნი; ამ ჭურჭლებში იყო ჩასხმული ჭაჭა და შაქრიანი წყალი. ამ გარემოებაში დუღილი კარგად სწარმოებდა და ერთსა და იმავე დროს გათავდა,—მეშვიდე დღეს“.

„ჩემი პირველი ცდა იმაზედ იყო მიმართული, რომ მომეზადებინა იმისთანა მეორე ღვინოები, რომლებსაც ჩვენი ვენახის პატრონები ამზადებენ ჭაჭაზე იმოდენი შაქრიანი წყლის დასხმით, რამოდენი ღვინოც (ბუნებური ღვინო) ჭაჭიდან იყო გადაღებული. ამისათვის თითო ლიტრ წყალზე, რომელშიც 180 გრამი შაქარი იყო გახსნილი, ავიღე 250 გრამი გამოწურული ჭაჭა (დაქაჯული). დაყენებულ ღვინოს 10<sup>0</sup> ალკოგოლი უნდა გასჩნოდა. დუღილი მალე გაჩნდა და კარგად წავიდა და მალეც გათავდა; როცა დუღილი შეწყდა, ღვინოები გადაღებულ იქმნა და შენახულ სარდაფში 15 მარტამდე; ახლა სხვა ჭურჭელში იყო გადაღებული თხლის მოსაცილებლად და ბოთლებში ჩასხმული საანალიზოდ. ამავე დროს მე გავსინჯე ის ღვინოებიც, რომლებიც ვენახის პატრონებმა ამავე ჭაჭაზე დააყენეს ტკბილისგან.“

„ამ ღვინოებში გავარჩიე ალკოგოლის რაოდენობა და განსაკუთრებით ის ნივთიერებანი, რომლებიც ამ ღვინოების დროს ქაჭიდან არიან ამოღებულნი: ექსტრაქტი, ღვინის მარილი, ტანინი და საფერავი.

აი შედეგი ამ გამოკვლევისა:

ბუნებურ ღვინის და ქაჭის ღვინის შედარებითი შედგენილება:

სხვა-და-სხვა ადგილის ღვინოები	ალკოგ. ტანინი.	ექსტრაქტი.	ღვინის მარილი.	ტანინი და საფერავი.	ფერის მაღა.
<b>ბორდოს ღვინო (Haut medoc)</b>					
ბარდი (la Barde) ურძ. ღვინო	12,8	2,08	0,24	0,362	100
ქაჭის ღვინო	11,30	1,913	0,108	0,148	23,8
კანტენაკი (Cantenac) ურძ. ღვინო	11,75	3,04	0,242	—	100
ქაჭის ღვინო	10,1	1,78	0,205	0,080	17,2
<b>ბურგონიის ღვინო (Gonne)</b>					
ეპინეილი (Epineuil) ურძ. ღვინო	10,6	2,11	0,268	0,278	100
ქაჭის ღვინო	10,4	1,74	0,177	0,0413	17,5
<b>შერის ღვინო (vin de Cher)</b>					
მონრიშარი (Montrichard) ურძ. ღვინო	9,30	2,76	0,3215	0,286	100
ქაჭის ღვინო	10,5	1,37	0,182	0,0320	36,2
<b>ჰერალტის ღვინო (vin de l'Herault)</b>					
კაპესტანგი (Capestang) ურძ. ღვინო	8,5	2,17	0,282	0,106	100
ქაჭის ღვინო	11,30	1,13	0,160	0,300	55,5
<b>იზერის ღვინოები (vin de l'Iser)</b>					
ტულეინის (Tulleins) ურძ. ღვინო	9,8	2,52	0,2415	0,2666	100
ქაჭის ღვინო	9,1	1,57	0,189	0,120	51,5

აი რა დასკვნა გამოდის ამ ანალიზებით:

1) ქაჭის ღვინოებს, როცა მათი ალკოგოლი 9°—10°, უფრო ცოტა ექსტრაქტი აქვთ, ვიდრე იმავე ურძის ღვინოებს და შეადგენენ მხოლოდ 50%—75%/0; მათი ექსტრაქტის რაოდენობა ლიტრში 14 გრამზე ძირს არ იწევს და 18 გრამზე მაღლა არ აღის.

2) ღვინის მარილიც სუსტია ბუნებურ ღვინოებთან შედარებით; 2 გრამს უახლოვდება ლიტრში და 1,60 გრ. ძირს არ იწევს.

3) საფერავი და ტანინი ცოტაა ჭაჭის ღვინოში, ვიდრე იმავე ყურძნის ღვინოში—ხან ნახევარს ძლივს შეადგენს და ხან  $\frac{4}{5}$  ადის.

4) ფერის ძალა (l'intensie) ყოველთვის ბუნებურ ღვინის ფერზე სუსტია და ხან შეადგენს ნახევარს და ხან ძლივს მეოთხედს.

ამასთან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ამ გამოცდის დროს დაქაჯული ჭაჭა იყო ნახმარი, რომელშიაც, რასაკვირველია, უფრო ცოტაა ექსტრაქტული ნივთიერებანი, ვიდრე იმისთანა ჭაჭაში, რომელიც დაქაჯული არ არის. ჭაჭის ღვინოები ამ უკანასკნელ გარემოებაში მომზადებული უფრო დიდად უახლოვდებიან თავიანთი შედგენილებით ყურძნის ბუნებურ ღვინოებს. ამ შემთხვევაში ისიც საგულისხმოა, რომ თუ ჭაჭას კლერტი ურევია, მაშინ დაყენებული ღვინო უფრო მდიდარია ექსტრაქტულ ნივთიერებით. ჟირარმა გასინჯა ამ მხრით ბორდოული ჭაჭა, რომელშიაც ნახევრამდინ კლერტი იყო და აღმოჩნდა შემდეგი:

	ალკოგოლი ტანინი.	ექსტრაქტი.	ღვინის მარილი.	ტანინი და საფერავი.	ფერის ძალა ბუნებურ ღვინოსთან შედარებით
ბორდო. კლერტიანი ჭაჭის ღვინო . . . . .	9,38	2,63	0,198	0,355	25%
იგივე ოთხი თვის შემდეგ გადაღებული . . . . .	9,0	1,88	0,119	0,201	15%

ერთის წლის შემდეგ ბორდოში ვრცლად და გულ-დასმით გამოიკვლია შაქარ-წყლის ღვინოები კარლმა (P. Carles); რომელიც იმ აზრის არის, რომ ჰიგიენის მხრით მეორე ღვინო, ესე იგი ჭაჭის ღვინო, სუსტი და უჯანო სასმელიაო. ქიმიურის მხრითაც, იმის სიტყვით: „ჭაჭის ღვინოს ბუნებურ ღვინის მხოლოდ ცოტაოდენი თვისება აქვს. ჭაჭის ღვინო უფრო სუსტია, ცოტა ალკოგოლი და ექსტრაქტი აქვს და ამ ექსტრაქტის შემდგენელ ნივთიერებათა შორის უფრო შემცირებულია გომიზი და ღვინის მარილი; არც გლიცერინია საკმაო, აგრედვე ტანინი და საფერავი—ერთის სიტყვით, სწავლულიც ისეთსავე აზრს ადგია, როგორსაც ჟირარი დაადგა.

აი მაისის ანალიზების სქემა:

ღვინოები	ალკოგ. 0/100 ცხელი	ექსტ. 100/100 დაბ. გამ.	გლმოზი	ღვინის მ- რილი	გლიცერო- ნი	შაქარი - გლიცოზა	ნაცარი	ფოსფორის ნაწილი	კალიუმი
ფინიდა ყურ. ღვინო	10,80	2,62	0,43	0,26	0,715	0,28	0,23	0,032	0,106
შაქრის ღვინო	8,50	1,45	0,13	0,208	0,57	0,0	0,185	0,0192	0,076
ყოფილი ღვინო	10,30	2,09	0,250	0,270	0,728	0,102	?	0,0364	?
ქაქის ღვინო	7,60	1,26	0,132	0,155	0,521	0,215	0,220	?	?
ყოფილი ღვინო	10,50	2,315	0,245	0,302	0,700	0,310	0,260	0,0346	0,112
ქაქის ღვინო	7,80	2,01	0,210	0,225	0,553	0,150	0,250	0,0190	0,052
ყოფილი ღვინო	10,20	2,42	0,255	0,175	0,715	0,205	0,180	0,0220	0,099
ქაქის ღვინო	8,60	1,382	0,140	0,357	0,465	0,160	0,142	0,0185	0,075
ყოფილი ღვინო	11,0	2,51	0,320	0,340	0,720	0,245	0,210	0,0299	?
ქაქის ღვინო	8,50	1,74	0,093	0,210	0,510	0,110	0,190	0,0185	?
ყოფილი ღვინო	10,00	2,51	0,365	0,375	?	0,405	0,270	0,0545	0,101
ქაქის ღვინო	9,50	1,26	0	0,325	?	0,095	0,125	0,0220	0,075
ყოფილი ღვინო	11,10	2,129	0,21	0,275	0,775	0,210	0,185	0,0445	0,095
ქაქის ღვინო	9,0	1,16	0,190	0,220	0,46	0,130	0,2150	0,0128	0,0804
ყოფილი ღვინო	11,20	2,34	0,316	0,425	0,383	?	0,175	0,0410	0,0697
ქაქის ღვინო	9,30	1,35	0,215	0,28	0,57	0,185	0,160	0,0335	?
ყოფილი ღვინო	11,25	2,49	0,336	0,34	0,352	0,290	0,235	0,0520	0,110
ქაქის ღვინო	8,8	1,76	0,205	0,26	0,361	0,185	0,230	0,040	0,00
ყოფილი ღვინო	10,30	2,34	0,353	0,37	0,72	0,156	0,205	0,0455	0,092
პირე. შაქ. ღვინო	8,65	1,21	0,130	0,34	?	—	0,105	0,0320	0,064
მეორე შაქ. ღვინო	8,50	1,08	0,060	0,750	?	—	0,160	0,0176	0,055
ყოფილი ღვინო	10,30	2,58	0,350	0,325	0,790	0,251	0,225	0,0466	0,104
ქაქის ღვინო	7,75	1,30	0,130	0,219	0,600	0,1050	0,180	0,0225	0,080
ყოფილი ღვინო	11,20	2,61	0,220	0,309	0,710	0,290	0,260	0,0468	0,106
შაქრის ღვინო	8,00	1,212	0,11	0,261	0,685	0,1030	0,190	0,0197	0,072

„ამ ქაქის ღვინოებს თითქმის ყველას ერთგვარი და დაახლოებული შედეგნილება აქვთ და, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში იმდენს აყენებენ, რომ ძალიან საშიშოა, რადგანაც დიდს კონკურენციას უწევენ ბუნებურ ღვინოებს; მაგრამ თუ მეღვინენი მხოლოდ პარველ ქაქის ღვინოს დააყენებენ და ამავე სახელით გაჰყიდნიან, მაშინ ის საქმე შესაწყნარებელი იქნება“. ჩვენში მგონია ამგვარი ღვინოების დაყენება ძლიერ არ გავრცელდეს, რადგანაც ჩვენში აშგვარ ღვინოებისთვის სახმარი შაქარი განთავისუფლებული არ არის აქციონსაგან, მაშასადამე, კარგა ძვირია.

სამწუხაროდ, მესამე და მეოთხე ქაქის ღვინოების ანალიზი არ მოუხდენიათ, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რა დიდი განსხვავებაა ჟირარის პირველი და მეორე ქაქის ღვინოებში, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, რომ მესამე და მეოთხე ღვინოებში უფრო ცოტა იქნება ექსტრაქტული ნივთიერება და საფერაფეა და, მაშასადამე, უფრო დაბალის ხარისხისა იქნება. მართალია, ეს ღვინოებიც აღკოგოლიანი სასმელებია, მაგრამ მათი ყუათი და სიცხოველე ვერას დროს ვერ შეედრება კარგი ყურძნის ღვინოს. ჩვენის აზრითაც, ყოველი ვენახის პატრონი უნდა დაკმაყოფილდეს პირველ ქაქის ღვინოს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ეს ღვინო სახლში სახარჯო ღვინო იქნება და ქაქის სხვანაირად გამოყენება არ შეიძლება.

Bizzarri's ჩვეით ასე ამზადებენ ქაქის ღვინოს: საღებლიდან ღვინის გადაღების შემდეგ ქაქას საქაჯავში არ ატარებენ, როგორც ჩვეულებრივ, არამედ ცოტად დასტკეპნიან, რომ მთელი ნაწრეტი ღვინო გამოვიდეს და დაჩენილ ქაქას დაასხამენ შაქარ-ნარვეს წყალს, რომლის რაოდენობაც  $\frac{2}{3}$  უნდა იყოს გადაღებული ღვინისა, ასე რომ თუ ღვინო 90 ჩაფი იყო, მისამატებელი წყალი 60 ჩაფი უნდა იყოს (თითო ჰექტოლიტრ წყალში გახსნილია 10—12 კილო შაქარი და 200—250 გრამი ღვინის სიმჟავე). ჯერ მისამატებელ წყალს გაათბობენ 24°-დინ, მიუმატებენ შაქარს და სიმჟავეს და ასევე თბილს ზედ დაასხამენ საღებულში მყოფ ქაქას, კარგად აურევენ და

დაადუღებენ; დუღილი ძალიან მალე დაიწყება და მალევე გათავდება; გათავების შემდეგ ღვინოს გადმოიღებენ. ამ ღვინოს ისეთივე მოვლა დასჭირდება, როგორც ტკბილის ღვინოს. თუ ამ ღვინის დიდის ხნით შენახვა უნდათ, მაშინ საჭიროა კარგი ალკოგოლის მიმატება, თითო ჰექტელიტრ ღვინოზე ნახევარ ლიტრი ალკოგოლი, რომელშიაც ცოტაოდენი ტანინი უნდა იყოს გახსნილი (ლიტრში სამი გრამი). ამ სწავლულის აზრით, ალკოგოლის მიმატებას ის ეწეობინება, რომ მიმატებულ წყალში უფრო ბევრი შაქარი იყოს გახსნილი (15—16 კილო თითო ჰექტოლიტრში).

**ოტავის (Ottavi) საშუალება.** აი თითონ ოტავი რას ამოზს თავის საშუალების შესახებ: „მე ჩვეულებად მაქვს ასე მოვიქცე: ჯერ ბუნებურ ღვინოს ვაყენებ და გადმოღების შემდეგ ჰაქას ხელს არ ვახლებ, მხოლოდ უმატებ იმოდენსავე წყალს, რამდენიც ღვინო იყო გადაღებული; ამ წყალში შაქარი და ღვინის სიმკავეა გახსნილი (ჰექტელიტრში 18 კილო შაქარი და 200 გრამი სიმკავე). ჰაქას და მიმატებულ წყალს კარგად ავარევენ, რომ ჰაერი ბლომად შეერიოს და დუღილის დედა გააცხოველოს; ამის მაგივრად ჰაერის ჩაბერვაც შეიძლება; სადუღებელში წყალის ტემპერატურა 25°-უნდა იყოს. დუღილის გათავების შემდეგ ამას ვუმატებ გადაღებულ ბუნებურ ღვინის ნახევარს. აქვე ვუმატებ ჰაქიდან გამოწურულ ღვინოსაც, თუმცა მთლად არა, — ერთი ნაწილი, მცირედი ბუნებურ ღვინოს უნდა მივმატოს“.

ჩვენის აზრით, ამ საშუალების ხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყურძნის ღვინო მაღალის ღირსებისა არ არის; უამისოდ ეს კარგი ღვინის დამდაბლება და წახდენა იქნება.

**გალლის (D-r Gall) საშუალება.** როცა ტკბილის შეკეთებას ვასწორებაზე ვლაპარაკობდით, მაშინაც ვუჩვენეთ ეს საშუალე-



ბა ტკბილში სიმჟავის შესამცირებლად და ამას ისიც დაეუმატეთ, რომ კარგი ბუნებური ღვინის დასაყენებლად ეს საშუალება გამოსადეგი არ არის. მაგრამ თუ ცუდად დამწიფებული ყურძნის ღვინოს ჭაჭის ღვინოს მიეუმატებთ, მაშინ გალლის საშუალება გამოსადეგი იქნება.

გალლის აზრით, ნორმალური ტკბილის შედგენილება ასეთი უნდა იყოს:

წყალი	75,4%
შაქარი	24,0—
და სიმჟავენი	0,6—

ამის მიხედვით, თუ რომელსამე ტკბილში 1,2% სიმჟავე არის და ამ ტკბილის ტოლა წყალს მიეუმატებთ, მაშინ იმის სიმჟავე 0,6%-დინ დაიწევს; თუ მიმატებულ წყალს იმდენ შაქარსაც მიეუმატებთ, რამდენიც ნორმალურ ტკბილში უნდა იყოს, მაშინ დაყენებულ ღვინოს ალკოგოლის რაოდენობაც კარგი ექნება. მაშასადამე, ნორმალური ტკბილის შესადგენად საჭიროა, რომ შაქრის, წყლის და სიმჟავეთა რაოდენობა შეუტოლდეს გალლისაგან ნაჩვენებ შედგენილებას. (როგორც არაერთხელ გვითქვამს, ნორმალური ტკბილისთვის საკმარისია 20% შაქარი და ამიტომ გალლისგან ნაჩვენები შაქრის რაოდენობა ჩვენ ბევრი გვეონია).

როგორც წინადაც ვუჩვენეთ ტკბილის გასწორების შესახებ ლაპარაკის დროს, ამის გამოანგარიშება ძნელი არ არის, მაგრამ უფრო მოსახერხებელი და ადვილი იქნება, თუ აქ მოვიყვანთ წინადადეგ გამოანგარიშებულ სქემას. ერთი სქემა გამოანგარიშებულია იმ ვარაუდით, რომ ტკბილში 20% შაქარი იყოს და 0,6% სიმჟავე, და მეორე, როცა შაქარი 18% და სიმჟავე 0,6%-ია.

სქემ, რომლის შემოქმედებაც შეიძლება ტვილიან და შექმნას 200/0 და სიმკვთაა შეტვილიან 0,16<sup>0</sup>/0-დინ.

	12% შაქარი		13% შაქარი		14% შაქარი		15% შაქარი		16% შაქარი		17% შაქარი		18% შაქარი		19% შაქარი		20% შაქარი	
	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს	საფილე უხმო	-ინა სყდოს
12გ.	28,3	72,1	27,38	73,90	26,77	74,30	25,16	75,30	24,15	76,30	23,34	77,30	22,33	78,30	21,32	79,30	20,31	80,30
11-	25,3	58,7	24,3	59,7	23,3	60,7	22,2	61,7	21,1	62,7	19,90	63,7	18,9	64,7	17,8	65,7	16,7	66,7
10-	2,0	45,3	20,55	46,3	19,8	47,3	18,7	48,3	17,5	49,3	16,5	50,3	15,4	51,3	14,3	52,3	13,2	53,3
9-	18,5	32,0	17,77	33,0	16,96	34,0	15,95	35,0	14,45	36,0	13,33	37,0	12,22	38,0	11,31	39,0	10,0	40,0
8-	15,5	18,7	14,4	19,7	13,3	20,7	12,2	21,7	11,1	22,7	10,0	23,7	8,99	24,7	7,8	25,7	6,7	26,7
7-	12,7	5,3	11,0	6,3	9,9	7,3	8,8	8,3	7,7	9,3	6,6	10,3	5,3	11,3	4,3	12,3	3,3	13,3
6-	8,1	-	7,16	-	6,35	-	5,4	-	4,8	-	3,2	-	2,1	-	1,1	-	0,2	-

სქემს, რომლის შემწობითაც შეიძლება ტკბილის დაშაქრვა  
18<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დინ და სიმუყეთა შექცირება 0,6<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დინ

სიმუყეთა ლიტრში	12 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი		13 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი		14 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი		15 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი		16 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი		17 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი		18 <sup>0</sup> / <sub>0</sub> შა- ქარი	
12	24,0	76,0	23,5	77,0	22,5	78,0	21,5	79,0	20,2	80,0	19,2	81,0	18,0	82,0
11	21,5	63,5	20,5	64,5	19,5	65,5	18,5	66,5	17,2	67,5	16,1	68,5	15,0	69,5
10	18,5	48,5	17,5	49,5	16,5	50,5	15,5	51,5	14,2	52,5	13,2	53,5	12,0	54,5
9	15,5	35,0	14,5	36,0	13,5	37,0	12,5	38,0	11,2	39,0	10,2	40,0	9,0	41,0
8	12,5	21,5	11,5	22,5	10,5	23,5	9,5	24,5	8,2	25,5	7,2	26,5	6,0	27,5
7	9,5	7,5	8,5	8,5	7,5	9,5	6,5	10,5	5,2	11,0	4,2	12,5	3,0	13,5
6	6,5	—	5,5	—	4,5	—	3,5	—	2,2	—	1,1	—	0,2	—

ამ სქემებით აი როგორ უნდა ვისარგებლოთ: წარმოვიდგი-  
ნოთ, რომ ტკბილში 11<sup>0</sup>/<sub>0</sub> სიმუყევა და 17<sup>0</sup>/<sub>0</sub> შაქარი; თუ გვინ-  
და, რომ ამ ტკბილში შაქრის რაოდენობა გახდეს 20<sup>0</sup>/<sub>0</sub> და სიმუყევი  
6<sup>0</sup>/<sub>00</sub>, პირველ სქემაში უნდა მოვძებნოთ 17<sup>0</sup>/<sub>0</sub> შაქარი და აქე-  
დან პირდაპირ ჩამოვიწიოთ იმ სტრიქონამდინ, რომელსაც თავ-  
ში 11<sup>0</sup>/<sub>0</sub> სიმუყევი უზის—ამით შევიტყობთ, რომ ტკბილის თი-  
თო ას ლიტრზე 19 კილო შაქარი და 63,7 ლიტრი წყალი  
უნდა მივმატოთ; თუ უნდათ, რომ ტკბილის 18<sup>0</sup>/<sub>0</sub> შაქარი ჰქონ-  
დეს, მაშინ მეორე სქემით ისარგებლებენ ამავე გვარად—ენა-  
ხვით, რომ იმ სტრიქონში, რომელსაც თავში უზის 11<sup>0</sup>/<sub>00</sub> სიმ-  
უყევი, 17<sup>0</sup>/<sub>0</sub> შაქრის ქვეშ იქნება 16,1 კილო შაქარი და 68,5  
ლიტრი წყალი. კიდევ ბევრია სხვა გვარი საშუალება ქაქის  
ღვინის დასაყენებლად, მაგრამ, ჩვენის ფქრით, წინაღ მოხსე-  
ნებულნიც საკმარისნი არიან.

რაც შეეხება ამ ღვინოების მოვლას და შენახვას, ამაზე-  
დაც ბევრს არაფერს ვიტყვით, რადგანაც ამ ღვინოებსა ისე-  
თი მოვლა და შენახვა უნდა, როგორც ყურძნის ტკბილის  
ღვინოს. აქ მხოლოდ იმას მივაპყრობთ მკითხველების ყურა-  
დლებას, რომ ყველა სახმარებელი მასალა ამ ღვინოების დასა-  
ყენებლად დიდის ყურადღებით უნდა იყოს ამორჩეული და

მომხარებული; როგორც წყალი, ისე შაქარი და თითონ ჭა-  
ჭაც ამგვარ ყურადღებას თხოულობენ:

სახმარი წყალი მკვირვალი უნდა იყოს, კარგი სასმელი  
და წმინდა; არავითარი სუნი არ უნდა ჰქონდეს; წყაროს  
წყალი და ან მდინარისა უფრო სახმარებელია; ჭის წყალის  
ხმარება მოსარიდებელია, თუ მეტადრე კირის მარილულობა  
ბევრი აქვს,—ეს დუღილს შეაფერხებს. შაქრის ამორჩევასაც  
დიდი ყურადღება უნდა: თუ კოლონიის შაქარი მოიპოვება,  
ეს ემჯობინება და, თუ არ არის, მაშინ ჭარხლის შაქრის ხმა-  
რებაც შეიძლება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ძალიან წმინდა  
იყოს და მეტადრე ლილით არ იყოს შეფერილი. თითონ ჭა-  
ჭა სრულიად სალი უნდა იყოს, დაშავებული არ იყოს სხვა-  
და-სხვა სენით. მეტადრე ძმრის სუნი არა ჰქონდეს და არც  
ობი ჰქონდეს მოკიდებული.

**თხლეზე დაყენებული ღვინა.** ჩვენ წინაღ უკვე ვუჩვენეთ  
თხლის შედგენილება და ვიცით, რომ ამ თხლეში ღვინის მა-  
რილის და სადუღებელ დედის გარდა, ღვინოც ბევრია დარ-  
ჩენილი და არც საფერავი აკლია. ამისათვის ეს თხლეც გამო-  
დგება შაქარ-წყლის ღვინის დასაყენებლად. აი როგორ გვირ-  
ჩვენ სწავლულნი თხლეზე ღვინის დაყენებას: 10 ან 15 ლიტრ  
თხლეს \*) მიუმატებენ 100 ლიტრ 16% შაქარ-ნარევის წყალს;  
კარგად აურევენ და ბოჩკაში ჩაასხამენ, ისე კი, რომ ბოჩკა საე-  
სე არ იყოს; ბოჩკაში დუღილი მალე გაჩნდება; წყალის მიმა-  
ტების დროს მიუმატებენ აგრედვე 400 გრამ ღვინის სიმკვავეს  
და 10—15 გრამ ტანინს.

ამავე ღვინის მოსამზადებლად კარბენე ასე იქცევა: 15  
ლიტრ თხლეზე უმატებს 80 ლიტრ თბილ წყალს (35°), რომელშიაც  
გახსნილია 18—20 კილო შაქარი; კარგად არევენ და  
ორი საათის განმავლობაში ჰაერს ჩაჰბერავენ. შემდეგ სა-

\*) ამისათვის მხოლოდ პირველ თხლეს ხმარობენ, ესე იგი დაუ-  
წმენდელი ღვინის თხლეს; თუ თხლეს წებო ურევია, ის ღვინის დასაყენე-  
ბლად არ ივარგებს.

დუღებელს გიდრავლიური საცობლით დახურავენ. როცა დუღილი გათავდება, ღვინოს გადაიღებენ მეორე ქურქელში; აქ მიუმატებენ ცოტაოდენ ტანინს (ლიტრზე  $0,2-0,4$  გრ.), თუ ღვინო წითელია, და თუ თეთრია, საკმარისი იქნე  $0,2$  გრ. ტანინი. რამდენიმე დღით შესვენების შემდეგ ღვინო დაიწმინდება; თუ რამე მიზეზის გამო ღვინო მალე არ დაიწმინდა, მაშინ წებოთი უნდა დაწმინდონ.

ამ საშუალებით მაკანიომ (Macayno) 200 ლიტრი წყალიდან, 60 კილო შაქრიდან და 30 ლიტრი თხლიდან 15 ღვინოს დუღილს შემდეგ მოამზადა 260 ლიტრი ღვინო, რომელიც მღვრივე იყო,  $13,5\%$  ალკოგოლი (ტანით) ჰქონდა,  $0,461\%$  სიმჟავე და  $0,048\%$  ტანინი.  $1\%$  ღვინოს სიმჟავის მიმატებით ეს ღვინო 20 ღვინოს განმავლობაში სრულიად დაიწმინდა და დიდძალი თხლე დაილეკა; ღვინო სუსტი ფერისა იყო და ამისათვის ფერის შესავსებად საჭიროა ცოტაოდენი წითელი ღვინოს მიმატება. ამგვარი ნარევი უფრო სხეულიანია, უფრო ალკოგოლიანი, უფრო შეღებილი და გემოც სასიამოვნო აქვს, თუმცა ალკოგოლი ცოტა გადამეტებულია.

ყველა ამას გავათავებთ პოლაჩის სიტყვებით, „რომ ჭაქისა და თხლის ღვინოებს ჰიგიენის მხრით უფრო დაბალი ღირსება აქვთ, ვიდრე ბუნებურ ღვინოებს და შედარებით შეადგენენ მხოლოდ  $\frac{2}{3}$  ამ უკანასკნელების ღირსებისას.

## ბ) ჭაქისა და თხლის არაქის გამოცდა

ჭაქა, როგორც წინადა ვუჩვენეთ, ბევრი სხვა-და-სხვა სხეულისაგან შესდგება; ღვინოს და ალკოგოლის გარდა, სხვა-და-სხვა სიმჟავეთა და მარილოვანთა სხეულთა გარდა, ჭაქაში ბლომად არის სუნწელოვანი სხეულები, ზეთი და წებო; ამასთან აქვე არის კლერტი, ჩენჩო და კურკები. ყველა ეს სხეული შიგ მყოფ ალკოგოლს თავის გემოს და სუნს აძლევს და ეს არის მიზეზი, რომ ჭაქის არაქის სულ სხვა სუნი და გემო-

აქვს, ვიდრე წმინდა ალკოგოლს. ჭაჭის არაყის სუნი ზემო დამოკიდებულია ჩენჩოზე; ჩენჩოს დიდი გავლენა აქვს არაყის ღირსებაზე. როგორც უკვე ვიცით, ჩენჩოში ანუ ყურძნის კანში ძალიან ბევრია სხვა-და-სხვა სუნნელოვანი სხეულები. ამათ ზედ ემატება სიმჟავეთა ზედგავლენაც. როგორც ვიცით, დადუღებულ ღვინოში ბევრია სხვა-და-სხვა სიმჟავე, რომელთაგანაც ზოგი ყურძენშივე იყო და ზოგიც დუღილის დროს გაჩნდა; რადგანაც ტკბილის დადუღების დროს ტემპერატურა კარგაა აწეულია, ამისათვის ეს სიმჟავენი ცოტა ნაწილით უერთდება ალკოგოლს და სხვა-და-სხვა ეთერი ჩნდება; ამ ეთერებს ემატება ალდეგიდებიც ჰაერის ზედმოქმედებით. ამ სხეულებს, ესე იგი ჩენჩოს სუნელოვან სხეულებს და დუღილის დროს გაჩენილ ეთერებს და ალდეგიდებს დიდი გავლენა აქვს არაყის გემოზე. ამ ეთერების რაოდენობა თითონ არაყის გამოხდის დროსაც უფრო მრავლდება, რადგანაც ამ გარემოებაში ტემპერატურა მაღალია და ესენიც უმატებენ გამოხდილ არაყს თავიანთ გემოს, სუნს და თვისებას. ყველა ამას ისიც დავუმატოთ, რომ არაყის გამოხდის დროს გადაჰყვება ჭაჭაში მყოფი ცხიმოვანი სიმჟავენიც. ყველა ეს მიზეზები, ერთად აღებული, ჭაჭის არაყს აწვევს გემოს და ცუდ სუნს აძლევს.—კიდევ არის ერთი მიზეზი, რომელიც არაყს აზიანებს—ეს ის გარემოებაა, რომ ჭაჭა გამოსახდელი ქვების გვერდებს ეკვრება, იწვევა და იხრუკება და არაყსაც ხრაკის გემოს აძლევს.

ჩვენ ვეცდებით ყველა ის საშუალება დავასახელოთ, რომელთა შემწეობითაც შეიძლება არაყს ავაცილოთ ანუ მოვაცილოთ ყველა ზემოდ მოხსენებული ნაკლოვებანება; მაგრამ მანამ ამას შევუდგებით, მეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ, რა რიგად უნდა შევინახოთ არაყის გამოსახდელი ჭაჭა: ჭაჭა დაქაჯვის უმაღვე უნდა ქვევრში და ან სხვა პირ-განიერ ქურქელში ჩაიყაროს, კარგად დაიტყვენოს და ზედ წყალი დაესხას. როცა ქურქელი გაივსება, სარქველს დაჰხურავენ გიდრაფლიურად. ამ გარემოებაში ჭაჭა აღუდდება და შიგ დარჩენილი შაქარი განაწილდება; რამდენიმე დღის შემ-

დევ დუღილი სრულიად გათავებულა. ამგვარად ქაქა კარგად და უფნებლად შეინახება კარგა ხანს; თუ ქაქა კარგად დატკეპნილია, წყალით კარგად არის გაჟღენთილი და სახურავიც კარგადა აქვს მოწყობილი, გაფუჭების შიში აღარ უნდა გვექონდეს.

აწაყის გამოხდა, დისტილაცია. ქაქის არყის გამოხდა ორ გვარად შეიძლება: 1) ან ქაქას პირდაპირ ჩაჰყრიან გამოსახდელ ქვაბში, ზედ ცოტა წყალს დაასხამენ, ცეცხლზე გააცხელებენ, ადუღებენ, ალკოგოლი ორთქლად იქცევა და ქაქას გამოეცლება, 2) და ან ჯერ ქაქას წყალით კარგად გარეცხამენ, წყლით მთელს ალკოგოლს გამოაცლიან და ამ ნარეცხიდან ანუ წყალ-ღვინიდან არაყს გამოხდიან.

1) ზანდაზან ჭაჭას აწაყას გამოხდა. პირდაპირ ქაქას არაყის გამოსახდელად ან ცეცხლს ხმარობენ და ან ორთქლსა; ვენახის პატრონები ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ცეცხლსა ხმარობენ და ჩვენც ამას კარგა დაწვრილებით გავარჩევთ.

პირდაპირ ქაქის არაყის გამოსახდელად ხმარობენ უბრალო ზართუშიან ქვაბს, ჯერ ჩაჰყრიან შიგ ქაქას, ზედ ბლომად წყალს დაასხამენ, ასე რომ ქაქა შიგ ტივტივებდეს; ქვაბს დახურავენ ზართუშს, რომელსაც საცივებელს მიუმატებენ; თქმა არ უნდა, რომ ზართუში ქვაბს კარგად უნდა იყოს შელესილი ან თიხით, ან გაჯით და ან ცომით, რომ დუღილის დროს არაყის ორთქლი არ დაიკარგოს. შემდეგ ქვაბ ქვეშ ცეცხლს გააჩაღებენ და, როცა ქვაბი კარგად გაცხელდება, ალკოგოლი ორთქლად იქცევა და საცივებელში გადავა, ის ისევ გაცივდება და მილიდან გამოვა; რასაკვირველია, რომ ამ დუღილის დროს წყალიც ბევრი იქცევა ორთქლად და ალკოგოლს თან გაჰყვება. ეს ოპერაცია მანამდინ გაგრძელდება, ვინემ მილიდან გამონადენში ალკოგოლი ურევია; როცა მილიდან მარტო წყალი გამოვა, მაშინ ცეცხლს გააქრობენ, ქვაბს დააცარიელებენ, გარეცხამენ და ახალ ქაქას ჩაასხამენ და ისევე მოიქცევიან, როგორც პირველად. გამოხდილ არაყს ერთად მოაგროვებენ და, როცა იმდენი მოგროვდება, რომ



ერთი ქვაბისთვის საკმარისი იქნება, მაშინ ხელ-მეორედ გამო-  
 ჭდიან. მეორედ გამოხდას უფრო დიდი სიფრთხილე უნდა:  
 ქვაბი მხოლოდ  $\frac{4}{5}$  უნდა იყოს ავსებული და სადღეღებელი  
 ქვაბ ქვეშ დიდი ცეცხლი არ უნდა იყოს გაჩაღებული, რომ  
 არაყმა ერთბაშად არ დაიწყოს დუღილი; თუ ქვაბი ერთბაშად  
 ადუღდა, მაშინ ბევრი ალკოგოლი დაიკარგება ორთქლადვე,  
 საცივებელი ვერ მოასწრობს მის გაცივებას და ამასთან ცეცხ-  
 ლის მოკიდების შიშიც არის. მაშ საჭიროა, რომ ამ შემთხვე-  
 ვაში ქვაბ ქვეშ ცეცხლი გაძლიერებული არ იყოს და ამასთან  
 საცივებელი მილიც კარგად უნდა იყოს გაცივებული. პირვე-  
 ლად გამოსული არაყი კარგი არ არის, მღვრივეა და გემოც  
 ცუდი აქვს; ამას ცალკე შეინახვენ. რაკი წმინდა არაყი წა-  
 მოვა, მაშინ სხვა ჭურჭელს მიუღებენ მალს. თუ ცეცხლი ძლიერ  
 გაჩაღებული არ არის, ეს მეორე ნაწილი კარგად მაგარი იქნე-  
 ბა— $60^{\circ}$ - $70^{\circ}$ . ნელ ცეცხლზე ამ სიმაგრის არაყი დიდ ხანს იდგნს და  
 ბოლოს ცოტ-ცოტაობით დასუსტდება, მისი სიმაკრე შემცირ-  
 დება; როცა მილიდან გამოსული არაყის სიმაგრე  $30^{\circ}$  ძირს  
 დაიწვეს, სხვა ჭურჭელს მიუღებენ, ვინემ წმინდა წყალი არ გამო-  
 ჩნდება.

მაშ ორ-ნახაღი არაყი სამ გვარის ღირსებისა გამოდის.  
 პირველს ცუდი გემო აქვს; ამას თავს ეძახიან. მეორე კარგია,  
 ამას გულს ეძახიან და მესამე ძლიერ სუსტია—ამას ბოლოს  
 ეძახიან. ჩვეულებრივ თავსა და ბოლოს ერთად აფრევენ და  
 მიუმატებენ ხელმეორედ გამოსახდელს ქვაბს. გული კი სასმე-  
 ლად ვარგა და იმის სიმაგრე აღის  $52^{\circ}$ - $60^{\circ}$ -დინ. თუ არაყი  
 ხელმეორედ არ გამოხადეს, ძალიან სუსტი იქნება. ხელმეო-  
 რედ გამოხდას ეძახიან რეკტიფიკაციას; ეს ხელმეორედ გამო-  
 ხდა მიუცილებელია და, მაშასადამე, ბევრ ხარჯსა თხოულობს,  
 როგორც ცეცხლის მხრით, ისე დროსა და მუშის ხარჯით. ამის  
 ასაცილებლად ეხლა ისეთი ქვაბებია შემოღებული, რომელთა  
 ხმარებითაც ხელმეორედ გამოხდა აღარ დასჭირდება; ეს ქვა-  
 ბები, რომელზედაც ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ, ისე არის  
 გაკეთებული, რომ ერთისა და იმავე ცეცხლით, ერთსა და იმა-

ვე დროს და ერთსა და იმავე ქვაბში რამდენჯელმე იხდება არაყი, რამდენჯელმე ნაწილდება და ბოლოს მილიდან გამოდის წმინდა და მაგარი; მაშ ამისთანა ქვაბში სუსტი არაყი, ანუ ბოლო უკანვე ბრუნდება და საცივებელ მილში აღარ მიდის.

ცეცხლზე გამოხდილ ქაჭის არაყს, იმას გარდა რომ რაღაცა საკუთარი ქაჭის გემო აქვს, კიდევ ემატება დაწწვარი, ბოლის გემო ანუ ხრაკის სუნი, რადგანაც ქვაბის გვერდები და მეტადრე ძირი ძლიერ გაცხელებულია, და რაც მოხვდება, ჩენჩო თუ კურკა და ან კლერტი, დაიწვება, დაიხრუკება და გამოხდილ არაყსაც გამოჰყვება ესევე გემო. ამისათვის ყოველთვის ემჯობინება ქაჭის არაყის გამოხდა ორთქლის შემწვობით მოხდეს, რასაკვირველია; თუ ეს შესაძლებელია.


პირდაპირ ქაჭის არაყის გამოსახდელი ქვაბი როგორი უნდა იყოს?

როგორც წინადაც ვთქვით, ვისაც სურს, რომ არაყის ხელმეორედ გამოხდა არ დასჭირდეს, იმან უეჭველად იმისთანა ქვაბი უნდა იხმაროს, რომელშიაც სუსტი არაყი, წყლიანი არაყი უკანვე ქვაბში ბრუნდება და მილიდან მაგარი არაყი გამოდის. ამას გარდა ისიც საჭიროა, რომ ქვაბის გვერდებს არაერთგვაროვანი მაგარი დასაწვავე სხეული არ მოხვდეს, ქაჭა არ დაიწვას, რომ ცუდი ხრაკის სუნი არ მიეცეს.

ამ უკანასკნელ ნაკლებუღვეანების აცილება ადვილი მოსახერხებელია, საჭიროა მხოლოდ, რომ ქაჭა გაცალკევებული იყოს და მოშორებული ქვაბის გახურებულ ძირს. ამისათვის ხმარობენ სპილენძის კალათას, რომელსაც სამი ან ოთხი ფეხი აქვს და ქვაბში ისეა ჩადგმული, რომ ქაჭა ქვაბის ძირისგან კარგა მოშორებულია; ამ კალათს სახურავიც კარგადა აქვს მოწყობილი, ასე რომ ვერც ჩენჩო და ვერც კურკა იმის ნახვრეტებში ვერ გაეტევა და მაშასადამე სადუღებელ ქვაბში არ გავა. ქაჭით საესე კალათს ჩასდგამენ ქვაბში და ჩაახამენ იმდენს წყალს, რომ კალათი შიგ დაიმალოს. ზარფუშს დახურავენ, საცივებელს შეუერთებენ და ცეცხლს აანთებენ ქვაბ ქვეშ.

გამობდილი არაყი განთავისუფლებულია ხრაკის სუნისა და გემოსგან, რადგანაც ახლა ქვების ძირს აღარა მოხედება-რა, არც ჩენჩო და არც კურკა.—ამას სხვა ნაკლულევენება უჩნდება: ქაქიდან მთელი ალკოგოლის გამოსაღვლელად საჭიროა ქაქის დუღილი და ამ შემთხვევაში მოსალოდნელია არაყს გადაჰყვეს ყურძნის ჩენჩოს ეთერიული ზეთოვანი სხეულები, რისგამოც არაყს ქაქის გემო ექნება. ამის ასაცილებლად ქვებს ზარფუშის შემდეგ და საცივებლის წინ გაკეთებული აქვს ერთგვარი მოწყობილება, რომელიც უკანვე ჰგზავნის ქვებში სუსტს, წყლიან არაყსა.

ამგვარ ქვებებში ყველაზე უფრო კარგი სახმარებელი და კარგი გამოსადეგია ეგროს (Egrot) ქვები, რომლის სურათიც აქ მოგვეყავს (სურათი 86). ამ ნახატში ეს ქვები ნაჩვენებია გვერდ-ამოჭრილი, ასე რომ შინაგანი ქვებისა კარგადაა სჩანს



სურათი 86.

და მაშასადამე ადვილი იქნება ვაგება ჩმისი, თუ როგორ არის მოწყობილი. აი როგორია ეს ქვები: ასოთი B დანიშნულია ამ ქვების სათბობი ღუმელი, და C ამ ღუმელის ის ნაწილია, რომლითაც სადუღებელი ქვაბი სდგას ცეცხლზე,

მაშ ქვაბის ზედადგარია, თითონ სადუღებელი ქვაბი დანიშნულია ასოთი A; ამ ქვაბს თავისი სახურავი აქვს, რომელიც თუმცა ზარტყუს არა ჰგავს; მაგრამ იმის დანიშნულებას კი კარგად ასრულებს. ლითონის კალათი დანიშნულია ასოთი M, რომელშიც ჭაჭა არის ჩაყრილი და რომელსაც დახვრეტილი გვერდები და სახურავი აქვს; სახურავის და გვერდების ნახვრეტები ისე წვრილია, რომ ნებას ას მისცემს ჭაჭას ქვაბში ჩავიდეს. სადუღებელი ქვაბის სახურავს მილი აქვს მიკეთებული (D), რომელიც პირდაპირ საცივებელთან არ არის შეერთებული, არამედ ამაზე მდგარს ეგრედ-წოდებულ თეფშებთან, ანუ დეფლექტორთან (E); ამ თეფშების აგებულებას მეორე სადუღებელი ქვაბის სურათიდან გავიგებთ. იმის დანიშნულება კი ის არის, რომ ქვაბიდან ამოსული ორთქლი ცოტად გააგრილოს ანუ ვააცივოს და ამით წყალი და სუსტი ალკოგოლი უკანვე დააბრუნოს სადუღებელ ქვაბში; ის ნაწილი ორთქლისა კი, რომელიც აქ არ გაცივდება, უფრო ბევრ ალკოგოლიანია, იმის დუღილი უფრო დაბალ ტემპერატურით ხერხდება და ამის გამო ორთქლადვე გადავა საცივებელში და გაცივებული გამოვა მილიდან. ამ არაყის სიმაგრე ამ ნაირად  $60^{\circ}$ — $70^{\circ}$  იქნება. ამის გასაგებად ჩვენ მოვიგონათ ის გარემოება, რომ წმინდა ალკოგოლი სდუღს  $78,0^{\circ}$ , წყალი და ბევრი ეთეროვანი სხეულები კი  $100^{\circ}$  და ზოგი უფრო მაღალის ტემპერატურითა. რამდენადაც წყალში ბევრი ალკოგოლი იქნება, იმდენად იმის დუღილი მიუახლოვდება ალკოგოლის დუღილს და, პირიქით, რამდენადაც ბევრი წყალი იქნება და ეთერები, მათი დუღილი წყალის დუღილს დაუახლოვდება. მაშთეფშებს თუ  $100^{\circ}$ -ზე დაბალი ტემპერატურა ექნებათ, ვთქვათ  $80^{\circ}$ , მაშინ ნება-უნებლიედ ქვაბიდან ამოსულ ორთქლს წყალი და სხვა მძიმე ეთერები გამოეცლება და, რადგანაც მილი ქვაბისკენ დათავმართებულია, თავისთავად ჩავა ისევ ქვაბში. საცივებელი, რომელიც გრძელი, რამდენჯელმე ირგვლივ მოხრილი მილიდან შესდგება, ჩამდგარია ცივ წყალში (ქურჭელი R) და აქედან ონკანით (S) გამოდის. თითონ ქვაბი და შიგ ჩამდგარი

კალათი ისე არის მოწყობილი, რომ მათი დაცარიელება და გაწმენდა ადვილი მოსახერხებელია; გვერდზე ნაჩვენებ ბერკეტს (L), სახურავების ახდის შებდეგ, ხელით დააწვებიან და ამით ქვაბი წამოიქცევა და რაც შიგ არის გადმოისხმება რამე ჭურჭელში. ამ წყალს და ჭაჭას ცხრილში გაატარებენ, რომ წყალი ჭაჭას გააშორონ და ამ წყლიდან შიგ გახსნილ ღვინის მარილს ქიმიურად გამოაცლიან კირის წყალის მიმატებით.—ასოთი III ნაჩვენებია წყლის ჩასასხმელი ძაბრი.

ვისაც სურს ორთქლის შემწეობით ჭაჭის არაყის გამოხდა, მაშინ სხვა გვარი ქვაბი უნდა იხმაროს; ეს ქვაბი ისეა მოწყობილი, რომ მით მუშაობა შეუწყვეტელია და არაყიც კარგად მაგარი გამოდის 55<sup>0</sup>—70<sup>0</sup>-იანი. ამ ქვაბის სურათი არ მომყავს, მაგრამ იმის ხმარება ძნელი გასაგები არ არის. აქ სადუღებელი ქვაბი სულ ცალკე სდგას, რომელშიაც მარტო წყალია ჩასხმული; ამ სადუღებელის ახლო სდგას სამი მალალი, ერთმანეთზე დაშორებული ცილინდრიული ჭურჭელი, რომლებსაც ყველას თავიანთი სახურავი აქვს და რომლებიც მილებით შეერთებულია ერთ დიდ დეფლემატორთან (თეფშები); ამ თეფშებს ამ შემთხვევაში კონდენსატორს ეძახიან. ეს ჭურჭელი, რომელშიაც თეფშებია, თბილ წყალშია ჩამდგარი (70<sup>0</sup>); კონდენსატორის გამოსავალი მილი საცივებელთან არის შეერთებული. ყოველ ცილინდრულს ჭურჭელს ძირში  $\frac{1}{3}$  სიმაღლეზე მიკეთებული აქვს სადუღებელიდან წამოსული მილი და ყოველ მილს ონკანი აქვს; იმ ადგილის ზევით, სადაც სადუღებელი მილი თავდება, ყველა სამივე ჭურჭელში ჩადგმულია ეგრედწოდებული ყალბი ფსკერი. სამივე ჭურჭელს ჭაჭით გაავსებენ; როცა სადუღებელ ქვაბში წყალი ადუღდება, იმის ორთქლს მარტო ერთ ჭურჭელში შეუშვებენ: ორი სხვა კი ონკანებით გაცალკევებულია სადუღებელიდან. ორთქლი, რასაკვირველია, ჭაჭას გაათბობს და იქ მყოფი ალკოგოლი ორთქლად იქცევა და ავაკონდენსატორში, სადაც წყალი და ეთერები \*) გაცივდება და

\*) ნუ დავივიწყებთ, რომ ალდეგიდები და ზოგი ეთერებიც, მაგ. ძმრის სიმეჯის ეთერი, ალკოგოლზე დაბალ ტემპერატურითა დუღდება; ამისათვის, რაც უნდა კარგი ქვაბი იყოს, თავი ნახადი მინც ცალკე უნდ იქნას შენახული.

უკანვე ქაქას დაუბრუნდება და კარგი არაყი კი საცივებელში გადავა. როცა ამ ქურქელში არაყის გამოხდა გათავდება, მაშინ ორთქლს მეორე ქურქელში შეუშვებენ და პირველს კი ონკანს დაუკეტავენ, მოხდიან სახურავს და აქედან ყალბ ფსკერს ზედ გაშლილი ქაქით ამოიღებენ და წყალს ძირს მიკეთებულ ონკანიდან გამოუშვებენ. დაცარიელების შემდეგ ამ ქურქელში ახალ ქაქას ჩაჰყრიან. ამ დროს მეორე ქურქელშიაც გათავდება მუშაობა; ახლა ორთქლს მესამე ქურქელში გადაიყვანენ და ამ მეორესაც დააცარიელებენ, ასე რომ არაყის გამოხდა არას დროს არ შესწყდება, სანამ ქაქა არის.

ქაქის არაყის რაოდენობა, რასაკვირველია, დამოკიდებულია ქაქის შედგენილებაზე; რამდენადაც ქაქაში ბევრი ღვინოა დარჩენილი, იმდენად ბევრი არაყი გამოიხდება; ესევე დამოკიდებულია თვითონ ქაქის შენახვაზედაც, რადგანაც თუ ცუდი შენახვით ქაქა დამეყვდა ანუ დაძმარდა, მაშინ ალკოგოლი, რასაკვირველია, ცოტა დარჩება და ამისათვის ცოტა გამოსავალი ექნება. ქვემო საფრანგეთში, სადაც ყურძენი ძალიან ტკბილია, 100 კილო ქაქიდან გამოდის 12—14 ლიტრი არაყი 50<sup>0</sup>-იანი; ზემო მხარეებში კი ამავე წონაზე 7—8 ლიტრს არ გადააქარბებს.

2) ჭაჭის ნარეცხის არაყი და მასი გამოხდა. ვისაც სურს იმისთანა ქაქის არაყი გამოჰხადოს, რომ ცუდი მწვავე და ჭმანხი გემო არა ჰქონდეს; ვისაც სურს, რომ გამოხდილი არაყი დაახლოვებით მიემსგავსოს ღვინის ანუ ეგრედ-წოდებულ კონიაკს, — ვურჩევთ ქაქა ჯერ წყალში გარეცხოს და არაყი მხოლოდ ამ ნარეცხისა გამოხადოს.

ქაქის გარეცხა ორგვარად შეიძლება: ქაქას დაქაჯვის შემდეგ ჩაჰყრიან ქვევრში და ზედ ბლომად წყალს დაასხამენ. როცა კარგად დაღულდება, წყალ-ღვინოს გადმოიღებენ და ქაქას ისევ დაქაჯვენ; წყალ-ღვინოს და ქაქის ნაწურს ერთად აურევენ და მერე ამ ნარეცხის არაყს გამოხდიან. ამასვე მიემსგავსება შემდეგი ღონისძიებაც: ქაქას ჯერ შეინახავენ ქვევრში ცოტა წყალ-დასხმულს, ქაქა მხოლოდ დასველებული იქნება

და როცა დუღილი სრულიად გათავდება, მაშინ ამ ჭაჭას ორ-სამ წყალში გაავლებენ და ნარეცხის არაყს გამოხდიან. მეორე საშუალება, რომელზედაც ახლა მოვილაპარაკებთ, უფრო დიდი ვენახის პატრონებისთვის არის გამოსადევი და მდგომარეობს მეთოდიურ ჭაჭის გარეცხაში. მანამ ამას გავარჩევდეთ, მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ შემდეგს გარემოებას: მრავალმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ კლერტიან ჭაჭაზე დაყენებულ ღვინის არაყი უფრო ცუდი გამოდის, ვინემ დამარცვლულზე; მაშ ჭაჭის არაყზედაც ესევე შეიძლება ითქვას; ამასთან ისიც ხომ ცხადია, რომ დამარცვლულ ყურძნის ჭაჭას უფრო ცოტა ადგილი უჭირავს და, მაშასადამე, მუშაობა უფრო გაადვილებული იქნება და გასარეცხი ჭურჭელიც დიდი არ დასჭირდება.

რადგანაც, როგორც წინადაც ვთქვით, ყოველ ჭაჭაში ღვინის გადაღების დროს ცოტაოდენი შაქარი კიდევ არის დარჩენილი, მაშ აქაც მიუტილებლად საჭიროა ამ ჭაჭის დადუღება და შაქრის განაწილება და შემდეგ იმისი მეთოდიურად გარეცხა. აი ამას როგორ ახერხებენ:

ჭაჭის დასადუღებლად და გასარეცხად ხმარობენ ხუთს-კარგა მოზილილ ქვითკირით აშენებულ აუზს, რომლებიც ერთიერთმანეთთან ისეა შეერთებული, რომ ერთი აუზიდან წყალს შეორე აუზში ადვილად შეუძლიან გადასვლა. ჭაჭის მეთოდიურად გარეცხის დროს შემდეგი ვითარებება საჭიროა.

a) ყოველ აუზში ჭაჭა გარეცხის წინად ორის დღის განმავლობაში უნდა დადუღდეს.

b) ჭაჭა უნდა გაირეცხოს ხუთ წყალში და ერთი გარეცხიდან მეორე გარეცხამდინ ჭაჭა რამდენიმე ხნით დალობილი უნდა იყოს წყალში.


c) სარეცხი წყალი აუზის ძირში უნდა იყოს მიმატებული, რომ მის შემწვობით ჭაჭის ღვინო ზევით ამოვიდეს.

d) ყველა სარეცხი წყლები უნდა გაატარონ ხუთსავე აუზში; ჯერ წყალი ერთის აუზიდან მეორეში გადავა, მეორიდან მესამეში, მესამიდან მეოთხეში, მეოთხიდან მეხუთეში და მეხუთიდან კი შესანახავ ჭურჭელში ჩავა.



ე) ყველა ნარეცხს ერთად აურევენ და ამ ნარევისას არაყს გამოხდიან.

როგორც ვთქვით, ქაქის გასარეცხი ჭურჭელი ხუთი აუზია (სურ. 67), რომლებიც ერთიერთმანეთზე მიდგმული და ერთიერთმანეთთან შეერთებულია მილების შემწვობით.



სურათი 67.

ყოველ აუზს ძირში ყალბი ფსკერი (F) აქვს, რომელიც დახვრეტილია წვრილად და რომელზედაც დაჰყრიან გასარეცხ ქაქის. ყოველ აუზში ჩატანებულია გძელი მილი (C), რომლის თავიც აუზის პირას არის და ბოლო კი გაივლის ყალბ ფსკერსა და აუზის ძირამდინ ჩადის (სურათში ეს მილი და ყალბი ფსკერი მხოლოდ ერთს გვერდ-ამოჭრილ აუზში სჩანს, პირველ აუზში). ყველა აუზს თავის პირას და უკანა გვერდზე ერთი საზოგადო ღარი აქვთ (A) და წინა გვერდზე კი ორი ღარი (B და C); ზედა პირში ყველა აუზს ორი პატარა ნახვრეტი აქვს, ერთი (a) შეერთებულია უკანა ღართან A და მეორე კი (b) გადადის წინა ღარში B. ეს დიდი ღარი B გაყოფილია პატარ-პატარა ძვიდეებით (d) ხუთ ნაწილად, ასე რომ პირველი აუზიდან გამოსული წყალი (b ნახვრეტით) მეორე აუზის ძირში ჩავა C მილის შემწვობით; აგრევეა შეერთებული მეორე აუზი მესამესთან და მეოთხე მეხუთესთან. დიდი ღარის B-ს ბოლოს პატარა ნახვრეტი (e), რომლითაც მეოთხე აუზიდან ამოსული წყალ-ღვინო გადავა მეორე დიდ ღარში C და აქედან ამავე ღარის მეორე ბოლოზე მყოფი პატარავე ნახვრეტით (e)

ჩავა პირველ აუზში (C) მალის შემწვობით. უკანა დიდი ღვინის დანიშნულება ის არის, რომ, როცა რომელიმე აუზიდან მზა წყალ-ღვინო ამოვა პატარა ნახვრეტის (C) შემწვობით, ეს ღვინო ამ ღვრით რაიმე ჭურჭელში ჩაისხას. აი როგორ მუშაობს ეს ჭურჭელი: როცა პირველი აუზი დადუღებული ჭაჭით გავსებულია, მაშინ ამ აუზში წყალს ჩაასხამენ მილის შემწვობით (C), რომელიც წყალს აუზის ძირამდინ ჩაიყვანს; ძირიდან ეს წყალი ამოვა ყალბი ფსკერის ნახვრეტებიდან და აუზის პირამდინ ავა და კარვად დააღობს ჭაჭას; რამდენისამე საათის შემდეგ მეორე აუზსაც ვავსებენ ჭაჭით და პირველ აუზში წყალს კიდევ მიუმატებენ იმ პირობით, რომ ამავე დროს პატარა ნახვრეტი (a) დაკმული იყოს და ხ კი ახლილი. ახლად მიმატებული წყალი ზევით ამოსწევს ამავე აუზში მყოფ წყალ-ღვინოს და გადმოსხამს ჯერ ღარში B პატარა ნახვრეტის (b) შემწვობით და აქედან ეს წყალ-ღვინო ჩავა მეორე აუზში მილის (C) შემწვობით. რამდენისამე საათის შემდეგ წყალს კიდევ მიუმატებენ პირველ აუზში იმავე სიფრთხილით, ესე იგი მესამე აუზს წინად ჭაჭით ვავსებენ და მეორე აუზში a დაუცობენ და ხ ახლიან. ამ რიგად ამგვარივე წყლის მიმატებით და სიფრთხილით მივლენ მეხუთე აუზამდინ, — ამისათვის, რასასვირველია, პირველ აუზში ხუთჯერ უნდა ჩაასხან წყალი. ის წყალ-ღვინო, რომელიც ეხლა მეხუთე აუზშია, ხუთჯერ იყო ჭაჭასთან, ხუთი ჭაჭით სავსე აუზი გაიარა და ამის გამო ახლა ამაში ბევრი ალკოგოლი იქნება. პირველ აუზში მეექვსედ წყლის მიმატებით ამ მეხუთე აუზიდან ღვინო ზევით ამოვა და თუ ამ დროს აქ ახლილია a და ხ დახურულია, მაშინ ეს ღვინო უკანა ღარში A გადავა და აქედანაც — შესანახავ ჭურჭელში.


რადგანაც პირველ აუზში ჭაჭა ხუთჯერ იყო გარეცხილი, ამისათვის იმას მთელი ალკოგოლი გამოცლილი აქვს და ეხლა მიმატებული მეექვსე წყალი, რასაკვირველია, აღარას ამოიღებს. ამისათვის ეხლა ამ აუზს სრულიად დააცარიელებენ; ჯერ წყალს გამოუშვებენ (ძირში მიკეთებული მილით) და ჭა-

ქას ამოიღებენ და ამის მაგივრად ახალ ქაქას ჩაჰყრიან. ამას შემდეგ წყალს მიუმატებენ მეორე აუზში იმავე მილით (C) და ამავე დროს მეხუთე აუზში დახურავენ a და ახლიან b და აგრედეე ორივე e, ასე რომ მეხუთე აუზში გაელილი მეორე წყალ-ღვინო ეხლა გადმოვა პირველ აუზში დიდი ღარით C და იმავე მილით C. რადგანაც ეხლა მეორე აუზის ქაქაც ხუთჯერ არის გარეცხილი, ამასაც დააცარიელებენ და წყალს მესამე აუზში მიუმატებენ; ამისგამო პირველი აუზიდანაც ამოვა წყალ-ღვინო, რომელსაც დიდ ღარში A გაუშვებენ. როგორც ვხედავთ, ამ აუზებში ქაქის რეცხვა შეუწყვეტელია, მანამ ქაქა მოიბოვება. რაღა თქმა უნდა, რომ მეხუთე აუზის დაცარიელების შემდეგ სარეცხი წყლის მიმატებას ისევ პირველი აუზიდან დაიწყებენ. ამ ნაირად ქაქას გამოსცილდება მთელი ალკოგოლი და ახლა ამ წყალ-ღვინოდან ადვილად შეიძლება არაყის გამოხდა, მაგრამ ამისათვის წინაღ ნაწვენები ქვაბი არ გამოდგება.

რადგანაც ერთი უბრალო ქვაბიდან შეუწყვეტლად არაყის გამოხდა შესაძლებელი არ არის და რადგანაც ამასთანავე ამისთანა ქვაბის გავსებასა და დაცარიელებაში ბევრი დრო იკარგება და ცეცხლიც ბევრი იწვის, ამისათვის კარგი იქნებოდა, რომ გამოსახდელი ქვაბი ისეთივე ყოფილიყო, როგორც ეხლა ხმარობენ მრეწველობაში შეუწყვეტლად არაყის გამოსახდელად. სამწუხაროდ, ამისთანა ქვაბი ძალიან ძვირია და ყველას არ შეუძლიან მისი ყიდვა და არცარავის ვურჩევთ, ვისაც მთელი წლის გამოსახდელი მასალა არა აქვს. მე აქ მოვიყვან ერთი ქვაბის სურათს, რომელშიც თუმცა არაყის გამოხდა შეუწყვეტლად არ შეიძლება, მაგრამ მაინც კარგი მოსახმარებელია. ეს ქვაბი დეროას (Deroy) მოგონილია და მისი აგებულება სურათზედ (სურათი 68) კარგად სჩანს:

აქ ლუმელი B და ზედადგარი C ისეთივეა, როგორც ჩვენ ვნახეთ ეგროს ქვაბში. ქვაბი A ჩამდგარია ლუმელში და ძირში ონკანი D აქვს; ქვაბის პირი სახურავით E არის დახურული და ამ სახურავში ორი ნახვრეტი აქვს. ერთი ნახვრეტი P სა-

ცობელით არის დაცობილი და მეორეში კი K მილი აქვს ჩატანებული; ამ ნახვრეტს გარშემო იმავე მასალის ირგვლივი



სურათი 68.

ნაწიბური აქვს შემორტყმული M, ასე რომ შიგ წყალის დაგუბება შეიძლება. სახურავში ჩატანებულ მილს ზემოდან აქვს მიკეთებული თევშები (დეფლუგმატორი ანუ კონდენსატორი). ეს თევშები ანუ კონდენსატორი შესდგება ორი ერთმანეთზე დამზობილი და შექერწილი თასებიდან H—H, რომლების შუაგულშია თასის ქვეშ ჩამოკიდებულია დამზობილი იმავე ლითონისავე თევში O; ზემოთი თასიც გახვრეტილია და ამ ნახვრეტში ჩამაგრებულია გრძელი მოხრილი მილი და აქაც საგუბარია გაკეთებული L წყალის შესაგუბებლად. ეს მილი შეერთებულია თავის მეორე ბოლოთი საცივებელ მილთან R; ეს საცივებელი ჩამდგარია წყლით საესე ქურჭელში S და ამ ქურჭლიდან გამოსული არაყის გამოსასვლელი მილით T თავდება. საცივებელ წყალის ქურჭელს სამი ონკანი აქვს, ერთი (1) ქურჭელის ძირშია წყალის გამოსაშვებად დაცარიელების დროს; მეორე (2) და მესამე (3) კი მილებით არის შეერთებული იმ

საგუბრებთან, რომლებიც ქვაბის სახურავზე და თევშების ზემოთ ასე არის. აქ თევშები (კონდენსატორი) და საცივებელი წყალის ჭურჭელი გაქრილია ნაჩვენები, რომ ადვილად წარმოვიდგინოთ, როგორც თევშების მოწყობილება, ისე საცივებელი მილის შეხედულობა. ამას გარდა საცივებელი წყალის ჭურჭელში წყალის ჩასასხმელი გრძელ-მასრიანი ძაბრია (4) ჩამაგრებული.

როცა ქვაბი თავის ნაწილებით შეკრებილია და ზედად-გარზე სდგას, მაშინ სახურავის ნახვრეტის საცობელს ახდიან და ქვაბში ჩაასხამენ წყალ-ღვინოს და საცობლის დახურვის შემდეგ ღუმელში ცეცხლს გააჩაღებენ. როცა წყალ-ღვინო ღუმელში შევა, მაშინ იმის ორთქლი ავა იმ გაგანიერებულ ადგილში, სადაც თევშებია და აქ, რაც გასაცივებელია, გაცივდება და ქვაბშივე უკან ჩამოვა, ხოლო დანარჩენი ორთქლი საცივებელში გადავა. აი რა არის ამის მიზეზი: ცნობილია, რომ როცა ორთქლი ვიწრო მილიდან განიერ მილში გადადის, მაშინ ამ ორთქლის ქველის მსვლელობა შემცირდება, ისეთივე სიჩქარე არ ექნება, როგორც ვიწრო მილში ჰქონდა; განიერ ადგილში ეს ქველი გაიშლება, გაგანიერდება და ეს შეაფერხებს მის სიჩქარეს იმდენად უფრო მეტად, რამდენადაც განიერია ის მილი, რომელშიაც ორთქლი გადავიდა; ამგვარი მსვლელობის შემცირების გამო ამ ორთქლს გამოეცლება ყველა ის ჩინტი სხეულები, რომლებიც წამოუღია სადღეებელი ქვაბიდან. ამას ემატება მეორე გარემოებაც, რომელიც უფრო ძლიერ ხელს უწყობს წყალის გამოცლას—ეს ორთქლის გაცივება, გაგრილებაა. როგორც სურათიდან ვნახეთ, ქვაბის სახურავზე და თევშებზე საგუბრებია მოწყობილი; ამ საგუბრებში საცივებელი ჭურჭლიდან (2 და 3) მილების შემწეობით ცოტად გამთბარი წყალი გამოდის და საგუბრებში ჩადის; ამ წყალის ტემპერატურა უფრო დაბალია, ვინემ ორთქლისა და ამის გამო ეს ორთქლი ცოტაოდენად გაცივდება და არაყს წყალი გამოეცლება.

არაყი გემოვნების მხრით ალკოჰოლიანი სასმელია, უფროა გამოხდის დროს და თუ ბოჩკაში რამდენიმე ხნით

იყო შენახული, მაშინ ყვითელ, ქარვის ფერს მოიპოვებს; არომატიული სუნი აქვს, რომელიც ძლიერია და უსიამოვნო, თუ მაგარია; წყალით დანელებული კი სასიამოვნოა; მწვავი და ხრაკის გემო აქვს. ხანში შესვლით ჰკარგავს თავის სიმწვავეს და ქვების გემოს; მისი სუნნელოვანი ნივთიერებანი ერთი-ერთმანეთში შეკავშირებით შესუსტდება და შედუღდება ერთგვარ სუნნელოვანებად, რომელიც ბევრს მოსწონს.

ქიმიკოსისთვის ჭაჭის არაყი ერთგვარი ალკოგოლია, რთული და მდიდარი არაყის ზეთით და ამის გამო მძლავრად მომქმედი ყნოსვასა და გემოვნებაზედ; მისი ნაკლულევენება წარმომდგარია რომელისამე მის შემადგენარ სხეულის გადამეტებით.

ამ ცულ სუნნელოვან და მწვავ ნივთიერებათაგან არაყის განთავისუფლება და გაწმენდა, შეცოტავება იმ სხეულთა, რომლების სრულიად გამოცლაც შესაძლებელი არ არის და ამით დაახლოვება ჭაჭის არაყისა ღვინის არაყთან შეადგენს იმ საწადელს, რომელსაც დიდი ხანია ეტანებიან და რომლის მიღწევაც შესაძლებელია, თუ არა სრულიად, დაახლოვებით მაინც.

ბევრი საშუალება იყო ნაჩვენები ჭაჭის არაყის დასაწმენდად; ჯერ უნაყოფოდ გამოსცადეს მძლავრი დამჟანგველი სხეულები, როგორც გოგირდის სიმჟავე, აზოტის სიმჟავე, მარგანეცის სიმჟავის მარილები, აგრედვე რკინისა და სპილენძისა, მაგრამ ბევრი მათგანი რგების მაგივრად მავნებელი აღმოჩნდა. ყოველგვარი სიმჟავენი და ყოველგვარი ტუტენი გემოს და სუნს უფუჭებს ჭაჭის არაყს. ამის გამო არაყის დასაწმენდ ნივთიერებათა ძებნა სხვაგან დაიწყეს. აი ახლა რა ღონისძიებანია ის ღონისძიებანი, რომელნიც მეცნიერებამ და გამოცდილებამ გვიჩვენა მოსახმარებლად.

1) გამოსახდელ ჭაჭის ან წყალ-ღვინოს სიმჟავის შემცირება ანუ დანელება; 2) დანაწილება პირველად გამოხდილ არაყისა; 3) გაწმენდა და დეზინფექცია სუსტი ალკოგოლისა; 4) მეორედ გამოხდა, ორ-ნახადობა ანუ რექტიფიკაცია და 5) შეკეთება და სწრაფი დაძველება ორ-ნახადის არაყისა.—აქ მოკლედ გავარჩევთ ყველა ამ საშუალებას.

1) სიმკვავის დანელებს ანაყის გამოსახდელ წყალ-ღვინო-შა. გამოსახდელ წყალ-ღვინოში სიმკვავის დანელებას დიდი მნიშვნელობა აქვს; გამოხდის წინად წყალ-ღვინო უეჭველად უნდა განთავისუფლდეს ალდეგიდისა და ძმრის სიმკვავიდან; ამისათვის ხმარობენ კირის წყალს ანუ კირის რძეს და ან მარმარილოს ფქვილს. მარმარილოს ანუ კირის რძის რაოდენობა დამოკიდებულია ღვინის სიმკვავეზე. წინადეე ძნელია მარმარილოს ან კირის რაოდენობის აღნიშვნა, მაგრამ ცოტაოდენის ძებნიდა და გამოცდილებით ამ რაოდენობის პოვნა ძნელი არ იქნება. ჩვეულებრივ ხმარობენ თითო გრამ კირს ანუ მარმარილოს ფქვილს წყალში არეულს თითო ლიტრ ღვინოზე, მიუმატებენ და კარგად აურევენ. რამდენისამე დღის დასვენების შემდეგ ღვინო დაიწმინდება და წმინდად გადაიღებენ, რომ გამოსახდელ ქვებში არ შეჰყვეს თხლე.

როცა არაყს პირდაპირ ჭაჭისასა ხდიან, მაშინ სიმკვავეთა დანელება ცოტა გაძნელებულია; ამ შემთხვევაში ურჩევენ ჭაჭის კალათზე მარმარილოს ნამტვრევების დაყრას. ორთქლი იძულებული იქნება ამ ნამტვრევებში გაიაროს და თავისი სიმკვავე აქ დასტოვოს. თუ გამოსახდელ ქვებს ჭაჭის კალათი არა აქვს, მაშინ ქვებში ჭაჭაზე ჩასდგამენ საცერს, რომელშიაც ჩაყრილია მარმარილოს ნამტვრევები.

2) ჰანგულად გამოსაღლ ანაყის დანაწილება. პირველად გამოხდით არაყის დანაწილება ისევე მიუცილებლად საჭიროა, როგორც სიმკვავეთა დანელება; როცა გამოსახდელ ქვებში ჭაჭა ანუ წყალ-ღვინო  $40^{\circ}$ — $50^{\circ}$ -დინ გათბება, ქვებიდან ამოდის ცუდი სუნის დაზოვანი სხეულები. შემდეგ წამოვა მწვავი და სულის შენხუთველი ჩინტი სხეული: ეს ალდეგიდია, შერეული ალკოგოლთანა და ეთერებთან; ამაში ალკოგოლი ცოტაა და არაყად არ ვარგა. ამას ეძახიან თავს ანუ თავის გამოსავალს და ცალკე უნდა შეინახოს. თავის გამოსავალი დიდ ხანს არ მოდის. შემდეგ წამოვა ნამდვილი არაყი რომლის სიმაგრეც  $40^{\circ}$ — $50^{\circ}$  იქნება. ამის სიმაგრე ნელ-ნელა სუსტდება, თუ ქვები შეუწყვეტლად გამოსახდელი არ არის. შეუწყვე-



ტლად გამოსახდელ ქვაბში კი ეს სიმაგრე შეუტკვლელი დარჩება თითქმის ბოლომდინ. ამ გამონახადს ცალკე ჭურჭელში ჩაასხამენ. ალკოგოლის შეცოტავენ და გვარად ნახადში არაყის სიმაგრეც შემცირდება და როცა 30<sup>0</sup> დაიწვეს, მაშინ ამას აღარ მიუმატებენ შუა ნახადს; ცალკე მოაგროვებენ და ამას ბოლოს ანუ ბოლო ნახადს ეძახიან.

არაყის დანაწილება. მექანიკური ანალიზია, რომლის შემწეობითაც არაყს ერთი მხრით შორდება ეთერები და თავში გამოსული სხეულები და მეორეს მხრით—წყალი, სიმევენნი და არაყის ზეთი, რომლებიც ბოლოს გამოდის, და ამის გამო შუაგულს უფრო დიდი სიმაგრე ექნება და უკვე განშორებული იქნება ერთი ნაწილი მყარი და მწვავე სხეულებსაგან.

3) გაწმენდა და დეზინფექცია. არაყის გასაწმენდად ასე იქცევიან: თავს ანუ თავის გამოსავალს, რომელიც წამხდარია ალდეგიდით, ეთერებით და სხვა-და-სხვა ორგანიულის სიმევენთაგან უნდა წყალი მიემატოს და ცოტაოდენი მარმარილოს ფქვილიც. კარგად შენჯღრევის შემდეგ დაასვენებენ და, როცა მაღალ დაიღვქება, სხვა ჭურჭელში გადაიღებენ. შემდეგ იმოდენა წყალს მიუმატებენ, რომ იმისა სიმაგრემ 30<sup>0</sup> დაიწიოს და ნახშირის საწურავში უნდა გაიწუროს; შუა ნახადს და ბოლო ნახადს სიმევენის გამოცლა არ ეჭირება; მხოლოდ ესენიც წყალით უნდა გააზავონ 30<sup>0</sup> და ნახშირის საწურავში გაატარონ; შუა ნახადი ყოველთვის ცალკე უნდა გაიწუროს; მხოლოდ მაშინ შეურევენ ამ სამივე ნახადს ერთმანეთში, როცა დარწმუნდებიან, რომ ნახშირში გატარებამ კარგად გასწმინდა.

4) ხელმეორედ გამოხდა, რეკტიფიკაცია. ახლა უეჭველად საჭიროა ჰაჭის არაყის ხელმეორედ გამოხდა, ერთი იმისთვის, რომ უფრო გამაგრდეს, ალკოგოლის რაოდენობამ იწიოს, რადგანაც ნახშირის ფილტრში გატარების წინა დანელებული იყო წყალით 30<sup>0</sup>-დინ და მეორედ, რომ ამ მეორე გამოხდით ამ არაყს გამოსცილდეს ის სხეულები, რომლებიც გაწმენდამ, ესე იგი ნახშირში გატარებამ, ვერ გამოაცალა. რა რიგადაც უნდა იყოს მოხდენილი ეს ხელმეორედ გამოხდა, პირ-

დაპირ ცეცხლზე თუ ორთქლით, უბრალო ქვაბში თუ თევზებთანში, ყოველთვის საჭიროა დიდი ყურადღება, რომ ამ ხელმეორედ გამოხდის ღროს არაყი კარგა დანაწილდეს, რომ თავის გამონახადი და ბოლოსი უეჭველად ცალკე შეიკრიბოს, რომ შუა ნახადი დარჩეს, სრულიად ვანთავისუფლებული, გამოარებული თავ-ბოლო ნახადი არაყიდან; — მხოლოდ შუაგული ნახადი არის სასმელი და შესანახავი.

ნ) მოკეთება და შეხანაწება. მოკეთება და ჩქარი შეხანაწება, ესე იგი დაძველება არაყისა შეადგენს დასამთავრებელ ოპერაციას, რომელიც ყოველთვის სასარგებლოა და დიდ ხარჯს არა თხოულობს. მართალია, ნახშირს ის თვისება აქვს, რომ ალკოგოლს ანუ არაყს ართმევს მრავალ იმ სხეულს, რომელსაც ძლიერი და ცუდი სუნი აქვს, მაგრამ ნახშირის შთანთქმავი ძალა უსაზღვრო არ არის, რამდენისამე ხნის შემდეგ ეს ძალა სუსტდება. ამისგამო არაყში ხშირად რჩება ბევრი იმისთანა სხეული, რომელსაც ცუდი გემო და სუნი აქვს; ხელმეორედ გამოხდის ღროს ეს სხეულები უერთდება ან ერთიერთმანეთს და ან ალკოგოლს და გამოხდის არაყს რაღაცა გემოს აძლევს, რომელსაც ფრანგები ეძახიან: le goût de jeune (სიახლის გემო). ამ სიახლის გემოს წასართმევად საჭიროა სიაბო, რომლის შემწეობითაც არაყს გამოეცვლება ის ადვილად ასორთქლებელი ეთეროვანი თუ ლაზოვანი სხეულები, რომელთა მოშორებაც არაყს ისე აკეთებს, რომ მისი თვისება, ღირსება და ხასიათი ძველ არაყს მოგვაგონებს. რომიეს (Rommier) ფიქრია, თუ ქაჭის არაყს კარგი გემო არა აქვს, ეს იმის მიზეზია, რომ ქაჭაში დარჩენილი შაქრის დუღილი სულ სხვანაირად ხდება, სხვა დედის შემწეობით: იმის სიტყვიან, თუ ქაჭის დადუღების დროს კარგ დუღილას დედას მიუმატებთ, მაშინ ამ ქაჭიდან გამოხდის არაყი კარგი გემოსი აქნება; ეს იქნება მართალიც იყოს, მაგრამ ჯერ სხვისგან კი არ არის შემოწმებული და ამისთვის ძნელია გადაწყვეტით ითქვას რამე.

მოკლა. არაყს ან სასმელად ხმარობენ და ან სუსტის ღვინოების შესაკეთებლად (vinage); ქაჭის არაყი კარგის შენა-

ზვით კეთდება, კარგ თვისებას და ღირსებას იძენს. ბურგონიაში ეს არაყი კარგი ღვინოების ქაჭიდან გამოხდილი დიდ პატივშია და ღირსიც არის ამ პატივისა. ზოგიერთნი ამ არაყს ჩაახამენ პატარა ბოჩკებში და პირის დაუცობლად შეინახავენ ამბარში ანუ სადმე გრილ ადგილს; ექვსის თვის ან ერთის წლის შემდეგ ძალიან კარგი და სასიამოვნო სასმელია. აქ, როგორც ამბობენ, მუხის ყაფრებმა ცოტა ყვითლად შეღებეს არაყი და ტანინი გადასცეს; ამასთან რადგანაც ბოჩკა პირ-ახდილი იყო, ადვილი ასაორთქლებელი სხეულებიც გამოეცალო და ქაჭის გემო მოშორდა; მაგრამ საზოგადოდ კი საჭიროა, რომ არაყი ნელ-ნელა დაძველდეს გერმეტაულად დახურულ ბოჩკებში; ბევრია ისეთი დაძველებული ქაჭის არაყი, რომელიც ყოველის მხრით შესანიშნავია.

**აჩაყის ნაკლულევანება.** ქაჭის არაყს ცუდი გამოხდის გამო ხშირად სხვა-და-სხვა გარემოებაში სხვა-და-სხვა ნაკლულევანება აჩნდება: ხან გაშავდება, ხან გალურჯდება, ხან წყალის შერევით აიძვრება და მწვავ გემოს იძენს.

**გაშავებული აჩაყა.** თუ რაიმე შემთხვევით არაყი გაშავდა, იმის ფერის მობრუნება შესაძლებელია ან წებოთი დაწმენდით და ან ნახშირში გაწურვით.

**გაყვავებული აჩაყა.** მუხის ბოჩკაში ჩახსმული არაყი ყვითლდება; თუ სურთ ფერის მობრუნება, ეს შესაძლებელია ნახშირის ფქვილის მიმატებით (თითო ჰექტოლიტრზე 500 გრამი ნახშირი), ხუთის დღის განმავლობაში რამდენჯელმე კარგად არევით; ამას შემდეგ წებოთი დასწმენდენ (თითო ჰექტოლიტრზე 25—30 გრამი უელატინი); როცა წებო დაილექება, არაყს გადმოიღებენ—ეს ეხლა უფერული იქნება.

**გალურჯებული აჩაყა.** ქაჭის არაყი წყალის მიმატებით ხშირად იძვრება და ლურჯ ფერს იღებს. ამის მიზეზი ის არის, რომ არაყის გამოხდის დროს არაყის ზეთი ცოტათი საზნად არის გადაქცეული; საპონი კარგად იხსნება მაგარ არაყ-

ში, მაგრამ წყალით დანელებულში კი აღარ იხსნება—პატარა პატარა წვეთებად გამოეცლება. ეს წვეთები თეთრია და ამით არაყი იმღვრება: წყალ-შერეულ მღვრივე არაყის გაკეთება შესაძლებელია წებოთი დაწმენდით და ან მაგარი ალკოგოლის მიმატებით.

**თხლის არაყი.** როგორც ვიცით, თუმცა თხლეში 60<sup>0</sup>/6-ზე მეტი ღვინოა, მაგრამ ისე სქელია, რომ იმისაგან პირდაპირ არაყის გამოხდა ძნელია; თუ თხლე გამოწურულია და დაქაჯული, მაშინ ამ ნაწურიდან არაყის გამოხდა ისევე უნდა, როგორც ღვინიდან ანუ წყალ-ღვინიდან; თუ უნდათ პირდაპირ თხლიდან გამოხადონ არაყი, საჭიროა წყალის მიმატება; ჩვეულებრივ ორჯელ ან სამჯერ მეტ წყალს უმატებენ, ვინემ თითონ თხლეა. შემდეგ გაატარებენ საცერში, რომ გააშორონ ყურძნიდან დარჩენილი ნაწილები: ჩენჩო, კურკები და მრავალი ყურძნის ნამცეცები; რადგანაც იმაშიაც, რაც საცერზე დარჩება, ალკოგოლი ბლომად არის, ამისათვის საჭიროა თბილ წყალში გაირეცხოს, ხელმეორედ გაიწუროს და ნაწური პირველ ნაწურს მიემატოს. თხლეში ალკოგოლის რაოდენობა სხვა-და-სხვა არის და იმოდენივე უნდა იყოს, რამდენიც ღვინოში იყო. თხლის არაყიც ისე კარგი და ცხადი გემოსი არ არის, როგორც ღვინის არაყი, მაგრამ რიგიანად და ყურადღებით გამოხდით და შენახვით შეიძენს ღირსებას და ამის გამო კარგი გამოსადეგია, როგორც სასმელად, ისე სუსტის ღვინის შესაკეთებლად. უნდა ვიცოდეთ, რომ თხლე გათბობის დროს ქაფს იგდებს, ამისათვის საჭიროა საღუღებელი ქვაბი მთლად გავსებული არ იყოს და გამოხდის დროს ცეცხლიც ძლიერ ძლიერი არ უნდა იყოს. თუ გამოსახდელ ქვაბში თხლე პირდაპირ არის ჩასხმული, გამოხდით არაყს ძალიან მწვავე და საზიზღარი გემო აქვს, ჰაერის ზედ-მოქმედებით ფერს იცვლის და გაშავდება, ან აიმღვრება და ძნელი დასაწმენდი გახდება; წყლის შერევისა: ამისთანა არაყი ძალიან იმღვრება და ამისთან ან გალურჯდება და ან გაშავდება. ხშირად წამხდარი

სუნი და გემოცა აქვს და ამასთან ხრაკის სუნი და გემო. ამის ასაცილებლად საჭიროა თხლის არაყის გამოხდა აუჩქარებლად და ყურადღებით მოხდეს. ერთხელ გამოხდილი არაყი ხელმეორედ უნდა გამოიხადოს თევშებიან ქვაბში (კონდენსატორიანი) და კარგად დანაწილდეს და გამოორდეს თავი და ბოლოა შუაგულ არაყს.

კარგად გაკეთებული თხლის არაყი, ხელმეორედ გამოხდილი და კარგად განაწილებული, შესანიშნავია თავის არომატით და ძალით (Sève) და მოგვაგონებს ღვინის არაყს.

პირდაპირ თხლის არაყის გამოხდა ყოველ გვარ ქვაბში შეიძლება, მაგრამ უფრო კარგი იქნება, რომ ქვაბს ძირში ყალბი ფსკერი ჰქონდეს და ამ ფსკერზე ჩალა იყოს დაგებული. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დუღილის დროს გამოცლილი თხლე და ლექი ქვაბის ძირს არ მიეკრას და არ დაიწვას; ან იმისთანა ქვაბს ხმარობენ, რომელშიაც ჩაკეთებულია სარევი, რომ მთელის დუღილის დროს თხლე მოძრაობაში იყოს, ძირს არ დაილექოს და, მასასადამე, არ დაიწვას.

### ღვინის არაყი ანუ კონიაკი

რადგანაც ქაქის ნარეცხიდან ანუ წყალ-ღვინოდან არაყის გამოსახდელად იმისთანავე ქვაბს ხმარობენ, როგორც ღვინიდან არაყის გამოსახდელად, ამისათვის აქ ამგვარ არაყის გამოხდასაც ავწერ შემოკლებით, ესე იგი ეგრედ-წოდებულ კონიაკის მომზადებას, უმეტეს უფრო იმატომ, რომ ღვინის დამყენებელი ხშირად იძულებულია თავისი ღვინო არაყად გადააქციოს, თუ რაიმე მიზეზის გამო ღვინო კარგი არ დადგა და სასმელად გამოსადეგი არ არის.

კონიაკი სახელია ერთი პატარა ქალაქისა (Cognac), სადაც ვაჭრობაა, საქვეყნოდ განთქმული, ამ სახელის არაყისა; კონიაკი საზოგადო სახელია ამ არაყისა და სხვა-და-სხვა სახე-

ლებიც ჰქვიან იმის მიხედვით, რომელ ადგილიდან არის არა-  
ყი; აი ზოგიერთი სახელები განთქმულის კონიაკისა: Fine Cha-  
mpagne, Champagne, Petite Champagne, Saintonge, Rochelle, Arma-  
gnac და სხვანი. კარგი თვისება და ღირსება კონიაკისა დამო-  
კიდებულთა მიწის ბუნებაზე, ჰავასა და ადგილის მდებარეობა-  
ზე—რადგანაც ეს გარემოებანი ღვინის ვითარებასა და ღირ-  
სებაზეა მოქმედობენ, ამისათვის ამ ღვინიდან გამოხდილი არა-  
ყიც ამავე მოქმედების შედეგია; არაყის თვისება დამოკიდებუ-  
ლია აგრედვე თითონ ვაზის ჯიშზე, ტკბილის კარგად თუ ავად  
დადუღებაზე, ღვინის მოვლასა და შენახვაზე, მის კარგად და-  
წმენდაზე და, უკანასკნელ, კარგად თუ ავად თითონ არაყის გა-  
მოხდაზე, იმის სიმაგრესა და მოვლაზე.

თეთრი ღვინო უფრო კარგ კონიაკს იძლევა, ამისათვის  
ის ღვინო, რომელიც წინადვე დანიშნულია არაყის გამოსახდე-  
ლად, თეთრად უნდა დადუღდეს, ესე იგი უჭაქოდ. ამისათვის  
ყურძენი, თეთრია თუ წითელი, დაქყლეტის უმაღლვე უნდა და-  
იქაჯოს სისწრაფით; უამისოდ ტკბილში საფერავი გადავა,  
მწკლარტე ნივთიერება, ყურძნის არომატიული ნივთიერებანი  
და ამის გამო არაყი კარგი არ გამოიხდება. როცა ტკბილი კა-  
რგად დადუღდება და ღვინოები დაიწმინდება, მაშინვე შეუდ-  
გებიან არაყის გამოხდას; სჯობს ღვინო და თხლე ცალ-ცა-  
ლკე გამოიხადოს, თუმცა კი ბევრნი გვირჩევენ ერთად არევას.

დაშაქრულის ტკბილის ღვინიდან ისეთი კარგი კონიაკი  
არ გამოვა, როგორც ბუნებითი შეუქცებელ ტკბილის ღვი-  
ნიდან.

კონიაკის გამოსახდელი ქვაბი ბევრია, მაგრამ ყველას ის  
ემჯობინება, რომელიც პირდაპირ მაგარ არაყს (60°—70°) იძ-  
ლევა, თუმცა კი საფრანგეთში პატარა მამულების პატრონთა  
შორის სულ უბრალო ზარფუშიანი ქვაბებია გავრცელებული.  
ჩვენის აზრით, ზემოდ მოყვანილი ქვაბი (სურათი 68) უფრო  
ემჯობინება. ამ ქვაბს ისევე მოიხმარებენ, როგორც აწერილი  
იყო. წყალ-ღვინოდან არაყის გამოხდის დროს. თუ გამოსახდე-

ლი ქვაბი უბრალო ზარფუშიანი ქვაბია, მაშინ აცების უმაღ-  
ვეჭარა უნდა აადუღონ და როცა ღვინო ადუღდება, ცეც-  
ხლი უნდა დაანელონ და ისე მოაწყონ, რომ თითო საათში  
თითო ლიტრ არაყზე მეტი არ გამოვიდეს. პირველად გამოხ-  
დილი არაყი კარგი არ არის, ეს ორჯელ-სამჯერ კიდევ უნდა  
გამოიხადოს, რომ კარგი დადგეს. ის არაყი, რომელიც საახლო  
დასალევად არის დანიშნული, უნდა 67° იყოს და თუ შესა-  
ნახია, მაშინ 70°—74° და ხან 78° უნდა ჰქონდეს; შენახვით  
ამ არაყს სიმაგრე შეუმცირდება და 30 წლის განმავლობაში  
ისე დასუსტდება, რომ სასმელად აღარ ევარგება.

არაყი უნდა შეინახონ მუხის ყავრებიან პატარა (5 ჰექ-  
ტოლიტრიანი) ბოჩკებში, რომლებიც თუ ახლებია, ცხელი  
წყლით უნდა იყენენ გარეცხილნი. ბოჩკაში შენახვის დროს,  
რასაკვირველია, არაყი ცოტ-ცოტაობით შრება; შენიშნულია,  
რომ 25 წლით შენახვით ხუთ გექტოლიტრიან ბოჩკაში მარტო  
სამ-ნახევარი დარჩა და იმის სიმაგრემ 70°-დან 50° დაიწია; მი-  
ღებულა, რომ ახალი არაყით სავსე ბოჩკები ნოტიო ადგილას  
შეინახონ და ძველი კი მშრალ ადგილს.

არაყი თავის-თავად უნდა დაძველდეს, დაბერდეს; მხოლოდ  
20 ან 30 წლის შემდეგ იხმარება; რამდენადაც არაყი მაგა-  
რია, იმდენად დიდი ხანი უნდა დასაბერებლად ანუ დასაძვე-  
ლებლად. თუ უნდათ, რომ არაყი მალე დაძველდეს და ბოთ-  
ლებში ჩასასხმელი გახდეს, მაშინ გამოხდილი წყალით გაანე-  
ლებენ და ან მის სიმაგრეს შეამცირებენ სუსტის 20°—22°  
არაყით. ეს არაყი ასე უნდა იყოს მომზადებული: ჯერ არაყს  
გამოხდილის წყალით დაანელებენ 22°-დინ, ჩაახამენ ბოჩკაში  
და ერთი წლით (არა ნაკლებ) შეინახვენ; ამ ხანში ეს არაყი  
დაძველდება და როცა ამას მაგარ არაყს მიუმატებენ, მაშინ  
იმასაც გადასცემს ძველის არაყის გემოს. ამნაირად არაყის და-  
ძველება შესაწყნარებელია მხოლოდ დაბალ ხარისხის არაყის-  
თვის. კარგი არაყი კი თავის-თავად, ბუნებრივ უნდა დაძველ-  
დეს ანუ დაბერდეს იმ დრომდე, როცა შენახული არაყის სი-



მაგრე 52<sup>0</sup>-დინ დაიწვეს, მაშინ სასმელად გამოსადეგია, მაგრამ ბოთლებში ჩასხმის წინად ცოტაოდენ ლიქორს მიუმატებენ (სუსტ არაყში გახსნილი შაქარი), ასე რომ არაყის სიმაგრემ 52<sup>0</sup>-დან დაიწიოს 50<sup>0</sup>-დინ. თითონ ლიქორი დიდი ხნის მომზადებული უნდა იყოს, არა ნაკლებ 5—6 წლისა; ძველი Fine Champagne-ის დასატკობად ლიქორი 15 ან 20 წლისა უნდა იყოს.

### გ. ზეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება.)



## გიგლიოზგრაფია

დავითიანი თქმული დავით გურამიშვილის მიერ. მესამე გამოცემა ზ. კიკინაძისა, ტფ. 1894 წ.

ეს მესამე გამოცემა ერგო წილად დავით გურამიშვილის ნაწერებს ამ ოც და სამის წლის განმავლობაში. სამი გამოცემა წარჩინებული პოეტის ნაწერებისა თითქმის მეოთხედის საუკუნის განმავლობაში ბევრი არ არის რომელისაჲ დაწინაურებულია ერისათვის, მაგრამ ჩვენში კი, სადაც სხვა ფრიად ნიჭიერს და სახელოვან მწერლებს ამავე ხნის განმავლობაში მეორე სრული გამოცემაც არ ჰქონიათ, დიდაც ბევრია. სწინს, ქართველს ერს დ. გურამიშვილი შეუთვისებია და თავის საუკრელ პოეტად უცნია. ეჭვი არ არის, რომ ქართველობა სტებებს გურამიშვილის პოეზიის არა მარტო გარეგანის სიმშვენიერით, არა მარტო მისის მუსიკითა და ლექსთა წყობითა. დ. გურამიშვილის პოეზია, ჩვენის აზრით, უფრო შესანიშნავი არის თავის შინაგანის ღირსებითა, თავის აზრების სიდადიითა და გრძობათა კეთილშობილებითა. მისი ნაწერები სავსეა საზოგადოებრივის გრძობითა და აზრებითა და ავტორი უნდა ჩათვალოს ახლის დროის ქართველ პოეტ-მოქალაქეთა მამა-მთავარად.

დ. გურამიშვილი წარმომადგენელია ვასტანგ მე-VI-ის შესანიშნავის ეპოქისა, თვით ვასტანგსა და საბა სულხან ორბელიანთან ერთად. ეს ეპოქა შესანიშნავი იყო არა ბრწყინვალეობითა და ძლიერობილებითა, არამედ თავისის დრამატიზმითა, რომელიც იმაში გამოხატა, რომ ამ ეპოქის წარმომადგენლების გიორგი ღვაწლმა და მეტადინებამ ვერა გააწეო-რა უძლეველის ყამთა ვათარების წინააღმდეგ. ამ შესანიშნავს დროში ჩვენა პოეტი-მოქალაქე,

აღჭურვილი საზოგადოებისადმი სიყვარულითა და ძლიერ სარწმუნოებითა; ნათლად ჭსატაგს ჩვენის ერის უბედურ მდგომარეობას და მძინურის კილოთი ურჩევს ერს, განასლდი და გასწი წინათ. ამ განასლების და წინასვლის საუკეთესო დონისძიებად ჰოეტს მიახნია სარწმუნოება, სწავლა-განათლება და ურთიერთობა. გურამიანის იერემიასებური გოდება, ერთის მხრივ, და გამამსწეველი მოძღვრება, მეორეს მხრივ, ავლიებს მეთესველის გონებას და აღფრთოვანებს მის სულსა. ამის გამო მას დიდს სახს არ დაეკარება ქართველობისათვის ძალა და მნიშვნელობა. იმედა, რომ ყოველის ქართველის წიგნთსაცავში გურამიანს, როგორც დღემდინ, ისე შემდეგშიც, თვალსაჩინო ადგილი უჭირება რუსთაველთან ერთად.

ამას გარდა დ. გურამიშვილის ნაწერებში ცხოვლად მოთხრობილია ნამდვილი ისტორიული ამბები, რომელთაც ავტორი აღვიწერს, ვითარცა მართალი, გულწრფელი და განათლებული დამსწრესათვის დამსწრის მოწმობა ჩვენის ისტორიისათვის შეტად ძვირფასია.

დ. გურამიშვილმა სსკებზე უფრო მეტად, მეორეს მხრივ, დაიმსახურა ჩვენის საზოგადოების უფრადება. მას უძღვნეს კრიტიკული და ისტორიული უტიუდები ბ. ა. წერეთელმა, ზ. უმიკაშვილმა და თ. ყორღანამ. ამ მესამე გამოცემაში წინასიტყვაობის ადგილას მოქცეულია ზირველის ორის ავტორის წერილები, რომელთაც მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავენ. უჭვი არ გვაჭკეს, რომ გურამიშვილის კრიტიკული გარჩევა და დაფასება ამით არ დაბოლოვდება. გურამიშვილი, ვიმეორებთ, ეკუთვნის მეტად შესანიშნავს ეპოქას ჩვენის ისტორიისას, და ასეთის მწერლის ფსინოლოგიისა, აზრებისა და მნიშვნელობის სრულად გამოასრკვევად საჭიროა მთელი ეპოქა იქმნას შესწავლილი თავისის სიგრძე-სიგანით. რასაც მოუნდება. შრომა და ძალ-ღონე არა ერთისა და ორის მწერლისა, არამედ რამდენისამე თაობისა.

დასასრულ, ამ წიგნის გამომცემელი ბ. ზ. ჭიჭინაძე გვაუწყებს, რომ დამზადებული მჭკს გამოასცემად, სსკათა შორის, მოსკოხონელის ამირან დარეჯანიანო. საჭიროა, რომ გამომცემელი ამ

წიგნს შესაფერის სიფრთხილთ მოკვიდოს. თუ გამოცემულს ჭსურს, რომ ამირან დარეჯანისი ისეთივე რიგანად გამოცემული იქნეს, როგორც «დავითისა» არის გამოცემული. შ. უმიკაშვილის რედაქტორობით, ეუზრჩეოთ მანდოს რომელსაჲ მტოდნეს ხეინის ძეგლის მწერლობისას— შედაროს ამ რომანის რამდენიმე რიგანა კარანტი და ისე გამოსტეს. უამისოდ მასი გამოცემა, წინდაწინ შეკვიდლია ეთქვათ, სასურველ სწრებლობას კერ მოიტანს.

**Объяснительный каталогъ** библіотеки Е. И. В. Вел. Кн. Георгія Александровича въ Абастуманѣ. Кавказъ и сосѣднія съ нимъ страны. Составилъ К. Н. Бегичевъ. Тифлисъ, 1894 г.

ამ კატალოგში მოხსენებულა 500 წიგნი. თვითუელის წიგნის სათაურს ქვეშ მოყვანილია მისი მოკლე შინაარსი. აქ არის ხამოთვლილი თითქმის ყველა წიგნი, რაც კი კავკასიის შესასებ ოდესმე და სდამე დაბეჭდილა უცხოთა და რუსულს ენაჲ. მათ შორის მრავალი დაბეჭდილია წარსულს საუკუნეში და ზოგი მე-XVI-შიაღ. ხეენ მსოლოდ კერ გიბოკეთ აქ ცნობილი თსზულე-ბები I. S—Martin'ისა, Vivien de S—Martin'ისა, d'Ohsson'ისა, Lambert'ისა და სსვ. მაგრამ რაც არის აქ შეკრებილი, ისიც დაუფასებელი საუნჯეა კავკასიის შესწავლისათვის. ამიტომაც ეს კატალოგი მიუტელებელი საჭიროა, როგორც იმ საჯარო წიგნთ საცავათვის, რომელთაც საგნად აქეთ კავკასიის შესასებ დაწერილის წიგნების შეკრება, ისე ყველა იმისათვის, ვისაც კავკასიის ან საქართველოს შესწავლა ჭსურს.

\*\*

**О сборникѣ матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа**, издаваемомъ управленіемъ Кавказскаго Учебнаго Округа. Отзывъ проф. **Вс. Миллера**, напечатанный въ Журналѣ Минист. Нар. Просвѣщ. Тифлисъ, 1893 г., гл. 153, in 8°.

ამ წიგნის ავტორი, პროფ. მილლერი, კარგი მტოდნეა ხეინის ქვეყნისა. მას შემდეგ, რაც იგი შეუდგა ოსების ენისა, ეფასწორების და ისტორიის შესწავლას, ბეჭითად აღეგნებს თვალ-

ეფრს კავკასიის შესახებ ახალ-ახალ წიგნებსა და გამოკვლევებს. როცა დააწინაურდა ტფილისში სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით კრებულ კავკასიის ტომთა აღსაწერად, შრომ. მიღწეობა პირველმა მიაქცია ამ გამოცემას ეურადღება და თვითეულ კრებულის შესახებ ზებუდავდა სამინისტრო ეურსნაღში მის განჩევას, რეცენზიას. ბ-ნი მიღწეობა არ სჯერდებოდა მართლ იმას, რომ გაეცნო მკითხველ საზოგადოებისთვის შინაარსი კრებულისა, — იგი ეოკელთვის უმატებდა ახალ ცნობებს და აღუხებდა სოღმე არაკს ანუ ჩვეულებას ადგილს სსკა ერთა ისტორიაში, აძლიერებდა მათ შინაშენლობას საკუთარის მოსაზრებითა და შეღაბებთა.

უთუოდ ამ კარებობამ გააბედინა სამოსწავლო მთავრობას კავკასიაში გადაებუტდა ერთ წიგნად გაფანტული სსკა-და-სსკა დროის ნომრებში «კრებულთა» განჩევა შრომ. მიღწერისა. ეს წიგნი მართლაც საჭირო და სასარგებლოა ჩვენი ქვეყნის შემსწავლელთათვის. უკანასკნელ თავის წერილში, რომელიც სამინისტრო ეურსნაღში არის დაბუკდილი და კერ მოეჭა იმის წიგნში, შრომ. მიღწეობა აშობს, რომ კავკასია ამ 10—12 წლის განმავლობაში მზრუნველის კრებულისა» წყალობით იმდენად შესწავლულ იქმნა, რომ აღარ შეიძლება ითქვას, ეს მსარე წყადიადით მოცული ქვეყანაა — *terra incognita*-ა. სამართლე მოითხოვს ადვიროთ, რომ შრომ. მიღწერისა და შრომ. კოკალექსკის დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ *terrae incognitae*-ს გამოკვლევაში. შეგონი, შიფნიერი, უსლანი იკვლევდნენ მსოლოდ ენას, შრომ. მიღწეობა და კოკალექსკი აქტეკენ ეურადღებას ზნე-ჩვეულებას, სარწმუნობას, იურიდიულ წეს-წყობილებას შესწავლას. ეს უკანასკნელი კერობობა კავკასიის გამოკვლევისა შრომ. კოკალექსკის შემწეობით გასდა საგნად შესწავლისა საზღვარ კარდაც: იმისი თსსულება „Законъ и обычай“ — კანონი და ჩვეულება გადითარგმნა ინგლისურად და ფრანგულად. შრომ. კოკალექსკიმ თვითონ იზრუნა თვისის გაფანტულის წერილების ერთად აღსაბუკდად, სოლო შრომ. მიღწერის რეცენზიები «კავკასიის კრებულისა» გამოსცა სამზრუნველო ოლქმა და მათ დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ქვეყნის მკვლევართა.

# შინაური მიმოხილვა

წარმომადგენლობა არჩევნებში

ახალი წესი ბანკის არჩევნებისა.—მისი შემოღების მიზეზი.—მიცნირება რა თვალთ უცქერის ამ წესს?—ძველი იმედები.—რას მოველოდით საყოველთაო კრებისაგან?—რას მოვესწარიტ?—რა გვიჯდება დღეს თვითთული საზოგადო კრება?—წარმომადგენლობის წესდების შედგენის დროს საკიროა ხმის ამოღება.—ცოტა წარმომადგენელი გვყავდეს, და კარგი კი.—მაზრების დაყოფის საკიროება, კენჭის საყრელად.—უმჯობესი წესი არჩევნებისა.

ორისავე ჩვენის საადგილ-მამულა ბანკის ცსოკრებაში ასალი სანა დგება. სასელმწიფო საბჭოში მსადდება დღეს კანონი, რომლის ძალითაც თანასნთ-მანისტრს უფლება ეძლევა, დამაარსებლებისა და მსესსებლების საზოგადო კრების მაგიერ, ამ ბანკების მართვაში წარმომადგენლობა შემოიღოს. როგორც მოგესსენებათ, დღემდე ბანკების მმართველობის არჩევა და უმთავრესი საქმეების გადაწყვეტა ყველა დამაარსებლებისა და მსესსებლების კრებას ქქანდა მინდობილი. ასალი წესი ამ მდგომარეობას სცვლის. მისის ძალით ბანკის დამაარსებლებს და მსესსებლებს სწორად ისეთივე უფლება ექნებათ, როგორაც, მაგალითად, სასლის-პატრონებსაც აქვთ ქქლაქის მმართველობაში. იმათ უფლება ექნებათ წარმომადგენლები აირჩიონ, რომელთ სელშიაც გადავა ბანკის მმართველობის და რედამსედებლების არჩევა, საგნების სინჯვა და გადაწყვეტა, საქმის პატრონობა და სსკ. ქქლაქის მმართველობაში ქქლაქის თავს, გამგეობის წკერებს, მდიანს, ყოველგან სომ სმოსნები ირჩევენ, და

არა ეგულა იმ ქალაქის მცხოვრებლების კრებულში. საქმეებსაც იქ სმომსწობის რჩევა ან საბჭო (городская дума) მართავს. ამას იქით ხეყენს საადგილ-მამულა ბანკებისაც ამგვარივე არსებული საბჭო ეყოლებს....

ამასწინად ხეყენს სასოგადოებაში დიდი დავა იყო ატყესილი იმის შესახებ, თუ რომელი წესი სჯობია ხეყენთვის და ხეყენი ბანკებისათვის: ძველი, თუ ახალი, ზირდაზირი მართვისა, თუ წარმომადგენლობისა. ცხარედ დაობდნენ ატრედვე იმის შესახებაც, თუ კისი ბრალია ძველი წესის შეტყვლა და ახლის შემოღება: იმითი, კინც ძველი არია და წაბილწა, თუ სხეებისა, კინც ამ არეყამ და წაბილწყამ შეაწყუს ან დაათყქრა? ამ საყანხე მასშინ ხეყენც გაძოგათჭყით რამდენიმე აზრი, „მოამბის“ მეორე წიგნში. მას აქეთ გატრემოება იმდენად შეიტყვალა და გაძოგათყანა, რომ დღეს, მართალი რომ სთჭყას კანმა, სრულიდაც ადგილი აღარ უნდა ჭყონდეს არავითარ დავას ან უთანხმობას ამ საყენის შესახებ. ჟერ ერთი ესა, რომ ხეყენ რადი ვინმე გკკითსახეს, რომელი წესი სჯობია ან ტკირხეყენის: ზირდაზირ და ხეყენდა დაუკითსახად, გკკეუნებინა კი არა, გკკირმანებენ—აი, ამ ახალი წესით უნდა იხელმძღვანელოთო. მეორე მხარე დავის ატრეთვე უსათყუძლოდ უნდა ჩათყვალოს იმ მიზეყით, რომ მთავრობას სასოგადო კრებათა უყარგისობა და წარმომადგენლობის სატრეობა ხეყენში და ხეყენს საქმეებზე კი არა, რუსეთში და რუსეთის ბანკების ბედ-იღბალზე გაუტყენია. ხეყენი ბანკების მოჭმეებას კი არ დაუტრწმუნებია მთავრობა, არც ხეყენს სახიყარს, ნაწყრს, თუ ნათჭყამს, ეყელს ამგვარივე ბანკებთან გარემოებას რუსეთში და სამსღვარს-გარედ. ეყელას და ეყოველგან შეუნიშნათ, რომ საყცა კი სასოგადო კრება ტრცხე-მრავალი ყოფილა. იქ, თურჭმე, უფრო ადგილია საქმის არეყ-დარეყა და უღირსი მმართველების გაძლიერება, მათგან განუსახღვრეულ და წრე-გადსუღუფულების შემენა... ერთს და იმავე მდგომარეობას, რასაკვირველია, ყოველგან ერთი და იგივე შედეგი მოსდევს. მთავრობას რუსეთშივე დაუნახავს, რომ საზოგადო მოვლენა ყოფილა ტრცხე-მრავალ კრებათა უყარგისობა. ის გარემოება, რომ მთავრობას ეს დაუსყენია თავის-თავად, რუსეთის ბანკების ბუღის დაკვირვებით, იქი-



დან სხანს ნათლად, რომ თავდაპირველად წარმომადგენლობა შემოიღო ფინანსთა მინისტრმა საურთიერთობის საზოგადოებათათვის. შარშან, 15 ნოემბერს 1893, ხელმოწიგემ დაამტკიცა კანონი („Собрание узаконений и распоряжений правительства“ 1894 г. № 25), რომლის ძალითაც ფინანსთა მინისტრს უფლება ეძლევა საურთიერთობის ყველა საზოგადოებათა წესდება იმ სახით შესცვალოს, რომ საცა წევრთა რიცხვი სამასს კაცზე ნაკლებია, იქ წარმომადგენლობას შემოღება თვით წევრთა ნებაზე აიყოს მინდობილი, და საცა სამასს წევრზე მეტია, იქ მათ უნებურადაც უნდა შემოიღოს წარმომადგენლობა. ეს კანონი დაბეჭდილია წლეკანდელ კანონების კრებაში 176 ნომერით. მეორე კანონი, ამავე დღესვე დამტკიცებული, და დაბეჭდილი 175 ნომერით, მინისტრს უფლებას ანიჭებს ამგვარადვე შესცვალოს საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათა წესდება. ყველამ იცის, რომ არცერთს ჩვენებურს საურთიერთობის საზოგადოებაში მათს დღეში არავითარი უწილობა და საზიარო არ ატყისილა. არც ერთადერთს ჩვენებურს საქალაქო საკრედიტო საზოგადოებას (ტყეილისისას) შეეძება შემოხსენებული კანონი, რადგანაც წარმომადგენლობა მას დიდი ხანია, თავიდანვე ჰქონდა შემოღებული წესდების ძალით. უკვლავ, აგრეთვე, რომ მინისტრს სასიუამაც არ ჰქონია, არც კი ჰქნსომებია, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები, თორემ ორს ერთკვარის კანონს, ერთს და იმავე დროს შედგენილს და დამტკიცებულს, ადვილად დაუმატებდა მესამესაც, შესახებ საადგილ-მამულო ბანკებისა, იმ მესამე კანონს, რომლის საჭიროება ვითომ მერმე გახსენებია ან დაუნახავს, მთელის ერთის წლის შემდეგ... მაშასადამე, ჩვენში სრულუბოთ უსათუქვლავ ის აზრი, თუ ეგებრება, ვითომ ძველი წესი ჩვენის ბრალთა იცვლებოდეს. თუნდა სრულად არავითარა უწესობაც არ მომხდარიყო ჩვენს კრებებზე, თუნდა არც ერთი სტრატეგია არ დაწერილიყო ამ უწესობების წინააღმდეგ, სულ ერთია, საზოგადო კრებანი მანაც მოისპობოდან მთავრობის მიერ და წარმომადგენლობა იქმნებოდან უსათუოდ შემოღებული, რადგანაც ამას მოითხოვს წარმატების ზრდა და კანონი.

მართლაც, ვისაც განზობილი აქვს მართლმადიდებლის მეცნიერება, იმან კარგად იცის, რომ პირდაპირი მართვა საქმეებისა ხალხის კრების მიერ პირველ საბიჯს შეადგენს კაცობრიობის წარმაცუებისას. ამ სახით შეიძლება სწავებოდეს, ავად თუ კარგად, მარტო სოციალური უმთავრესი საქმე: მაგალითად, ვიომთ თუ არა, ან ვინ დავისვით ბატონად, ან ვის გაუხსდეთ მოკავშირედ. მარტო ამგვარი იშვიათი და სსვილ-სსვილი საქმეებს შეეძლოთ მთელი ერის შექმნა და შეკრება, გასასქენის დასადგენად. ყოველდღიური მართვა კი, და ყველა უბრალო საქმეების წარმოება, ამ დროს ნიდავგ არსებული მთავრის, ან ბატონისა და მეფის ხელშია. კარგი და კეთილია, თუ სკინდისიანი და ნიჭიერი გამოდგა ეს პირი, მთელი ერის ნდობით შემოსილი: სხვათა ის შრომობს და მეტადინებობს, და საცა კი მიუწევს მისი თვალი და კვალი, საქმენ რიგინად მიდის. თუ არა-და, ვინიცობა, უნიჭო ან უხეირო გამოდგა, ქვეყნის საქმენ ვაგლასად მიდის და იღუპება. მთელ ხალხს არც ხშირად შეუძლია შეიკრიბოს, არც ღრმად შეუძლიან დაუკვირდეს საქმეს: მოუხდელია, გამოუხდელია. შეუძლია მარტო ენდოს იმას, ვინც მეტადნედ მიახსნია. კაცობრიობის ისტორიის მსგავსებაში სავალად დამტკიცება ამის ჭეშმარიტება. უმეტესად, ამგვარი მართვა საქმეებს საქმისა ბეჭედად უფრო სამკობინია, ვინემ ერთიანი უხმობა ხალხისა, მისი უუმტკრილობა, მისი მონობა, მაგრამ ამასე სომ არა გვაქვს სხვა... როცა მოწინავე ხალხებმა, მონობიდან გამოსულებმა, სინჯეს პირველი საბიჯი თავიანთ თავთ-მმართველობისა, ყველამ დაინახა, რომ პირდაპირი მართვა ქვეყნის ბედისა მთელი ხალხის კრებისაგან (პლემბისტიტუტი მართვა) პირდაპირ ამხადებს მონობის უარესეს ფორმას—ცეზარიზმს. მისი შემწეობით უღირსი დიდების შეძენა ბლები თავს უსკევენ ხალხის გამოუხდელს უმრავლესობას, ჭლადმაკენ საზოგადოების განათლებულს ნიწილს, და უღელს ადებენ მთელს ერს... ისტორია და მართლმადიდებლის მეცნიერება იმის მოწამე, რომ ყოველგან, საცა კი მთელს ხალხს საბარბულოა ჭჭონია პირდაპირი მართვა თავისი საქმეებისა, ეს ვითომ-მართვა ყოველთვის სსვა-და-სსვა ტყარის გაბატონებით და ხალხის დამონებით,

დამსობით გათავებულა. ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს პირდაპირი მართვა ყოველგან ასე არ დაბოლოვდეს, ადრე თუ გვიან.

ამის გამო კაცობრიობამ ყოველგან, საცა კი ჭკუამ და რიგობაობამ დასძლია, მარტო მით მოასურსა მონობიდან გამოსვლა და თვით-მმართველობის დაჩისება, რომ წარმომადგენლობა შემოიღო. მართლაც, მარტო წარმომადგენლობა შეადგენს ნამდვილ თვით-მმართველობას. აი ამის საბუთები. პირდაპირი მართვის დროს ყოვლად-შეუძლებელია, რომ მართლაც მთელმა ერმა, ანა-და მთელმა თავად-აზნაურობამ, მიიღოს მოსაწყობება გრებაში და საქმის გადაწყვეტაში. მთელი ერი ერთს ქალაქში ვერასოდეს ვერ მოიყრის თავს. საქმეს ის დაესწრება და გადასწყვეტს, ვინც მოსკლას მოასურსებს, ესე იგი მცირე, თითქმის შეუძინეველი ნაწილი ხალხისა თუ წოდებისა. ამ დროს ხალხის უმეტესს ნაწილს კი ერთიანად ეკარება უფლება მოსაწყობება მიიღოს თვისის სკადრის გადაწყვეტაში. ვინც მოკა და დაესწრება, ის გადასწყვეტს საქმეს. ამ მდგომარეობაში, რასაკვირველია, სრული შექლება ეძლევათ მეთაურებს მოიყვანონ, ვინც მათი მომსრუცა, და მოსკლა გაუმხლონ იმათ, ვინც წინააღმდეგია. სრუკა, რასაკვირველია, დიდ ხანს ვერ იქნება თავ-მოყრილი: შინ საქმე აქვს, ქალაქს რჩენს უჭირს. ამის გამო მას მოსსურება, ყოველთვის ალა-ალად, მარტო უსაჭიროესა საცნები, ისიც იმ დროს, იმ მიწურულში, როცა მათი გადაწყვეტა ძალა-უნებურად ჰო-თი ან არა-თი უნდა გამოითქვას. უმეტესა ნაწილი კი საქმეობისა, და მთელი ხასიათი მართვისა ისე მიდის, რომ გრებას გაკებაც არა აქვს მათი.—წარმომადგენლობაში კი ყოველ დამიანს აქვს კენჭი და არავის სმა ან უფლება არ იკარება. შემოიღია, თუ არა, ქალაქში ჩასვლა, ყოველთვის საქმეში წარმომადგენელი მყავს, ხუმი სასალო კაცი, რომელსაც ვიცნობ, და რომელიც იმოდანად განკითარებულა საქმეში, რომ ყოველთვის შეუძლია მმართველებს კვალში ჩაუდგეს, გზა გაუგოს, მხარი მისცეს ან სული შეუშალოს. ამისთანა ნარჩევი წარმომადგენლების გრება ყოველთვის უფრო ახლო, უფრო ღრმად უკვირდება საქმის მართვას, ვინემ ხალხის სრუკა, ძნელად გასაწრთებელი და მოსაკლელი, ადვილად ასაღებელი და მოსატყუარი... წარმომადგენლობას დროცა აქვს, ცოდნაც და საშუა-

ლებაც თითო-თითოდ გაიწინოს ყოველი საგანი და საქმე მძარკვე-  
ლობისა, გამოიძიოს საქმის გარემოება შენაც და უცნოეთშიაც, თა-  
ვის-თავადაც მოძებნოს ახალი გზა და გადაწყვეტილება, კარდა იმი-  
სა, რომელიც მისთვის მძარკველობას წარუდგენას, უბას-უსოს არა-  
მარტო «ჭო» ან «არა», არამედ მთელი ახალი გადაწყვეტილება წა-  
რუდგინოს... ერთის სიტყვით, ნამდვილი თვით-მძარკველობა, რომ-  
გორც მთელი განათლებული კაცობრიობა დარწმუნდა, შესაძლოა მა-  
რტო წარმომადგენლობის წესით, რადგანც მარტო ამ წესის შემ-  
წეობით დაარსდა უცნოეთში სამართლიანობა და თავისუფლება, თა-  
ნასწორობა და სიმართლე... ყველამ გაიგო, რომ წარმომადგენლო-  
ბა ყოველმა მორე და უაღრესი ნაბიჯი თუ საიკუნური თვით-მძარ-  
კველობისა. თვით იმ დაწინაურებულ ქვეყნებში, საცა ეს უკანას-  
კნელი სიტყვა ეძლევა მძარკველობის საქმეებში ვი არა, მარტო გა-  
სონ-მღებლობის უმთავრეს საგნის გადაწყვეტაში, მაგალითად, შვე-  
იცარიისში, წარმომადგენლობა ჭმართავს ქვეყნას და განმარტობას,  
წარმომადგენლობა არდგენს საღსისთვის გადასაწყვეტს ფორმულას,  
რომელსედაც საღსს. შეუძლიან ზღებანციტით გამოსთქვას მხლოდ  
თავისი მუნჯური «ჭო», ან «არა». ამ ქვეყნებშიაც საღსას აზრის  
გამომთქმელი, საღსის საქმეების მძარკველი, საღსის ბედის გადა-  
მწყვეტელი მანც საღსის წარმომადგენლობას, რომელიც მარტო  
იშეიათ და სამძიმო შემთხვევაში ისე არ მოიყვანს აღსრულებში  
თავისს განახსნს, თუ ჯერ საღსს არ აჩვენა და არ ჭკითხა—თანსამხ  
სარ ამ განახსნისა თუ არა..

ყოველთვის და ყოველს საქმეში მტკიცედ უნდა გჭმინდეს ჩა-  
ბეჭდილი გონებაში, რომ ჩვენდა თავად კურაფერს მოვიგონებთ ისეთს,  
რაც ჩვენსე დაწინაურებულ საღსებს ჩვენსე უძლავთათს მანც  
არ ესინჯოთ. ყოველ საღსს მდგომარეობაში გონიერება იმას მო-  
ითხროს ჩვენსა, რომ მავანედ-მოვიანედოთ და გავიგონოთ, თუ რომ-  
დის ვან ყოფილა ამგვარსავე მდგომარეობაში, ვის რა სსშეალება-  
სი უცდაი მანც, და რომელი სსშეალება უცნისა მთელს კაცობრი-  
ობას გამოსადგვად ან უტუთარად. ვიმეორებ, რაც სსგა საღსებს  
უსინჯავს და სსგებსთვის უარვისი გამომდგარა, ის არც ჩვენ და-  
გვარის სკი.რს, რადგანც ჩვენს ადამიანები ვართ, და არა თუ უსი-

ლავი ფერები, ჩვენც იმავე ფიზიკურ და წნეობრივ კანონებს კავშირებით, რომელნიც მთელი დედამიწის და ყველა მის მცხოვრებლების არსებობას განაგებს... რუსებმა იცნან ტაბასი, კითომ ანაც რუსის მოუსდება, ის ნემცისთვის სასიკვდილოა. ასე ეგონა მას ჟამსა შინა ბნელ ხალხს. ესლა კი თვით რუსეთშიაც ყველანი, ვინც კი მეცნიერების სინათლით თვალ-ახელიდაა, მტკიცედ დაწმინებული არიან, რომ ბუნების კანონები ყველასთვის ერთია... მაშასადამე, თუ ჩვენც გავსურს განათლებულა ქვეყნების ბედს დაუკავშირდეთ, ჩვენც წარმომადგენლობაში უნდა ვიქმედეთ და კონობდეთ წარმატების ღონისძიებას...

წარმომადგენლობის შემოღება ჩვენში, ჩვენის სურვილით და თაოსნობით რომ დაწყებულიყო, სწორედ ბუნებრივად იქნებოდა ჩვენის ქვეყნის წარმატებისა. მაშინ ნამდვილი საბუთი გავქნებოდა, იმის დამამტკიცებელი, რომ ჩვენი საზოგადოება გასდილა და ასაკში მოსულა. სრულა და უსიტყვა-პასუხი, ყურმომტკილი მობობის შემდეგ მას ოციოდ წელიწადზე მეტი არც კი დასტირების თვით-მმართველობის, პირველ ნაბიჯის გადასადგომლად, კიტუოდით. საუბედუროდ, როგორც წინადაცა კთქვით, ამ საქმის შემოღებაში წილი არც კი გვიქვს. საკუთრივ რუსეთის საზოგადო ცხოვრების ბუნებურმა ზრდამ დასასვავ მთავრობას ძველის წესის უკარგისობა და ძალა დატანა თვით-მმართველობის კიბის უმადლეს საფესურზე შედგმეკინებისა ფეხს საზოგადოებისათვის. ესლა ჩვენც გვიზიარებენ ამ წარმატებას...

ბანკები რომ არსდებოდა ჩვენში, ყველა შეკნებულ კაცს ესმოდა, რომ საზოგადო, საყოველთაო კრება ბანკის წევრთა, ადრე თუ გვიან, ხელს შეუშლიდა რიგის მართკას და პატრონობას ამ რთულის საქმისათვის, მაგრამ ვინც იმ დროის სიბნელეს და სიფრუეს განსიხუნებს, ადკალად მიხვდება, რომ მაშინ ჩვენთვის ბანკის რიგისობა ისე დასავასებულა არ იყო, როგორც მაშინებულთ, თითქმის მკვდარი საზოგადოების გამოფხინებება. თავდაპირველად წარმომავებლობა რომ შემოეღეთ ჩვენი ბანკების დამაარსებლებს, საფიქრებელი იყო, რომ ქართველობას საზოგადო სიფხინულე და ინტერესი სისხლ-სორცში ისე ძალე არ გაუყდებოდა, როგორც

საყოველთაო კრების შემწეობით. ეს კრებანი ყველას ჩინებულ სოციალურ მიჯნადად საზოგადოებისათვის... ყველა, ვისაც კი სიყრმეიდანვე მარტო მამულის სიკეთისათვის გიციებდა გული, ვიმედოვნებდით, რომ ეს კრება შეგროვებდა და საერთო გრძნობას გაუღვივებდა ჩვენს გაცალცალკეებულს, დაფანტულს, გზა-დაკარგულს ეროვნებას... დაე, ვირველს ხანებში, შეცდომაც შეეზაროს ბასკის მმართველობას, დაე რამდენიმე ათასი მანეთით ნაკლები მოგება დაჩნეს ბასკს, ვიქრობდით, დაე ორიოდე უღირსი პირი იქმნას ამოწყველი, რა გუერთ, ეს წვრილმანი ნაკლები აზიზად ჩასაცდებია, საზოგადო სიკეთესთან შედარებით, საერთო გრძნობის გაღვივების გვერდით... ამას გარდა, ვინ იფიქრებდა მამინ, — ჩვენგანი მაინც — რომ ჩვენი ერთი წინმსწავლობის მკაფიო, უკან დასხედ, ან ასევე მომაკალი თაობა ჩვენივე უფრო სიფთა, წმინდა, უანგარო და მალა-მიზნისადაც იქნებოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს ყოველად-უბედურს, ყველასგან დასავრულს, ღარიბს და დაცემულს საზოგადოებას ვინმე განათლებულთაგანი ან მოტყუებულს, ან თვალის ახვევას, ან სრამში გადავდებულს მოუხდომებდა?... ჩვენ ვიცოდით. საყოველთაო კრებათა საშინაო, მოსარჩევნო ნაკლები ვიცოდით, რომ მათზე მრუდე, მტყუარა, მდებალ ოსებს მეტად დიდი კასაკალი აქვთ ყოველგან. ვიცოდით-მეთქი, მაგრამ თან ისიც გვეტონა, რომ სანამ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა გარყვებოდა და ხალხის მტყუარობამდე თავს დაიმდებლბდა, თვითონ საზოგადოება სკამოდ ფებს ადგამდა და თვალს ახსუდა... ეს გრძნობა, ან ეს იმედი იმოდანად ძლიერი იყო იმ დროს, რომ თვით ის მოწინავე კაცნი, რომელნიც უსამართლოდ დასავრულ იქმნენ ბნელ სოციალისტურ, აზიზად ავდებდნენ თავიანთ შეურაცხყოფას, თავიანთ საფუძვლიან აზრს და მარცხებას, მომაკალ სიკეთესთან შედარებით...

ეს იმედი არ შეგვისრულდა. ვერ მოვასრულეთ, და ვერა, ვერც ქართლ-კახეთში, ვერც იმერეთ-სამეგრელოში, ამ უთვალავ ოკავდასინაურობის წინ, რიგისი ბრძოლა გაგვემართა აზრებისა, ის ცხარე და შეუზოკარი შეჯახება სსკა-და-სსკა შესედულობისა, მოასრუებისა თუ საშუალებისა, რომლის შედეგად ყოველთვის ტყუილბრძობის გამარჯვება და საზოგადოებისგან ერთი გზისა და მოქმედების

აზიელებს. ქვეყნის სხვათაგან, სამდიოლო ერთობას აი ამგვარი აზრების ბრძოლა აზრებს: გამაგრებულს მართლ, სამართლიან, სასურველ აზრს თითქმის მთელი ერთი ითვლის და ახორციელებს. ამგვარ ბრძოლას ვერ ვეღვირეთ საზოგადო საზარესზე. მის მაგიერ ჩვენში ატყდა მომხიბლველი, საზოგადოების განყოფილი, დამაუბლებელი, გამრეხელი პირადი ბრძოლა, ბრძოლა ადგილისა, უმადობისა, ბატონობის საშოვნელად. ამგვარად უღირსის ბრძოლისათვის ჩვენი საყოველთაო საზოგადო კრება ერთობ სასურველ ნადავლი გამოდგა. აზრის სისწორე, უბრუნებლობა საზოგადოებისთვის ვისღა გასსენდა: ნათესაობა, მეზობლობა, პურმართობა, პირადი დავლება გასდა საქმის გადაწყვეტლად, კაცის ამომჩველად... საზოგადო, საერთო გრძნობის მაგიერ, გაძლიერდა ბინძური მიკროპა, პირადი ქიშკობა. ძმა-ძმასე აღსდგა, ერთმანეთის წასაქეზებლად კი არა, აბა, რომელი უკეთ ვემისწერებოთ და გამოკვადებით მიჰქვას, რომელს უკეთ გვესმის მისი სიკეთე და საჭიროება, არა, ერთმანეთის ცილის საწამებლად, დამამსობლად, სისხლას მოსვლად: ორი დასი ერთს და იმავე საქმეს კი არ ემისწერება სხვა-და-სხვა ნაირად, ერთს და იმავე მტერს კი არ ებრძვის სხვა-და-სხვა იარაღით, არა მარტო ერთმანეთს ამოხებს და ჭლებს, იმ იმედით, რომ საკვები მტერი დაიშვება... ეს განსაკუთრებული განსხვავება აზრთა და პირად ინტერესთა ბრძოლას შუა. აზრთა ბრძოლა ერთს აძლიერებს, ერთობას ამკვიდრებს, საერთო საგანს და მათს თვალს არ ამოხრებს. პირადი ბრძოლა კი საერთო მტერსაც და განსაც ივიწებს, და ქვეყნის ძალას არა თუ მარტო ჭეოვს, ანაწილებს, ერთიანად აქაფვლებს...

დღევანდელს ჩვენს მდგომარეობაში მტერი არა გვეშველება-არა, წარმომადგენლობის შეიკვებისა და მისი სეიკონად მოსმარების მტერი. უკანასკნელ ჩვენს კრებებზე საქმი იქამდე მივიდა, რომ უვიდურს დაცემად მარტო ერთი ნაბიჯი-ლა გვაქვს დაჩვენილი... თვითველი საზოგადო კრება საზოგადოებას უფლება დღეს, სულ უკანასკნელი, ომობრივად ათას მანეთად. ერთი მეორეზე რომ ჩაკვდეთ, ოთხსაი ეაცი სომ ჩამოდას ქალაქებში, კრებაზე დასასწრებლად, და თითოს შეათანა ანგარიშით ათი თვისნი მანინ სომ



ესრჯება, ეკატ რომ არ იყოს, ნანკვარც რომ ავიღოთ ამ სარჯის-  
სა, ნუ თუ უკეთეს სანს ვერ ვუშოვით ამოდენა ფულს, საზო-  
გადო სარგებლობისათვის?... რა სამაგიერო სეიჩს ვპოულობთ  
კრებათაგან, ისეთს, რომელსაც წარმომადგენლობა ვერ გვაღივებს?...  
სხვაც რომ არა კთქათ-რა, მარტო ეს სარჯიც საკმაოდ დასაფიქ-  
რებელაა გონიერი კაცისათვის. მოკა დრო, როცა რიგან, წესიერ  
პარებს მოსწინდებათ, ან გაუძნელდებათ, ყოველ წელს სარჯვანთ-  
ათის თუშინსა საზოგადო საქმის სასარგებლოდ. ეს ერთობ დიდი  
ბეგარაა, ერთობ მძიმე მსხვერპლია მამულის მოყვარესთვის. ორში  
ერთი იქნება: მაშინ ან მარტო მდიდრებს შეეძლებათ ამ სარჯის  
ატანა, და საზოგადო საქმე მარტო მდიდრების ხელში გადავა, ან-  
და დაუდევარ ღარბებს შეჭერებს გინე, ყველამ იცის რა საშუალე-  
ბით და განსრავით. ორთავე შემთხვევაში ქვეყნის წავებული დაწ-  
ხება, რასაკვირველია, და ბანიკი—დავარჯული ეროვნებისათვის...

მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წარმომადგენლობაც  
არის და წარმომადგენლობაც. ამ უმად ფინანსთა მინისტრს უფა-  
ლება ეძლევა საზოგადო კრების მაგიერ წარმომადგენლობა შემოი-  
ღოს საადგილ-მამულო ბანკებში. თვითონ იმან უნდა შეადგინოს  
რიგი, წესი და გარემოება ამ სახლის დაწესებულებისა. ჩვენ თუ  
ჩვენი საქმის სიკეთე გვსურს, ესლევე უნდა ვიმეცადინოთ, რომ  
რიგანი პირობანი ჩასწიჭოს მინისტრმა თავის სახლს წესდებაში.  
ნუ დავივიწყებთ ჯერ იმას, რომ ჩვენისა და დანარჩენი რუსეთის  
სადგილ-მამულო ბანკების მდგომარეობა ერთი და იგივე რადაა.  
ფინანსთა მინისტრი, უეჭველია, დიდ სმას და უპირატესობას მი-  
სტრებს მსესხებლებს, საადგილ-მამულო ბანკების აქციონერებთან შე-  
დარებით. ჩვენი ბანკების მმართველებმა დროსუ უნდა დაანახონ სამი-  
ნისტროს ის განსხვავება, რომელსედაც აქ ბანსია, უნდა აუხსნან, რომ  
ჩვენში აქციონერების მაგიერობას მთელი თავადა-წინსურობა სწევს და  
ბანკის მთელი მოგება მთელის ქვეყნის სასარგებლოდ მიდის. თუ ეს  
დროსუ არ ჩავაწვეთ სამინისტროს, მსესხებლებს შეიძლება უპირა-  
ტესობაც მიეცეს, და მაშინ საშიშა, თითქმის უეჭვოდ არის, რომ  
მსესხებლები ერთიანად მოსზობენ ყოველგვარ მოგებას ბანკისა,  
ოღონდ კი თავიანთი გადასახადი შეიმსუბუქონ, გაიფიონ...

მეორე მძიმე სავანი ამ საქმის წარმომადგენლების რადენობას. თუ წარმომადგენლების რიცხვი დიდი იქმნა, მათი ღვაწლი უსუსვადლო, მუქთი იქნება, რეგორც დღეს ხმოსნების შრომა. ხმოსნები თვით ამ ქალაქებში სცოვრობენ, რომლის წარმომადგენლადაც ითვლებიან. ბანკის წარმომადგენლები ვი შორეულ მანრებიდან ქალაქს უნდა ჩამოვიდნენ, რამდენისამე კვირით, თავიანთი სასლა და საქმე უნდა მიატოვონ, აქ საზოგადო საქმეზე საზრუნველად. ყოვლად საჭიროა, რომ ამთი შრომა და საზვი დაფასდეს და ბანკის გადისდოს. თუ გონიერად იქნა შედგენილი ახალი წესდება, რომცოცოდე წარმომადგენლის მეტი არ უნდა იქმნას თითო ბანკში. მამინ წელიწადში ბანკს მარტო ექვსი ან რვა ათასი მანეთი დაესარჯება წარმომადგენლობაზე (თითოს თხუთმეტი ან რცი თუამანი რომ მიეცეს ვზის საზჯად). თუ ასე არ მოსდა, წარმომადგენლობა მარტო მოცლილ მდიდრების კერძი შეიქნება, და მერე, ნელ-ნელა, თან-და-თან დაქირავებულ ან დაინტერესებულ პირებს შეიჩება. ტყუილად და უაზროდ ვი არ არის მიღებული ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში, საცა ვი რიგიანი სადემოკრატო წყობილება შემოღებული, რომ თვათეული წარმომადგენელი ერისა უსათუოდ ჯამაგირს უნდა იღებდეს თავის შრომისათვის. უამისოდ ყოველგან წარმომადგენლობა მდიდრების მონობაშია, ქვეყნის ან უმრავლესობის სიკეთეს ვი არა, რომოდ-სამის თავმოყვარეობას თუ ანგარებას ემსახურება.

დიდად საჭიროა აგრედეკე, რომ მარტო მანრის ქალაქებში ვი არ იყოს დანიშნული წარმომადგენლების აჩვენა. რაც უფრო განაწილებული იქნება საარჩევნო წრეები, მით უმეტესი ნაწილი დამაარსებლებისა მიიღებს აჩვენებში მონაწილეობას, და, მამასადამე, მით უფრო შეუძლებელი იქნება აჩვენების განკება დაწყოება, მით არჩევანი უფრო ნამდვილად გამოსთქვამს ერის გულის-წადილს. მანრის ქალაქებში თუ დანიშნული იქნა ამჩვენების თავის მოყრა, უეჭველია, უმეტესი ნაწილი დამაარსებლებისა ფეხს არც ვი განდგამს სოფლებიდან. მანრის ქალაქში მოვა თითქმის მარტო ის, ვინც არც ვი გუბერნიის ქალაქში ამბობდა უარს მოსვლისას. მამასადამე, ვინც რინებით აწყობს კენჭის ყრას, იმას ყოველთვის

შეეძლება სამოციოდე თავისი მოაზრე მასრის ქალაქში მიიყვანოს, და იქ ისეთი წარმომადგენლები ააჩვენოს, როგორც მას, და არა ქვეყანას, მოუხდება. ამასობაში უმრავლესობა კი შინ სოფლებში იჯდება... ბევრად უფრო სასიეროა ქვეყნის ინტერესისათვის, რომ თვითუფლები მასრის იმდენ განყოფილებად იყოს დასაწილებელი, რამდენიც წარმომადგენელი ერგება და ამ წარმომადგენლის აჩქარა დაწინაურება იყოს თვითუფლები განყოფილების შუაგულ მდებარე სოფელში, იმ აზრით, რომ რაც შეიძლება უმეტესს ნაწილს ამომრჩევლებისას გადავალბეულია ჰქონდეს კენჭის ურასა პირადის მონაწილეობის მიღება. აი მასინ გამწვანდება უცნობი, უგაფლენიანო პირების ამომრჩევა წარმომადგენლად, აი მასინ ჩვენი ბანკის წარმომადგენლობა გასდება ჩვენი თავად-აზნაურობის უმჯობესის მეთაურების კრებად. ეს კი სომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქმის ან ქვეყნის ბუდი მით უბრწვინვალესია, რაც უფრო გონიერს და უზატიოსნესს კანებს ახარია მისი წარმომადგენლობა და სელმძღვანელობა. მთელი კანცობრობა, ათასას წლის გამოცდილებითა და სინკვით, დაწმუნდა, რომ უგონიერესს და უზატიოსნესს წარმომადგენლობას ყველა სსკა სისტემასე მეტად იმგვარი არჩევნები აძლევს ქვეყანას, როგორცაღ სკენ უურჩევთ დღეს ქართველობას. ამ სანდო და პირდაპირ გზას ნუ დაკავდებთ ისეთ ბილიკების საძებნელად, რომელიც არავის გამოსდგომია და ჩვენ კი სრამისაგენ გავკაქანებს...

ნ. ნიკოლაძე

# ყმაღლოსი მანიფესტი.

წყალოზიბითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ გეოგა,

ივანერაბოკრი და თვით-მავსოგებლი

სრუღაად რუსეთისს

მეფე პოლონიისა, დიდი მთავარი ფილანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა

გუცხადებთ ეკელს ჩვენთს ერთგუღთს ქვეშევრდომთს:

მივსდევთ რა ჩვენთა გვირგვინოსან წინაპარჲს აღთქმათა, კეთილად მივიჩნიეთ დღესასწაული ქორწინებისა ჩვენისა ჩანებულ ვყოთ მოწყალეებისა და სიყვარულის საქმითა.

I. ვზრუნავთ რა განსაკუთრებით აწინდელ არა კეთილსაიმედო მდგომარეობისათვის მიწად-მოქმედებისა, რომელიც ასაზრდოებს იმპერიის მკვიდრთა უმეტესს ნაწილს და გვახსოვს რა წმინდა სურვილი ჩვენგან უფლის მიერ გაწვეულისა საყვარელისა მშობლისა ჩვენისა, გვიბრძანებთ:

1) შემცირებულ იქმნას, ამა წლის ნოემბრის ვადიდან, სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდან გატანილ სესხთა თანხის სამატი სარგებელი  $4\frac{1}{2}\%$ -დან ოთხამდე წელიწადში.

2) შემცირებულ იქმნას 1895 წლის იანვრის ვადიდან წლიური შესატანი იმავე ბანკის განსაკუთრებულ განყოფილე-

ბის მსესხებელთა: ოქროთი ნაანგარიშვე სესხისა—1887 წლის პირველ ივლისისათვის დადგენილ იმათის ვალის ყოველ ასს ოქროს მანათზედ ერთის ქალაქის მანათითა, ხოლო ქალაქის ფულით ნაანგარიშვე სესხისა—ნახევარ პროცენტით იმათის თავნ ვალიდან.

3) სათავად-აზნაურო ბანკის განსაკუთრებულ განყოფილების ოქროთი ნაანგარიშვე ვალის გარდახდა, სხვა, აწ მომქმედ კანონ-დებულების მიერ აღნიშნულ საშუალებათა გარდა (სახელმწ. სათავად-აზნ. ბანკის წესდებ. პირველ მუხ. დამატ. მე-10 მუხ. მეორე სხოლიო, პპ. 1, 2 და 3), შესაძლებელ იქმნას იმ ფულის შეტანით, რომელიც შესდგება სესხის ვადამდე დაშენილ ყოველ წლიურ შესატანის გათანხვებით, წლიურად რომ ოთხი პროცენტი იყოს ნაანგარიშვეი.

4) იმ ვალის შესახებ, რომელიც აღებულია სესხად სარჩოდა და სათესლედ, შემდეგი შეღავათი მიეცეთ:

ა) სრულიად ევატიოს სესხი, რომელიც უნდა გარდახდეთ ხაზინისა და საზოგადო საიმპერიო სარჩო-საზრდოს თანხის სასარგებლოდ და რომელიც გაცემულია ამა თანხის შედგენამდე 1866 წ. და აგრეთვე ვალი ციმბირის სათავადარიგო პურის თანხისა.

ბ) ევატიოს ნახევარი ამ დღისათვის გარდუხდელად დარჩენილ იმპერიის საზოგადო სარჩო-საზრდოს თანხისა და ხაზინიდან აღებული სესხისა, რომელიც 1866 წ. შემდეგ არის გაცემული.

გ) ევატიოს ნახევარივე ამა დღისათვის გარდუხდელად დარჩენილ სესხისა, რომელიც გაცემულია, 1891 და 1892 წწ. მოუსავლიანობისა გამო, იმპერიის საზოგადო სარჩო-საზრდოს თანხიდან, გუბერნიისა და საზოგადოების სასურსათო თანხათაგან იმ გუბერნიებში, რომელიც მოხსენებულია 1893 წლის 20 ივნისის და 1894 წლის 8 აპრილის ბრძანებაში, და აგრეთვე ყაზახთა ჯარის თანხებიდან გაცემულია.

ნ) ამის დამოუკიდებლად შეუმსუბუქდეს ეს ვალი, რომელიც მოხსენებულია ამა 1-ლ მუხლის ბ-ისა და გ-ის მე-4 პუნ-

ქტში, მკვიდრთა უფრო გაჭირვებულს ნაწილს, იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც შესაძლებელად იქნება დანახული ფინანსთა მინისტრის მორიგებით სათანადო სამინისტროებთან.

6) იმ ფულით, რომელიც ხაზინაში უნდა შემოვიდეს სათესლედა და საზრდოდ აღებულ ვალის გარდასახდელად, ამა I მუხ. მე-4 და მე-5 პუნქტ. აღნიშნულ პატიებისა გამო, შევსებულ იქმნას ნაწილი სარჩო-საზრდო თანხიდან აღებულ სესხისა: იმპერიის საზოგადო, გუბერნიისა, საზოგადოებათა და აგრეთვე ყაზახთა ჯარის თანხისა, იმ ფულთა გარდა, რომელიც დაეკუთვნება იმპერიის საზოგადო სარჩო-საზრდოს თანხას 1866 წლამდე გაცემულ სესხისათვის და რომელიც ნახევრად უნდა იქმნას შევსებული.

7) ამა წლის შემოდგომის ვადებიდანვე შემცირდეს თანხის სამატი სარგებელი, რომელსაც უხდიან მსესხებელნი საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებს, ამა ბანკიდან აღებულს სესხში, წლიურად, ერთის მანათით ყოველ ას მანათზედ ვალის პირველ-დაწყებით ჯამიდან.

8) რათა შეძლება მიეცეს საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს იმ წესების საფუძველით, რომელიც ამ საგნის შესახებ უნდა იყოს გამოცემული, გლეხთა წოდების უმრავლესობას დახმარება აღმოუჩინოს მამულების შესაძენად, ყოველ წლივ, 1895 წლიდან დაწყებული, ამა ბანკის თანხას მიემატოს გლეხთაგან შემოსულ მათდა მიზომილ საკომლოს გარდასახდელ („ნადელის“) ფულის რაოდენივე ნაწილი ამ ანგარიშით: ერთი პროცენტი იმ ფულიდან, რამდენიც შემოვა ამ გარდასახადისა, თუ ეს ფული გაწერილის ცხრა მეათედს არ აღემატება; ამას გარდა ერთი მესამედი გაწერილ ფულის დანარჩენ მეათე ნაწილიდან, ხოლო თუ შემოსული ფული აღემატა გაწერილს, ამ აღმატებულის ნახევარიც. ეს ფული იმ დრომდე მიემატოს თანხას ბანკისას, ვიდრე ეს თანხა ორმოც და ათ მილიონ მანეთამდე არ შესრულდება.

9) ეპატოს ხაზინის მიწების, იჯარით გასაცემ მიწებისა და სათევზაო სამრეწველოების იჯარადართ, ხოლო კასპის

ზღვის სანაპიროებზედ სამრეწველო ქარხნების გასამართად აღე-  
ზულ მიწების (1893 წ. გამოც. სასოფ. მეურნ. წესდების მე-494  
მუხ. (მე-2 სხოლიო) დამატ.) მოიჯარადრეებს—საიჯარადრო  
ფული, რომელიც უნდა შემოეტანათ 1893 წ. პირველ იან-  
ვრამდე, მაგრამ არავის შემოუტანიათ, თითოეულს 600 მანე-  
თზედ არა უმეტესი, ხოლო თუ ხსენებული მამული, იჯარით  
გასაქირავებელი მიწა, სამრეწველო ანუ ნაწილი მიწისა გლეხ-  
თა და მეშჩანების საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული, თი-  
თო მეკომურს ას-ასი მან. ეპატიოს.

10) ეპატიოს აქამდე გამოურთმეველი ზარალი, ვალად  
დაკისრებული ფული და ჯარიმა, თუ იმიტომა აქვე შეეწე-  
რილი, რომ ხაზინის მამულებისა და საიჯარადრო მიწების ხელ-  
შეკრულობის პირობანი არ შეასრულეს და დაარღვიეს, ან მო-  
მეტებული მიწა მოხნეს, ჯეროვანი პური და მცენარე არ და-  
თესეს, მიწა არ გააპოხიერეს, ხეები არ დარგეს, ამ მიწებზედ  
ამოსული ტყე გასჩეხეს, შენობანი დაანგრის, სამეურნეო ან-  
გარიში წესიერად არ აწარმოეს, მამულებისა და მიწების მოძ-  
რავი ქონება არ ჩააბარეს ხაზინას, ხელშეკრულობით სავალ-  
დებულად რაოდენობა მარილისა არ შეიმუშავეს,—თითოეულს  
სამასს მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ მამული და მიწა  
გლეხთა და ქალაქის მკვიდრთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით  
აღებული—ორმოც და ათი მან. კომლზედ; ასევე ნურაფერი  
ჯარიმა ნუ შეეწერებათ სხვა ამ გვარ ხელშეკრულობისა დღე-  
ვანდღამდე დარღვევისათვის.

11) ნუ გამოერთმევათ ის ზარალი, რომელიც იმის გამოა  
მომხდარი, რომ მოიჯარადრეებს დღევანდღამდე ხელ-შეკრუ-  
ლობის ვადა დაურღვევიათ და თავი დაუნებებიათ ხაზინისა, კაბი-  
ნეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო მამულები-  
სა და საიჯარადრო მიწებისათვის და თუ ამ მამულებისა და მი-  
წების მოიჯარადრეებმა ხელ-შეკრულობის დადებამდე უარი  
განაცხადეს იჯარისაგან, ზარალის იმ ნაწილს გარდა, რომლის  
შეესებაც მოიჯარადრეთა მიერ წინდად შეტანილ ფულიდან  
შეიძლება.



12) ეპატოთ ხაზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და საიჯარადრო მიწებისა ყოფილ და აწინდელ მოიჯარადრეთ აქამდე გარდაუხდელი ჯარიმა, როგორც საიჯარადრო შესატან ფულისა, ისე სამარილე წყაროებისა და ფისისა და კუპრის ქარხნების იჯარის გარდასახადის დროზედ შეუტანლობისათვის.

II. არა ესტოვებთ რა წყალობისა ჩვენისა გარეშე იმათ, რომელთაც, შეუძლებლობისა ან უბედურ გარემოებათა გამო, ვერ შეიძლეს და ვერ შეასრულეს მთავრობისა წინაშე ნაკისრი ვალდებულება, გვიბრძანებია:

1) ეპატოს ჯარიმანი დღევანდლამდე ვადაზედ შემოუტანელ სახელმწიფო გაწერილის ხარჯისა, ნასყიდობისა და უფასოდ გადასულ მამულისათვის.

2) ეპატოს შეწერილი, ანუ გარდასახდელი, ხოლო ჯერ ისევე გარდაუხდელი ჯარიმა იმისი, თუ დღევანდლამდე დაურღვევია ვისმე: ა) დებულება ვაჭრობისა და სხვა მრეწველობათა უფლებისათვის გარდასახადისა, ბ) წესები ორთქლის ქვაბების გარდასახადისა (უმაღლესად 1894 წლის 14 მარტს დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი) და გ) მრეწველობის წესდების მე-153—156 მუხ. (კანონთა კრებულის მე-XI ტ., მე-II ნაწ., გამოც. 1893 წ.), თუ ეს ჯარიმა ყოველ დარღვევისათვის 300 მანეთს არ აღემატება, ხოლო თუ აღემატება, იმათ მხოლოდ 300 მან. ეპატოთ თითოეულ დარღვეულ წესისათვის.

3) გამოირიცხოს ანგარიშიდან საპატიებლად ყველა გარდაუხდელი და შემოუტანელი გარდასახადი 1894 წლის პირველ იანვრამდე ვაჭრობისა და მრეწველობის უფლებისათვის (კანონთა კრება მე-V ტ., პირდაპირ ხარჯის შესახებ სახ. წესდ. მე-213 მუხ. გამოც. 1893 წ.), ორმოც და ათ მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ ამ ჯამს აღემატება, თითოეულს ამდენივე ეპატოს. ეს შეღავათი არ მიეცემათ იმათ, რომელთაც დამატებულ ხუთ-პროცენტიან გარდასახადის შემოუტანელი ფული აძევთ ვალად.

4) ეპატიოთ და არ გარდახდეთ შეწერილი ანუ დაკისრებული, მაგრამ ჯერ ისევე შეუტანელი დღევანდლამდე ხაზინაში ის ჯარიმა გერბის გარდასახადის წესდების დარღვევისათვის, რომლის გარდახდევინება დადგენილია დღევანდლამდე ამ ხუთისა და მეტის წლის წინადაც.

5) ეპატიოთ სრულიად დღევანდლამდე შემოუტანელი გარდასახადი ჯარიმიტურთ:

ა) იმ გადასახლებულებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან სახელმწიფო მამულზედ მინისტრთა კომიტეტის 1881 წ. 10 ივნისსა და 1884 წ. 17 თებელვალს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა და აგრეთვე 1889 წ. 13 ივლისის წესების საფუძვლით, — ამა მამულების საიჯარადრო ფული.

ბ) გლახებსა და მოქალაქეთა, რომელნიც გარდასახლებულან თავისის ნებით სოფლის მკვიდრთა და მოქალაქეთა ხაზინის მამულებზედ გარდასახლების წესების თანახმად (საზოგადოდ. მე-33 მუხ. მე-2 სხოლიოს დამატ. განგრძ. 1891 წ., მე-19—24 მუხ. და აგრეთვე სახელმწიფოს საბჭოს 1892 წ. 20 აპრ. უმაღლ. დამტ. აზრი, 1892 წლ. „კანონ-დებ. კრებ.“ მე-II ნაწ., მე-54 №-რი, მე-543 მუხ.), შემდეგს გუბერნიებსა და ოლქებში: სამარისა, ორენბურგისა, უფისა, ტობოლსკისა, ტომსკისა, ირკუტსკისა, ენისეისკისა, ურალსკისა, ტურგაისა, აკმოლინისა, სემიპალატინსკისა და სემირეჩენსკისაში, — იმ სახაზინო გარდასახადისა, რომელიც წინანდელ საზოგადოებებში ყოფნის დროს უნდა გარდაეხადათ.

6) ეპატიოს ყველა 1894 წ. პირველ იანვრამდე გარდაუხდელი შემოსატანი ნადირთა ტყავის გარდასახადისა და ბეგარისა, რომელსაც იხდიან მომთაბარენი, მოწანწალენი და ბინადარნი უცხო ტომის ხალხნი ჩვენის კაბინეტის სასარგებლოდ.

7) ეპატიოთ ამა დღემდე ყოველგვარი გარდასახდევინებელი და ჯარიმა სახაზინო გლახებადა და ხაზინის სამთო ქარხნების მუშებად ყოფილთ და აგრეთვე იმ გლახებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან ხაზინის მამულებზედ, როგორც კერძოდ მათგან, ისე საზოგადოებათა და სოფელთაგან გამოსარ-

თმევი ფული ხაზინის იმ მამულებითა და საიჯარადრო მიწებით სარგებლობისათვის, რომელიც შემდეგ მათვე „ნადელად“ მიეცათ.

8) ნუ გამოერთმევათ ვალი ას ორმოც და ათ მანეთზედ არა უმეტესი იმ სხვა-და-სხვა წოდების ხელოსნებსა და მუშებს, რომელთაც ეს ვალი დასდებიან ხაზინისა ზე კაბანეთის მთა-მადნის ქარხნებში მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ქარხნებისათვის მასალისა და იარაღის მომზადების საქმეში; ხოლო თუ ამ ვალისა 150 მანეთზედ მეტი აქვთ შეუტანელი, ყოველ თითოეულის ვალისა 150 მან. გამოერიცხოთ.

9) ეპატოთ შემოუტანელი ფული, საადგილ-მამულო იჯარისა, რომელიც ღღევანდლამდე დასდებიან საწესდებო სიგელით (уставная грамота) ალტაისა და ნერჩინსკის მთა-მადნის ოლქების ქარხნების მომუშავეებად ნამყოფს გლეხებს და საზოგადოდ მამულებით სარგებლობისათვის საწესდებო სიგელთა გარეშეც.

10) გარდასახდელ სიიდან გამოირიცხნენ და შესატანი ფულიც ეპატოთ ალტაის მთა-მადნის ოლქის იმ ხელოსნებსა და ღღიურად მომუშავეებს, რომელნიც სასოფლო საზოგადოებაში არიან გადარიცხულნი და მიწები კი არ მისცემიან „ნადელად“.

11) ეპატოთ ალტაისა და ნერჩინსკის მთა-მადნების ოლქების მომუშავეებს ღღევანდლამდე მათზედ დარჩენილი ვალი იმ სესხისა, რომელიც მიცემული აქვთ ჯამაგირში ფულად თუ სარჩოთი.

12) ეპატოთ ჰურად დარჩენილი ვალი იმიერ-ბაიკალის მხრის ჯარის მიწად-მომქმედ ჰურის-გამსყიდველ ყაზახებსა და გლეხებს, რომელიც დასდებიან წინად, ნერჩინსკის მთა-მადნის ოლქთან მთავარ-საკაიმიისონეროს დაარსებამდე—1869 წლამდე.

13) ეპატოთ სარგებელი, რომელიც ღღევანდლამდე შეკრებილა ალტაისა და ნერჩინსკის მთა-მადნის ოლქებში ვალად გაცემულ ტყის საუასურისა, და ანგარაშიდან გამოირიცხოს.

14) ეპატიოთ და ანგარიშიდან გამოირიცხოს ის გარდასახდელი ვალი, რომელიც დღევანდლამდე დასდებიანთ გამოანგარიშების შემდეგ აღმოსავლეთ ციმბირის მარილის მზიდველ მცხოვრებლებს.

15) ეპატიოთ სათევზაო და ზღვის ღორის წარმოების წესდების დამრღვეველთ კასპიის ზღვისა და ამიერ-კავკასიის მხრის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში ის ნაწილი გარდასახდელ ფულისა, რომელიც შეწერილი აქვთ, მაგრამ ჯერ არ გადაუხდიათ, 1894 წლამდე და რომელიც, 1893 წ. სასოფლო მეურნეობის წესდ. მე-646 მუხ. მე-2 სხოლ. და მე-769 მუხ. ძალით, ხაზინაში უნდა იქმნას 'მეტანილი, ხოლო სამასს მანეთზედ არა უმეტესი კი თითოეულს.

16) ეპატიოთ დღევანდლამდე გარდაუხდელი შემოსატანი ფული: ა) მინისტრთა კომიტეტის 1868 წ. 22 ნოემბერსა და 1876 წ. 14 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ დებულების ძალით მურმანის ნაპირებად გარდასახლებულთათვის მიცემულ სესხისა, რომელთაც ისარგებლეს ამ სესხით და მურმანის ნაპირად დაბინადრდნენ, — ყოველ სესხზედ ას ორმოც და ათ მანეთზედ არა უმეტესი, და ბ) აღარ გამოერთვათ ყოველ სესხის აწ ვალად მყოფ არა ნახევარზედ უმეტესისა მურმანის თევზის მწარმოებელთ, რომელთაც ეს სესხი მიცემული აქვთ სახელმწიფოს საბჭოს 1886 წლის უმაღლესად დამტკიცებულ აზრის საფუძველით.

17) აღმოირიცხოს ანგარიშიდან ის ზარალი, რომელიც დღევანდლამდე მოსვლია ხაზინას ჯარის-კაცთა, იმათ ცოლთა და ქვრივთა სასარგებლოდ შემწეობის უკანონოდ დანიშვნის გამო, იმ შემწეობისა, რომლის გაცემაც დადგენილია უმაღლესად დამტკიცებულის 1867 წ. 25 ივნისს. სამსახურ გარეშე მყოფთა და უვადოდ დათხოვნილთა ჯარის-კაცთა მოწყობის დებულებით, 1872 წ. 6 ივნისს პოლონიის სამეფოს საქმეთა კომიტეტის დებულებითა. 1875 წ. 18 ოქტომბერს სახელმწიფოს საბჭოს აზრით და აგრეთვე სამხედრ. ბეგარ. წესდ. მე-33 მუხლით.

18) ეპატოს სამსახურ გარეშე მყოფ ჯარის-კაცებს, იმათ ოჯახობათა და გლენთა და მოქალაქეთა საზოგადოებათ ღღევანდლამდე ის შესატანი ფული, რომელიც უნდა გადაჰხდეთ ხსენებულ ჯარის-კაცებსა და იმათ ოჯახობის წევრთ ხაზინის საავადმყოფოებსა და სამკურნალოებში წამლობისათვის და აგრეთვე ღღევანდლამდევე ვალი ყველა იმათ, რომელნიც სასახლის უწყების საავადმყოფოებში წოლილან და ხარჯი არ გადაუხდიათ.

19) ნულარ გადაჰხდებათ 1894 წ. პირველ იანვრამდე ვალად დარჩენილი სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობაზედ ის ფული, რომელიც უნდა გადაეხადათ საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლებს პანსიონებში მყოფ თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილების ხარჯად; ამასთანავე აღმოიჩინოს საერო განათლების სამინისტროს განსაკუთრებულ თანხის ანგარიშიდან ხარჯი წინანდელ წლებისა და 1893—94 წ. მეორე ნახევარ წლისა, ე. ი. 1894 წლის პირველ ივლისამდე, როგორც მამათა, ისე დედათა სასწავლებლებში სწავლისა, ღეკციების მოსმენისა და პანსიონში ცხოვრებისა.

20) ეპატოთ ნაწილი იმ სესხისა, რომელიც ალტაისა და ნერჩინსკის მთა-მადნის ოლქებში აქვთ მიცემული მოხელეებსა, კანცელარიის მოსამსახურეთა და დაქირავებულთ მსახურთ შინა საქმეთა მოსაწყობადა და მოსავგარებლად იმ პირობით, რომ ჯამაგირიდან გამოეციხოთ ხოლომე, რაც კი ღღევანდლამდე გარდუხდელია; ხოლო ეს შედავათი არ მიეცემათ იმ მსესხებელთ, რომელთაც წელიწადში სამასს მანეაზედ მეტი ჯამაგირი აქვთ.

21) ეპატოთ ყოველი გამოსარიცხი ფული იმათ, რომელთაც ღღევანდლამდე მეტი ფული წაუღიათ ხაზინიდან პენსიისა ანუ ალტაისა და ნერჩინსკის მთა-მადნის ოლქების ქარხნების ფულისა, თუ ბრალი არ ედებათ და სამარჯალში არ არიან მიცემულნი იმის გამო, რომ განძრახ, ანგარებით ანუ სხვა უკანონო აზრით ზარალი მიაყენეს ხაზინასა.

22) ეპატიოს შესატანი ფული გაუწერელ ხარჯისი და სხვა გარდასახადისა, სადამოუნო გარდასახადს გარდა, რომელიც აღნიშნული არ არის ამა მე-II მუხ. წინა ჰუნქტებში (ხაზინის საიჯარადრო გარდასახადთა გარდა), აგრეთვე იმ ხარჯისა, რომელიც გაღებულია პატიმართა შესანახად, გასაგზავნად და დამნაშავეთა საფასურით მიცემულ საქმელ-სასმლისა, გზისა და დღის ფულად და ვალად აქვთ აღრიცხული დღევანდლამდე, ანუ აღურიცხველია, ან განაწილებული, ისე კი, რომ თითოეული ცალკე ორმოც და ათ მანეთს არ აღემატებოდეს. ხოლო იმ შეუტანელ ფულიდან კი, რომელიც ამ რაოდენობას აღემატება, ყოველ ცალკე შემთხვევაში ორმოც და ათი მანეთი გამოირიცხოს.

III. გვიბრძანებია ეპატიოთ და აღარ გარდაჰხდეთ ქვემო-სხენებულის საფუძველით ჯერ კიდევ გარდაუხდევინებელი სახელმწიფო სამსახურის ვალი (როგორც შესატანად აღნიშნული, ისე აღუნიშნელიც), ზარალი და დანაკარგი და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მიერ ჯამაგირზედ მეტად წაღებული დაწესებულები (ჯამაგირისა, საქმელ-სასმლისა, სადგომ-სახლისა, დღის ხარჯისა, საქმლის დღიურ ხარჯისი, გზისა და სხვ.), თუ ეს ვალი, ზარალი, დანაკარგი და მეტად წანაღები ისეთის მოქმედებისა ანუ შეცდომის შედეგია, რომელიც დღევანდლამდე მომხდარა:

1) ის ვალი, ზარალი, დანაკარგი და მეტად წანაღები, რომელთა შესახები საქმე დღევანდლამდე ჯერ საბოლოოდ არ განხილულა ანუ არ დაწყებულა, დატოვებულ იქმნას სამართალში მიუცემლად, თუ იმათი ჯამი ერთის წლის ცალკე სათვლელს ანგარიშში სამასს მანეთს არ აღემატება, ანუ თუ თითოეულს მოხელეს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს, სამასს მანეთზედ მეტი არ ედება ვალად.

2) ეპატიოს ის ვალი, ზარალი, დანაკარგი და მეტი წანაღები, რომლის გარდახდევანებაც დღევანდლამდე უკვე ნაბრძანებია, ანუ რომელთა შესახებ საქმე უკვე საბოლოოდ განხილულია; ეპატიოს მათშორის ისინი, რომელიც პირველში,

ანუ შემდეგ გარდახდისა, დარჩენილი ნაშთი, როგორც საერთოდ, ისე პასუხის-მგებელთა განაწილებით, თითოეულს კაც-ზედ სამასს მანეთს არ აღემატება.

3) იმ ვალისა, ზარალისა, დანაკარგისა და მეტის წანადგობისა, რომელიც აღემატება ამა მე-III მუხლ. 1 და 2 პუნქტ. აღნიშნულს ჯამს, თითოეულს, რომელთაც უნდა გადაჰხდეთ, სამასი მანეთი ეპატიოთ.

4) ნულარ გადაჰხდებათ ის ვალი, რაოდენიც უნდა იყოს, რომელიც იმის გამო დასდებიათ, რომ ჯეროვან მთავრობის ნება-დაურთველად და დადგენილ წესის გარეშე ჯილდო და ყოველ გვარი შემწეობა გაუტიათ, როგორც კანცელარიისა და შტატის ფულის ნაშთიდან, ისე სხვა ამა საგნისათვის და-ნიშნულ წყაროდგანაც.

5) იმ ზარალისა და დანაკარგისა, რომელიც დღევანდლამდე მიუყენებიათ ხაზინისათვის სამსახურის ჯეროვანად აღსრულებლობით, აგრეთვე დღევანდლამდე ხაზინიდან მეტის ფულისა ანუ ქონების გატანით, თუ ეს დანაკლისი თან-და-თან გადაჰხდეთ ხაზინის სასარგებლოდ დამნაშავეთ ანუ ამათ თავმდებთ, ანუ სხვათ, საქმესთან დამოკიდებულთ, ერთი ორად, გამოერთვით მხოლოდ თავნი.

6) სარგებელთა, რომელიც დადგენილია გარდასახდევინებლად ხაზინის ინტერესის დარღვევისათვის და ჯერ კი არ წარუდგენიათ სადაც ჯერ არს,—ნუ გადაჰხდებათ დღევანდლამდე, სულ ერთია რამდენიც უნდა იყოს, და ამისთანა შექმნევაში გამოერთმევათ მხოლოდ თავნი საუასური იმ ზარალისა, რომელიც ხაზინას მოსვლია.

7) ყოველი ხაზინის ფულად დადებული ვალი სამსახურში ყოფნის დროს გარდასახდელი იმათ მემკვიდრეთაკან, რომელთაც უნდა გამოორამეოდათ, მაგრამ რომელნიც დღევანდლამდე დაიხოცნენ და აგრეთვე ქვრივთა და ობოლთა პენსიიდან გარდასახდელი, ეპატიოთ და ნურც იმათ გამოერთმევათ, რომელნიც, თუ ვინიცობაა არ იკმარებდა ხსენებულ მემკვიდრეთა მამული, უნდა ყოფილიყვნენ პასუხის-მგებელნი.



8) სრულიად ეპატიოთ ხაზინის ყოველი ვალი, რომელიც უნდა გადახდომოდეთ, პირდაპირ პასუხის-მგებელთა და აგრეთვე იმათ მემკვიდრეთა შეუძლებლობისა გამო, მათ, ვინც იყვნენ პასუხის-მგებელნი იმ ზარალისა, ზიანისა, დანაკარგისა და მეტად წაღებულის ფულისათვის, რომელიც ხაზინას მოსვლია დღევანდლამდე.

9) ყველა სახაზინო სამსახურის ვალი, ზარალი, ზიანი და მეტად წანაღები, რაცა შედეგი ყოფილა უკანონო მოქმედებისა, ანუ შეცდომისა, ეპატიოთ, თუ მას შემდეგ დღევანდლამდე ათს წელიწადზედ ნაკლებს არ გაუვლია.

10) ეპატიოს და ნულარ გადახდება თანამდებობის მქონეთა ზედა დაკისრებული ანუ მათგან მისაღები, ხოლო დღევანდლამდე ხაზინაში შეუტანელი ჯარიმა, რაოდენობის დამოუკიდებლად, გერბის გარდასახადის წესდების დარღვევისათვის და მხოლოდ ჩვეულებრივი გერბის გარდასახადი გამოერთვათ.

11) გამოირიცხოს ანგარიშიდან და ნულარ გადახდებათ სახელმწიფო რკინის გზების მოხელეთ, რომელზედაც დღევანდლამდე ვალად ითვლება, რაოდენობის განუსაზღვრელად, ის ფული, რაც დასდებიან კონტროლის ანგარიშით, ანუ საზოგადოდ გადასაზრდ ფასებისა გამოურთმეველობისათვის და ტარიფის ურიგოდ აღსრულებისათვის.

12) ეპატიოთ და ნულარ გამოერთმევით ყოველი ჯარიმა იმ საქმის გამო, რომელსაც ხაზინის ზარალთან კავშირი არა აქვს-რა, დაკისრებული, მიგრამ დღევანდლამდე გარდაუხდელი, და აგრეთვე ის ჯარიმაც, რომელიც უნდა გადახდომოდეთ სამსახურის წესიერად აღსრულებლობისა და დღევანდლამდე ჩადენილ შეცდომისათვის.

13) ხსენებულ მე-III მუხლის წინა პუნქტების ძალას არ ექვემდებარება: ის ფული, რომელიც ხაზინას არ ეკუთვნის და, თუმცა მთავრობის განკარგულებაში იმყოფება, მაინც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს; იმათი მოქმედება, რომელთაც მოუტაცნიათ ანუ დაუხარჯავთ ხაზინისა ანუ მთავრობის მიერ დაარსებულ დაწესებულებათა რაიმე გვარი საკუთრება, ოდეს

მისი დაცვა იმათა ჰქონდათ რწმუნებული მუდმისად ან დროებით და რომელთაც განზრახ ანგარებით ანუ სხვა უკანონო აზრით ზარალი მიუყენებიათ ხაზინისათვის, და აგრეთვე ის მოქმედებანი, რომელთა შესახებაც დღევანდლამდე ჯერ ანგარიში არ არის წარდგენილი.

14) ამა მე-III მუხ. წინა პუნქტების ძალას ექვემდებარებიან ისინიცა ვინც სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურებენ დაქირავებით.

IV. მიგვაპრობთ რა თვალთა ჩვენთა უბედურთა და გაქირვებულთ, თუნდა თავისის მიზეზითაც იყვნენ გაქირვებულნი, და მიგვაჩნია რა მართლ-მსაჯულება ერის კეთილდღეობის საფუძვლად, უფლისაგან ჩვენდა მოვლენილი უფლება შეწყალებისა და პატიებისა დაგვისახავს ძვირფას ხვედრად.

ამის გამო გვიბრძანებია:

1) ყველა ისეთ დანაშაულისა და ბრალის ჩამდენნი, რომლისათვისაც იმათ, კანონით, ფულად უნდა გადაჰხდეთ სამასს მანეთზედ არა მეტი, შენიშვნა და საყვედური უნდა მიეცეთ, დაპატიმრებულ იქმნენ საპატიმროსა ანუ ციხეში, ხოლო პირადად და წოდებრივად მინიჭებულ ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა და უპირატესობათა ჩამოუთმევლად, ანუ სამსახურის საპატიჟონი უნდა გარდახდეთ სასჯელთა დებულ. მე-6 მუხ. მე-2—9 პუნქტ. აღნიშნულნი; ისინი, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბის საცხოვრებელ ბილეთის შედგენა, ან ასეთის ბილეთით ცხოვრება, თუ ამასთან სხვა უფრო მძიმე დანაშაული არა ედებათ-რა; აგრეთვე ყველა ისინიც, რომელთაც ედებათ ბრალი ტყის გაჩეხვისა და სახელმწიფო სატყეო და მთამადნის უწყებათა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო ტყეთა წესების დარღვევისა, ნაოსნობისა და ტყე-შემის წყლით გაზიდვის წესების დარღვევისა, დაღუპულ გემთა შემდეგ მდინარეთა და არხთა გაუწმენდაობისა, არაგანძრახ მდინარეთა გზაზედ აგებულ შენობათა დაზიანებისა და გზატკეცილზედ მოძრაობის წესების აუსრულებლობისა, თუნდაც ამა მოქმედებისათვის ფულად ჯარიმა ჰქონდეთ მისჯილი

სამას მანეთზედ მეტიც, მაგრამ რომელნიც დღევანდლამდე არ მიუციათ სისხლის სამართალში, ანუ სასამართლოს განაჩენი არ დაუდგენია, ანუ დადგენილი საბრალ-მდებლო განაჩენი აღსრულებაში არ მოუყვანიათ, ანუ თუ ამა სასჯელს იხდიან ამ ჟამად, — განთავისუფლებულ იქმნენ სამართალში ყოფნისა და სასჯელისაგან.

2) იმ თანამდებობის კაცთა, რომელთაც გარდუხდიათ სასჯელი, სასჯელთა დებულების მე-15 მუხ. მე-2—9 პუნქტებში აღნიშნული, — ესე ნუ ჩათვლებათ სამსახურის განგრძობისა და პენსიისა და ჯილდოთა მიღების დაბრკოლებად, ისე კი, რომ უბიწო სამსახურისათვის წმ. გიორგის ჯვრისა და სამსახურის წელთა შესრულებისათვის წმ. ვლადიმირის ორდენი არ მიეცემათ.

3) ის წყალობა, რომელსაც ანიჭებს ამა მე-IV მუხ. პირველი პუნქტი არ ებოძება იმათ, რომელთაც ქურდობა და ავკაცობა ჩაუდენიათ, სხვისი ქონება მიუსაკუთრებიათ და დაუხარჯავთ, მოვანშეობა გაუწევიათ, უკანონო სარგებელია და ქრთამი აუღიათ, პატიოსნება შეურაცხ-უყვიათ და კერძო საჩივარით სამართალში არიან მიცემულნი; აგრეთვე ისეთი საქციელი ჩაუდენიათ, რომლის გამო მისჯილი ფულად გარდასახადის უწყებასა, კაბინეტსა ჩვენსა და ა) საპატიმრო აღვილების გასამართავსა და ბ) იმ თანხასა, რომელიც მთა-მადნის წესდ. მე-736 მუხ. საფუძვლით შესდგება (კანონთა კრებ. მე-VII ტომ.). ხოლო დასჯილთა ანუ სასჯელ-დებულთ ამა მე-IV მუხ. მე-3 პუნქტში მოხსენებულ დანაშაულთათვის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი დაპატიმრების ვადის ერთი მესამედი შეუმცირდეთ. ამდენადვე შეუმცირდეთ დაპატიმრების ვადა იმ ამგვარ დანაშაულთა ჩამდენთაც, რომელთა შესახებ ჯერ განაჩენი არ არის დადგენილი, ანუ დადგენილია, მაგრამ ძალაში არ არის შესული, ანუ რომელნიც ჯერ სამართალში არ არიან მიცემულნი.

4) ყოველთ იმათ, რომელთაც მათ მიერ ჩადენილ ბრალისა გამო ფულად ჯარიმა უნდა გარდახდეთ სამასს მანეთზედ

მეტი, მიესაჯოთ სამასს მანეთით ნაკლები იმ ჯარიმას გარდა, რომელიც არ უნდა მიეცეს ხაზინასა, საუფლისწულო და სასახლის უწყებასა და კაბინეტსა ჩვენსა და ა) საპატიმრო ადგილების გასამართავსა და ბ) იმ თანხას, რომელიც სამთა-მადნის წესდ. მე-736 მუხ. საფუძველით შესდგება (კანონთა კრებ. მე-VII ტ.)

მ) ისინი კი, რომელთაც მათ მიერ ჩადენილ ბრალისა გამო ფულად ჯარიმა უნდა გარდახდეთ და ეს ჯარიმა უნდა ჩაირიცხოს ხაზინისა, საუფლისწულო, სასახლის უწყებისა, ჩვენის კაბინეტისა, ანუ ა) საპატიმრო ადგილების გასამართავსა და იმ თანხაში, რომელიც სამთა-მადნის წესდ. მე-736 მუხ. საფუძველით შესდგება (კან. კრებ. მე-VII ტ.), თუ ვინცობაა შეძლება არ შესწევთ ამა ჯარიმის გარდახდისათვის დაპატიმრებულ ნუ იქნებიან და იმათ საზოგადო. სამუშაოთი ნუ გამოერთმევათ ეს ჯარიმა; ხოლო ისინი რომელნიც, ფულად გადახდევინების მაგიერ, ამ უკანასკნელს ღონისძიებას დაჰქვემდებარებიან, განთავისუფლებულ იქმნენ დაპატიმრებისა და სა-მუშაოთაგან.

ნ) ამა მანიფესტის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება ბრალდებულს არა ჰხდის იმ ვალდებულებას, რომ ზარალისა და ზიანის საფასური, სავაჭრო და სამრეწველო მოწმობის ღირებული ფასი, მათგან კუთვნილი აქციზი ანუ სხვა რაიმე შეწერილი ხარჯი გარდაიხადონ, იმათგან კუთვნილ ფულის იმ ნაწილს გარდა, რომელიც უნდა ეპატიოთ ამა მანიფესტის წინა მუხლების ძალით; ამას გარდა ესევე არ იხსნის იმისაგან, რომ კანონის მიერ დადგენილს შემთხვევაში, ნივთეულობანი და ავეჯეულობა შეეკრათ და აეწეროთ, ანუ ძალა დაეტანოთ, რომ უწყესოდ აშენებული დაანგრიონ და შეაკეთონ (სასჯელთა წესთ. მე-68 მუხლი). საქმენი სახელმწიფო და კერძო მფლობელთა, აღრეთვე სახაზინო და კერძო კაცთა და საერთო ტყეებში სატყეო წესდ. დარღვევის შესახებ უნდა დამთავრებულ იქმნას ამისთვის დადგენილ წესდების თანახმად, რათა გამორკვეულ იყოს ზომა ჯარიმისა, რომელიც შეიძლება კერძო კაცთა და წოდებათა სასარგებლოდ იყოს გარდასახდელი.

7) ყოველ დანაშაულისა და ბრალისა, რომელთა პატივბაც ამა მანიფესტის საფუძველით არ შეიძლება და რომელიც დღევანდლამდე ჩადენილი, ხანგრძლივობის ვადა (Давность), სისხლის სამართლის კანონებით დადგენილი, შემცირდეს ერთის შესამედით.

8) ყველა იმათ, რომელთაც დღევანდლამდე ისეთი დანაშაული და ბრალი ჩაუდენიათ, რისთვისაც დაპატიმრებულ უნდა იქმნენ საპატიმროსა და ციხეში და ჩამოერთვათ ზოგიერთი განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი, დაპატიმრებულ უნდა იქმნენ ციხეში და ზნეობის გამასწორებელ სატუსაღო განყოფილებაში და ამასთან ჩამოერთვათ ყოველი განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი, — შესამედით შეუმცირდეთ სასამართლოს მიერ მისჯილი ვადა; ამდენადვე შეუმცირდეთ ვადა იმათ, რომელთაც უკვე მისჯილი აქვთ დღემდე სასჯელი, ან იხდიან კიდევ.

9) დღევანდლამდე სასჯელისაგან განთავისუფლებულთ, ისე კი, რომ ადგილობრვ პოლიციისა ანუ საზოგადოებათა განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვეშე იმყოფებოდნენ, შეუმცირდეთ სასჯელ. დებ. მე-48 და 49 მუხ. თანახმად დადგენილი ვადა ასეთის მეთვალყურეობისა შესამედით.

10) ყველა იმათ, რომელნიც დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულისა და ბრალისათვის უნდა გადასახლებულ იქმნან ციმბირში ანუ, ციმბირს გარდა, შორეულ გუბერნიებში საცხოვრებლად, აგრეთვე უკვე სასჯელ-მისჯილთა და სასჯელის ვარდამხდელთ, — ნება მიეცეთ, ციმბირს გარდა, შორეულს გუბერნიებში გაგზავნილთ, გარდასახლების ადგილას მისვლის ათის წლის შემდეგ, ხოლო ციმბირში საცხოვრებლად გაგზავნილთ თორმეტის წლის შემდეგ, თავისუფლად ამოირჩიონ საცხოვრებელი ბინა ევროპისა და აზიის რუსეთში, სატახტო ქალაქებსა და ამ ქალაქების გუბერნიებს გარდა, უფლებათა აღუდგენელად. ხოლო ციმბირსა და ანუ, ციმბირს გარდა, შორეულს გუბერნიებში საცხოვრებლად გაგზავნილთ დაპატიმრებით ანუ, ამის ნაცვლად, იმ პირობით, რომ ფეხ-მოუტყველად ერთს

დადგენილ ადგილას იცხოვრონ, ზემოხსენებულს გარდა, დაპატიმრებისა და ფეხ-მოუცვლელად ერთ ადგილას ცხოვრობის ვადა მესამედით შოუმიცირდეთ.

11) რათა გაუადვილდეთ ხვედრი იმ დღევანდლამდე დანაშაულის ჩამდენ დამნაშავეთ, რომელთა საცხოვრებლად გაგზავნა უნდა მიესაჯოთ; მისჯილი აქვთ და იხდიან კიდევ; იმათ, რომელნიც კატორგიდგან ამ უამად საცხოვრებლად გადასახლებულთა ხარისხში არიან გადაყვანილნი, ანუ უნდა იქმნენ გადაყვანილნი ემა ხარისხში, თუ დანაშაული დღევანდლამდე ჩაუდენიათ, — შეუმიცირდეთ კანონის მიერ დადგენილი ვადა ათის წლისა საცხოვრებლად დასახლებულთა ხარისხიდგან გლენბთა წოდებაში გადასვლისა, თუ ოთხის წლის განმავლობაში მოსაწონ ყოფაქცევისანი იყვნენ და სასარგებლო შრომას ადგენენ; ხოლო საცხოვრებლად გარდასახლებულთ, რომელნიც, თოთხმეტ წელზედ ნაკლები არ არის, რაც გაგზავნილნი არიან, ნება მიეცეთ საცხოვრებელი ადგილი თვითვე ამოირჩიონ, სატახტო ქალაქებსა და ამ ქალაქების გუბერნიებს გარდა, ხუთის წლით პოლიციის მეთვალყურეობა დაენიშნოთ და, ყოველ წოდებრივ უფლების ჩამორთმევის ნაცვლად, ჩამოერთვათ, სასჯელთა დებულ. მე 43 მუხ. თანახმად, ყველა განსაკუთრებული პირადად და წოდებრივად მოპოვებული უფლება-უპირატესობანი, ქონებრივ უფლების აღუდგენელად.

12) იმათ, რომელთაც კატორგა აქვთ გადაწყვეტილი, თუ კეთილის ყოფა-ქცევითა და შრომის გულ-მოდგინეობით შეწყყნარების ღირსნი აღმოჩნდებოან, შეუმიცირდეთ სასამართლოს მიერ მისჯილი ვადა კატორგისა მესამედით, უვადოდ კატორგა-მისჯილთ კი ოცის წლის ვადიან კატორგად შეეცვალოთ. ესევე წყალობა მიენიჭოთ იმათაც, რომელთაც კატორგაში გაგზავნა ექნებათ გარდაწყვეტილი დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულთათვის.

13) იმ გაგზავნილთ, რომელთაც ამა მე-IV მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებში მოხსენებული წყალობა მინიჭებული აქვთ 1883 წლის 15 მაისის ყოვლად უმოწყალების მანიფესტით და

1891 წლის 17 აპრილის უმაღლესის სახელ-დებულის ბრძანებით, შემდეგი შეღავათი მიეცეთ:

ა) კატორგაში გაგზავნილთ მუშაობის ვადა ერთის წლით შეუმცირდეთ;

ბ) დასახლებულთ, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ უფლება გლცხთა წოდებაში შესვლისა, ნება მიეცეთ ციმბირის ქალაქების მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებაში ჩაირიცხნენ, თუ ეს საზოგადოებანი თანახმანი იქნებიან, ისე კი, რომ ევროპის რუსეთში მოსვლა არ შეეძლოთ, თუ ამისი ნება დართული არ ექნებათ იმ წესით, რომელიც დადგენილი 1883 წ. 15 მაისის ყოვლად უმოწყალების ბრძანებით; ხოლო იმათ კი, რომელთაც უფლება აქვთ მოპოვებული ციმბირის ქალაქების მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებაში ჩაირიცხნენ, შეუმცირდეთ ვადა ციმბირში თოთხმეტს წელიწადს სავალდებულო ცხოვრებისა ერთის წლით;

გ) იმათ, რომელნიც ციმბირში ანუ, ციმბირს გარდა, შორეულს გუბერნიებში არიან გაგზავნილნი, და აგრეთვე ციმბირში დასახლებულად გაგზავნილთ 1853 წ. 23 ნოემბრის წესებისამებრ, თუ განთავისუფლებულნი არიან ამ სასჯელისაგან 1887 წ. 15 მაისის ყოვლად უმოწყალების მანქესტითა და 1891 წ. 17 აპრილის უმაღლესის ბრძანებით, ნება დაერთოთ მიიღონ ისეთი პასპორტი, რომელშიაც „გაგზავნილად“ სახელდებულნი არ იქნებიან, არ იქნება აღნიშნული გარემოება იმათის სამართალში მიცემისა და არც წითელი ასოები დაისმება უფლებათა ჩამორთმევის ნიშნად; იმათ კი, რომელთაც 1891 წ. 17 აპრილის უმაღლესის ბრძანების მე-5 მუხ. გ პუნქტ. ძალით, უკვე მოპოვებული აქვთ უფლება ასეთის პასპორტების მიღებისა, როდესაც გასაგზავნ ადგილას ცხოვრების ვადას გაათავებენ, და ამ ჟამად კი ისევ ციმბირში იმყოფებიან, შეუმცირდეთ ვადა ციმბირში სავალდებულო ცხოვრებისა ერთის წლით.

14) ამა მე-IV მუხ. მე-11, 12 და 13 პუნქტებში განმარტებულ შეღავათის მიცემას მივანდობთ, კუთვნილებებისამებრ,



შინაგან საქმეთა მინისტრსა, და ირკუტსკისა და ამურის მხრის გენერალ-გუბერნატორებს, ოდეს დარწმუნდებიან, რომ სასჯელ-დადებულნი კეთილის ყოფა-ქცევისანი არიან.

15) დანაშაულისა გამო სასჯელდადებულნი მცირე-წლოვანნი, ანუ მათ შორისვე ისინი, რომელთაც სასჯელი უნდა დაედოთ დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულისათვის და ოთხს წელზედ ნაკლების ვადით კატორგაში გაიგზავნენ, განთავისუფლებულ იქმნენ და გადასახლებლად გაგზავნილთა ხარისხში იქმნან გადარიცხულნი.

16) ის შეღავათი, რომელსაც ანიჭებს ესე მანიფესტი ხასიათის გამასწორებელ განყოფილებათა და დასახლებლად გაგზავნილ რიგობის კატორგის პატიმართ, უფლებას არ ართმევს ზემოხსენებულთ ისარგებლონ იმ ვადის შემცირებითა და უპირატესობანით, რომელიც ეძლევათ ამა 1894 წ. 7 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ იმის შესახების წესებით, რომლის ძალითაც ტუსაღები და გაგზავნილნი ციმბირის გზის შუა ნაწილის გასაკეთებლად გაყვანილნი არიან.

V. იმათ, რომელთაც ისეთი არა-კანონიერი მოქმედება ჩაუდენიათ ან თუ ის დადგენილი წესები დაურღვევიათ, რომლისათვისაც უნდა შეეწეროთ ან შეეწერათ კიდევ ფულად ჯარიმა, საადმინისტრაციო წესით დაკისრებული, განთავისუფლებულ იქმნენ ამა ჯარიმის გარდასახადისაგან იმ ზომით და იმავე პირობით, როგორც დადგენილია ამა მანიფესტის წინამე-IV მუხლის 1, 4 და 5 პუნქტებში, თუ ამა მანიფესტის სხვა მუხლთა ძალით ჯარიმის უმეტესი ნაწილი ნაპატიები არა აქვთ. ამავე საფუძვლით განთავისუფლებულ იქმნენ ჯარიმისა, გამოძიებისა და სამართალში მიცემისაგან ისინი, რომელთაც განზრახ აიცილეს სამხედრო ბეგარის გარდახდა თავიდან თუ ამ დღიდგან ერთის წლის განმავლობაში გამოცხადდნენ.

VI. სახელმწიფო, სატყეო და მთა-ბარის უწყებათა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო ტყეების სატყეო მოხელენი და დარაჯნი, ანუ, თუ ეს უკანასკნელნი შეუძლებელნი არიან, ყოველ სახელწოდების გლეხნი, რომელ-

თაც ფულად ჯარიმა აქვთ შეწერილი ან უნდა შეეწეროთ, რადგან თვალ-ყური არ უდევნებიათ, ვის გაუჩნებია ტყე და ვის დაურღვევია ღღევანდლამდე იმა ტყეთა კანონ-დებულებანი და წესები,—ამა ჯარიმიდგან განთავისუფლებულ იქმნენ. ესე წყალობა არ მიენიჭებათ იმ სატყეო მოხელეთა და დარაჯთ, რომელთაც განძრახ მიუციათ ვისთვისმე ნება სატყეო დადგენილებათა დარღვევისა.

VII. დამნაშავეთა მემკვიდრეები და აგრეთვე პასუხის-მგებელნი, თვით დამნაშავეთა შეუძლებლობისა გამო, ჩავარდნილნი ამ ყოფაში, რომელთაც არ ენიჭებათ ამა მანიფესტის მე-III მუხ. მე-7 და 8 პუნქტებში აღნიშნული შეღავათი, განთავისუფლებულ იქმნენ ხაზინის წინაშე ფულად პასუხის გებისაგან, თუ დანაშაულის შემდეგ ღღევანდლამდე 10 წელიწადია გასული.

VIII. მაწანწალობისათვის ღღევანდლამდე სასჯელ-დადებულით, რომელნიც გამოააშკარავებენ თავისს ვინაობასა და წოდებას, რაკი ესე შემოწმებული იქნება ადგილობრივ სასამართლოს მიერ, ნება დაერთოთ თავიანთ საზოგადოებაში დაბრუნებისა და სხვა საზოგადოებაში ჩარიცხვისა, თუ ეს საზოგადოებანი ამის თანხმობას განაცხადებენ; იმათ კი, რომელნიც ვალდებულნი არ არიან რომელსამე საზოგადოებას მიეწერნენ, ნება დაერთოთ ევროპის რუსეთში დაბრუნებისა, სატახტო ქალაქებსა და ამ ქალაქების გუბერნიებს გარდა.

IX. იმათ, რომელნიც არიან გაგზავნილნი ანუ უნდა გაიგზავნენ საადმინისტრაციო წესით ციმბირში, ღღევანდლამდე დადგენილ საზოგადოებათა განაჩენისამებრ, და აგრეთვე იმათ, რომელნიც ღღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულის სასჯელის გარდახდის შემდეგ არ იქმნენ მიღებულნი თავის საზოგადოებაში, თუ მოსაწონი ყოფა-ქცევა აქვთ, ნებას ვაძლევთ, გაივლის რა 3 წელიწადი გაგზავნის ადგილას ცხოვრების შემდეგ, კანონის მიერ ნება-დართვისამებრ (1890 წ. გამოც. გაგზავნილთა წესდ. მე-520 მუხ.) ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიებსა და საზოგადოებაში, იმათ გარდა, საიდგანაც განშორებულნი არიან.

X. კავკასიის იმ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც კავკასიის უმთავრესის მთავრობის განკარგულებით არიან გაგზავნილნი საზოგადო სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენისა და ბიწიერ ყოფა-ქცევის და დასახლებულნი ციმბირისა და ევროპის რუსეთის გუბერნიებში, თუ გაგზავნის ადგილას მოსაწონ ყოფა-ქცევისანი იყვნენ, მიენიჭოთ: უვადოდ გაგზავნილთ—თორმეტის წლის შემდეგ, ხოლო ისეთის ვადით გაგზავნილთ, რომელიც ხუთს წელიწადს აღემატება,—გაგზავნილგან ხუთის წლის გასვლის შემდეგ, უფლება, ამოირჩიონ საცხოვრებელი ადგილი, სატახტო ქალაქებსა, ამ ქალაქების, გუბერნიებსა და კავკასიის მხრის გარდა, რადგან კავკასიაში ცხოვრების ნების დართვა დამოკიდებული იქმნება თვით კავკასიის უმთავრეს მთავრობისაგან.

XI. არა მოვაკლებთ რა სახელმწიფო დამნაშავეთაც შელავათს, რომელსაც ანიჭებს ამა მანიფესტის მე-IV მუხ. საზოგადო სისხლის სამართლის დანაშაულის და ბრალის ჩამდენთ:

1) ნებასა ვრთავთ შინაგან საქმეთა მინისტრს, იუსტიციის მინისტრთან მორიგებისამებრ, იმ სახელმწიფო დამნაშავეთ შესახებ, რომელნიც დანაშაულის თვისებისა, ანუ ჩადენილ დანაშაულის მონანიებისა და კეთილის ყოფა-ქცევის გამო ღირსნი არიან სასჯელის უფრო მეტად შემსუბუქებისა, ვიდრე ეს დადგენილია ამ მანიფესტის მე-IV მუხლში, განსაკუთრებული მოხსენება წარმოგვიდგინოს.

2) მივანდობთ შინაგან საქმეთა მინისტრს ჩვენდა გადასაწყვეტად წარმოადგინოს ბედი იმ სახელმწიფო დამნაშავეთა, რომელთაც სასჯელი საადმინისტრაციო წესითა აქვთ მისჯილი და რომელნიც დანაშაულის თვისებისა ანუ სინანულის გამო ღირსნი არიან შეწყნარებისა და შებრალებისა; აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნენ განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აღკრძალვისაგან ისინი, რომელთა დაბრუნებაც ამ ადგილებში არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივის წესისა და მშვიდობიანობის მოთხოვნილებას.

3) გვიბრძანებია, რომ ის სახელმწიფო დანაშაულის საქმენი, რომელნიც ხანგრძლიობის ვადას არ ექვემდებარება (სასჯელთა დებულ. მე-161 მუხ.) და დღევანდლამდე თხოთმეტის წლის განმავლობაში გამოუმყლანებელია, დავიწყებულ იქმნას და ამ საქმეთა ჩამდენნი სისხლის სამართალში არ იქმნენ მიცემულნი.

4) გვიბრძანებია აგრეთვე, რომ დავიწყებულ იქმნას საქმენი იმ დანაშაულებათა შესახებ, რომელიც აღნიშნულია სასჯელ. დებულ. მე-246—248 მუხ. და დღევანდლამდე გამოუმყლანებელია. ისინი, რომელთაც ამა დანაშაულის ბრალი ედებათ, ანუ იხდიან კიდევ სასჯელს, განთავისუფლებულ იქმნენ პასუხის-გებისა და სასჯელისაგან, და წოდებრივ უფლებათა ახდას მისჯილთ, იმ კანონიერ შეილებთან ერთად, რომელნიც დაბადებულნი არიან იმას შემდეგ, როცა განაჩენი წაუკითხეს იმათს მშობლებს, მიენიჭოთ ყოველი კერძო და წოდებრივი უფლება, რაც კი სასჯელის დადებამდე ეკუთვნოდათ, ქონებრივ უფლებას გარდა.

5) ნებასა ვრთავთ შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოგვიდგინოს შუამდგომლობა იმათი, რომელთაც თავისის ნებით დაუნებებიათ თავი სამშობლოსათვის, სახელმწიფოდგან გასულან მათ მიერ ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულისა გამო და ის ბოროტ-მოქმედებანი არა ჰბრალდებათ, რომელიც სასჯელ. დებულ. მე-241 მუხ. ისჯება, და სურვილი კი აქვთ თავისს მიწა-წყალში დაბრუნებისა და ტახტისა და სამშობლოს ერთგულებით უწინდელ დანაშაულის გამოსყიდვისა.

6) ყველა ისინი, რომელნიც სასჯელს იხდიან პოლონიის 1863 წ. ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის, გვიბრძანებია განათავისუფლონ პოლიციის მეთვალყურეობისაგან, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან იქნება დამოკიდებული განსაკუთრებულ მოსაზრებით იხელმძღვანელოს და იმპერიის ამა თუ იმ ადგილში არ მისცეს ნება ცხოვრებისა.

7) იმათ, რომელთაც ამა მე-XI მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული წყალობა ენიჭებათ და რომელთაც უმაღლესის

განსაკუთრებულის ბრძანებით ჯერ კიდევ არა აქვთ დაბრუნებული სასჯელ-დადებამდე მათა კუთვნილი უფლებანი, — გვიბრძანებია აღდგენილ ექმნათ იმათ კანონიერ შვილებთან ერთად, რომელნიც საჯელ-დადების შემდეგ დაბადებულან, უწინდელნი უფლებანი შთამომავლობისა, ხოლო ქონებრივ უფლებათა აღუდგენელად და აგრეთვე ხარისხისა, ორდენებისა, წარჩინების ნიშნებისა და სამსახურით მოპოვებულ უფლებათა დაუბრუნებლად.

XII. ის გამოძიების ქვეშე მყოფნი და სამართალში მიცემულნი, რომელნიც ამა მანიფესტის ძალით სასამართლოსა და სასჯელისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნენ, ხოლო დარწმუნებულნი არიან, რომ სიმართლე მიგვიძღვისო და მოისურვებენ სასამართლოს წინაშე თავის გამართლებას, შეუძლიანთ, ამა მანიფესტის იმათ საცხოვრებელ ადგილას გამოქვეყნებულად ექსის თვის განმავლობაში, ითხოვონ, რომ განგრძობილ ანუ აღდგენილ იქნას მათ შესახებ გამოძიება და განსამართლებუ. ამასთანავე იმათ, რომელთა დღევანდლამდე ჩაუდენიათ დანაშაული, სასჯელი უმცირდებათ ამა მანიფესტის ძალით და არ მოისურვებენ ამ შეღავათით სარგებლობას, შეუძლიანთ ერთის თვის განმავლობაში იმათ საქმის შესახებ დადგენილ განაჩენის შემდეგ, მოითხოვონ, რომ იმათი საქმე დაბოლოვებულ იქმნას კანონის მიერ დადგენილ წესით. როგორც პირველთ, ისე მეორეთ, თუ ვინცობაა დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი, ველარ ეპატიებათ დანაშაული ამა მანიფესტის ძალით.

XIII. ის ფული, რომელიც დღევანდელ დღემდე უკვე შეტანილია ამა მანიფესტში მოხსენებულ ყოველ ბეგარისა და გარდასახადის შესავსებლად, ამა მანიფესტის I მუხლის 1—4 და 7 პუნქტებში მოხსენებულთა გარდა, და აგრეთვე ის ფული, რომელიც მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა განკარგულებაში იმყოფება ზემოხსენებულ ბეგარისა და გარდასახადის შესავსებლად, აღარ დაუბრუნდებათ პატრონებს და არც სხვა ვალში ჩაეთვლებათ.

XIV. თუ ვინიცობა ამ მანიფესტის მუხლების განხორციელების დროს ეჭვი დაიბადა რამე, მთავრობის ყველა დაწესებულებანი ვალდებული არიან საეჭვო ადგილების განსამარტებლად უმართებელს სენატს მიჰმართონ, ხოლო თუ განმარტება საეჭვო ადგილისა სენატის უფლებას აღემატება, მან ჩვენი ნება-რთვა უნდა მოითხოვოს დადგენილის წესისამებრ.

XV. იმ შეღავათისა და შემსუბუქების შესახებ კი, რომელიც უნდა მიენიჭოთ ჩვენთა ფინლიანდიის სამთავროს ქვეშევრდომთა, განსაკუთრებული დადგენილება იქმნება გამოცემული.

ბოძებულია ს.-პეტერბურგს, 14 დღესა ნოემბრისასა, წელსა ქრისტეს დაბადებიდგან ათას რვაას ოთხმოც და თოთხმეტსაჲ, ხოლო მეფობისა ჩვენისა პირველსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ ნ ი კ ო ლ ო ო ზ ი “

**ბრძანება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის თვით-მმართველისა უმართებელის სენატისაგან გამოცემული.**

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით, უმართებელსმა სენატმა მოისმინა: იუსტიციის მინისტრის, ტაინი სოვეტნიკის მურავევისა ამა 1894 წ. 14 ნოემბრის მე-21, 952 №-ის წინადადება შემდეგის შინაარსისა: 'ხელმწიფე იმპერატორმა, იყოფება რა მეფურსა-ზრუნვასა შინა ყველა უწყების მოხელეთა შესახებ, რომელნიც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ღვთის ძიერ განსვენებულს მშობელსა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისას და ეხლაც განაგრძობენ გულმოდგინე სამსახურსა მისის უდიდებულესობისასა და სამშობლოსას, — იმათ შრომისა და სამსახურის წასაქვებლად, — 14 ამა ნოემბრის მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა თა-

ჩანხად, ყოველად უმოწყალებად კეთილ-ინება და ჰბრძანა:  
 1) მინისტრებს და განსაკუთრებულ ნაწილთა მთავარმართებელთ  
 ნება ეძლევათ გაამჩაველონ იმათი რიცხვი, რომელნიც 1895  
 წელს ჯილდოზედ უნდა იქმნენ წარდგენილნი ჯილდოთა წე-  
 სებით დადგენილ რაოდენობის ერთის ნახევარით. 2) ხსენე-  
 ბულ მოხსენებაში შეუძლიანთ დასაჯილდოვებლად წარმოად-  
 გინონ და კანონით დადგენილ საერთაშორისო ვადით არ  
 შებრკაოლდნენ, იმ პირობით კი, რომ მათ მიერ უკანასკნელ  
 ჯილდოს მიღებიდგან მათდა დასაჯილდოვებლად წარმოდგენის  
 დღემდე ორს წელიწადზედ ნაკლებს არ გაეველოს; შეღავათი  
 ესე მიეცეთ 1898 წ. პირველ იანვრამდე; და 3) ამ შეღავათის  
 კარდა, ყველა სხვა აწ მომქმედი წესი და პირობა ჯილდო-  
 ზედ წარმოდგენისა რიგისამებრ და რიგს გარეშეც ძალაშივე  
 იქმნება. მხოლოდ მინისტრებს და განსაკუთრებულ ნაწილთა  
 მთავარ-მმართველთ ნება ეძლევათ განკერძოებულსა და არა-  
 ჩვეულებრივს შემთხვევაში, ამ თავითვე იუხოვონ რა მისის იმ-  
 პერატორებითის უდიდებულესობის ნება-რთვა, ჯილდოზედ  
 წარადგინონ, დადგენილის წესით, ისინი, რომელნიც სამსახურ-  
 ში განსაკუთრებულ წარჩინებასა და გულ-მოდგინებას გამო-  
 იჩინენ, და ამითი შეუძლიანთ გადასცდნენ ამა საგნის შესახებ  
 აწ მომქმედ წესთა და დადგენილებათა.




კვლევისათვის მიიღო უფასო წიგნები:

Е. Такай-швили.—Сигель грузинского царя Баграта IV, (1027—1072), 1—68 стр. СПб. 1894 г.

К. Н. Бѣгичевъ.—Разведение чайнаго куста на Кавказѣ. Тифлисъ 1893 г.

Егоже.—Мтацминдскій монастырь св. Давида Гареджийскаго, 1—26 стр. Тифлисъ 1890 г.



გამომცემელი  
ალექსანდრე ჭავჭავაძე